

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ფატი აბაშიძე

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ფოლკლორული
ძირები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თინა შიოშვილი

ბათუმი, 2020

შ ი ნ ა ა რ ს ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი.....	3
თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი.....	15
პატრიოტიზმი და საქართველოს ისტორიული წარსული.....	15
1. სამშობლოს სიყვარული და რუსულ მმართველობასთან შეუგუებლობა	15
2. სამშობლოს ბუნება - რომანტიკოსთა ნავსაყუდელი	63
თ ა ვ ი მ ე ო რ ე	70
მეფეთა სახეები	70
1. ფარნავაზ მეფე.....	71
2. მირიან მეფე.....	72
3. ვახტანგ გორგასალი	74
4. დავით აღმაშენებელი	80
5. თამარ მეფე	85
6. ერეკლე მეორე.....	98
თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე	133
სატრფიალო ლირიკა	133
1. სატრფიალო ლირიკის რაობისთვის.....	133
2. მნათობთა სიმბოლიკა	144
3. მცენარეთა სიმბოლიკა	150
4. ყარაჩოღურ-აშულური მოტივები.....	158
თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე	173
ყოფნა-არყოფნისა და სიცოცხლის საზრისის პრობლემა	173
1. წუთისოფლის სამდურავი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკასა და ხალხურ პოეზიაში.....	175
2. „უწყალო სოფელი“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ხალხურ პოეზიაში.....	189
3. „სულით ობლობა“ და სიცოცხლის საზრისი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკასა და ხალხურ პოეზიაში	200
ზ ო გ ა დ ი დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი	217
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები	223

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საუკუნეთა მანძილზე ქართველი კაცის გენია ხალხური სიტყვიერების პროზაულ თუ პოეტურ შედეგებს ქმნიდა – ჟანრობრივად მრავალფეროვანსა და განუმეორებელს. არსად ისე არ მჟღავნდება ეროვნული სული, როგორც ხალხურ შემოქმედებაში; ამიტომაც ყოველი ერის ჭეშმარიტი სიტყვაკაზმული მწერლობა უხვად სარგებლობს მშობლიური ზეპირსიტყვიერი შემოქმედებით. ქართული მწერლობაც, მოყოლებული თვით სასულიერო-რელიგიური ხასიათის ნიმუშებიდან, დიდად არის დავალებული ფოლკლორული ტრადიციებითა და ცალკეული ჟანრებით. ბუნებრივია, ვერც რომანტიკული მსოფლმხედველობა დარჩებოდა გულგრილი მშობელი ერის ზეპირსიტყვიერი საუნჯისადმი; მით უფრო, რომ წარსულისაკენ ხედვა, გარდასულ ეპოქათა დიდებულებისადმი განსაკუთრებული ნოსტალგიური დამოკიდებულება რომანტიზმის ერთ-ერთი ღირებული თავისებურებაა.

რომანტიზმი მიმართულებაა ლიტერატურაში, რომელიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის რევოლუციის იდეებისა და შემდგომ მისი დამარცხებით გამოწვეული გულგატეხილობის, იმედების მსხვრევისა და გაცრუების საფუძველზე. სწორედ აქედან გამომდინარე, რომანტიკული მსოფლმხედველობის ძირითად მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მწვავე უთანხმოება, დაპირისპირება ამ მიმდინარეობის წარმომადგენელთა იდეალებსა და მიუღებელ, მტანჯველ რეალობას შორის. „რომანტიზმი, როგორც ესთეტიკურ-მხატვრული ცნობიერების ისტორიულად ჩამოყალიბებული მოძრაობა, ფეხს იდგამდა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე...“ – აღნიშნავს მკვლევარი პავლე ჯორბენაძე (ჯორბენაძე, 1984: 4).

რომანტიზმისათვის უმთავრესი იყო პიროვნების ინტერესები და გრძნობები; მას, როგორც მსოფლმხედველობას, ახასიათებდა არსებული სინამდვილისგან განზე გადგომა, მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი.

რომანტიკულმა მსოფლგაგებამ ფართო გავრცელება პოვა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში; ეს მიმდინარეობა თითოეულ კონკრეტულ ქვეყანაში გარკვეულ საზოგადოებრივ-ისტორიულ პირობებში აღმოცენდა და განვითარდა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა ქვეყანაში ამ მსოფლმხედველობას, საერთო ნიშნების გარდა, ჰქონდა

განსხვავებული მახასიათებლებიც, რაც ძირითადად დამოკიდებული იყო კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებრივ-ისტორიულ თავისებურებებზე, მის ეკონომიურ-კულტურულ ვითარებაზე. როგორც მკვლევარი დავით გამეზარდაშვილი აღნიშნავს, „რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, თავისი დასაწყისითა და განვითარებით, დაკავშირებულია ამ თუ იმ ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ-კულტურულ გარემოსთან...“ (გამეზარდაშვილი, 1975: 54).

ქართული რომანტიზმის გენეზისის თაობაზე მკვლევარი აპოლონ მახარაძე მიუთითებს: „ქართული რომანტიზმის წარმოშობისა და განვითარების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა ქართული მწერლობის ურთიერთობამ რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან. ადგილობრივ სოციალურ და კულტურულ პირობებთან ერთად, რაც არსებითი იყო, საერთო ლიტერატურულ გარემოსაც თავისი მნიშვნელობა ჰქონდა“ (მახარაძე, 1967: 44).

ქრონოლოგიურად ქართული რომანტიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულებისა და შემოქმედებითი მეთოდის, პირველი ნიშნები ისახება მე-19 საუკუნის 20-იან წლებში, ხოლო ჩამოყალიბებულ სახეს 30–40-იან წლებში იღებს. ასევე აღსანიშნავია, რომ, „თუ სხვა ხალხთა ლიტერატურაში რომანტიზმს ახალი იდეურ-მხატვრული პოზიციების განმტკიცება უხდებოდა კლასიციზმის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, ქართულ სინამდვილეში რომანტიზმს მეტად ნაყოფიერი ნიადაგი დახვდა; ეროვნული თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ღრმა სევდა, ფეოდალური კლასის შერყეული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, ცხოვრების ფორმების სიახლე, ერთის მხრივ, წარმოადგენდა მასაზრდოებელ წყაროს ქართული რომანტიზმისათვის, ხოლო, მეორეს მხრივ, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების ქართული ლიტერატურის რეგლამენტაციისაგან თავისუფალი დემოკრატიული ნაკადი ძლიერ სტიმულს აძლევდა შემოქმედების თავისუფლების პრინციპზე აგებულ ახალ მხატვრულ სისტემას, რომელიც მოვლენებით სავსე ახალ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ყალიბდებოდა“ (აბზიანიძე, 1969: 36).

მკვლევარ ალექსანდრე კალანდაძის აზრით, „რომანტიზმის, კერძოდ ქართული რომანტიზმის, არსი, ძირითადად მაინც, იმ პერიოდშია საძიებელი, როცა ის წარმოიშვა და დამკვიდრდა, როგორც ლიტერატურული მიმართულება. ყოველივე ეს კი

თავისებურად მქლავნდება ისტორიული პიროვნების ფსიქოლოგიაში“ (კალანდაძე, 1986: 81).

გარდა იმ საერთო ნიშან-თვისებებისა, რაც ზოგადად ახასიათებდა რომანტიზმს, ქართული რომანტიზმი გამოირჩეოდა ღრმა ეროვნული სპეციფიკურობით. „ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ისტორიზმს; რომანტიკოსი მწერლებისათვის დიდ მნიშვნელობას იძენს საქართველოს ისტორია, სამშობლოს წარსული, ის გზა, რომელიც გამოიარა ქვეყანამ;“ (აბაშიძე, 2015: 10). მიუღებელი თანადროულობა და გმირული წარსულის გაიდევლება, როცა სამშობლო ქვეყანა თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო, პატრიოტული იდეალების განსაკუთრებული, მტკივნეული გამოვლენისკენ უბიძგებენ რომანტიკოს შემოქმედთ. სწორედ ამიტომ, გარდა ისტორიული წყაროებისა, რომანტიკოსებისთვის ასევე მახლობელი და საინტერესო გახდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რამდენადაც მათში დაუნჯებელია ქართველი ხალხის წარსული და ის სატკივარია გადმოცემული, რაც საუკუნეების განმავლობაში განიცადა ერმა.

ამიტომაც ისტორიულ პატრიოტულმა თემამ რომანტიკოსთა შემოქმედების მრავალ ჟანრში პოვა გამოხატულება, რამდენადაც „ქართულ რომანტიკულ მსოფლ-განცდას ჩვენში ქართულ ზეპირსიტყვიერ ტრადიციაში არსებული პატრიოტული განწყობილებით დამუხტული ატმოსფერო დახვდა, რომელიც ეროვნულისადმი საოცრად ფაქიზი ინტერესით ორიენტირებდა დროსა და სივრცეში“, – სავსებით მიგნებულად აღნიშნავს მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი (ჯაგოდნიშვილი, 2004: 318). ფოლკლორის მეცნიერულ შესწავლასაც სწორედ რომანტიკული იდეებისადმი ერთგულმა გერმანელმა მეცნიერებმა – იაკობ (1785-1863) და ვილჰელმ (1787-1859) გრიმებმა – ჩაუყარეს საფუძველი და პირველი ფოლკლორისტული თეორიაც (მითო-ლოგიური თეორია) მათ რომანტიკულ სკოლასთან არის დაკავშირებული. მკვლევარი პავლე ჯორბენაძე აღნიშნავს, რომ „ნაპოლეონის წინააღმდეგ გამათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში ეროვნული თვითშეგნების გამახვილებულ გრძნობასთან დაკავშირებით რომანტიკოსები გაიტაცა ხალხურმა პოეზიამ. ძმები გრიმები იმთავითვე დაუკავშირდნენ ადრეული რომანტიზმის წარმომადგენლებს: არნიმს, ბრენტანოს და გიორესს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით გერმანული ფოლკლორის შესწავლაში“ (ჯორბენაძე, 1986: 76).

ტერმინ „რომანტიზმის“ დამკვიდრება უკავშირდება ევროპული რომანტიზმის თეორიის ფუძემდებელს ფრიდრიხ შლეგერს. ძმებ შლეგერებს და მათ მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ რომანტიზმის სათავეები ხალხურობასთან არის დაკავშირებული; მათ ამ მიმდინარეობის ერთ-ერთ ნიშან-თვისებად მიაჩნიათ „დაბრუნება ბუნებრიობისადმი, შესაბამისად – თვითმყოფობისადმი და ხალხურობისადმი ხელოვნებაში“ (ჯორბენაძე, 1984: 32).

თვით ზღაპარიც კი, რომელიც ხალხური სიბრძნის ნაყოფია, დიდ გავლენას ახდენს ლიტერატურაზე. მისი გავლენით გერმანელმა რომანტიკოსებმა შექმნეს ლიტერატურული ზღაპრის ჟანრი. მკვლევარი პავლე ჯორბენაძე ზღაპარს „რომანტიკული სულის დროებით თავშესაფარს“ უწოდებს, ისინი ხომ სწორედ არსებულ მწარე რეალობას ემდურებიან და გაურბიან. „რომანტიკული აღმაფრენა, როგორც კი შეეხება ამქვეყნიურ მდაბიურ, უხამს სამყაროს, კარგავს თავის ღირებულებას. ილუზორულ-რომანტიკული სამყარო..., ესა თუ ის ზღაპრული ქვეყანა რომანტიკული სულის დროებითი თავშესაფარია... რომანტიკული ზღაპრის... მონაცემები ნაყოფიერად გამოიყენეს და შემოქმედებითად განავითარეს ისეთმა შესანიშნავმა მწერლებმა, როგორც იყვნენ ამერიკელი რომანტიკოსები ვაშინგტონ ირვინგი და ედგარ პო, დიდი რუსი მწერალი გოგოლი...“ (ჯორბენაძე, 1986: 104-105).

ხალხური პოეზიის წვლილი ერისა და ლიტერატურის განვითარებაში რომ უაღრესად დიდია, ამაზე არაერთ მკვლევარს დაუწერია; ფოლკლორისტ აპოლონ ცანავას აზრით, ხალხური სიტყვიერება პოეტისთვის ელექსირია, რომლითაც მისი შემოქმედებითი ნიჭი საზრდოობს. „ჭეშმარიტი შემოქმედისათვის ხალხური სიბრძნე ყოველთვის იყო და იქნება დიდი განზოგადების მქონე გმირთა სახეების შექმნის უშრეტი წყარო. ყოველი დიდი მწერალი ისე სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული თავის მშობელ ხალხთან, როგორც მითოლოგიური ანტეოსი – დედამიწასთან. ფეხის ყოველ დაბიჯებაზე, სურვილისამებრ, ანტეოსი დედისგან იღებს უძლეველობის ახალ ელექსირს. ამგვარი ელექსირის გარეშე, ხალხურ შემოქმედებასთან სიახლოვის გარეშე, მწერალი შეიძლება დამარცხდეს, როგორც მშობელი მიწიდან მოწყვეტილი ანტეოსი“ (ცანავა, 1986: 13).

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეორე ტომში საკმაოდ ვრცლად საუბრობს ზეპირსიტყვიერების მნიშვნელობაზე

როგორც სასულიერო, ისე საერო ლიტერატურის განვითარებაში. „ამ პოეზიამ, რომელზედაც, ეჭვი არ არის, გავლენას ახდენდა ხალხური პოეზია, ხალხურ მომღერალთა შემოქმედება, გარკვეულ პირობებში თამამად მოგვცა ის წარმტაცი, ნაირნაირი და მომხიბლავი ლექსი, რომლითაც წარმოდგენილია საერო მხატვრული პოეზიის ლიტერატურული ნიმუშები“... წერს მეცნიერი და აღნიშნავს, რომ „საერო მწერლობის ჩასახვის, მისი აღმოცენების ერთ-ერთი ფაქტორი იყო ზეპირსიტყვიერებითი ხალხური პოეზია, რომელიც სახალხო მომღერლებისა და პოეტების მეშვეობით, განსაკუთრებით დღეობებსა და ბაზრობების დროს, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში გადადიოდნენ და პოეტურ გემოვნებას ავითარებდნენ და ზრდიდნენ“ (კეკელიძე, 1981: 6).

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ არის შემთხვევები, როცა საერო ლიტერატურა თავად ახდენს გავლენას ხალხურ პოეზიაზე. ვფიქრობთ, ეს საკვებით ბუნებრივია, რადგან იყო პერიოდი როცა ამ ორი მომიჯნავე დისციპლინის განხილვა ერთად ხდებოდა, შესაბამისად, მათ შორის საზღვრის გავლება სირთულეს წარმოადგენდა. „ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ბედი თუმცა ერთმანეთთანაა გადაჯაჭვული, მათი ურთიერთგავლენა მუდამ ინტენსიური იყო, ფოლკლორს ხშირად მიუმართავს ლიტერატურული მასალისათვის და, პირიქით, ლიტერატურას – ფოლკლორული ნიმუშებისათვის, მაგრამ ყოველივე ამის მიუხედავად, უფლება არ გვაქვს გენეტიკური თვალსაზრისით სასარგებლოდ მოვშალოთ პრინციპული ზღვარი ზეპირსიტყვიერებასა და ლიტერატურას შორის“ (იაკობსონი, ბოგატირიოვი, 1971: 150).

ფოლკლორულ-ლიტერატურულ ურთიერთმიმართების ნათელ მაგალითს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების გახალხურება. მკვლევარი გივი ახვლედიანი აღნიშნავს: „ხალხურ პოეზიას მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ქართული საერო მწერლობის განვითარებაში, მაგრამ არ ვიქნებით სწორი, ლიტერატურის გავლენა ფოლკლორზე უარვყოთ; მწერლობაც ზემოქმედებდა ფოლკლორზე; ძველი ქართული მწერლობის თხზულებები გადასულა ხალხში, ვარიანტები შეუძენია და გახალხურებულა. მაგალითად, ვარიანტები შეიძინა და გახალხურდა: „ვეფხისტყაოსანი“, „როსტომიანი“, „ბეჟანიანი“ და სხვა...“ (ახვლედიანი, 2002: 16).

ხალხური სიტყვიერებისა და საერო ლიტერატურის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს ლექსის საზომი ერთეულის – რითმის მსგავსებაც. მკვლევარი გივი ახვლედიანი მართებულად შენიშნავს: „ქართული ლექსის თითქმის ყველა ფორმა, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, თავისი ზომებით სათავეს ხალხური პოეზიიდან იღებს...“ (ახვლედიანი, 2000: 427). ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს დავით გურამიშვილის ლექსი „დინარი“, რომელიც ხალხური ლექსის „მოხვევის ქალო თინაოს“ რითმის ანალოგიით არის დაწერილი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზეპირსიტყვიერებისადმი მეცნიერული დამოკიდებულების დასაწყისი ემთხვევა საქართველოში რომანტიზმს და, როგორც მკვლევარი მანანა კაკაბაძე აღნიშნავს, „რომანტიზმის ეპოქაში საერთოდ იღვიძებს ფოლკლორისადმი განსაკუთრებული ინტერესი“ (კაკაბაძე, 2008: 129-130).

რომანტიკოსთა ინტერესი ფოლკლორული შემოქმედების მიმართ განპირობებული იყო იმითაც, რომ იმ დროის ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში გამოხატული იყო ეროვნული წუხილი, ტკივილი და ის მძაფრი პატრიოტული სულისკვეთების შემცველი თემები, რომლებიც ძალზე ახლობელი და ნაცნობი იყო რომანტიზმის წარმომადგენლებისათვის; გარდა ამისა, რომანტიკოსთათვის ეროვნული ხალხური სიტყვიერება კიდევ უფრო საინტერესო გახდა იმ ფაქტორმაც, რომ მშობელი ხალხის ზეპირსიტყვიერება, ვითარცა კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი და, ამავე დროს, უაღრესად პირუთენელი და მიუკერძოებელი ფენომენი, ცენზურით შეუზღუდავი იყო; რომ მასში შეუფერადებლად იყო დაუნჯებული ის პრობლემები, რაც ქართველ ხალხს მართლაც ძალიან აწუხებდა და სისხლხორცეულად მიაჩნდა.

როგორც მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი მიუთითებს, „XIX საუკუნის დასაწყისში ქართულმა ხალხურმა პოეზიამ თავისი მძლავრი პატრიოტული და მოქალაქეობრივი პათოსით მხოლოდ მასალა კი არ მისცა ჩვენს მწერლობას, ან მართო შემოქმედებითი იმპულსის როლი კი არ ითამაშა, არამედ თავად გახდა მისაბამი მწერლობისათვის (გარეგნულად ეს ლიტერატურისა და ფოლკლორის ინტერესთა „დამთხვევამიც“ აისახა და, თემატიკასთან ერთად, თემათა გააზრებაც მოიცვა)“ (ჯაგოდნიშვილი, 2004: 316).

მდიდარი ნაციონალური სულიერი კულტურის ტრადიციებზე აღმოცენებული და მსოფლიო სიტყვიერი ხელოვნების მიღწევებით ნასაზრდოები ქართული რომან-

ტიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები გამოხატავენ თავიანთი დროის იდეოლოგიის პროგრესულ ტენდენციებს და ლიტერატურას მიზნად უსახავენ ხალხის სამსახურს, თვით სევდიან და მძიმე წუთებშიც “სოფლისათვის ზრუნვას” აღიარებენ ადამიანის მთავარ დანიშნულებად; ისინი სვამენ ქვეყნის ბედთან დაკავშირებული ისტორიულ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს, მსჯელობენ საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობო პრობლემებზე. მკვლევარი გიორგი ჯიბლაძე აღნიშნავს: „ეროვნულობა, ლირიკა, ელეგია, კონკრეტული ისტორიული იდეა, ხალხური პოეზია – აი, საერთო ენა, რომელიც ქართულმა რომანტიზმმა გამონახა მისი წინაპერიოდის ლიტერატურასთან, ბატონიშვილების პოეზიის ჩათვლით“ (ჯიბლაძე, 1968: 271).

ქართულმა რომანტიკულმა მსოფლგანცდამ გამოხატულების ფორმად უმთავრესად პოეზია აირჩია და ფართოდ გადაგვიშალა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი სწრაფვა თავისუფლებისადმი; აშკარად დაგვანახა მრავალფეროვანი გამა ახალი ადამიანის განცდებისა, მისი მებრძოლი პათოსი და ძლიერი გაქანება; ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო ჩვენი რომანტიკოსების ძლიერი ლტოლვა ეროვნული ფოლკლორული შემოქმედებისადმი, სადაც შეიძლებოდა, პირუთვნელი პასუხი ეპოვათ მათთვის საჭირობო ყველა პრობლემაზე; სადაც შეიძლებოდა, მთელი სისავსით შეეგრძნოთ ეროვნული ღირსება და სიამაყე, ეპოვათ სულიერი საზრდოცა და ნავსაყუდელიც, ჯანსაღად განეჭვრიტათ წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც, დაპურებულიყვნენ ეროვნული ზეპირსიტყვიერების უშრეტ წიაღში ოდითგანვე მყარად დაბუდებული ოპტიმიზმითა და ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით.

მშობელი ხალხის ზეპირსიტყვიერებისადმი ლტოლვა და მისი იდეალებით სულიერი საზრდოობა ქართველი რომანტიკოსებისათვის შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა; ერთის მხრივ ის ფაქტი, რომ, ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად, მრავალსაუკუნოვანმა და ყველა ეპოქაში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ მშვენივრად გამოხატა ჩვენი ხალხის მდიდარი და, ამავე დროს, ტვირთმძიმე ისტორია, სოციალური წინააღმდეგობანი, საზოგადოების პატრიოტული განწყობილება, ჰუმანისტური იდეები, ხოლო, მეორეს მხრივ ის რეალობა, რომ ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამ ახალ ეტაპზე აიყვანა ძველი ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ეროვნული იდეალებით

გაჯერებული მუხტი და ეპოქის მოწინავე იდეებს დაუკავშირა, განაპირობებდა იმ რეალურ ვითარებას, რომ რომანტიკოსებმა სულიერი საზრდოს ძიება, რაც მიუღებელ, შეურიგებელ აწმყოში შეუძლებელი იყო, ეროვნული ზეპირსიტყვიერების უშრეტსა და ყოველთვის გულმართალ წიაღში დაიწყეს. ვფიქრობ, სავსებით მართებულად მიუთითებს მკვლევარი მანანა კაკაბაძე, რომ „რომანტიზმის თეორეტიკოსთა აზრით, კაცობრიობის მეტყველება იწყებოდა პოეზიით და ეს იყო ხალხური პოეზია. ამიტომ ხალხური პოეზია უნდა ყოფილიყო ამოსავალი და საყრდენი ყველა ლიტერატურისა. რომანტიკოსებმა მიმართეს ფოლკლორს, როგორც ეროვნულ ფესვებს, როგორც ადამიანის სასიცოცხლო ძალას და უშუალო ძარღვს, რომლითაც ადამიანი დაკავშირებულია ბუნებასთან და მშობლიურ გარემოსთან, მის მარადისობასთან“ (კაკაბაძე, 2008: 129-130).

ქართული რომანტიზმი სინამდვილის უბრალო პროტესტსა და უარყოფას კი არ გულისხმობდა, არამედ არსებულის უარყოფაში ხედავდა მომავლისათვის ბრძოლის აუცილებელ პირობას; მთელი ქართული პროგრესული რომანტიკული პოეზია, ისევე როგორც ქართული ზეპირსიტყვიერება, გაჟღენთილია ჭეშმარიტების ძიების, ახალი იდეების დამკვიდრების დაუცხრომელი სურვილითა და ჩვენს უბადლო ფოლკლორულ სამყაროში ხელშეუხებლად გამეფებულ უდიდეს ოპტიმიზმში ეძიებდა სამომავლო გზებსა და იდეალებს.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული რომანტიზმი იმთავითვე პატრიოტულ ხასიათს ატარებს, მაგრამ, ამავე დროს, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული მსოფლიო რომანტიკული ლიტერატურის ისტორიულ განვითარებასთან და, რა თქმა უნდა, სრულიად ბუნებრივად, ყველაზე მჭიდრო და ცხოველმყოფელი მიმართება აქვს გამონათული ეროვნულ ფოლკლორულ მსოფლმხედველობასთან, რომელიც არსებითად რომანტიკოსთა შემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი მასაზრდოებელი წყარო გახდა.

რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ ისტორიულ და ხალხურ-პოეტურ თემებს, ვითარცა იდეალურ წარსულთან წვდომის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს; ამდენად, ქართული რომანტიზმი იმთავითვე ეროვნულ ფესვებზე დგას და ხალხური პოეტური სიტყვა ამ ფესვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მაცოცხლებელი ძარღვია. ქართველი რომანტიკოსებისათვის მრავალ ეპოქათა

ტევრში გამოტარებული მშობლიური ხალხური სიტყვიერება ის მყუდრო სავანეა, სადაც სული უნდა მოითქვას „აწმყო ნადველით“ სულშემძრულმა შემოქმედმა; სადაც გმირული ისტორიებით, ზნეობრივი სათნოებებით უნდა დაპურდეს თანადრო-ულობის მკაცრი და მიუღებელი რეალობით დაშრეტილი სული და ეროვნული ენერგია, რათა ძალა მოიკრიბოს, აღივსოს ახალი სასიცოცხლო ძალით, განაგდოს მხრებზე მაჯლაჯუნასავით დაწოლილი „სული ბოროტი“ და ამაყად განაცხადოს, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ქართული რომანტიზმის უკლებლივ ყველა თვალსაჩინო წარმომადგენლის თითოეული ნაწარმოები გაჟღენთილია უკიდევანო პატრიოტული სულისკვეთებითა და თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული ამოუვსები ტკივილით. ამიტომაც თავი-ანთ შემოქმედებაში ისინი ეხებიან საქართველოსათვის საჭირობოროტო ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს და, როგორც ტიპური რომანტიკოსები, შვებას ისევ და ისევ მშობელი ხალხის დიდებული წარსულის გაიდებალბაში ხედავენ. ამ იდეალებისაკენ ყველაზე სანდო და ერთგული გზა კი ისევ და ისევ პირუთვნელი და გულმართალი ეროვნული ზეპირსიტყვიერება იყო. „რომანტიკოსების სტილი უბრალოა, – აღნიშნავს მკვლევარი მანანა კაკაბაძე – იგი ბუნებრივ, ხალხურ პოეტურ სამყაროსა და მეტყველებას უახლოვდება. რომანტიკული პოეზია თავისუფალია ევროპაში კლასიციზტებისა, ხოლო ჩვენში XVIII საუკუნის პოეზიის ხელოვნული ხატოვანებისაგან. XIX საუკუნის დამდეგიდანვე ჩვენში რომანტიზმის შემოსვლას და დამკვიდრებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც სამწერლო ენის, ისე ლიტერატურული თემატიკით ხელოვნური ჩარჩოებისაგან განთავისუფლებისათვის. ამ პერიოდიდან იწყება გამიჯვნა ძველთან და ახალ, თანამედროვეობის პოზიციებზე გადასვლა ლიტერატურის სფეროში. თუ რა დიდი როლი შეასრულეს ამ საქმეში ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა ჯერ კიდევ ბარათაშვილის პოეზიის დაბადებამდე, არაერთხელ იქნა აღნიშნული“ (კაკაბაძე, 2008: 130-131).

ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია. მკვლევართა ნაწილი მას საქართველოში რომანტიკული მიმდინარეობის დამწყებად აღიარებს. იგი ქართულ ლირიკაში წმინდა საზოგადოებრივ-დემოკრატიული მოტივების შემომტანია. მისი ლირიკა რომანტიკული ჟღერადობისაა, რომელიც ეროვნულ აწმყოზე სამდურავით, წარსულზე დარდითა და

უიმედობის მოტივებით არის გაჟღენთილი. „ალექსანდრე ჭავჭავაძე ქართული რომანტიზმის პირველი წარმომადგენელია. ახალ ქართულ ლიტერატურაში ყველაზე ადრე რელიეფურად ამ პოეტის შემოქმედებაში იჩინა თავი ქართული მწერლობის დაახლოებამ ევროპულ მწერლობასთან. ეს არის ალ. ჭავჭავაძის ერთ-ერთი დიდი დამსახურება ქართული მწერლობის წინაშე“ (კენჭოშვილი, 1969: 45).

რომანტიკოსი მწერლის სტატუსი ალექსანდრე ჭავჭავაძეს პირველად ილიამ მიანიჭა. თავის დიდებულ წინამორბედსა და მოგვარეს ერის მამამ შთაგონებით აღსავსე ლექსი – „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ – მიუძღვნა, რომელშიც მან ალექსანდრეს შემოქმედების სამი შეხედულება გამოყო: 1. „ხან გამღერებს, ხარობს, ლაღობს“; 2. „ხან დაჰყურებს ნაღვლიანი მოწიწებით გოგჩის ტბასა“; 3. „ხან შეჰკვნესს შავ-ბედს ბედისასა“ (ჭავჭავაძე, 2012: 53).

დიდებული წინამორბედის შესახებ ილია წერდა: „ამ ტკბილს მთქმელსაც საყოველთაო უნუგემ-ყოფამ მაშინდელის დროისა წარმოათქმევინა ერთგან თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთწოდებული “მოქალაქური გულისტკივილი“ მის გამო, რასაც გულში იმაღავდა მაშინდელი ცხოვრება“ (ჭავჭავაძე, 1986: 186). ილიას აზრით, პოეტის მთავარი წარმატება განპირობებულია იმით, თუ რამდენად ეხმიანება იგი მსოფლიო ლიტერატურას. ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში კი ეს ტენდენცია ილიამ იმთავითვე დაინახა და სათანადოდ შეაფასა კიდევ.

მკვლევარი მანანა კაკაბაძე აღნიშნავს, რომ „ხალხური მოტივები და ხალხური თემატიკა პირველი ქართველი რომანტიკოსის ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში მეტად ნიშანდობლივია. სწორედ ეს არის ერთი ის ძირითადი თვისება, რომლითაც ალექსანდრე ჭავჭავაძე დაუპირისპირდა ძველ თაობას... მათი პოეტური პოლემიკა გულისხმობს ძველ, კლასიციკურ მწერლობასა და ახალ, რომანტიკულ მწერლობას შორის დაპირისპირებას. ორი სხვადასხვა პრინციპის და სხვადასხვა სკოლის მწერლობა დაუპირისპირდა ერთმანეთს, რაც გამოიხატა ამ ცნობილი პოლემიკით“ (კაკაბაძე, 2008: 130-131). ხოლო იოსებ გრიშაშვილს თავის ნარკვევში „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ მოჰყავს ალექსანდრე ორბელიანის მოგონება პოეტზე: „კნიაზო, თქვენი ლექსები რომ ასე განასხვავეთ და სხვა, სუბუქი და ლბილი, წყობილება მიეცით, საიდან შემოიღეთ ასეთი მელექსეობა?

- სწორედ გეტყვი, ჩვენი ბლიაძეებისაგან შემოვიღე (მესტირეებისაგან)“ (გრიშაშვილი 1957: 10). რაც იმის დასკვნის საშუალებას გვაძლევს, რომ როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე, ისე გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება დიდად არის დავალებული ხალხური პოეზიისაგან, რასაც თავად მათი ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლაც ცხადყოფს. სწორედაც ამ პრობლემას ეძღვნება წინამდებარე საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელიც ქართველი რომანტიკოსების შემოქმედების ფოლკლორული ძირების მონოგრაფიულად შესწავლის პირველი ცდაა.

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაზე საუბრისას ილია ჭავჭავაძე, რომელიც, პროფესორ ჭუმბურიძის მართებული შენიშვნით, „პირველი იყო ქართველ კრიტიკოსთაგან, რომელმაც ლიტერატურის ისტორიკოსის თვალსაზრისით შეხედა ეროვნული მწერლობის ისტორიას“ (ჭუმბურიძე, 1974: 182), ხაზგასმით მიუთითებს, რომ დავით გურამიშვილმა „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან, რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართული ლექსის გამოთქმაში;“ ევროპეიზმის შემდგომ გამგრძელებლებად კი ილიამ მიიჩნია გრიგოლ ორბელიანი; ნ. ბარათაშვილს უწოდა „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“ (ჭავჭავაძე, 2012: 352). ბუნებრივია, ამგვარი შეფასება ეფუძნება როგორც შინაარსობრივ, ისე იდეურ მხარესა და ფორმას, რაც შეუძლებელია ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს არ ეფუძნებოდეს და თავისთავად არ გულისხმობდეს მრავალსაუკუნოვან ლიტერატურულ-ფოლკლორულ ურთიერთმიმართებას, და რაც თავად ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი კრედიტია.

თემის აქტუალობა. ნაშრომი ეძღვნება ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებასა და ზეპირსიტყვიერების ურთიერთმიმართებას, რაც ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთ აქტუალური პრობლემაა. საკვლევი თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მოცემული საკითხი მონოგრაფიულად ჯერ არავის შეუსწავლია.

თემის მიზანია, წარმოვაჩინოთ რომანტიკოს პოეტთა (ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის) შემოქმედებათა სისხლხორცეული კავშირი ქართულ ხალხურ სიტყვიერებასთან.

სამეცნიერო სიახლე და შედეგები. საკვალიფიკაციო ნაშრომი „ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ფოლკლორული ძირები“ ქართული ფოლკლორისტიკის, კერძოდ ქართული ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთმიმართების, ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო უბნის – ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ფოლკლორული წყაროების – შესწავლით ავსებს იმ ნაკლულევანებას, რაც ჩვენს მეცნიერებაში დიდი ხანია არსებობს. ეს პრობლემა თავის მკვლევარს ელოდა და ჩვენი არჩევანიც, შეგვესწავლა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებათა სისხლხორცეული კავშირი ეროვნულ ხალხურ სიტყვიერებასთან, სწორედ ამან განაპირობა.

კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ბათუმის აკაკი წერეთლის საჯარო ბიბლიოთეკა, ინტერნეტრესურსები.

კვლევის მეთოდები. სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს გამოვიყენეთ ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური კვლევის მეთოდები. მათი გამოყენება განპირობებული იყო კვლევის მიზნითა და დანიშნულებით.

ნაშრომის სტრუქტურა. ნაშრომი შედგება შესავლისა და პარაგრაფებად დაყოფილი ოთხი თავისაგან, რასაც თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და წყაროთა სია. პირველ თავში ორი პარაგრაფია, მეორეში – ექვსი, მესამეში – ოთხი, მეოთხეში კი – სამი.

ნაშრომის ცალკეული ნაწილები გამოქვეყნებულია სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, წაკითხულია მოხსენებებად საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

თავი პირველი

პატრიოტიზმი და საქართველოს ისტორიული წარსული

1. სამშობლოს სიყვარული და რუსულ მმართველობასთან შეუგუებლობა

XVIII საუკუნე ერთ-ერთი უმძიმესი პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. მუდმივი თავდაცვითი ომებით უაღრესად დასუსტებულ, დაქუცმაცებულ-გამეჩხერებულ, მორალურად და ფიზიკურად დაუძლურებულ, ათასი ჯურის მტერთაგან აოხრებულ ქვეყანას ყველა ეროვნებისა და მოდგმის ხალხი მოსდებოდა...

საქართველოს ამ მღელვარე ეპოქის უკეთ გასაგებად თუ გასააზრებლად საკმარისია, გავეცნოთ ჩვენი წინაპრების ზეპირსიტყვიერ მასალებს, რომლებშიც, ისტორიულ ფაქტებთან და პირებთან ერთად, გადმოცემულია ის სატკივარი, რომელიც უბრალო ხალხს აწუხებდა, რომელიც იმდროინდელ სინამდვილეს შეულამაზებლად ასახავს, რადგანაც „ზეპირსიტყვიერება ოდითგან ის წმინდა ნავსაყუდელია, სადაც პირუთვნელი სიცხადითა და მომხიბვლელობით არის დაუნჯებული საუკუნეთა განმავლობაში ხალხის ფაქიზ სულიერ ქურაში გადამდნარ-გამოწრთობილი ზნეობრივი ტრადიციები. ამ ღირებული მონაპოვარის გარეშე ვერც ერთი ხალხი ვერ ჩამოყალიბდება ერად, ვერ შეიქმნის საკუთარ იერსახეს, ვერ იგრძნობს შინაგან თავისუფლებასა და ეროვნულ ღირსებას, ვერ დადგება „ერად სხვა ერთა შორის“ (შოიშვილი, 2000: 365). ქართული ფოლკლორის ყველა ჟანრი მდიდარია ამგვარი ტრადიციებით, თუმცა განსაკუთრებულია საისტორიო ზეპირსიტყვიერება, რომელიც წარსულის გმირული სურათების გაცოცხლებით ზრდის ერის წიაღში ახალ-ახალ გმირებს, შთაუწერგავს სიბრძნეს, სიქველეს, ვაჟკაცობას, სამშობლოსადმი თავდადებასა და ღირსეულ მამულიშვილობას. სწორედაც ამით იყო გამოწვეული ქართველ რომანტიკოსთა ესოდენი დაინტერესება მშობელი ხალხის საისტორიო ფოლკლორით; მრავალჭირგადანახადი მამულის წარსულისადმი მიძღვნილი მათი შემოქმედება საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ისინი საკმაოდ კარგად იცნობენ ქართულ ხალხურ სიტყვიერებას, როგორც ერის ისტორიულ წარსულში გარკვევის ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი ერეკლე მეორეს და

მისი დროის საქართველოს ეძღვნება. ისინი (ქართველი რომანტიკოსები – ფ. ა.) მისტიროდნენ იმ დროს, როცა მშობელი ხალხი გაჭირვებული, მაგრამ თავისუფალი, იმედიანად განწყობილი და ბრძოლისუნარიანი იყო; მისტიროდნენ იმ დროს, როცა საქართველოს ჰყავდა ღვთივკურთხეული მეფე, რომელიც დღემუდამ ზრუნავდა თავის ხალხზე და ყოველ ღონეს ხმარობდა სამშობლოს დასაცავად.

ქართველი რომანტიკოსებისთვის მახლობელია როგორც ოფიციალურ მემკვიდრეობა მთელი გადმოცემული საქართველოს ისტორია, ასევე – ქართველი ხალხის თვალთქცული დანახული ისტორიაც. „ზეპირსიტყვიერება ხალხისათვის წარსულის შესასწავლი და აწმყოს ხსოვნის გასამტკიცებელი საშუალებაა“, – აღნიშნავს მკვლევარი ქსენია სიხარულიძე (სიხარულიძე, 1949: 109). ამ თვალსაზრისით მეცხრამეტე საუკუნის ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისათვის „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ერეკლეს თემა... ერეკლე ქართველ რომანტიკოსთათვის არა მხოლოდ ისტორიული პირია ან – მახლობელი ნათესავი, სათაყვანო წინაპარი, არამედ – მათი შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა; იგი მათი შთაგონებაა, პოეტური აღმაფრენა“ (კაკაბაძე, 1999: 251).

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის – ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებისთვის საქართველოს ისტორია და ზოგადად წარსული ერთ-ერთი უმთავრესი მასაზრდოებელი წყარო იყო. „პატარა კახის აჩრდილი ყრმობიდანვე თან სდევდა პოეტის შთაგონებას. მან მხოლოდ შემდეგში შეძლო პოეტური საღებავების მოძებნა, რომ დაეხატა გმირი ერეკლე, ხმალშემართული აღამაჰმად-ხანის ურდოებზე. ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის პოემაში სული შთაბერა ზოგ იმ ისტორიულ ამბავს, რომელიც მას ყრმობისას გაეგონა“ (აბზიანიძე, 1969: 157).

სავსებით სარწმუნოა მკვლევარ მ. კაკაბაძის შენიშვნა, რომ „ეროვნული ზღაპარი და ლექსი ზრდიდა ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის გულსა და გრძნობას, რომელსაც ოდესმე რომანტიზმის იდეები უნდა მიეღო, ეგრძნო და გამოეხატა. მშობლიური „ნანა“ და „მზე შინა“, ეროვნული ჰეროიკული სული და თქმულებებში გამოხატული თავგანწირული სიყვარულის ტრაგედია იყო საფუძველი იმ დიდი გრძნობებისა, რომლებიც ოდესმე ბარათაშვილის, გრ. ორბელიანისა და ალ. ჭავჭავაძის სულსა და გულში უნდა აფეთქებულიყო“ (კაკაბაძე, 2008: 136).

ცნობილია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახში იკრიბებოდნენ გამოჩენილი პიროვნებანი, რომელთა საუბარი უშრეტ საზრდოს აწვდიდა პატარა ნიკოლოზის ცხოველ ფანტაზიას. ამ დროის შესახებ რომანტიკოსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ორბელიანი მემუარებში წერს: „უწინ მაინც ასე იყო, როდესაც ძველები შეიყრებოდნენ, სულ ძველს ამბავს უბნობდიან, ნამეტნავად მეფის ირაკლისას“ (აბზიანიძე, 1969: 157). ასევე, შესაძლოა პოეტს არაერთი ხალხური ზღაპარი და თქმულება-გადმოცემები ჰქონდა მოსმენილი თავისი გორელი გამზრდელისგან – გლეხის ქალ მაიასგან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ისევე, როგორც სხვა რომანტიკოსები, ღრმად დაინტერესებული იყო მეფე ერეკლეს ეპოქით. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს მონაკვეთი ცხოველ ინტერესს იწვევს იმითაც, რომ იმდროინდელ საქართველოს ჰყავდა თავგანწირული, მზრუნველი მეფე, რომლისაც ხალხს სჯეროდა და სწამდა, რისი მოწმეც არის ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში უკვდავყოფილი ხატება ხალხის უსაყვარლესი მეფისა, რომელსაც უდიდესი სასოებით შეჰყურებდა დიდი თუ პატარა.

ილია ჭავჭავაძე ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ხაზგასმით აღნიშნავს: „არც ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო უიმიო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა, „სად სულსა სული თავისად მიაჩნის და გულსა გულის პასუხი ესმის“. ის დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არანაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულება „ქართლის ბედში“ იმ განწირულების დროს, როცა საქართველოს ბედი სწყდება, ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართველის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნანვისას აწვეთებს“ (ჭავჭავაძე, 2012: 196-197).

ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის, როგორც ქართველისათვის და სამშობლოს უბადლო პატრიოტისათვის, ძალზე მტკივნეული თემა იყო ქართლის ბედი; თუ რა ძლიერ აღელვებდა მშობელი ქვეყნის ბედ-იღბალი ჩვენს მოაზროვნე საზოგადოებას და პირველ რიგში თვით ნიკოლოზ ბარათაშვილს, კარგად ჩანს ერთ ეპიზოდში, რომელსაც პოეტის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი გვამცნობს:

„მახსოვს, ერთ ივლისის ღამეს, 1838 წელს, მე და ტატო წავედით სასეირნოთ გარეთუბანს (ეხლანდელი გოლოვინის პროსპექტი). ტატო ძალიან მხიარულად იყო

და თავისებურად მშვენივრად ხუმრობდა; მერმე ჩამოვარდა ლაპარაკი ჩვენს წარსულს ცხოვრებაზე და ტრაგიკულს დასასრულზე მე-18 საუკუნისა, მეფის ირაკლის მოხუცებულობის გამო უღონობაზე, ჩვენის თვითისის წახდენაზე 1795 წელსა, 12 სექტემბერს და სხვ. ამ ლაპარაკის დროს ნიკოლოზს, ყოველთვის მოცინარს და მხიარულს, სახე გამოეცვალა, დაიწყო ხელსახოცით ცრემლების წმენდა და ადეღვებულმა მითხრა:

– ჩვენმა უხეირობამ დაგვლუპა! – და ოხვრით დაუმატა: – ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!

დიდხანს დავდიოდით თავჩალუნულნი და მოწყენილნი” (აბზიანიძე, 1969: 208).

ამ მოგონებაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აქტუალური იყო XIX საუკუნის 20-30-ანი წლების ქართველი მოაზროვნე საზოგადოებისათვის სამშობლოს ბედი; მათ განსაკუთრებულ ყურადღებას კი იპყრობს არცთუ შორეული მოვლენები: ერეკლეს მოღვაწეობის ხანა, რომელზედაც მათ ისტორიკოსების გარდა, პირველწყაროდან – ქართველი ხალხისგანაც მოესმინათ საისტორიო ზეპირსიტყვიერების სახით.

ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, საქართველოს წარსულთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რუსეთის წინააღმდეგ მომხდარი სხვადასხვა სახის პროტესტები, განსაკუთრებით კი 1832 წლის შეთქმულება, რომელშიც იმ ეპოქის თითქმის ყველა მწერალი და საზოგადო მოღვაწე მონაწილეობდა. სწორედ ამიტომაც აღნიშნავს მკვლევარი ალექსანდრე კალანდაზე, რომ „1832 წელი მკვეთრი შემობრუნების წერტილია ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებაში. ტრავმამ ბევრი მისი წარმომადგენლის ინტერესებს გზა უცვალა, ნიადაგი გამოაცალა რა წარსულის აღდგენაზე ოცნებას. მაღალი იდეალების ადგილი ვიწრო პიროვნულმა საქმიანობამ დაიკავა, მაგრამ გაღიზიანებული ეროვნული სულისკვეთების ატმოსფეროში აღზრდილ ახალგაზრდებს, რომელთა უბადლო წარმომადგენელი ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო, ასევე იოლად როდი შეეძლო თავის ჭაბუკურ ოცნებასა და მისწრაფებებზე ხელის აღება, პირიქით, ის კიდევ უფრო შეაძრწუნა, დააღონა და აანთო ყოველივე ამან. საყოველთაო დაბნეულობისა და პანიკის წლებში ნიკოლოზ ბარათაშვილს აღმოაჩნდა...

აუცილებელი ტიტანური ენერგია, უსასრულო და უძირო შინაგანი ტკივილების გადალახვით ახალი გზის ძიების უნარი“ (კალანდაძე, 1986: 250-251).

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ მოცემულია სამშობლოს ისტორიის ერთი ტკივილიანი მონაკვეთის ღრმა მხატვრული შემეცნება. პოემაში შესანიშნავია არა მარტო ისტორიული ამბის თხრობა, არამედ – ქართველი ხალხის აქტიური სულის ჩვენება და ის დიდი ეროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემა, რომელიც თხზულების შინაგან ღერძად გვევლინება; მასში ასახულია საქართველოს გამირული წარსულის დაუვიწყარი მოვლენა – კრწანისის ბრძოლა, ივერთა ერთ-ერთი გამორჩეული მეფე ერეკლე მეორე და ქართველი გამირები. მეფე ერეკლე პოემაში ეროვნული შარავანდედითაა მოსილი; პოემის ფურცლებზე პატარა კახი განსახიერებელია სწორედ ისე, როგორც იგი არსებობს ქართველი ხალხის წარმოდგენაში: ბრძენი მეფე, სახალხო გმირი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი.

პოემის მხატვრული ფორმა და იდეები ხალხურია. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ „ბედი ქართლისა“ სათავეა ახალი ქართული ლიტერატურისა, რომელიც ხალხური სინამდვილისა და ქართული კულტურის დაუშრობელი წყაროებით საზრდოობს. „ბედი ქართლისას“ ხალხური ხასიათი შემჩნეული ყოფილა მის დროსაც. პოეტ ალ. ჩიქოვანს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემის ერთ ხელნაწერზე 1843 წელს მიუწერია შემდეგი სტრიქონები:

ვინცაა შენი მწერავი, ჯერია ეძღვნას მადლობა;
ნიჭთ, ღვაწლთ, მოლექსეთ, ჰაზრთათვის
უჩნს დია უცხო ზრდილობა,
თუმცა მდაბიო ქართული
ჰმეტობს აქ ზოგან თქმულება;
გარნა უცხოა, კარგია,
ამგვარ მამულიშვილობა.

(აბზიანიძე, 1969: 222-223)

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენლის – გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისთვის სამშობლოს ისტორია, წარსული დიდება, რომელსაც მისტირის ერთის მხრივ პოეტი, ხოლო მეორეს მხრივ – ქართველი ხალხი. ის ფაქტი, რომ გრიგოლ

ორბელიანისათვის სამშობლოს სიყვარულის გრძნობა მისი სასიცოცხლო არსებობის ფორმა იყო, ჯერ კიდევ პოეტის თანამედროვე და ბიოგრაფი იონა მეუნარგია აღნიშნავდა: „დედამ ჩაუნერგა გულში გრიგოლ ორბელიანს მისგან საუკუნოდ განუშორებელი მეგობრობა მამულისა, განუზომელი პატივისცემა მშობელთა და ნათესავთა, წესიერებისა და თადარიგის სიყვარული“ (მეუნარგია, 1941: 46).

სხვანაირად არც შეიძლებადა ყოფილიყო, რადგან, როგორც პროფესორი შალვა რადიანი წერს, „გრიგოლ ორბელიანი დაკავშირებული იყო იმ გვართან, რომელმაც საქართველოს ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა“ (რადიანი, 1952: 65). მართლაც, გრიგოლ ორბელიანი აღმოსავლეთ საქართველოს იმ წარჩინებულ ფეოდალთა შთამომავალია, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული სახელმწიფოს შენების საქმეში. „1832 წლის ტრაგიკულ ამბებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არა მხოლოდ პოეტის შეგნებაში მძაფრი პატრიოტული განწყობილებების გაღვივების თვალსაზრისით; ამ ისტორიულმა ფაქტმა არანაკლები დალი დააჩნია გრიგოლ ორბელიანის ინტიმურ სამყაროსაც და განსაკუთრებული ელფერი შესძინა მთელ მის პოეტურ მსოფლშეგრძნებას“ (ასათიანი, 1988: 118).

XIX საუკუნის პირველი ნახევრის პროტესტისა და განსაკუთრებით კი 1832 წლის შეთქმულებას სასურველი შედეგი არ შეიძლება მოჰყოლოდა. გაცრუებული იმედები და ქართველ პატრიოტ მოღვაწეთა ამაო მცდელობა რომანტიკოს პოეტთა მუდმივი ფიქრის საგანი რომ იყო, ამას ნათლად გვიდასტურებს გრიგოლ ორბელიანის ბელეტრისტული ნაწარმოები „მეზავრობა ჩემი ტფილისიდან პეტერბურღამდის“ და, აგრეთვე, მისი პირადი წერილები. სამშობლოსაგან შორს მყოფი პოეტი ხშირად საუბრობს ქართველების მიერ სამშობლოს განუსაზღვრელ სიყვარულზე და თავდადებაზე. პოეტს გული შესტკივა სამშობლოზე ისე, როგორც ნამდვილ პატრიოტს, მზად არის, თავი გაწიროს მშობლიური ქვეყნის კეთილდღეობისთვის: „ღმერთი არის მოწამედ, რომელ მთლად ქართველთ არ უყვართ ეგოდნად მამული თვისი, რაოდენათაც მე მარტოს; ასე რომ, თუ სიკვდილითა ჩემითა შეიცვლებოდეს საქართველოს მდგომარეობა ესრეთ კეთილად, ვითარცა მსურს მე, წამსვე ამას სიხარულითა გადავვარდებოდი ფანჯარიდან სასიკვდილოდ...“ – ამბობს პოეტი (ორბელიანი, 2013: 124-125).

პირად წერილებშიც ხშირად იკითხება რომანტიკოსი პოეტის სევდა, გამოწვეული სამშობლოს სიშორით და მისი მონატრებით, რადგანაც განგებამ მუდამ მშობელი ქვეყნისაგან შორს ყოფნა არგუნა. აი, რას წერს იგი ნოვგოროდიდან გამოგზავნილ წერილში ერთ-ერთ ბატონიშვილს: „აქ რომ გიახელ, იმედი მქონდა, რომ საქართველოში გამისტუმრებდნენ, თუმცა მწყინს ძალიან აქ დაშთენა, მაგრამ რა ვქნა, უნდა მოთმინებით ვჰძლიო ბედი ჩემი და ჩემს თავს ამით ვჰსცემ ნუგეშსა, რომ გაზაფხულზე ან უფრო ადრე მეღირსება ხილვა თქვენი... რამდენჯერ ჩაფიქრებული გიმზერდით, რა ვამბობდი ჩემს გულში: თქვენ ვინ? მე ვინ და ჩვენი ყოფნა სად?_“ (ორბელიანი, 1936: 5). სწორედ ამიტომ ქართული, ეროვნული ხასიათის შტრიხების, ქართული ბუნების, მშობლიურის ძეხვით არის დაკავებული გრიგოლ ორბელიანის შინაგანი სამყარო ყველგან და ყოველთვის, რაც უნდა შორს იყოს იგი სამშობლოსაგან: „აქაურს გლეხიკაცებს ჩვენებური ქალამნები აცვიათ. მიკვირს ესრეთი მიმზგავსება ესრეთს დაშორებულთ ადგილთ ურთიერთისაგან“, – წერს იგი ძმას – ზაქარია ორბელიანს 1834 წელს ქალაქ ვალკადან (ორბელიანი, 1936: 16).

რომანტიკოს პოეტს გაიდელალებული აქვს საქართველოს წარსული, ის დიდებული დრო, როცა ქვეყანა იყო თავისუფალი, მეზრძოლი და ჰყავდა ისეთი მეფეები, გმირები, როგორებიც იყვნენ: ერეკლე მეორე, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი და სხვა მრავალი გამორჩეული, ქვეყნისათვის თავდადებული ჩვენთვის ცნობილი თუ უცნობი გმირები.

წარსულისადმი გრიგოლ ორბელიანის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე ილია ჭავჭავაძეც მიუთითებს თავის შესანიშნავ ნაშრომში „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“; იგი აღნიშნავს, რომ „პირველმან მან მიგვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულს წარსულს. იგი ერთს თავის თანამედროვეს მოხუცს სწერდა:

ნეტავი ოდეს -
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ცხოვრობდნენ

დროსა წარსულსა.

(ორბელიანი, 2013: 11-12)

თავისი დროის გამორჩეული ვაჟკაცისადმი – იარალი შანშიაშვილისადმი მიძღვნილი ეს ლექსი შთაგონებულია ქართული ხალხური საგმირო პოეზიის იდეალებით, იმ საერო-სახალხო იდეალებით, რომლებითაც ყრმა გრიგოლ ორბელიანს საგმირო-სავაჟკაცოდ წვრთნიდა იარალი შანშიაშვილი. ამის თაობაზე ილია მიუთითებდა: „თითქოს იგრძნო, რომ უწარსულოდ აწმყო უფესვო ნერგია, თავგაუტანელი, ფეხმოუკიდებელი. მართალიც არის: აწმყოს, რომელსაც წარსული არა აქვს, იმიტომ რომ, ერთის მეცნიერისა არ იყოს, „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავლისა“. უწარსულოდ იგი უფესვ-უმტოა, რადგანაც ერთის მხრით უდემამოა და მეორეს მხრით უშვილო. დიად, მან პირველმან შეჰკვნესა ჩვენს დავიწყებულ წარსულსა:

წარსულთა დროთა,

დიდების დროთა,

ყოველი კეთილი თანა წარიღეს!..

რა კეთილი ერთგულება და სარწმუნოებააო, რომელნიც ქართველის შეადგენდაო და რომელსაც იგი უსათუოდ ვეღარ ჰპოულობდა თვის გარშემო; ვაჟკაცობა და მამაცობაო, რომელნიც ქართველის სახელს აღარ ადიდებდნენ უწინდელებრ და ყოველ ამის ვეღარ მნახველი ამბობს:

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე

თვისსა მამულსა შესწირა მსხვერპლად,

დავნატრი დროთა, როს აქვდათ ტრფობა

მამულისადმი გულს აღბეჭდილად.

ამ გზით გრიგოლ ორბელიანმა ერთი ახალი ნაკადული კიდევ ჩაურთა ჩვენს პოეზიის მდინარეებს და ამით ცოტად თუ ბევრად განადიდა იგი და შეავსო. მან პირველმა ჩაუდგა ქვაკუთხედი იმ ხიდს, რომელიც დროთა გარემოებამ ჩატეხა წარსულსა და აწმყოს შუა და რომლის ხელახლად გადებას შეუდგა დღევანდელი დღე“ (ჭავჭავაძე, 2012: 193-194).

სწორედ წარსულით, განვლილ დღეთა დიდების ხსოვნით, პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების დიდი ნაწი-

ლი. რომანტიკოსი პოეტის კალამს ეკუთვნის ისეთი შესანიშნავი პოემა, როგორცაა „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ღამე ლხინი ერევნის სიახლოვეს“, ლექსები „იარალის“, „ჰე ივერიავ“ და სხვა, რომლებშიც, ჩანს პოეტის უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი, მონატრება ივერთა გმირებისა, მეფეებისა რომლებმაც თავი შესწირეს სამშობლოს...

„იარალისა“ და „სადღეგრძელოს“ ავტორისათვის საქართველოს ისტორია წარმოადგენს არა მხოლოდ იდეალიზაციის, ეთიკური თუ სოციალური სიმპათიების მიების სფეროს; წარსული აქ ნაგულისხმებია როგორც მეორე სინამდვილე, როგორც აწმყოს განუყოფელი ნაწილი. „თანამედროვე და ისტორიული რეალობა გრიგოლ ორბელიანის პოეზიაში განუყოფლად არის შედუღებული ერთმანეთთან და პოეტური წარმოსახვის თვალსაზრისით აქ თითქმის არავითარი ზღვარი არ არსებობს“, – აღნიშნავს მკვლევარი გურამ ასათიანი (ასათიანი, 1988: 63).

გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო“ რომანტიკოსისათვის დამახასიათებელი ცხოველმყოფელობით აცოცხლებს საქართველოს წარსულ დროს, ისტორიულ გმირებს, მეფეებს. პოეტი აღფრთოვანებით იხსენებს გმირ წინაპრებს, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს, შეჰნატრის მათ სულისკვეთებას:

ძმანო, აღვავსოთ ფიალა
წინაპართ მოსახსენებლად,
რომელთა დაჰსდვეს სიცოცხლე
მამულის ასამაღლებლად,
რომელთა სახე დიდების
სხივს მოგვფენს გასამხნეველად,
რომელთა სული მაღალი
ჩვენც მიგვიზიდებს ცად მაღლად!

(ორბელიანი, 2013: 79)

ქართველ ხალხსაც ხომ სწორედ ასე ესახებოდა გმირის იდეალი. კარგი ვაჟკაცის სიცოცხლე და ძალისხმევა სამშობლოს სასიკეთოდ უნდა ყოფილიყო მომართული:

კაი ყმა ლაშქარს მოკვდება
სწორების მჯობინობასა...

(ქ. ხ. პ., 1974: 83)

ან:

რათ უნდა ბევრი დედასა,
სჯობს ერთი სახელდებული,
წავა და ომში მოკვდება,
თავი აქვს გადადებული.

(ქ. ხ. პ., 1974: 84)

საუკუნეების განმავლობაში ქართველმა ხალხმა შექმნა საყვარელ გმირთა პოეტური სახეები. გმირისათვის დამახასიათებელი თვისებები გამოხატულია ხალხურ პოეზიაში გამოქანდაკებული მხატვრული სახეებით (ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება და ა. შ.). ხალხური ლექსების თანახმად, ვაჟკაცი გულრკინა ან ლომგულია, გაუტეხელია, ქვეყნის რკინის კარებია, მისი თვალი ქორებ მხედავია... იგი ფოლადის ნატეხია, სამშობლო ქვეყნის დიდი იმედია. როგორც მკვლევარი ელგუჯა მაკარაძე აღნიშნავს, „...საგმირო პოეზიის ცენტრში დგას გმირი, მის ირგვლივ ვითარდება მოვლენები, მასთან უშუალო კავშირში იჩენს თავს სხვა პერსონაჟი თუ საგანი. აქედან გამომდინარე, ენობრივ სახეთა ძირითადი ფუნქცია სწორედ გმირის სახის გამოკვეთაა...“ (მაკარაძე, 1999: 171).

ხალხში გავრცელებული საგმირო აფორიზმის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც ილია ჭავჭავაძეს ჩაუწერია, შეიცავს ეპითეტებს, რომლებსაც მკვლევარი ე. მაკარაძე ჰიპერბოლურს უწოდებს (მაკარაძე, 1999: 2-26):

ვაჟკაცსა გული რკინისა,
ქვემ მუხლი უნდა მგლისაო,
თვალნი ქორებულ შექმნილნი,
ზედ მხარი შავარდნისაო.

(ქ. ხ. პ., 1974: 65)

ალექსანდრე ყაზბეგის მიერ ჩაწერილი ამ აფორიზმის ვარიანტი კი ასეთია:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი – თუნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედავნი,
ზედ – მუხლნი შავარდნისანი.

(ქ. ხ. პ., 1974: 65)

არც ხალხური პოეზია და არც ჩვენი რომანტიკოსები არ ივიწყებენ გმირებს, რომელთა სახელებიც ვერ შემოგვინახა ოფიციალურმა ისტორიამ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი წარმოთქვამენ მათ სადიდებელ სიტყვებს და სჯერათ, რომ მათ საგმირო საქმეებს შთამომავლობა არ დაივიწყებს და, ამავე დროს, გამოთქვამენ იმედს, რომ მათი ვაჟკაცობის მაგალითზე გაიზრდება შთამომავლობა:

გმირნო, მამულის მადიდნო,
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად
წარმოსთქვამს შთამომავლობა!
თქვენთა საქმეთა მოთხრობით
მოხუცს ცრემლ-მოედინება,
მხნეობით აღტაცებული
ჭაბუკი ხმალსა მიჰსწვდება!

(ორბელიანი, 2013: 85)

ზეპირსიტყვიერება სხვა ღირსებებთან ერთად, ხალხისთვის წარსულის შემსწავლელი და აწმყოს ხსოვნის გასამტკიცებელი საშუალება იყო, არის და იქნება. „ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა გატაცებით ისმენდა მოხუცებისგან გამოჩენილი გმირების თუ მტრების შესახებ ამბებს და ამგვარად ეცნობოდა სამშობლოს ავ-კარგს“ (სიხარულიძე, 1949: 109). ამ მხრივ საინტერესოა ერთ-ერთი ხევსურული ლექსი, რომელიც, ახალგაზრდების თხოვნით, მოხუცის მიერ წარსულის მოგონებაზეა აგებული:

დაჯექ, დათოლე პაპაო,
ძველი რამ გეცოდინება,
თუ კარგ რამეებს გვიამბობ,
ცრემლები დაგვედინება.
.....
ჩვენი მოხუციც ვერ დასთვლის,
რაც საქმე გადაგვხდენია,
ბევჯერ დაგვეცნენ თათრები,

ლეკების ჯარი დიდია.
მაგრამ დაგვფარეს სალოცავთ,
იმათი მაღლი დიდია,
ეს ჩვენი მთა და მამული
ზურგზედ ისევ ჩვენ გვკიდია.

(სიხარულიძე, 1949: 109-110)

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებთა რეალური საფუძველი საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, მისი გმირული წარსულით, პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარებით არის განსაზღვრული. ხალხური საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი იქმნებოდნენ იმ ბრძოლების საფუძველზე, რომელთაც თავისი დამოუკიდებლობისა და კულტურის დასაცავად საუკუნეთა მანძილზე ეწეოდა ქართველი ხალხი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებს შემოუნახავს სახელები სახალხო გმირებისა, რომელთა შესახებ ისტორიაში არაფერია ნათქვამი; შეუქმნიათ ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები ისეთ სახელოვან მეფეებზე, როგორებიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე და სხვა. ხალხურ სიტყვიერებაში გადმოცემულია ხალხის თვალით დანახული ისტორია, რომელიც გამოირჩევა გულწრფელობით და ობიექტურობით. ამიტომაც უდიდესი ფუნქცია და დატვირთულობა ენიჭება საისტორიო ზეპირსიტყვიერების ყოველ ნიმუშს, რომლებშიც, ჩვენს სახელოვან გვირგვინოსნებთან ერთად, წარმოჩენილნი არიან ჭეშმარიტი სახალხო გმირები – თავისი ქვეყნის უზადლო პატრიოტები. სამშობლოს ისტორია კი ამომავალი წერტილი, ღრმა ინტერესის საგანი იყო ქართველ რომანტიკოსთათვის. სწორედ ამიტომ, მათი შემოქმედებისთვის ეროვნული ზეპირსიტყვიერება უშრეტი შთაგონების წყაროა.

ქართველი ხალხი ყოველთვის იბრძოდა თავისუფლებისათვის, რადგანაც მისთვის ეს საკითხი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. სწორედ ამიტომ მიიღო მტკივნეულად ქართულმა საზოგადოებამ XIX საუკუნის დასაწყისის (1801 წ.) უდიდესი ეროვნული ტრაგედია – მეფობის გაუქმება და საქართველოსთვის რუსეთის იმპერიის განაპირა კუთხის სტატუსის მინიჭება. ბუნებით დაუმორჩილებელ ივერთათვის ძნელად შესაგუებელი იყო ის ფაქტი, რომ მათ იძულებით მოუწევდათ რუსეთის

მმართველობის ქვეშ ყოფნა; მითუმეტეს, რომ რუსთ ხელმწიფის თვითმპყრობელობამ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატის ყველა პირობა და მოსპო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. შექმნილ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებდა მონარქიული რუსეთის მსახურთა ბარბაროსული ქცევა მკვიდრი მოსახლეობისადმი. ამიტომაც გასაგებია, რომ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა, რომელნიც თავის დროზე იქნებ მთავარი ინიციატორნიც კი იყვნენ საქართველოს რუსეთთან დაკავშირებისა, აზრი შეიცვალეს; სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის უდიდესი გულისწყრომა, რასაც, სხვა მამულიშვილებთან ერთად, ალექსანდრე ჭავჭავაძე ამჟღავნებს. 1804 წელს მთიულეთის აჯანყება ის ძლიერი პატრიოტული მუხტი იყო, რამაც, ფაქტობრივად, ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი ქვეყნის გმირული წარსულისა და უბადრუკ აწმყოზე ალაპარაკა, რამაც ქვეყნის ჭირ-ვარამის ერთგვარ რუპორად აქცია იგი. ლექსში „ისმინეთ, მსმენნო“ პოეტს არ ზღუდავს ის ფაქტი, რომ იგი მაღალ საზოგადოებას – არისტოკრატის ეკუთვნის და ცარიზმის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მოხელეა; სამშობლო ქვეყნის დამონების მსურველთა მიმართ პოეტი მრისხანე საზოგადოებრივი ბრალმდებლის როლში გვევლინება, როდესაც ამბობს:

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი...
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგევთ კრულნი!
გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი...
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი...

(ჭავჭავაძე, 1992: 36)

ყოვლად უპირო, სიტყვის გამტეხ რუსულ მმართველობას პოეტი ქართული მითოსური სამყაროს დემონურ პერსონაჟებს – ქაჯებს ადარებს, ხოლო მათ საქციელს, მათ „ყოფა-ქცევას“ კი – ქაჯური ბუნების გამოვლენად აღიქვამს:

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად...
ნახეთ, მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!..
სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...
ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი...

(ჭავჭავაძე, 1992: 36)

ალექსანდრე ჭავჭავაძის უკიდურესად სევდიან ამ ლექსში მოისმის ეროვნული აღშფოთების გამოძახილი, რაც, იმთავითვე მოჰყვა საქართველოში რუსეთის თვით-მპყრობელობის დამკვიდრებას; ლექსი „ისმინეთ, მსმენლო“ ერთგვარი მოწოდებაა პოეტისა, რომლითაც ავტორი მთელი ერის გამოფხიზლებას ცდილოს, რათა არ შეეგუონ ზეპირსიტყვიერებიდან მათთვის საკმაოდ კარგად ცნობილი მითოსური პერსონაჟების – ქაჯების „არეულ“, არაადამიანურ ბუნებას.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ალექსანდრე ჭავჭავაძე არ არის „სამკვიდროს“ დაკარგვით დამწუხრებული; პოეტის ეს სევდა-წუხილი გამოძახილია საერთო-სახალხო განწყობილებისა, რაც იმთავითვე ჩვეული პირუთვნელობითა და დაუფარაობით გაცხადდა ქართულ ხალხურ პოეზიაშიც. ერთ-ერთი ქართული ხალხური საისტორიო ლექსის თანახმად, ერეკლე მეფის შვილი – ალექსანდრე ბატონიშვილი წყევლის ქართველთათვის იმ მძიმე დროს, როცა მოყვრულად მოსული ჩრდილოელი დამპყრობლის ხელით სამეფო ხელისუფლება დაემხო; ქართველთათვის სწორედ ამ შეჭირვებულ ხანას ხატავს სახალხო მთქმელი ლექსში „ალექსანდრე მეფის შვილი“, რომელიც ზეპირსიტყვიერების ცნობილმა მოამაგემ – პეტრე უმიკაშვილმა ჩაიწერა 1879 წელს დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში. სამშობლო ქვეყნის პატრიოტი მთქმელი სიმწრის ცრემლებით ალაპარაკებს ქართველ ბატონიშვილს:

ალექსანდრე მეფის შვილი
სწყევლიდა თავის გზასა.
საქართველოს დამკარგავი
ცრემლებით ივსებდა თვალსა:
- ვაიმე, ჩემო საქართველოვ,
შენს თავს მამაშორეს კარგსა,
სამოთხეს კეთილ საშვებსა
და ჩემს მამა-პაპის ტახტსა!..

(ქ. ხ. პ., 1984: 83)

ლექსში გადმოცემულია უკიდურესად სინანული და წუხილი ალექსანდრე ბატონიშვილისა იმის გამო, რომ ვერ დაიცვა მამა-პაპის ტახტი, ვერ შეძლო, წინ აღდგომოდა დამპყრობლის უხეშ ძალასა და იძულებული გახდა, სხვის კარს მიკედლებოდა, სპარსეთში გადახვეწილიყო:

თქვენ თავს როცა მე მართმევდნენ,
მივეკედლე სხვისა კარსა,
ყენს, მაჰმადის მორწმუნეს,
სათათრეთის ელჩს და თავსა!

(ქ. ხ. პ., 1984: 83)

აქვე ალექსანდრე ბატონიშვილის პირით გამოთქვამს სახალხო მთქმელი საყვე-
დურს იმ დიდი უპასუხისმგებლობის გამო, რასაც შინაური დალატი ჰქვია:

შიგნიდან ნაღალატევი
მითაც ვერ გაუველ წყალსა;
თავრიზში ვთქვი მე ეს სიტყვა...

(ქ. ხ. პ. 1984: 83)

ლექსის დასასრული კი საერთოქართული საწუხარია იმის გამო, რომ ახალი
დროის დამპყრობთა მიერ სამშობლოდან გაძევებული დიდი ერეკლეს შვილი მამა-
პაპათა გერდით დაკრძალვასაც კი ვერ ეღირსა:

არც სიკვდილის დროს მეღირსა
მე მამა-პაპის საფლავი,
დავიმარხე თეირანში,
სადაც ხემწიფობს თათარი...

(ქ. ხ. პ. 1984: 83)

ვფიქრობ, ამგვარი სულისკვეთებისა და ხალხურ ლექსებში ჩაქსოვილი სევდის
გამოძახილია სამშობლოს უდიდესი პატრიოტისა და მამულიშვილის – ალექსანდრე
ჭავჭავაძის მოთქმა-გოდება მიუღებელი აწმყოს გამო და ის შეურიგებლობა, რაც
ამკარად გამოსჭვივის მის პოეზიაში.

აღსანიშნავია ისიც, რომ რუსული მმართველობის საწინააღმდეგო მუხტი ყვე-
ლაზე მეტად მაინც პატარა კახის სამშობლო კუთხეში იყო; თავისთავად ცხადია, რომ
სახალხო მთქმელებმა მრავალი საპროტესტო ლექს-სიმღერა შექმნეს, ხოლო
ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის კი ეს ყოველივე წინანდლის მამულიდან კიდევ უფრო
ხელშესახები გახდა. ერთ-ერთი მათგანია გიორგი ნათაძის მიერ ჩაწერილი ხალხური
ლექსი „ალექსანდრე“, რომელშიც რუსთა და ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის
მიერ ომარ-ხანის ლაშქრის დამარცხებაზეა საუბარი:

მეფის შვილმა ალექსანდრემ
შაიყარა დიდი ჯარი;
დედამიწას უმძიმებდა,
ფოთოლს ანძრევს ფეხის ქარი.

(ქ. ხ. პ., 1984: 81)

ამავე პრობლემას ეხება ხალხური ლექსი „ალექსანდრე მოვიდა“ (ქ. ხ. პ., 1984: 81-82); სახალხო მთქმელთა პათოსი კი ორივე შემთხვევაში ისტორიულად მათი ქვეყნის მათხარი ლეკების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შედეგია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის კიდევ ერთი ლექსი „ვისაც გასურთ“ გამოხატავს, აგრეთვე, პროტესტს ქვეყანაში დამყარებული მძიმე და აუტანელი ვითარების გამო; რომანტიკოსი პოეტი მიმართავს სამშობლოს პატრიოტ ადამიანებს, რათა უსმინონ „ურვისგან გულ-შეპყრობილ“ მგოსანს, გაიზიარონ და გაიზიარონ მისი გულისტკივილი, გაიგონ, რომ პოეტი იტანჯება იმის გამო, რომ მის მშობელ ქვეყანას ხედავს „პატიმრად“, რის გამოც არ უხორცდება წყლულები:

ვისაც გასურსთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს;
მისმინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა
ურვისგან გულ-შეპყრობილს!
მას ვსჭვრეტ პატიმრად, ვის ჰმონებს გული,
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მეთხლვის წყლული.
ვისაც გასურთ და სხვა...

(ჭავჭავაძე, 1992: 32)

რომანტიკოს პოეტს არ ასვენებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი; ლექსში კარგად ჩანს რუსი დამპყრობლისადმი მისი დამოკიდებულება; პოლიტიკური ალეგორიით მგოსანს ცარიზმი გაიგივებული აქვს გველთან:

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვეყვან ნების წარმტაცველად;
ხვალ სხვანი მოვლენ მათს გამომცველად,

გველივე შთევა გველად.

(ჭავჭავაძე, 1992: 32)

გველი ძველთაგანვე სიბრძნისა და ცბიერების სიმბოლოა. ის ორმხრივი ბუნებისაა – კეთილიც და ბოროტიც. გველი ეშმაკის სიმბოლო და სატანის ბიბლიური სინონიმია. ლათინურად სიტყვა "draco" აღნიშნავს გველსაც და დრაკონსაც. ქრისტიანულ ხელოვნებაში ორივე ეშმაკთან არის გაიგივებული. გველი არის სატანა, მადური, უფლის მტერი, პირველი ადამიანების დაცემის მიზეზი და მონაწილე; იგი განასახიერებს ბოროტ ძალებს, ნგრევას, საფლავს, ცბიერებასა და მზაკვრობას, რაც ადამიანმა უნდა დათრგუნოს საკუთარ თავში.

ქრისტიანულმა რელიგიამ გველი ბოროტების საწყისად დასახა, ამიტომ ადამიანების დიდი უმეტესობა ამ ქვეწარმავლის მიმართ განსაკუთრებულ შიშს განიცდის, რაც სავსებით ბუნებრივია. ადამის მოდგმის მტერი, პირველი ცოდვის მიზეზი, შეუძლებელია, დადებით სიმბოლოდ აღვიქვათ, მაგრამ აქვე მათეს სახარების გახსენებაც შეიძლება, სადაც მაცხოვარი ამბობს: "...იყავით გონიერნი, ვითარცა გველნი და უმანკონი, ვითარცა ტრედნი" (მათეს სახარება, 2009: 24).

ერთ-ერთ ქართულ ხალხურ გამოცანაში, რომელშიც აისახა და დაკონკრეტდა ხალხის წარმოდგენა სიტყვის (ენის) დანიშნულების თაობაზე, გველი ბოროტების სიმბოლოა; გამოცანაში ხაზგასმულია, რომ სიტყვის თქმას დიდი მოზომვა სჭირდება, რომ ადამიანის ენას კარგიც შეუძლია და – ავიც, სიკეთეც და ბოროტებაც:

ჭკუა-გონების ფარ-ხმალი,

პატარა, მოუსვენარი,

ზოგჯერ მალამოდ სახმარი,

ზოგჯერ – გველივით მკბენარი.

(ხალ. სიბრძნე, 1965: 483)

ხოლო ერთ-ერთი ქართული ხალხური ანდაზა გვასწავლის, რომ გველის ბუნების შეცვლა შეუძლებელია: „გველმა კანი გაიძრო, მაგრამ გული გველისა შერჩაო“ (მსოფ. ხალხთა სიბ.; 2016: 188). ამგვარია ალ. ჭავჭავაძისეული დასკვნაც: „გველივე შთევა გველად“.

რომანტიკოსი პოეტი ღრმა გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ თავისუფლება დაკარგა იმ ერმა, რომელსაც თურქულ-სპარსულმა შემოტევებმაც კი ვერა-

ფერი დააკლო, ვერ მოდრიკა და ვერც თავისუფლება წაართვა; მაგრამ ახლა საქართველოს ახალი „ჭირი“ მოევლინა და ეს „ჭირი“, პოეტის ღრმა რწმენით, რუსეთია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკული გმირი მაინც ოპტიმისტია, ყველაფრის მიუხედავად, იმედით ცოცხლობს; ზოგჯერ, მწარე გოდების დროსაც კი, პოეტი არ კარგავს სამშობლოს განთავისუფლების იმედს და ცდილობს, ოპტიმისტური განწყობა შეინარჩუნოს, რაც კარგად შეიმჩნევა ლექსში „პერობილისაგან თანაპერობილთა მიმართ“:

მე ამას ვჰსტირი, განაწირი,
ვაჰ თუ ვესწრა ვერ!..
თვარაღა ჟამი, გულთ მაამი,
კვლავცა იქმნების!

(ჭავჭავაძე, 1992: 49)

ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის ჯანსაღი ოპტიმიზმი უთუოდ საზრდოობს ქართველი ხალხის წიაღში საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული მომავლის რწმენით; მრავალჭირგამოვლილი ჩვენი ხალხი ხომ ეროვნული შეჭირვების დროს არ კარგავდა ხვალინდელი დღის რწმენას და იმედიანად მღეროდა:

მტერო, დამჩაგრე, არ ვტირი,
ტირილი დიაცთ წესია.
ბევრჯერ ვყოფილვარ ამ დღეში,
მაგრამ არ დამიკვნესია.
მაცალე, ერთი გავმართო
ჩახმახით ცეცხლის კვესია,
სულ ერთად მოგამკვეინო,
რაც ჩვენზედ დაგითესია!

(ქ. ხ. პ., 1974: 82)

პოეტსაც და მის მშობელ ხალხსაც იმედს უსახავდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც არნახულ პატრიოტულ სულისკვეთებას იჩენდნენ მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, უსამართლობაზე თვალეებს არ ხუჭავდნენ და ცდილობდნენ, ხალხი დაეცვათ განსაცდელისგან, სამშობლოს ფარი და მახვილი ყოფილიყვნენ გასაჭირის ჟამს. სწორედ ამიტომ შემოგვინახა ეროვნულმა ზეპირსიტყვიერებამ მათი საგმირო

საქმეების ამსახველი ლექს-სიმღერები თუ თქმულება-გადმოცემები, რომლებითაც კანონიერად ამაცობდა და ამაცობს ქართველობა. ერთ-ერთი ასეთი ნიმუშია გიორგი ნათაძის მიერ არაგვის ხეობაში ჩაწერილი ლექსი „შანშე ერისთავი“:

შანშე ერისთავს აქებენ,
რუსობას უდგა წინაო,
ქსანზე აპირებს წასვლასა,
ლომისას დადგა ბინაო...

(ქ. ხ. პ., 1984: 91)

პეტრე უმიკაშვილის მიერ 1878 წელს ხევში ალექსა გოგიაშვილისაგან ჩაწერილ ხალხურ ლექსში „ხეკაშვილი გიორგი“, რომელშიც შექცეულია სამშობლოსათვის თავდადებული გმირი გიორგი ხეკაშვილი, დაწყველილია საქართველოს ბოლო მეფე – გიორგი მეთორმეტე, რომლის დროსაც შემოვიდა საქართველოში რუსის ჯარი:

იესო ქრისტემაც ჰკითხოს
იმ გიორგის მეფის შვილსა!
საქართველო სხვებს გადასცა,
ძმებს კი აღარ უდებს წილსა...

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

აქვე მოთხრობილია იმ მწარე სინამდვილის შესახებ, როცა სამეფო შტოს წარმომადგენლები ყეენის კარზე გაემართნენ შველის სათხოვნელად:

ლევანმა და ალექსანდრემ
შემოჰყარეს პირი პირსა,
იახლეს თან მსახურები,
ყეენს კარზე უახლდესა:
„ – ყეენო, ჯარს არ გვიბოძებ?
თავი მოგვჭერ შენი ხმლითა,
ჩვენმა ბიძამ საქართველო
აიღო და სხვებს გადასცა,
ძნელი საქმე მოგვიხდინა,
ჩვენ კი აღარ გვიდებს წილსა“.
მაშინ უბრძანა ყეენმა:

„ – თავი როგორ მოეჭრება
საქართველოს მეფის შვილსა!
ათიათას კაცს მოგართმევ
შიგ დაგირჩევ თავის ხმლითა,
გაგიმართამ ზარბაზნებსა,
სულ ზევითკენ უზამ პირსა“.
ლევანი მოკლეს დალატით,
მაშინ გაწყრა პირი ღვთისა...

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

სახალხო მთქმელი, რომელიც მთელი ქართველი ხალხის გულისთქმის გამხმო-
ვანებელია, დიდი სიმპათიით ხატავს ალექსანდრე ბატონიშვილს, რომელიც ცრემლე-
ბით ეაჯება ძმას, არ გატეხოს პირი და ერთიანი ძალით შეუტეონ მტერს:

ალექსანდრე კი ტიროდა:
„ძმაო, ნუ გამიტეხ პირსა!
რა უშველო საქართველოს
მარტოვამ ამ ერთის ხმლითა!“

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

ლექსის ფინალი წარმოადგენს მთქმელის (და, ამდენად, მთელი ქართველი
ხალხის) უდიდესი პატივისცემის დასტურს ქვეყნისათვის მზრუნველ, მაგრამ, საუბე-
დუროდ, ცალუღლად დარჩენილი ბატონიშვილის მიმართ:

გაფრენილსა მერცხალს გავდა
იმ თავისის სიმართლითა;
გულადობით – ტარიელსა,
შიში არა ჰქონდა მტრისა.

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების ერთ-ერთი გამორჩეული ლექსია
„კავკასია“, რომელშიც რომანტიკული ხედვაა გამოვლენილი; მასში წარმოჩენილია
საქართველოს მთების ზვიადი მშვენება, რომ „კავკასი გოლიათი“ წევს ორ ზღვას
შორის და „შემცველია დიდ საკვირველებათა“. შიშის, გაოცებისა და აღტაცების
აღმძვრელია „მთებზე შემდგარი მთების“ – გოლიათი კავკასიის პეიზაჟი. პოეტის

თქმით, კავკასიის სილამაზე ადამიანზე სხვადასხვანაირ გავლენას ახდენს, რომ „კავკასი“

ზოგთა ჰმუსრავს, ზოგთ ჰზადებს,
ვით ღმერთი მბრძანებელი...

(ჭავჭავაძე, 1992: 61)

როცა კავკასს მზე დახედავს ხოლმე, „ათასწლოვანი“ თოვლი, ყინული და ჩანჩქერები ბრილიანტებად ბრწყინავენ. ამ პეიზაჟიდან ავტორი უცებ გადადის საქართველოს ისტორიული ვითარების განსჯაზე, იმ საბედისწერო ვითარებაზე, თუ როგორ იღეწება შეუვალი კავკასია. კავკასიის პეიზაჟის სიდიადესა და სილამაზეში პოეტი მეტაფორულად გვიჩვენებს ქართველი ერის ისტორიულ ძლევამოსილებას. ლექსში რომანტიკულადაა წარმოსახული კავკასია, სადაც მითური პრომეთე – ამირანია მიჯაჭვული, რომელსაც ყორანი გულს უკორტნის:

ესე არს თვით მთა იგი, სად პრომეთეს დაბმულსა,
ღმერთთა მიერ შერისხვით ყორანი ჰხოკდა გულსა,-
მთა, რეცა განგებ ზღუდეთ აღშენებული სალად,
დასაბამით სოფლისა ცნობილი შეუვალად...

(ჭავჭავაძე, 1992: 62)

ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ კარგად შემოგვინახა თქმულება-გადმოცემები და პოეტური ნიმუშები მიჯაჭვულ ამირანზე; ერთ-ერთის მათგანის თანახმად,

კავკასიის მაღალ ქედზე
ამირანი მიჯაჭვული,
მიჯაჭვული, მიჯაჭვული,
დაჰხვევია მას ყორანი,
დაუფლეთავთ მისი გული.

(ჩიქოვანი, 1947: 306)

ხალხური ეპოსის თანახმად, ამირანი სასწაულებრივად არის შობილი, მაგრამ მაინც ადამიანია, ადამიანთა სამყაროს ეკუთვნის. იგი ქრისტე ღმერთის ნათლულია და მისგან აქვს ძალა მინიჭებული; ამირანის საზრუნავი საკუთარი თავია; ამასთან, მასზე ზრუნავს უფალი ქრისტეც. ამირანის ძლიერების წყარო უფალია, მაგრამ, როცა ამირანს ქვეყანაზე არავინ დარჩა მოურეველი, მას დაეუფლა ჰუბრისი და თავად

მაცხოვარი გამოიწვია ორთაბრძოლაში; გაამპარტავნებულმა, იმისი დამარცხება მოინდომა, ვინც ძალა მიანიჭა. ეს იყო უდიდესი გაბუდაყების გამოვლინება, რისთვისაც ამირანი კლდეზე მიჯაჭვით დასაჯა ღმერთმა.

ამირანის დასჯის ადგილი იგივე ადგილია, სადაც მას ბერიკაცის სახით გამოეცხადა ნათლია, რათა ხელი აეღებინებინა უგონო ახირებაზე, თუმცა გამედიდურებული ამირანი ვერაფერს მიხვდა და ორთაბრძოლა გაუმართა. შერკინება ხდება ან რომელიმე მაღალ მთაზე (იალბუზი, ბრუტსაბძელა, საყორნია...), ან – სამქედლოსთან, ან – გზაჯვარედინზე. მაღალი მთა, მთის მწვერვალი კარგად გამოხატავს ამირანის მზვობარობის, გაბუდაყების მწვერვალს, საიდანაც უნდა დაიწყოს მისი დაცემა. ის პალო თუ უფლის ყავარჯენი, რომელსაც ძვრა ვერ უყო ამირანმა, რაკი უფლის ბრძანებით ფესვები გაიდგა დედამიწის გულში, იქცევა იმ სვეტად, სადაც მიეჯაჭვება მეამბოხე გმირი (კიკნაძე, 2008:138-139).

„ამირანიანის“ რიგი ვარიანტების თანახმად, მარტოოდენ მიჯაჭვა როდი აკმარა მრისხანე ნათლიამ – ზედ კლდეც გადაახურა, რათა კაცთაგან უხილავი ყოფილიყო, როგორც დაბეჭდილი საიდუმლო. ის, რაც დაემართა ამირანს, არ არის განპირობებული მის გარეშე არსებული ობიექტური გარემოებებით, არც წინასწარგანჩინებით, ანუ ბედისწერით, არამედ გამოწვეულია მისი თავისუფალი ნებით. აქ არის ტრაგედია არა ბედისწერისა, როგორც ანტიკურ დრამასა თუ მითოსში, არამედ ტრაგედია თავისუფალი ნებისა, როგორც ქრისტიანული ეპოქის დრამაში (შექსპირი, იბსენი, ვაჟა-ფშაველა...)... ამირანის საქმეში არ ჩანს ბედისწერა, არ ჩანს არც წინასწარმეტყველება, რომელსაც უნდა გაურბოდეს ის, როგორც ოდიპოსი ან აქილევსი გაურბიან. ბევრი ნიშნით ამირანი ენათესავება აქილევსს, მაგრამ ამ ერთადერთი გადამწყვეტი ნიშნით შორდება. ეს არის თავისუფალი ნება, ანუ არჩევანის თავისუფლება, რასაც მოკლებულია ელინთა სახელგანთქმული გმირი (კიკნაძე, 2008:138-139).

როგორც მკვლევარი ზურაბ კიკნაძე მიუთითებს, „ამირანიანი“ არ არის დასრულებული, მისი დრო-ჟამი არ ამოწურულა. სიუჟეტური დრო ემთხვევა რეალურ დროს, რომელიც ჯერ კიდევ მიედინება. ამირანი კაცობრიობის ისტორიის ყოველ აწმყოშია, ის ყველა ეპოქის თანამედროვეა. ამ თქმულებაში გამოხატულია ტრაგედია ადამიანისა, რომელიც ვერ ეგუება ადამიანურ დასაზღვრულობას და ცდილობს,

გაცდეს კაცობრივ საზღვარს, გაუტოლდეს ღმერთს, რისთვისაც ისჯება. ამირანისთვისაც გაკვეთილია ეს საბედისწერო შერკინება თავის ნათლიასთან, ისიც უნდა დარწმუნდეს, რომ ადამიანში მოქცეული ძალა უფლის წინაშე არარაობაა (კიკნაძე, 2008: 143, 149).

„ღმერთთა მიერ შერისხული“ პრომეთე – ამირანის ტრაგედია რომანტიკოსი პოეტისთვის ასოცირდება კავკასიის ბედთან; სწორედ ამიტომაც ღრმა ეროვნული მწუხარების ხმა მოისმის ალ. ჭავჭავაძის სტრიქონებიდან:

შეიჭრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიაღსა გრანიტთასა,
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა,
ფოლადნი, ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა
ჰსცემდენ, ჰგლეჯდნენ, ქუხოდენ,- და კავკასი მკვნესარედ
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!..

(ჭავჭავაძე, 1992: 62)

სავსებით ვეთანხმებით პროფესორ ზურაბ კიკნაძის მოსაზრებას, რომ „ამირანიანის“ თანახმად ამირანს ისევ და ისევ ფიზიკური ძალის იმედი აქვს, ის ცდილობს, ფიზიკური ძალით აიშვას თავი – პალო მოარყიოს, ხმალი მოიზიდოს ბორკილთა გასაკვეთად. მაგრამ ეს ბორკილები ისეთი ბორკილებია, რომლებიც ხმლით არ გაიკვეთება, ისინი სხვა ძალამ უნდა ახსნას (კიკნაძე, 2001: 36). ქართველ ხალხსაც რუსეთის მიერ დადებული ბორკილები აქვს ხელ-ფეხზე, რომელსაც ფიზიკური ძალით ვერ ახსნი, რადგან ძალთა უთანასწორობაა, ამიტომ ივერიელებმაც სხვა ძალა ან ხერხი უნდა გამონახონ მტრისგან თავის დასაღწევად.

რომანტიკოსი პოეტისთვის საოცნებოა გარდასული დიდების ხანა, როცა ქართველ ხალხს ჰყავდა გმირი მეფეები, საქართველო იყო თავისუფალი. ლექსში „ვაჰ, დრონი, დრონი“ ალექსანდრე ჭავჭავაძე გამოთქვამს უკმაყოფილობას აწმყო-რეალობით და მისტირის წასულს, რომელმაც „სიზმრებრივ“ სწრაფად გაიარა:

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვნენ, განქრენ სიზმრებრივ ჩქარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,

მე იგივე ვარ მარად და მარად!

(ჭავჭავაძე, 1992: 48)

პოეტისთვის წარმოუდგენელია სამშობლოსგან მოშორებით ყოფნა; მას უმძიმს, გაძლოს უსამშობლოდ; მშობელ ქვეყანასთან დროებითი გაყრა, მშობლიური მიწისგან მოშორება ალ. ჭავჭავაძისთვის სიკვდილის ტოლფასია:

მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,

არ გიკვირსთ, მხედავთ კვლავცა სულმდგარად?

მე იგივე ვარ მარად და მარად!..

(ჭავჭავაძე, 1992: 48)

ქართველი ხალხი ძნელბედობის ჟამსაც არ კარგავდა მომავლის იმედს და მტკიცედ სჯეროდა, რომ ჩვენთვისაც გათენდებოდა მზიანი დილა, როცა საქართველო თავისუფალი, გაბრწყინებული და ძლიერი იქნებოდა. წინაპართა იმედიანი განწყობა ჩანს არაერთ ქართულ ხალხურ ანდაზაში: „ერთი კარი რომ მიიხურება, მეორე გაიღება“; „იმედიანი შიმშილიც კარგიაო“ და სხვა.

ალექსანდრე ჭავჭავაძეც, წინაპართა მსგავსად, იმედიანად არის განწყობილი და სჯერა უკეთესი მომავლისა:

გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,

იმედოვნებას ვუწოდებ ფარად.

მე იგივე ვარ მარად და მარად...

იგიცა მელტვის, მიბრალეთ ამით,

უსასოდ ყოფას სჯობს ყოფა მკვდარად...

(ჭავჭავაძე, 1992: 48)

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო პოეზიის კოლექტიური ავტორიც, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, უკმაყოფილო და იმედგაცრუებულია აწმყოთი და სწორედ ამიტომ მისტირის დიდებულ წარსულს:

ვაჟი ვიყავ და ვვაჟობდი,

ქართულად შევქმენ ნავარდი,

მეფის ირაკლის ჯარშია

თავს ვეცი, ბოლოს გავვარდი:

დახედე სიბერკაცესა,

ბოლო ჟამს როგორ დავვარდი!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 211)

რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე ვერ ეგუება სამშობლოს უსასო მდგომარეობაში ყოფნას; პატრიოტ პოეტს სწამს, რომ განვლილი დიდების დღეები დაბრუნდება და ამიტომაც არ ემორჩილება ჟამთა ცვლას, ცდილობს, იგივედ დარჩეს, რაც იყო, ბოლომდე უერთგულოს მშობელ ქვეყანას:

მე ერთმან ერთ გზის ერთს ვუძღვენ თავი,

მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად -

მე იგივე ვარ მარად და მარად...

ჰსაჯეთ: პერობილმან უწყისა ტრფობა?

საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად...

არ ვსდევ ჟამთა ცვლას,

მე იგივე ვარ მარად და მარად!

(ჭავჭავაძე, 1992: 48)

ალ. ჭავჭავაძის ლირიკულ გმირს უიმედო სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია; იგი სასოებით შეჰყურებს მის ერთადერთ სატრფოს – სამშობლოს და აღუთქვამს, რომ სადაც არ უნდა იყოს, მასთან იქნება მარად... აღნიშნულ ლექსში პოეტი გამოხატავს უსაზღვრო პატრიოტიზმს, მშობელი ქვეყნის სიყვარულს, ოპტიმიზმს; ის ამაყია სამშობლოს დიდებული წარსულით და სჯერა მომავლისა; ამგვარი სულისკვეთება კი, ბუნებრივია, ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებით საზრდოობს.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ო, ვით გვემტყუნვა“, გამოირჩევა რომანტიზმის ძირითადი მახასიათებლებით: პოეტი მისტირის განვლილ წარსულს და უკმაყოფილოა აწმყოთი.

ო, ვით გვემტყუნვა

სოფლისა ბრუნვა!

წარგვიხდა ზრუნვა,

მბუდარე გულსა.

ამათ ვსტირთ წყლულსა,

არდაფარულსა...

(ჭავჭავაძე, 1992: 45)

პოეტი წუხს, რომ ისედაც გატანჯულ მის მშობელ ერს კიდევ უფრო მეტი „ჭირნი“ ახვევია თავს, რაც ფოთლების სიმრავლესთან აქვს შედარებული:

ვჭმუნვართ ბედმწირნი,
გვხვევიან ჭირნი,
ფოთოლთ უხშირნი
დავიდნენ მთენნი,
შარავანდ მფენნი
აწ იგნი მზენნი...

(ჭავჭავაძე, 1992: 45)

ქართველი სახალხო მთქმელიც, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, ხშირად უკმაყოფილოა აწმყოთი და მისტირის წარსულს. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „მეფე ერეკლეს დროშია“, რომელიც ჩაწერილია ქართლში, სოფელ ნიჩბისში, გაიდვალებულია მეფე ერეკლეს ეპოქა:

მეფე ერეკლეს დროშია
შორს მოვადუე ძროხანი,
დავწექ და ბევრი ვიძინე,
ზედ დავიხურე ჩოხანი...

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 212)

მთქმელი ერთმანეთს უპირისპირებს, მამისა და შვილის ეპოქებს, და გმობს მეფე გიორგის დროის სოციუმს:

მეფე გიორგის დროშია
ვერა ვდგებოდი ქოხშია,
ვერც გავახარეთ ცოლ-შვილი,
ვერც მოვილხინეთ ტოლშია.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 212)

ეს საისტორიო ლექსიც იმის დასტურია, რომ ქართულ ხალხურ სიტყვიერებას ნათლად გამოუხატავს დამოუკიდებლობადაკარგული საქართველოს მშრომელი ხალხის მძიმე მდგომარეობა, გულისტკივილი და საფიქრალ-საწუხარია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე უაღრესად დათრგუნულია მშობელი ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გამო, რაც მკაფიოდ არის გამოხატული ლექსის დასაწყისსა თუ დასასრულში:

... შებრყვილულ გულსა
ცრემლით ვბანთ წყლულსა.
ესრეთ მორწყულსა
მოსდის სამყოფი,
სევდის ნაყოფი,
გონების მყოფი...

(ჭავჭავაძე, 1992: 45-46)

პოეტის წუხილის მიზეზი, როგორც სახალხო მთქმელმაც გადმოგვცა, არის ის, რომ ქვეყანას უცხო ძალა დაეპატრონა; ხალხურ ლექსში მტკივნეულად არის გადმოცემული ერეკლეს გარდაცვალება და რუსთა პარპაში საქართველოში:

... დროება გამაიცვალა,
რუსი ხელმწიფე მოვიდა,
ერეკლე გადაიცვალა.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 378)

ისტორიული სიმართლის მაძიებელთა კიდევ ერთი გაბრძოლება იყო 1932 წლის შეთქმულება, რომლის ერთ-ერთი აქტიური წევრიც იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომლისთვისაც სამშობლოს, მშობელი ხალხის წარსული ღრმა ინტერესის საგანია, განუყოფელი ნაწილია მისი შემოქმედებისა. პოეტი უსაზღვრო სევდითა და, ამავე დროს, დიდი სიამაყით იხსენებს სამშობლო ქვეყნის მარადიულ დიდებას. მგოსნის პიროვნულ-პატრიოტულ განწყობილებათა გასაღებს წარმოადგენს ისტორიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტური თხზულება – „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე“, რომელიც მან იმპერატორ ნიკოლოზ პირველს 1837 წელს წარუდგინა მოხსენების სახით. ამ მოკლე ნარკვევს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც პოეტის, ისე იმ დროის (10–30-იანი წლების) საქართველოს საზოგადოებრივი მოძრაობისა და აზროვნების გასაგებად. აქ კონკრეტულად და ნათლად ჩანს პოეტის პოლიტიკური პოზიცია, პატრიოტული სულისკვეთება, მისი შეხედულებები და ოცნება ბედკრული სამშობლოს ხვედრზე.

იმპერატორისთვის წარდგენილი მოხსენება საყურადღებოა იმიტაც, რომ მასში მოცემული პოლიტიკური მსჯელობა ნათელ სურათს გვაძლევს იმდროინდელ საქართველოს მდგომარეობაზე; ამასთან, პოეტს სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, რათა არ გაეკეთებინა ისეთი განცხადება, რომელიც რუსთა ხელისუფლების საწინააღმდეგო იქნებოდა; მაგრამ, მიუხედავად ამგვარი სიძნელისა, ნაშრომში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ბევრი რამ არის ნათქვამი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

ნარკვევში „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე“ ალექსანდრე ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიის სიღრმისეული ცოდნით აანალიზებს ქვეყნის ტრაგიკული მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს. პოეტი, სამშობლოს წარსულისა და აწმყოს შეპირისპირების საფუძველზე, ავლენს თავის რომანტიკულ პოზიციას. „ახლანდელი საქართველოს მნახველი, – წერს იგი, – ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ერთ დროს ჰყვოდა. მისი გარდასული დიდების მოწმედ უტყვი ნანგრევებიღა დარჩენილა და მხოლოდ ბიზანტიელ ისტორიკოსთა ნაწერები მოწმობენ ქართველი ხალხის ყოფილ სიძლიერეს... მაგრამ, სხვა სახელმწიფოთა მსგავსად, საქართველოსაც ჰქონდა დიდება, ჰყავდა გმირები, მგოსნები და მწერლები...“ (ჭავჭავაძე, 1992: 81).

ქართული საისტორიო ზეპირსიტყვიერებაც, რომელიც ხალხის ჭეშმარიტი შეხედულებების გამომხატველია, შეძრწუნებულია აწმყოთი და სწორედ ამიტომ ხშირად იხსენებს წარსულს. ამ პრობლემისადმი რომანტიკოსი პოეტის დამოკიდებულების იდენტურია სახალხო მთქმელთა მიერ გამოთქმული გულისტკივილიც; მუდამ გულმართალი და მოუსყიდავი სახალხო მგოსანიც მისტირის ერეკლეს მმართველობის ხანას, მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობისას არცთუ ისე მშვიდობიანი დრო იყო საქართველოს ისტორიაში, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენი სამშობლო მიეკუთვნებოდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგს, რომელსაც მშობელი ხალხის მოსიყვარულე და მზრუნველი მეფე ჰყავდა. ამგვარი განწყობით სულდგმულობს პეტრე უმიკაშვილის მიერ ჩაწერილი ხალხური ლექსი „ერეკლეს გლოვა“, რომელიც საერთოქართული საწუხარის გადმოცემაა იმის გამო, რომ სამშობლოს რკინის კარად შერაცხილი მეფე გარდაიცვალა, რამაც საქართველოს ბედის ჩარხი უკუღმა დაატრიალა:

მთაში აიძვრა არაგვი,

ბარად აყრილა მტკვარია,
ყველა შიგ შემეურია –
გველი, მყვარი და მკალია.
მტკვარსაც ნუ დალევთ, იცოდეთ,
მტკვარიც კი მმორიანია!

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

სახალხო მთქმელი გადმოგვცემს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც გმირი მეფის სიკვდილმა გამოიწვია მთასა და ბარში; გველს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძე ბოროტების სიმბოლოდ აღიქვამს ისევე, როგორც – სახალხო მთქმელი; აქაც გველი წარმოდგენილია როგორც ცბიერებისა და მტრობის სიმბოლო:

ჩრდილოეთს მივდით, გვიხარის,
როგორც მარილზე ცხვარია.
ძეგლი დაკვარგეთ მამისა,
აღარც გვყავ დედა მარიამ,
ავდგეთ და გადავიხვეწნეთ,
მანამდინ კიდევ დარია.
სამხრეთისაკენ გავწიოთ,
საიდან მოგვდის მტკვარია,
იქნება მაშინ ვიპოვნათ
ჩვენი ბაგრატის გვარია!

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

სახალხო მთქმელი რუსეთისაკენ მიმავალ გზას სიკვდილთან აიგივებს, ქართველ ხალხს კი – ცხვართან, რომელსაც მწყემსი იქით გარეკავს, საითკენაც მოისურვებს; მაგრამ ივერიელებს აღარ ჰყავთ მწყემსი – მეფე ერეკლე, უწყემსოდ დარჩენილი ფარას კი, როგორც ერთი ქართული ხალხური ანდაზა გვეუბნება, ტურა-მგელი ემუქრება: „სამწყოს, უმწყესოდ მავალსა, შესჭამს ტურა და მგელიო“; „ტურა და მგელი“ კი ამ შემთხვევაში ცარიზმი და მისი მოხელეები არიან, რომლებსაც მათი ქვეყნის დამპყრობლური ინტერესები ამოძრავებთ; არსებულ მძიმე მდგომარეობაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ მუდამ მებრძოლი ერი „ავდგეთ და გადავიხვეწოთ“,

ამბობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მაინც სჯერათ და ეიმედებათ ოდესღაც ძლიერი ბაგრატიონთა გვარი:

აეწ ტკბილი გვაქვ, ვიცოდეთ,
კვლავ კი გვექნება მწარეა,
ნეტავი იყოს ლაშქროვან,
ნეტავ გავიდეს ჯარია,
ნეტავი წელზე შეერთყას
ერეკლეს ჩვენსა ხმალია,
გატეხოს ციხის კარები,
გაჰქროლოს როგორც ქარია,
გვერდითა ჩამოგვიყენა
ჩვენი არაგვის ყმანია,
თქვენ თვალით გაყურებით,
ჩვენ გვაქნევინა ხმალია,
წინამც საომრათ შეგვყარა
ყენის შვილის ჯარია!..

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

ქართველი ხალხი მისტიკის ერეკლეს დროს, როდესაც მტრის წინააღმდეგ უშიშრად იბრძოდნენ გმირი მეფის მხარდამხარ. ლექსში ერთის მხრივ უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემაა გამოხატული „პატარა კახის“ მიმართ, მეორეს მხრივ კი გადმოცემულია ჩრდილოეთიდან წამოსული უბედურება:

სუყველამ იცით, ტუსადთა
მუხლებს აღარ აქვს ჯანია,
გაგვყვითლებია თვალები,
რომ გვისომ თერგის წყალია,
ვინც თერგის წყალი დავლიეთ,
გუნება გვექნა ჩქარია.

(ქ. ხ. პ., 1984: 84-85)

ქართველი ხალხი თავის თავს „ტუსადად“ თვლის, რადგან მათ წაართვეს თავისუფლება, რისკენაც დღენიადაგ ისწრაფვოდა, რის გარეშეც სიცოცხლე ვერ წარმოედ-

გინათ. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ქართველობას მზრუნველ მამად აღიარებული მეფე ერეკლეს მფარველობაც მოაკლდა და მისი სიკვდილის შემდეგ ქვეყანა დაქცეულ სახლ-კარს დაემსგავსა, როგორც ერთ ხალხურ ანდაზაშია ნათქვამი „რა რომ ბოძი წაიქცევა, სახლ-კარიცა დაიქცევა“; სწორედ ეს ბოძი იყო ერეკლე ქართველებისთვის და საქართველოსათვისაც, რაშიც თანხმდებიან რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე და ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ნარკვევში საუბრობს განვლილ ისტორიაზეც, როცა ჩვენს ქვეყანაში მეფობდნენ დავითი, თამარი და ამ პერიოდს ოქროს საუკუნეებად მოიხსენიებს. პოეტის მართებული შეხედულებით, ქრისტიანობა არის ბურჯი ეროვნული თავისუფლებისა, საყდარი ქართველთა ეროვნული მეობისა. მისი აზრით, ჩვენი ერის გადარჩენა განაპირობა რწმენის სიმტკიცემ და ქართველი ხალხის პატრიოტულმა, მებრძოლმა სულისკვეთებამ. ამას მოწმობს ავტორის შემდგომი სიტყვები: „ქართველებმა, რომლებიც დედის ძუძუსთან ერთად ითვისებდნენ ურჯულოებისადმი სიძულვილს, შეინარჩუნეს სარწმუნოება, მებრძოლი სული და სიყვარული სამშობლოსადმი. თუ ხალხი გაუხეშდა და ზოგიერთი უცხო ჩვეულება შეითვისა, ამის მიზეზი ძნელბედობა იყო...“ (ჭავჭავაძე, 1992: 84).

პოეტი გულისტკივილით მიანიშნებს, რომ ციხე-კოშკები და აყვავებული ქალაქ-სოფლები დღეს აღარ არის, მაგრამ „მათი ნანგრევები დღესაც კვებავენ ქართველთა სიამაყის გრძნობას...“ (ჭავჭავაძე, 1992: 84).

ალექსანდრე ჭავჭავაძის ნარკვევიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი ამაყია რომანტიკოსი პოეტი წინაპრებზე საუბრისას; იგი აღფრთოვანებულია მათი ქედმოუხრელობითა და თავგანწირულობით. „მხვნელი მიწას იარაღასხმული ხნავდა, ჭირნახულს სროლის პირობებში იღებდა, მაგრამ ხალხს ქედი არ მოუხრია ალ-ყურანის წინაშე...“ (ჭავჭავაძე, 1992: 84) ასე აცნობს იგი ხელმწიფე-იმპერატორს ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულებებს და ქედუხრელობას. ამ სიტყვებით დაახასიათა ალექსანდრე ჭავჭავაძემ მებრძოლი ბუნება ივერთა, რომლებიც, ბედის უკუღმართობის გამო, იძულებულნი გახდნენ, დახმარება ეთხოვათ ერთმორწმუნე რუსეთისათვის, მაგრამ იმასაც შეახსენებს, რომ, სამწუხაროდ, ამის შემდეგაც გრძელდება ქართველი ხალხის შევიწროება და ჩაგვრა.

პოეტი განსაკუთრებული ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ისედაც დასუსტებულ ქვეყანას კიდევ უფრო ასუსტებდა სამეფო კარის შიდა დაპირისპირებები, ბრძოლა ტახტისთვის; ამ დაპირისპირების მიზეზებზე ავტორი საკმაოდ ნათლად საუბრობს; იგი დაუფარავად წარმოაჩენს „ქართლის ჭირის“ ოდინდელ პათოლოგიებს, რომ „გიორგი XII-ემ, დაიკავა რა ტახტი 1797 წელს, ნეტარხსენებულ იმპერატორ პავლესაგან მიიღო კურთხევა, რომ მის შემდეგ მემკვიდრედ გამოეცხადებინა უფროსი ძე – დავითი. ასეთი არჩევანი არ მოეწონათ მეფე გიორგის ძმებს, რომლებიც მოითხოვდნენ, რათა მემკვიდრეობა გადასულიყო არა პირდაპირი გზით, არამედ ძმებზე, უფროსობის მიხედვით...” (ჭავჭავაძე, 1992: 85).

ნარკვევში ალექსანდრე ჭავჭავაძე აშკარად გმობს სამეფო კარის ინტრიგებს და ცალსახად მიანიშნებს, რომ ამგვარმა ქიშპობამ და დავიდარაბამ საქართველოს უკანასკნელი ძალებიც გამოაცალა. საბოლოოდ კი საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1800 წელს ბატონიშვილი ალექსანდრე ლეკის ჯარით შემოიჭრა, რათა თავისი ძმა ტახტიდან ჩამოეგდო.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ისტორიულ ნარკვევში ასახული სავალალო და სამწუხარო მოვლენები სახალხო მთქმელებსაც გადმოუციათ და ბოლო დრომდე შემოუნახავს ქართულ ხალხურ სიტყვიერებას. საისტორიო ხალხურ ლექსში „ნიახურას ომი“ ასახულია რუს-ქართველთა მხედრობის მიერ ომარ ხანის ლაშქრისა და ალექსანდრეს დამარცხება 1800 წელს ნიახურაში:

დიდება და მადლი ღმერთსა,
რომ ბრძანება იქნა ღვთისა!
ახლა დადგა საქართველო,
ომი იქნა პირველ ჟმისა.
მოიხსენეთ, წამკითხველნო,
რა გაიმბოთ ომარ ხნისა.
ჯარი დიდი შეუყურია
გულხადარა დაღესტნისა.
ალექსანდრეს შეუთვალა,
კახ ბატონის მეფი შვილსა:
„თუ ჯამაგირსა შეიძლებ,

კიდენ მოგიმატებ ჯარსა,
თუ ჯამაგირს ვერ შეიძლებ,
პირი მომე მოტევისა,
ასე აგიყვან თელავსა,
არ მოგადენ ნიავ ცივსა“.
ნიახურაზედ გავიდნენ,
შემოჰყარეს პირი პირსა,
რუსმა დააწყო თიბები,
ომარ ხანი იცინისა:
„ – მოიცადე, ომარ ხანო,
მალე გაცვლევინებ პირსა!“
ზარბაზნები დაუშინეს,
ლურჯათ თოფის ტყვია წვიმსა...

(ქ. ხ. პ., 1984: 79)

ომარ ხანთან ერთად ალექსანდრე ბატონიშვილის შემოჭრა აღწერილია არაერთ ზეპირსიტყვიერ ნიმუშში; ამ თემის ამსახველია კიდევ ერთი ხალხური ლექსი „...ამისთანა დიდი ჯარი...“:

ამისთანა დიდი ჯარი
არ გვინახავს თამაზ ხნისა,
წინ მიუძღვის ალექსანდრე,
სარდალია ხანებისა:
„ – გიორგი ნეფე გადვაგდეთ,
ჯავრი ჩამყვა ჩემი ძმისა!“
რუსი ბევრი მოიყვანა,
ჯარი დიდი ხემწიფისა.
ნიახურაზედ შეიბნენ,
საათია კიდევ დღისა,
თვით ტენეს ზარბაზანები,
მოტყუება უნდა მტრისა.
გაჯავრდა რუსის უფროსი,

პირიღამა ცეცხლსა ჰყრისა.
რა გააქცევს რუსის ჯარსა,
ციხე არის ადამ ძისა.
რუსმა უნდა გაიმარჯვოს,
ბრძანებაა მაღლა ღვთისა...

(ქ. ხ. პ., 1984: 79)

როგორც ვხედავთ, სახალხო მთქმელს საკმაოდ კარგად გადმოუცია ალექსანდრე ჭავჭავაძის ნარკვევში აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებული მოვლენები, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რომანტიკოსი პოეტის ეროვნულ-სოციალური იდეები მშობელი ხალხის გულისთქმის ამოძახილია; როგორც სამშობლოს ერთგულ ქართველობას, ისე ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გული სტკიოდათ იმ უსიამოვნო ფაქტზე, რომ ბატონიშვილმა „ურჯულოთა“ ჯარი შემოიყვანა, რათა საკუთარი ძმა დაემარცხებინა და ტახტზე თავად ასულიყო; ამგვარ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივად, სახალხო მელექსე რუსის ჯარის გამარჯვებას ნატრულობს („რუსმა უნდა გაიმარჯვოს, ბრძანებაა მაღლა ღვთისა“) და სიხარულით აღნიშნავს კიდევ ამ გამარჯვებას:

ე რა ქნა ჩვენმა ბატონმა,
ლეკშია გადირბინაო,
ალი ოსმალო შაჰყარა,
რუსი ვერ წაახდინაო!..

(ქ. ხ. პ., 1984: 80)

როგორც ვიცით, ლეკების შემოსევები საქართველოსათვის მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ XVII საუკუნიდან იმდენად გახშირდა თავდასხმები დაღესტნის მხრიდან, რომ ამ მოვლენამ საქართველოში თავისი სახელიც კი შეიძინა – „ლეკიანობა“. დარბევისა და გამარცხის მიზნით მოწყობილი ეს ლაშქრობები დიდ ზიანს აყენებდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას. სწორედ ამიტომ გასაკვირი არ არის სახალხო მთქმელის მკვეთრად გამოვლენილი უარყოფითი დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მათხრებელი ლეკების მიმართ და ბატონიშვილის საქციელის დაგმობა.

რასაკვირველია, რუსეთთან, თითქოსდა, ნებაყოფლობითი შეერთება და თავისუფლების დაკარგვა ქართველთათვის თავისთავად მძიმედ აღსაქმელი იყო.

სახალხო მთქმელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ ავბედითმა მოვლენამ ქართველი ხალხის უფლებები ბევრად შეამცირა, რომ საკუთარ ქვეყანაში სხვაზე დამორჩილება უწევდათ ძალთა უთანასწორობის გამო („იმათთან ომი ძნელია“):

ქალაქში რუსის შვილებსა
სიმაგრე მოუხვევია,
ბევრი აქვთ ტყვია-წამალი,
იმათთან ომი ძნელია!

(ქ. ხ. პ. 1984: 90)

ქართველ ხალხს ყოველი განსაცდელის დროს მტრის წინააღმდეგ ბრძოლისას ჰყავდა გმირები, რომლებიც რკინის კარებნი და იმედის სხივნი იყვნენ ქვეყნისთვის; მათი საგმირო საქმეები, ისტორიულ დოკუმენტებთან ერთად, ზეპირსიტყვიერებამაც შემოგვინახა. სახალხო მთქმელიც კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ შეჭირვების ჟამს იშვებოდნენ ხოლმე ქვეყნისათვის თავდადებული გმირები, მოუსყიდავნი და უღალატონი, რომლებსაც ლომის გულები და შეუბღალავი რწმენა გააჩნდათ. ერთ აფორისტული ხასიათის ლექსში გადმოცემულია მამულის დამცველი ვაჟკაცების დასამოდვრავი დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი თეზისები, რაც საუკუნეთა განმავლობაში შეუმუშავებია ჩვენს ხალხს:

მტერსა რომ მტრობას უწევდეს,
ვაჟკაცის შესაფერია.
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მაუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში ხსენდების,
არარად ჩასათვლელია!
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მთქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი

სიცოცხლის გამმწარებელი!

(ქ. ხ. საუნ., 1991: 58)

ალექსანდრე ჭავჭავაძე ნარკვევში ღიად საუბრობს XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში არსებულ მწარე რეალობაზე, რაც ახალ მმართველობის სისტემას ახასიათებდა: „ახალი მმართველობის დამკვიდრებისას სამოქალაქო მოხელეებს, აუცილებელი საჭიროების გამო, სამსახურში განურჩევლად ღებულობდნენ. ასეთ მოხელეებს, მათი მოქმედების გამო, ხალხში სახელი გაუტყდათ. მართლმსაჯულების წარმოება, მეტადრე პირველ წლებში, არათუ დამაკმაყოფილებელი არ იყო, არამედ მის აბუჩად აგდებას უფრო წარმოადგენდა...“ მაგრამ უარესი იყო ის, რომ „ამ ძალაუნებურ არევ-დარევას ემატებოდა განძრახ ბოროტმოქმედება ახალი უფროსების მხრიდან, რომელნიც უზომოდ სარგებლობდნენ იმით, რომ ქართველმა თავადაზნაურობამ არ იცოდა თავისი უფლებები...“ (ჭავჭავაძე, 1992: 87-88).

უსამართლობისა და დამპყრობელი ქვეყნის აგრესიისადმი უკმაყოფილების ექოა არაერთი ქართული ხალხური ლექსი, რომლებშიც გამოთქმულია სოციალურად ისედაც გაუსაძლისი ცხოვრებით დაჩაგრული ხალხის ტკივილი რუსების მიერ გამოჩენილი არაადამიანურობის გამო. ამგვარი პროტესტის ერთ-ერთი მაგალითია ქართული ხალხური ლექსი „ყაჩაღი ციფო“, რომლის თანახმადაც, ქართველი ხალხი თავიანთ გასაჭირს, რუსული მმართველობის გაუგონარ სისასტიკეს ყაჩაღად გავარდნილ ციფოს შესჩივის:

... რუსები გვამტრევენ ყბებსა,
ლამის აქვე გაგვათაონ,
გულში გვცემენ კონდახებსა;
შენ რომ წახველ, ჩვენო ძმაო,
რას გვიპირებ ახლა ჩვენცა?!...

(ქ. ხ. პ., 1984: 98)

ქართველ მშრომელთა უკიდურესი გაჭირვებისა და აუტანელი დამცირების გამო მოხდა არაგვის ხეობაში მთიულების ამბოხება, რაზეც პოეტი დაწვრილებით საუბრობს ნარკვევში: „მთიულებმა, რომლებიც საქართველოს სამხედრო გზაზე მუშაობას ეწეოდნენ, მოკლეს ბარით ერთი კაპიტან-ისპრავნიკი, რომლის თავგასულობამ ისინი ამ დანაშაულამდე მიიყვანა. იმ ადგილებთან ახლოს მყოფმა

სამხედრო უფროსმა, მთავარი დამნაშავის შესაპყრობად სათანადო ზომების მიღების ნაცვლად, მთიულეებისაკენ ერთი როტა ქვეითი ჯარი გაგზავნა და ამ უხეირო განკარგულებამ რუსების წინააღმდეგ პირველი ტყვიის გასროლის საბაზი წარმოშვა, ვინაიდან ეს არეულობა იმ დროს მოხდა, როდესაც თავადი ციციანოვი ერევნის ლაშქრობაში იყო...“ (ჭავჭავაძე, 1992: 89).

ამ მოვლენების გამომახილი უნდა იყოს მთიულური ხალხური ლექსი „...ანანურით გადმოვცვივდით...“, რომელშიც ნათლად ჩანს ქართველი ხალხის სასოწარკვეთა და უიმედობა; ლექსის თანახმად, ანანურიდან გამოქცეულ ტუსად მძებს გაუსაძლის პირობებში ყოფნას და შეურაცხყოფას სიკვდილი ერჩივნათ;

ანანურით გადმოვცვივდით
ჩვენ, ტუსადნი ოთხნი ძმანი,
არა ჰგყვანდა წინამძღველი,
არც ერთგული შინაყმანი;
დავაგდევით ანანური,
ციხეები, კლდის უბანი;
გარს ჯარი შემოგვესივა,
რეგული ზარბაზნებითა,
ღამით გაპარვა უნდოდათ,
წყევანა მარხილ-სანიტა,
მაყურებელნი სტიროდნენ
ჩვენის ცოდვითა მწართა;
გათენების დროს ცოტა რამ
სიტყვა ვთქვით დაღონებული,
აქვე სიკვდილი ვარჩიეთ,
შეიქმნეს გაგონებული.

(ქ. ხ. პ., 1984: 90)

ქართველი ხალხისთვის ამ მძიმე და მეტად რთულ დროს საქართველოში მთავარსარდლად გამოგზავნეს გარუსებული გენერალი პავლე ციციანოვი (ციციშვილი). ალექსანდრე ჭავჭავაძე აღნიშნავს, რომ „თავად ციციანოვს ფართო და სწორი წარმოდგენა ჰქონდა ჩვენს ქვეყანაზე. მისი ხანმოკლე მმართველობის დროს აღინიშნა ისეთი

წარმატებები, რომლებიც არ შეესაბამებოდა მის ხელთ მყოფ ძალებს. ეს გარემოება იმედს ბადებდა, რომ საქართველოს საქმეები ხალხისა და მთავრობის სასარგებლოდ მოგვარდებოდა, მაგრამ ციციანოვი ბაქოსთან ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა...“ ამის შემდეგ, როგორც პოეტი აღნიშნავს, კვლავ განუკითხაობა დამყარდა ქვეყანაში და „ბოროტმოქმედება ისე გახშირდა, რომ ბოლოს ამას ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას...“ (ჭავჭავაძე, 1992: 89).

საქართველოში გამეფებული განუკითხაობა ცარიზმის პოლიტიკის ნაწილი იყო; ამიტომ, უკმაყოფილო ფეოდალთა თვალის ახვევის მიზნით, საქართველოში მთავარ-სარდლად ეროვნებით ქართველი, მაგრამ მთლიანად გარუსებული პავლე ციციშვილი გამოაგზავნეს. ის ცდილობდა, რუსული მმართველობა ქართული წეს-ჩვეულებებისთვის შეეხამებინა; სწორედ ამიტომ მისი ამგვარად შენიღბული პოლიტიკა პირველ ხანებში არ იყო ხალხისთვის გასაგები, რამაც განაპირობა საქებარი ლექსის შექმნა ციციანოვზე:

ციციანისთანა შვილსა
ძვირად გაზრდის დედა შვილსა;
რომ შეიქნა ექვსი წლისა,
ოსტატია ზარბაზნისა;
და მეშვიდეში გადადგა,
ხემწიფესთან იღებს წილსა...

(ქ. ხ. პ., 1984: 85)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ციციანოვი უკვე გადამდგარი იყო სამსახურიდან, როდესაც 1802 წელს იგი საქართველოს მთავარმართველად და ასტრახანის გენერალ-გუბერნატორად დანიშნეს. საყურადღებოა, რომ ციციანოვი გიორგი XII-ის მეუღლის – მარიამ დედოფლის ნათესავიც იყო; სწორედ ამიტომ ქართული ფეოდალური ზედა ფენა დიდ იმედებს ამყარებდა ძველი ქართული ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელზე; მაგრამ, სამწუხაროდ, თავად გარუსებული ციციანოვისათვის ამას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა; რუსეთის ხელისუფლებისათვის კი რუსეთის სამსახურში დიდი ხანს ნამყოფი ქართული წარმომავლობის მოხელის კანდიდატურა სავსებით მისაღები იყო. ხალხური ლექსი მოვლენებს ასე ახასიათებს:

ერთი თოლფა ჯარი მისცა

და მეორე ხაზინისა,
წინ ბელადი გაუძლოლა,
გზა ასწავლა შავი ზღვისა...

(ქ. ხ. პ., 1984: 85)

ერთის მხრივ, ციციანოვი ყველანაირად შეეცადა რუსეთის გავლენის ზრდას კავკასიაში, მეორეს მხრივ, კი მის სახელთან არის დაკავშირებული ქვეყანაში საგზაო და საფოსტო კომუნიკაციების მშენებლობა, აფთიაქის გახსნა (1804), აღამახმად-ხანის დროს განადგურებული თბილისის სტამბის აღდგენა; მისივე ინიციატივით 1803 წელს საქართველოში გაიხსნა კეთილშობილთა პანსიონატი; მის დროს შემოიღეს საქართველოში პროკურორის თანამდებობა, რათა განხორციელებულიყო კონტროლი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებზე. სწორედ ასეთმა თვალისამხვევმა და მზაკვრულმა პოლიტიკამ განაპირობა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში მისი საქებარი ლექსების შექმნა.

რომანტიკოსი პოეტი დიდი გულისტკივილითა და მწუხარებით გვიხატავს ქართველი ხალხის გასაჭირს: „საგანგებო ძალა-უფლებანი, რომლითაც აღჭურვილი იყვნენ ადგილებზე თანამდებობის პირნი, ხალხს კანონიერად მიაჩნდა... ამ რწმენით ხალხი ბრმად ასრულებდა ყოველგვარ უკანონო მოთხოვნას. კაპიტან-ისპრავნიკების მხრიდან თავიანთი პირადი საჭიროებისათვის ბრძანების გაცემა მემამულეებისათვის ერთობ ჩვეულებრივი მოვლენა იყო...“ (ჭავჭავაძე, 1992: 90).

სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ქართველ ხალხს, ფაქტიურად, ისეთი მძიმე ბეგარის გადახდა უწევდა, როგორც – ურჯულო დამპყრობელთა დროს და ხშირად გლეხკაცი ლუკმა-პურის გარეშე რჩებოდა. ამის არაერთი მაგალითი მოაქვს პოეტს ისტორიულ ნარკვევში: „...ყველა თავის საკუთრებას იცავდა და მანამდე არ ელეოდა, ვიდრე ძალით არ წაართმევდნენ და ფიზიკურად არ დასჯიდნენ. ზოგჯერ... პურის გაცემა ისეთ სოფლებს დაეკისრებოდა, რომელთაც, რაიმე მიზეზის გამო, საკუთარი პური არ გააჩნდათ და ისინი იძულებულნი იყვნენ, სხვებისგან შეესყიდათ...“ (ჭავჭავაძე, 1992: 92).

ზოგიერთი პოლკის აღვირახსნილობის გამო კი, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე აღნიშნავს, „...სოფლის მკვიდრთ აღარავითარი საკუთრება აღარ რჩებოდათ. შინაური ფრინველი, ღვინო, ბოსტნები, ცხენები, ურმები, მთელი მათი ქონება ჯარისკაცთა

განკარგულებაში იყო...“ ამიტომაც ავტორისეული დასკვნა ამგვარია: რუსი მოხელე-ებისაგან ამგვარმა შევიწროებამ და დამცირებამ ქართველობა მიიყვანა აჯანყებამდე; ქართველი ხალხი იმდენად გამწარებული იყო, რომ „თავის ახლობლებსაც არ დაინდობდნენ, თუკი რუსების მომხრედ მიიჩნევდნენ. მეამბოხენი შეიჭრნენ სიღნაღის ციხეში და ყელი გამოსჭრეს ყველა იქ მყოფ მოხელეს...“ (ჭავჭავაძე, 1992: 93-96). ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, ბუნებრივია, არ დარჩენილა სახალხო მთქმელთა ინტერესის მიღმა; ამის თაობაზე მოგვითხრობს ხალხური ლექსი „კახეთის ბუნტზე“:

იმ დროს ვიყავ თორმეტ წლისა,
რომ კახეთში მოხდა ბუნტი;
ორბელიანს ანაგაში
აუტეხეს ბლარტი-ბლურტი.
ზოგმა მარგილ, ზოგმა ჯოხით,
ზოგმაც გაახურა მუხტი;
ერთი მათგანი იძახდა
გაუშვითო „პასტა“, „პუსტი“.
ყველა სოფლები მოქუჩდნენ
ანაგაში და ვაქირში,
ორბელიანს თავში სცემდა
საშინელი ელვა, შიში.
თავს ძველი ქუდი დაჰხურეს,
შეიყვანეს ერთ წისქვილში,
შიგ ვირივით გააგორეს
წისქვილისა ბუქს და ფქვილში...

(ქ. ხ. პ., 1984: 91-92)

როგორც ვიცით, საქართველო 1810-1811 წლებში სტიქიურმა უბედურებებმა და შავი ჭირის ეპიდემიამ მოიცვა, ქვეყანაში შიმშილობა დაიწყო. ასეთ რთულ და გაუსაძლის პირობებში კი კახეთის სოფლებში ჩამდგარი რუსეთის ჯარი გლეხებს უკანასკნელ ლუკმას ართმევდა; არა მარტო მარცვავენდნენ, არამედ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ მათ ოჯახებს. უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობაც თავისი მდგომარეობით, რომელიც მისტიროდა ძველ პოლიტიკურ პრივილეგიებსა და ბაგრატიონთა

მონარქიას. სწორედ ამ ნიადაგზე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1812 წლის იანვარში კახეთში აჯანყებამ იფეთქა და მალე მასობრივი ხასიათი მიიღო. აჯანყებულებმა ცალკეულ სოფლებსა და ქალაქებში ჩამდგარი რუსთა რაზმები გაანადგურეს; თანდათან აჯანყებას შეუერთდნენ ფშავ-ხევსურები და თიანელებიც, რომლებმაც საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტეს. ხალხური ლექსის მოგვითხრობს:

იმ დროს ყველა მოხელენი
იმალებოდნენ ხვრელშია,
მხოლოდ ზოგი კი გასრისეს,
ვინც ჩაუვარდათ ხელშია;
ზოგი კი იმალებოდნენ
უდაბურ ქალა-ტყეშია
და ზოგიც იმალებოდნენ
ემმაკებივით ხვრელშია.

(ქ. ხ. პ., 1984: 91-92)

ლექსის ეს მონაკვეთი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა გმირულ შემართებაზე და გვამცნობს, რომ მათი შიშით რუსი მოხელეები, რომლებიც ემმაკებს შეადარა სახალხო მთქმელმა, იმალებოდნენ „ქალა-ტყეში“ თუ „ხვრელში“; მაგრამ, სამწუხაროდ, კახეთის აჯანყება დიდი სისასტიკით ჩაახშეს ცარიზმის მოხელეებმა; რუსეთის დამსჯელი ექსპედიციები უღმობლად გაუსწორდნენ აჯანყებულებს, ბევრი მათგანი სასამართლომდე სიკვდილით დასაჯეს; ამასთან ერთად, მიწასთან გაასწორეს მრავალი სოფელი:

ამ საქმეზე დაიჭირეს
მეანბოხე ცხრა თუ ათი,
ძველ რუსეთის ზეგავლენით
ვერ გამართლდა ბრძოლა მათი.
სიღნაღსა და ბოდბისხევისა
ჩაუყენეს რუსის ჯარი,
მთელი კახეთის სოფლებზე
მათ ამოიყარეს ჯავრი.
ვერღარა შველოდათ საწყლებს

თავიანთი ქრისტეს ჯვარი,
ერთ კაც ორბელიანისთვის
მთელ მშრომელ ხალხს დასდეს ჯავრი.

(ქ. ხ. პ., 1984: 91-92)

სტრიქონები – „ერთ კაც ორბელიანისთვის მთელ მშრომელ ხალხს დასდეს ჯავრი“ – მიანიშნებს იმ ფაქტზე, რომ კახეთის აჯანყების დროს დაიღუპა თეკლა ბატონიშვილის მეუღლე ვახტანგ ორბელიანი – მამა ცნობილი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისა ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანისა.

ქართველი ხალხის უკიდურესი სასოწარკვეთილება ჩანს, ასევე, პასუხიდან, რომელიც აჯანყებულებმა მათთან მიგზავნილ მოციქულს უთხრეს; მათ დაასახელეს რიგი მიზეზები, რის გამოც მათ სიცოცხლეს კი აღარ უნდოდათ:

- „ჩვენ ვიცით, რომ ჩვენ ცოტანი ვართ რუსებთან შედარებით, არ გვაქვს იმედი მათი დამარცხებისა, მაგრამ გვინდა, რომ გაგვჟლიტონ. ჩვენ რუსის მეფის მფარველობას ვეძებდით და ღმერთმა გვიწყალობა; მაგრამ მის მოხელეთა უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო. ჩვენ დიდხანს ვითმენდით, ხოლო ახლა, როდესაც უფალმა ეს საშინელი შიმშილი დაგვატეხა თავს, როდესაც თვითონ ბალახ-ბულახს ვჭამთ, ჩვენგან პურსა და საკვებს მოითხოვენ! ჩვენი საკუთარი სახლებიდან გამოგვრეკეს; ხელებს აფათურებდნენ და ჩხრეკდნენ ჩვენს ზანდუკებს, ორმოებს; მარნებს გვიტეხავდნენ, ღვინით ილეშებოდნენ, ხოლო დანარჩენს აფუჭებდნენ, ქვევრში სიბინძურეს გვიყრიდნენ; ბოლოს ჩვენს თვალწინვე ჩვენს ცოლებსა და ქალებს შეურაცხყოფდნენ. განა ოჯახის ასეთი შერცხვენის შემდეგ სიცოცხლეს ჩვენთვის ფასი-ღა ექნება?..“ (ჭავჭავაძე, 1992: 96).

ქართველი ხალხი ოდითგანვე სხვადასხვა დამპყრობლის მიერ მოვლენილ გაუსამძლის პირობებში იყო, მაგრამ თავი არასდროს დაუხრია და ყოველთვის იბრძოდა ერის ხვალისდელი დღისთვის; პირად კეთილდღეობას ივიწყებდა და სამშობლოს მომავალზე ფიქრობდა, ქართული მიწა-წყლის დატოვებას სიკვდილი ერჩივნა; სწორედ ასეთი პატრიოტული სულისკვეთების მქონე გმირების დამსახურებაა, რომ ჩვენი ერი არ გაქრა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა რიგებს შორის. ამგვარ მხნეობას იჩენდნენ ჩვენი წინაპრები ახალი განსაცდელის წინაშეც, რომელიც უფალმა „ცარიზმის“ სახით მოგვივლინა. ეს პრობლემა, რომელსაც პოეტი ალექსანდრე

ჭავჭავაძე საკმაოდ მამხილებლად შეეხო თავის ნარკვევში, სახალხო მთქმელმაც პირუთვნელად წარმოაჩინა ზემოთ ნახსენებ ხალხურ ლექსში „ანანურით გადმოცვივდით“, რომელიც თავის დროზე გაზეთ „დროებაში“ (1881, №11) დაიბეჭდა. მასში გადმოცემულია ქართველთა პატრიოტული სულისკვეთება, მათი უკიდევანო სიყვარული მშობელი ქვეყნის მიმართ და „აქ სიკვდილის“ მარადიული მითოლოგემა:

აქ სიკვდილი ვარჩიეთ,
.....
მიგვიყვანონ და დაგვმარხონ,
სად მამა-პაპა დებულნი.
ჩვენი განზრახვა ეს არის,
თავს ვაძლევ სიკვდილს მწარესა,
ან გავუცვივით, წავუალთ,
დავაგდებთ რუსთა არასა,
ცოცხალის თავით ვერ წავალთ,
რუსეთს, ციმბირის მხარესა...

(ქ. ხ. პ., 1984: 90)

ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ნარკვევში ქართველი ხალხის შევიწროებაში, რასაკვირველია, პირდაპირ ნიკოლოზ პირველს ვერ დასდებდა ბრალს; ამიტომ მან იმპერატორიც და ქართველი ხალხიც გაამართლა, ხოლო დამნაშავედ შუალედური რგოლი - ადგილობრივი მმართველები მიიჩნია, რომლებიც ხალხს აწიოკებდნენ და მოსვენების საშუალებას არ აძლევდნენ, ხშირად კი უკანასკნელ ლუკმა-პურსაც ართმევდნენ.

პოეტის თქმით, იმ საშუალო გროლის მოუქნელი პოლიტიკით, რომელიც იმპერატორსა და ქართველ ხალხს შორის იდგა, ნიკოლოზ პირველის კეთილი სურვილები საქართველომდე ვერ მოდიოდა, ხოლო ქართველთა სამართლიანი უკმაყოფილების ხმა, სამწუხაროდ, იმპერატორის ყურამდე ვერ აღწევდა. „ერთობ დიდია მასა და ტახტს შორის, ერთობ სუსტია, აგრეთვე, მის მკვიდრთა ხმა მეფის ტახტამდე მისაღწევად. შეერთების 37 წლის განმავლობაში არც ერთ სახალხო საჩივარს, არც ერთ მცირეოდენ საერთო თხოვნას ქართველთა მხრიდან არ მიუღწევია

წმინდა ფერხთამდე დიდი მონარქისა, რომელმაც ქართველნი თვის ერთგულ ქვეშევრდომთა შორის მიიღო. დიდი იყო მემამულეთა და მიწისმოქმედთა შევიწროება, მაგრამ ისინი ვერ ბედავდნენ... ხელმწიფისათვის მიემართათ იმ თხოვნით, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება არავითარ ყურადღებას არ აქცევდა“ (ჭავჭავაძე, 1992: 100). როგორც დავინახეთ, პოეტს მშობელი ხალხის მჩაგვრელად ადგილობრივი ხელისუფლება გამოჰყავს და ვითარებას იმგვარად წარმოაჩენს, რომ სწორედ მათ მიერ შექმნილი მძიმე, გაუსაძლისი მდგომარეობის გამო უწევს მშრომელ ხალხს თავიანთი უფლებების დასაცავად იარაღით ბრძოლა.

ამგვარი ვითარება, ბუნებრივია, შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა სახალხო მგოსანთა მახვილ თვალს. ხალხურ ლექსში „იოთამ ბოლქვაძის ლექსი“, რომელიც 1951 წელს იური სიხარულიძემ ჩაიწერა გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში, სახალხო მთქმელი მტკივნეულად გადმოგვცემს რუსი ჩინოვნიკების უსულგულო მოპყრობას როგორც „ერის“, ასევე „ბერის“ მიმართ:

გლახა დრო და ჟამი გვედგა

ათას რვაას ოცსა წელსა...

(ქ. ხ. პ. 1984: 96)

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის დასაწყისში ქართველი ხალხი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში იყო; ამას ემატებოდა ცარიზმის სისასტიკე, მაგრამ 1819 წლის ივნისში, ხელისუფლების განკარგულებით, საეკლესიო ყმა-მამულების აღწერა დაიწყო; ამ აღწერაში მოსახლეობამ თავისი ისედაც არასახარბიელო ვითარების გაუარესება დაინახა და წინ აღუდგა, რასაც 1820 წლის აჯანყება მოჰყვა. ხალხური ლექსის თანახმად,

კუდირინცკი მეგვევლინა,

გვიბნელებდა ნათელ მზესა;

ჩინ-მედლებით გატყიპული,

ვერ ხედავდა მის მომრევსა;

იმერეთი მოარბია,

არ ინდობდა მღვდელს და ერსა...

(ქ. ხ. პ. 1984: 96)

იმ დროისათვის იმერეთში ცარიზმის პოლიტიკის გამტარებელი პოლკოვნიკი პუზირევსკი იყო, რომელიც, როგორც იმერეთის მმართველი, მხოლოდ თავის წარმოჩენას ცდილობდა იმპერატორის წინაშე, რისთვისაც არ იშურებდა ძალ-ღონეს და ყოველგვარ სისასტიკეს იჩენდა; ქართველ ხალხს ეს კარგად დაუნახავს და სახალხო მთქმელსაც მართებულად გადმოუცია ლექსში „კახეთის ბუნტზე“.

გაუსაძლისი პირობები და ზემოთ ხსენებული საშუალო რგოლის სისასტიკითა და განუკითხაობით დაღლილი და შეწუხებული მოსახლეობა იძულებული ხდებოდა, დროდადრო პროტესტი გამოეთქვა შექმნილი უსამართლობის წინააღმდეგ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამის ერთ-ერთი გამოხმაურება იყო კახეთის გლეხთა აჯანყება, რომელშიც მოსახლეობა ზოგი მარგილით, ზოგი ჯოხით გამოვიდა შეიარაღებული „საღდათების“ წინააღმდეგ. ამით ქართველობამ კიდევ ერთხელ აჩვენა მტერს, თუ როგორი ძნელია ივერთა მეზრძოლი ბუნების მოდრეკა და დამორჩილება. ზემოთ განხილულ ქართულ ხალხურ ლექსში „კახეთის ბუნტი“ ნათქვამია:

ზოგმა მარგილ, ზოგმა ჯოხით,
ზოგმაც გაახურა მუშტი...
.....
ეს ანბავი მისთვის მოხდა,
რომ მოითხოვეს საღდათი;
ხალხს სურდა, არ გაეტეხნა
ქრისტეს ჰსჯული და ადათი.
ამ საქმეზე დაიჭირეს
მეამბოხე ცხრა თუ ათი,
ძველ რუსეთის ზეგავლენით
ვერ გამართლდა ბრძოლა მათი...

(ქ. ხ. პ. 1984: 91)

რასაკვირველია, ქართველთა „ბუნტი“ არ „გამართლდა“ და მმართველი წრეები არც იმით დაინტერესდნენ, თუ რამ გამოიწვია ხალხის ამგვარი პროტესტი. სწორედ ამგვარ საჭირბოროტო პრობლემებზე საუბრობს ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ისტორიულ ნარკვევში. პოეტმა საკმაოდ სიღრმისეულად იცის უბრალო ხალხის

სატკივარი; ამისათვის კი, ბუნებრივია, ოფიციალურ ისტორიასთან ერთად, ავტორს ხალხის განწყობაც, ზეპირსიტყვიერ მასალაში თავჩენილი მშრომელთა ნაფიქრ-ნააზრევიც უნდა შეესწავლა; ამიტომაც არის ნარკვევში ასე დაწვრილებით გადმოცემული მშრომელი ხალხის სატკივარი.

ქართველი ხალხის მდგომარეობა იმდენად მძიმე და გაუსაძლისი იყო, რომ, როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე აღნიშნავს, „მრავალმა თავადმა და აზნაურმა შევიწროებისაგან და – უფრო მეტად შეურაცხყოფისაგან თავის გადასარჩენად მიატოვა მამული და სპარსეთში ბატონიშვილ ალექსანდრეს მიაშურა...“ (ჭავჭავაძე, 1992: 93).

ისტორიული ნარკვევის („საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი 1801-დან 1831 წლამდე“) პირველ ნაწილში ზედმიწევნით წარმოჩნდა ქართველი ხალხის მებრძოლი ბუნება; ავტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველები არასოდეს ყრიან ფარ-ხმალს და ბოლომდე იბრძვიან თავისუფლებისთვის. პოეტი ნათლად გვიხატავს ჩვენი ხალხის განვლილ გზას, მიანიშნებს, რომ ივერიელები ოდითგანვე იბრძოდნენ სამშობლოსათვის და არასოდეს სულით არ დაცემულან; მიუხედავად იმისა, რომ ხშირად მრავალრიცხოვანი მტერი უტევდა. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენს წინაპრებს არ დაუკარგავთ ქართველობა; რასაკვირველია, იყო დრო შიდა დაპირისპირებებისა, მაგრამ ურჯულოთა წინააღმდეგ მაინც მხარდამხარ იბრძოდნენ. მეორე ნაწილში კი საუბარია მშრომელი ხალხის გაუსაძლის მდგომარეობაზე, რის გამოც ავტორი შესაბამისი ზომების მიღებას თხოვს იმპერატორს, რათა ცოტათი მაინც შემსუბუქდეს ხალხის ყოფა. ვფიქრობთ, აღნიშნული მოხსენებით რომანტიკოს პოეტს სურს, დაანახოს ნიკოლოზ პირველს, რომ ქართველი ხალხის მოდრეკა და დამორჩილება არც ისე ადვილია, რადგანაც მათ ხასიათსა და სისხლში აქვთ გამჯდარი თავისუფლებისადმი სწრაფვა.

ამავე სულისკვეთებას გამოხატავს იმ პერიოდის ამსახველი ხალხური პოეზიაც, რაც იმის ნათელი დასტურია, რომ პრობლემები, რომელსაც ალექსანდრე ჭავჭავაძე ეხება ნარკვევში, იმავე სიმძაფრით და ზოგჯერ უფრო მწვავედაც დასმულია ქართულ ხალხურ საისტორიო ზეპირსიტყვიერებაშიც. როგორც ბიოგრაფიიდანაც ცნობილია, ალ. ჭავჭავაძე ახლოს იყო მშრომელ გლეხობასთან, კარგად იცნობდა მათ ყოფაცხოვრებას და, ბუნებრივია, მოსმენილი ექნებოდა ხალხური ლექს-სიმღერებიც,

რომლებშიც მშრომელები გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას რუსული მმართველობის მიმართ.

მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომდგენლისათვის – ალექსანდრე ჭავჭავაძისთვის მტკივნეულია საქართველოში მიმდინარე მოვლენები; იგი ვერ ეგუება სამშობლოს „ტუსალობას“ და სწორედ ამიტომაც შვებას წარსულ დღეთა დიდებაში ეძიებს. ლიტერატურასა და ხალხურ სიტყვიერებას შორის რომ მუდმივი მჭიდრო კავშირი არსებობს, ამას პოეტის შემოქმედებიდანაც ნათლად ვხედავთ; მგოსანს ძალიან კარგად აქვს გათავისებული მშობელი ხალხის ტკივილი და გასაჭირი; თავის შემოქმედებაში იგი მიმართავს როგორც ოფიციალურ-ისტორიულ, ისე ხალხურ-პოეტურ თემებს, ვითარცა იდეალურ წარსულთან წვდომის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს.

ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად, მრავალსაუკუნოვანმა და ყველა ეპოქაში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ მშვენივრად გამოხატა ჩვენი ხალხის მდიდარი და, ამავე დროს, ტვირთმძიმე ისტორია, სოციალური წინააღმდეგობანი, საზოგადოების პატრიოტული განწყობილება; ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამაც, სრულიად ბუნებრივად, სულიერი საზრდოს ძიება, რაც მიუღებელ, შეურიგებელ აწმყოში შეუძლებელი იყო, ეროვნული ზეპირსიტყვიერების უშრეტსა და ყოველთვის გულმართალ წიაღში დაიწყო.

ქართველი ხალხი არასოდეს ყოფილა განებივრებული მშვიდობიანი დღეებით; ჩვენი წარსული საკმაოდ მძიმე და დამაბული იყო გარეშე მტრების გამუდმებული შემოსევების გამო, მაგრამ, მძიმე ყოფის მიუხედავად, ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს თავის გატანა. თანამედროვეობით უკმაყოფილო გრიგოლ ორბელიანი ცდილობს, დიდის აღფრთოვანებითა და მოწიწებით, ლამაზი მხატვრული ენისა და პოეტური ექსპრესიის დაცვით მკითხველს წარმოუდგინოს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსული თავისი გმირებით, მათი ვაჟკაცობითა და მხნეობით. პოეტი სვამს სავსებით რეალურ შეკითხვას: ვინ უნდა გვიამბოს გარდასულ ეპოქათა დიდებული მამულიშვილების შესახებ? ვინ შეინახა სულისშემძვრელი ისტორიები

სამშობლოსათვის თავდადებული გმირი რაინდებისა? დრო ხომ წარმავალია, ყველაფერს მუსრავს და მიწის პირისაგან ალგვის?

ვინ გვითხრას, ვინა გვიჩვენოს,
სადა ჰსცხოვრობდენ ძველ-გმირნი?
დრომან შემუსრა, აღჰგავა
მიწით მათნიცა საფლავნი;

(ორბელიანი, 2013: 79)

აი, აქ კი, სავსებით ბუნებრივად, რომანტიკოსმა პოეტმა ნდობა უნდა გამოუცხადოს ეროვნული ზეპირსიტყვიერების უტყუარსა და გულმართალ სალაროს და გრიგოლ ორბელიანიც უხვად საზრდოობს ქართული ხალხური სიტყვიერების ისეთი ნიმუშებით, რომლებიც მარადიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება და დასაბამიდან აღელვებს კაცობრიობას; რომლებშიც ისეთი კითხვებია დასმული, როგორიცაა: რისთვის იბადება ადამიანი? რატომ ხდება, რომ ერთი თაობა ცვლის მეორეს? სად მიდიან ჩვენი მამა-პაპანი? ვისია ეს დაცლილი ნასახლარები? რატომ უწერიათ გაყრა საყვარელ ადამიანებს? რატომ ხდება ამქვეყნიური ბედნიერების შეწყვეტა და სხვა მრავალი, „წყევლა-კრულვიანი“ საკითხი, რომლებიც განსაკუთრებული ტკივილით არის წამოჭრილი ქართულ ხალხურ ელემენტურ ლექს-სიმღერებში:

ნეტავი შემატყობინა,
მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარული ცოლ-ქმარი
უდროოდ რისთვის გაყრილან,
დაცლილან ნასახლარები,
ზოგან სულ წმინდათ აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მკვიდრნი შექნილან.

(ქ. ხ. პ., 1979: 35)

მიუხედავად იმისა, რომ არ ვიცით, სად არის ქვეყნისთვის შეწირული მრავალი გმირის წმინდა საფლავები, ხალხის მეხსიერებაში ისინი ყოველთვის ცოცხლები არიან მათი სახელოვანი საქმეებით, გმირული სულისკვეთებით; სწორედაც ამას

გულისხმობს რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი, როდესაც თავდაჯერებით ამბობს, რომ ჯერ კიდევ ცოცხლობენ გარდასულ ეპოქათა გმირების სახელები; ამ სიცოცხლის წიადი კი ხალხის გული და სულია, ისტორიული მეხსიერებაა:

მაგრამ, ჰსცოცხალან ჯერეთაც
დიდების მათ მოედანი,
მათი სახელი, მათ ხმალი,
საქმენი სახელოვანი!

(ორბელიანი, 2013: 79)

ამაზე მიუთითებს გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო“; იგი მშობელ ხალხს მიმართავს თხოვნით, რომ პატივისცემით მოიხსენიონ გმირი წინაპრები, რომლებმაც მშობლიური ქვეყნისათვის თავი დადეს, მამულის მარადისობას ემსხვერპლნენ:

ძმანო, პატივით მივმართოთ თვალნი
წარსულთა ძველთა საუკუნეთა,
მათში სახელნი ჰსჩანან ნათელნი
გმირთა, მამულის განმადიდეთა!..

(ორბელიანი, 2013: 79)

2. სამშობლოს ბუნება - რომანტიკოსთა ნავსაყუდელი

განიხილავს რა რომანტიკოსი პოეტის – ვახტანგ ორბელიანის პოეზიას, მკვლევარი გრიგოლ კვიციანი წერს: „პატრიოტული თვალსაზრისით ბუნება ჩვენ მწერლებში ასე ნათლად და ფართოდ არავის გაუშუქებია“ (კვიციანი, 1956: 216). იგივე ითქმის ქართული რომანტიზმის ისეთ ბრწყინვალე წარმომადგენლებზე, როგორებიც არიან ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

სამშობლო ქვეყნის ბუნებისა და მისი წარსულისადმი რომანტიკულ-პატრიოტული დამოკიდებულებით განსაკუთრებით გამოირჩევა ალ. ჭავჭავაძის ლექსი

„გოგჩა“, რომელშიც ბუნების უმშვენიერესი ქმნილება, წმინდა და აუზღვრეველი, ბროლივით გამჭვირვალე მწვანე გოგჩის ტბა პოეტს საქართველოს დიად წარსულს აგონებს:

გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მზადავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო, წმინდა, უძრავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ...

(ჭავჭავაძე, 1992: 67)

რომანტიკოსები უკმაყოფილებისა და უნუგემობის დროს შვებას ბუნების წიაღში პოულობენ. „გრიგოლ ორბელიანი ქართულ ლიტერატურაში ბუნების კულტის შემომტანია, – აღნიშნავს მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი, – ცხოვრებისათვის ბრძოლის უნარს მოკლებული რომანტიკოსებისათვის ბუნება ერთ-ერთ ნავთსაყუდრად გადაიქცა, ნიადაგდაკარგული, აფორიაქებული და გაწამებული რომანტიკოსების სული უიალქნო ძიებაში სიმშვიდესა და სიწყნარეს პოულობდა...“ (ზანდუკელი, 1972: 241-242).

ლექსში „საღამო გამოსალმებისა“, რომელიც ბუნების უშუალო ხილვით არის შთაგონებული, პოეტმა მთელი თავისი მწუხარება და სატკივარი ჩააქსოვა:

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმების ჟამს კავკაზსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებუყლნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან...

(ორბელიანი, 2013: 51)

ღრმად შთამბეჭდავია ნაწყვეტი პოემიდან „სადღეგრძელო“, სადაც პოეტი რომანტიზმისათვის დამახასიათებელი პოეტური სტილითა და დიდი აღტაცებით აღწერს ბუნების სილამაზეს, ფრინველთა ტკბილი გალობის ფონზე შემობრძანებულ განთიადს:

ილევა ბინდი ღამისა, ცაში ვარსკვლავნი ჰქრებიან!
ათასის ხმებით ფრინველნი განთიადს მიეგებიან!

მოჭკრის დილისა ნიავიც გულისა მაგრილებელი;
ფშინვა დაიწყეს ყვავილთა და ბაღში ფოთოლთ შრიალი!
ოჰ, რა ლამაზად იღვიძებს ბუნება მიძინებული!
დაჩუმდით... ყური მიუგდეთ... არ გესმით, ჰგალობს ბულბული?..

(ორბელიანი, 2013: 93-94)

ასეთივე აღტაცებითა და სიყვარულით გადმოგვცემს სახალხო მთქმელიც მშობ-
ლიური ბუნების სილამაზეს ლექსში „... მიყვარს ბუნება...“:

მიყვარს ბუნება ლამაზი
და გრილი სიო მთისაო,
მთის ფერდობებზე გაშლილი
ფარები ცხვარ-ძროხისაო!
მიყვარს მთის წყარო ანკარა,
დილით სხივები მზისაო,
დღისით ბულების ბუბუნი,
ღამე ყმული მგლისაო,
ხან წვიმა კოკისპირული,
ხმა ჭექა-ქუხილისაო,
მას შემდეგ ქროლვა ქარისა,
შრიალი ფოთლებისაო!

(ქ. ხ. პ., 1979: 68)

რომანტიკოსი პოეტისთვის უდიდესი ბედნიერებისა და სიმშვიდის მომტანია
ბუნების წიაღი:

ვიმ, ამ დილასა, ამ ჰაერს, ბუნების განმაცხოველსა,
გულისა ჭმუნვის გამქარველს, სიცოცხლის დამატკობელსა!...
ღმერთო, ვინ მიჰსწვდეს შენგან ქმნილს, მისს ფერ უთვალავს შვენებას?
სიბნელეს აქრობ ნათელით, სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას!..

(ორბელიანი, 2013: 94)

რომანტიკოსები ხშირად მიმართავენ ბუნებას, რომლის წიაღშიც მოიპოვებენ
ნავსაყუდელს მათი მწუხარე და უიმედო სულისათვის; ბუნებაში ეძებენ ისინი მყუდ-
რო სავანეს, რადგანაც იგი სამშობლოს ნაწილია. კიტა აბაშიძე წერილში „ნიკოლოზ

ბარათაშვილი“ აღნიშნავს: „რაკი სულიერში ვერ იპოვა მეგობარი და მანუგე-
შებელი, ბარათაშვილმა უსულო ბუნებას მიმართა და აქ მოიპოვა ნაცსაყუდელი მისის
აღზნებულის და აღშფოთებულის მღელვარე სულისათვის. ბუნებამ იგი შეითვისა
მან – ბუნება... ბუნებით იგი გაიმსჭვალა და ბუნება – მით“ (აბაშიძე, 2012: 126).

ლექსში „შემოდამება მთაწმინდაზედ“ პოეტი მიმართავს მითოსური მსოფლ-
მხედველობისათვის დამახასიათებელ მოვლენას, ბუნების პერსონიფიცირებას და
როგორც ადამიანს, ჭეშმარიტ მეგობარს, ისე ესაუბრება მთაწმინდას:

...მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!..

(ბარათაშვილი, 2012: 7)

თავისუფლება, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისაში“
ტრაგიკულად განწირულია, მეტად ძვირფასია პოემის ავტორისთვის და ყველა
პერსონაჟისთვის; ის ძვირფასია კრწანისში დაღუპულთათვის და საერთოდ, სული-
ერად და მორალურად ჯანსაღი ქართველებისთვის, რომელთა კრებით, განზოგადო-
ებულ სახეს არაგვის ხეობის დიდებული სურათის აღწერაში ვხედავთ:

მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსმახიან მთანი ტყიანნი
და შეუპოვრად მოუთამაშებს
გარემო თვისსა ატეხილს ჭალებს.
ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო,
მობიბინენო, შვებით მომზირნო,
ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს,
.....
ერთს ქართველურად კიდევ შესმახებს,
არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს,
და მერმე, თუნდაც დაუგვიანდეს,
იგი იმისთვის აღარ დაღონდეს!

(ბარათაშვილი, 2012: 51)

აქ განცდილი და გადმოცემულია, თუ როგორი განუყოფელია ქართველი ადამიანი თავისი სამშობლოსგან, მისი მშვენიერი ბუნებისგან, რომელიც მის ხასიათს აყალიბებს – ქართველიც არაგვივით ლაღია, მაგრამ, რაც უფრო ღრმაა მათი (ქართველის და მისი ბუნებრივი გარემოს) ერთიანობა, მით უფრო ტრაგიკულ გრძნობას ბადებს ის სამწუხარო რეალობა, რომ ქართველის კუთვნილი ეს მიდამო, მიწა-წყალი, ქვეყანა სხვისი უნდა გახდეს. არაგვის ხეობა საქართველოს კონკრეტული ხატია, განსახიერებაა ქვეყნისა, რომლის ბედიც ტრაგიკულად მთავრდება.

ხალხური პოეზია არაგვს მთების მეფედ მოიხსენიებს; ლექსში „... არაგვო, მთების მეფეო...“, რომელიც ელენე ვირსალაძეს ჩაუწერია 1934 წელს, დატუსაღებული ლირიკული გმირი, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, არაგვს შესჩივის თავის დარდსა და გულისნადებს:

არაგვო, მთების მეფეო,
ფასანაურის მხარეო,
შენი შვილი ვარ, ტიალო,
ისევ შენ მიმიბარეო!
კარგამოკეტილ ტუსაღსა
მოდო, მომხედე ჩქარაო,
ისევ გამიღე კარები,
როგორც რომ მომიჯარეო!
წინანდებურად მიმიღე,
სრულად ნუ შემიჯავრეო,
ისევ მაჩვენე ჩემი მხრის
მზის ბრწყინვალება, მთვარეო!

(ქ. ხ. პ., 1979: 117)

ყველასგან გაუცხოებული რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი ბუნების წიაღში პოულობს სიმშვიდესა და თანაგრძნობას, მხოლოდ მას, როგორც მეგობარს მიანდობს, თავის გულისნადებს:

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს? რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება

არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა ვაება,
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

.....

ჰოი, სადამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!..

(ბარათაშვილი, 2012: 8)

ასეთივე განცდა აქვს პოეტს ბუნების მიმართ ლექსში „ჩინარი“:

მოქშუის მტკვარი, მოქრის ნიავი და შრიალითა არხევს ჩინარსა,
და გამოსცემენ სახიობასა, ტკბილის ოცნებით დამადინარსა!
მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უსაკოთაც და უსულთ შორის,
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!

(ბარათაშვილი, 2012: 41)

ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“, პოეტი „ფიქრთ გასართველად“ მიაშურებს ბუნების წიაღს, რომელიც თითქოს გრძნობს მგოსნის წუხილს და უთანაგრძნობს მას:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართველად,
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად;
აქ, ლბილს მდელიოზედ, სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,
აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა...

(ბარათაშვილი, 2012: 13)

აქ, მტკვრის პირას, რომელიც სამშობლო ქვეყნის დედამდინარეა, ტყვედქმნილი და დასაკარგავად გამეტებული სამშობლოს ბუნების პირველქმნადობას თავშეფარებულ პოეტს ეძალევა წყევლაკრულვიანი საკითხები, თუმცა, ამ ლაბირინთიდან გამოსვლაში მას უსათუოდ ეხმარება ხალხური სიბრძნით გაჯერებული რწმენა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“.

ბუნებისა და ადამიანის ერთიანობის, განუყოფლობის რწმენა-წარმოდგენები მითოსური მსოფლმხედველობიდან დღემდე კაცობრიული ოპტიმიზმის ერთ-ერთი მასაზრდოებელი წყაროა; მშობელი ბუნება მუდმივად თანაუგრძნობს გმირს და ამის

ნათელი მაგალითია მითოსური პერსონაჟის – ხოგაის მინდიას სიკვდილთან დაკავშირებული არქაული სტრიქონები: „ხოგაის მინდი კვდებოდა, მზე წითლდებოდა, ცხრებოდა, ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა...“ (ქ. ხ. პ., 1975: 33).

ხალხურ ლექსში „რკინის კარის შეხსნა“, ბუნებაც უთანაგრძნობს ხალხს და იზიარებს ერეკლე მეფის გარდაცვალებით გამოწვეულ საერთო მწუხარებას:

მზე ჩაგვივარდა უკუღმა
ჩავარდა შუა ზღვაშიო;
ატირდა წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამიო...

(ქ. ხ. პ., 1984: 61)

ან კიდევ:

მთაში აიმღვრა არაგვი,
ბარად აყროლდა მტკვარია,
ყველა შიგ შემეერია,
გველი, მყვარი და მკალია...

(ქ. ხ. პ., 1984: 84)

მეცხრამეტე საუკუნემ თავისი მძიმე დასაწყისით, რაც დამოუკიდებლობის დაკარგვითა და ეროვნული სიამაყის დათრგუნვით აღინიშნა, კიდევ უფრო გამოაფხიზლა და გააძლიერა ეროვნულ ზეპირსიტყვიერებაში გენეტიკურად ჩაბუდებული პატრიოტული მუხტი. როგორც პროფესორი ელენე ვირსალაძე აღნიშნავს, „განსაკუთრებით აქტიურია ამ პერიოდის დასაწყისისათვის პატრიოტული ლირიკა, საგმირო ისტორიული სიმღერები და თქმულებები, რომელთა წარმოქმნა საქართველოს ისტორიის მრავალ ბრწყინვალე და, ამავე დროს, ხშირად ტრაგიკულ ეპიზოდს უკავშირდება და მაღალი პატრიოტული გრძნობით, ეროვნულ თვითშეგნებითა და საამაყოთაა გასხვიოსნებული“ (ვირსალაძე, 1976: 32). ასეთივეა რომანტიკოსთა შემოქმედებაც, რომელთა საუკეთესო ქმნილებებში დიდებულად გაცხადდა სამშობლო ქვეყნის სიყვარული და რუსული თვითმპყრობელობისადმი დაუმორჩილებლობა; ამ მამულიშვილური მუხტით გულსავსე და აწმყო რეალობით გულდასევდილი ჩვენი რომანტიკოსებისთვის კი ბუნება სულის საოხი ადგილია.

თავი მეორე მეფეთა სახეები

გარდასულ ეპოქათა „მამულის განმადიდებელ“ გმირებს შორის ქართველი რომანტიკოსები უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით, ეროვნულ-მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და სახელმწიფოებრივი აზროვნების სრული წარმოჩენით აცოცხლებენ ქვეყნისთვის თავდადებულ ქართველ გვირგვინოსანთა უკვდავ სახეებს. როგორც მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი მიანიშნებს, „ამ წარსულში გრიგოლ ორბელიანს იდეალად ეხატება ძველი ფეოდალური საქართველო თავისი დამახასიათებელი ზნე-ჩვეულებებით. პოემაში მთელი გალერეაა მოცემული ქართველ გმირ მეფეთა და წარჩინებულ კარისკაცთა საარაკო მოქმედებამოღვაწეობისა, რომელმაც, მწერლის ღრმა რწმენით, შექმნა საქართველოს „ცათ სხივმომფენი დიდება“. გრიგოლ ორბელიანი, აღზრდილი „ქართლის ცხოვრებაზე“, ქება-დიდებას ასხამს ღირსშესანიშნავ ქართველ მეფეებს, „რომელთა დაჰსდეს სიცოცხლე მამულის ასამაღლებლად“, დაწყებული ფარნაოზით და დამთავრებული ერეკლე მეორეთი, რომელთანაც, პოეტის განცდითა და თქმით, – „დიდება ივერიისა მარხია სამარეს“ (ზანდუკელი, 1972: 234).

რომანტიკოსი პოეტებისათვის სანუკვარია ძლიერი, ერთიანი ქვეყანა და მისი მმართველი, რაც საქართველოს მაგალითზე ჩვენს დიდებულ მეფეთა ღვაწლთან ასოცირდება; ასეთივე დამოკიდებულება აქვს ქართულ ხალხურ პოეზიას ქართველ გვირგვინოსანთა მიმართ: „სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა, თავგასულ ფეოდალთა თვითნებობის ალაგმვა... და ძლიერი ცენტრალიზებული მმართველობის პრობლემა, უცხო შემოსევათა შედეგად ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება, ტყვეთა გაყიდვა და მათი ბედი უცხო მხარეს, საქართველოს მომავალი, ეროვნული სახის შენარჩუნების პრობლემა – აი, ის საკითხები, რაც წარმოადგენდა ამდაგვარ ლექსთა არსსა და დედააზრს. ამიტომაც იყო, რომ ხალხის ცნობიერებაში მათი გავლენა და წონა მეტად დიდი იყო“ (ვირსალაძე, 1976: 32-33).

1. ფარნავაზ მეფე

გრიგოლ ორბელიანს, ვითარცა სამშობლოს წარსულის დიდების ტრფიალს, სჯერა, რომ ქართველ მეფეთა და გმირთა „აჩრდილები“ დღესაც „დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა“... პოეტი იხსენებს იმ მეფეებს, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით საქართველოსა და მშობელი ხალხის წინაშე. მათ შორის პოეტი უპირველესად ასახელებს: ფარნავაზ მეფეს, რომელმაც დააწესა მეფობის ინსტიტუტი და მისცა „ქართველს წიგნი პირველი“. შემთხვევითი არ არის, რომ გრიგოლ ორბელიანი გარდასულ ეპოქათა გმირი წინაპრების – მეფეების გახსენებას იწყებს ფარნავაზით, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია საქართველოს გაერთიანება, და ქართველთა წიგნიერება:

შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ ერთ-მთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი!
და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!

(ორბელიანი, 2013: 80-81)

ცნობები ფარნავაზ მეფის შესახებ, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, ისტორიულ წყაროებთან ერთად, ეყრდნობა ზეპირსიტყვიერ მასალებსაც. როგორც მკვლევარი გივი ახვლედიანი აღნიშნავს, „ფარნავაზის თავგადასავალი არ არის მხოლოდ ხალხურ გადმოცემებზე დამყარებული. იგი ისტორიულ წყაროებსაც ემყარება... ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ ცნობებში ქართლის (იბერიის) სამეფოს დამაარსებლის – ფარნავაზის და მისი უახლოესი მემკვიდრეების შესახებ, მართალია, გამოყენებულია ხალხური გადმოცემა-თქმულებები, მაგრამ მათში საკმაოდ მდიდარი ისტორიული რეალიებიც არის დაცული და სანდოა საქართველოს ძველი ისტორიის სურათის აღსადგენად“ (ახვლედიანი, 2002: 118).

ისტორიულად ფარნავაზ მეფის თავგადასავალი შედგება ორი ნაწილისაგან:

1. ფარნავაზის სიზმარი, 2. ფარნავაზის ნადირობა. ორივე ნაწილს ქართული ხალხური შემოქმედებისა და უძველეს მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა აშკარა კვალი აჩნევია.

ამგვარი ისტორიულ-ზეპირსიტყვიერი მასალებით საზრდოობს გრიგოლ ორბელიანი, როდესაც თავის დიდებულ პოემაში – „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ დამე ლხინი ერევნის სიახლოვეს“ – აცოცხლებს ფარნავაზ მეფის მოღვაწეობის ხანას და წარმოაჩენს ამ დიდებულ მეფის ამაგს ქართველი ერის ჩამოყალიბება-განვითარების ქართული სახელმწიფოს შექმნისა და ქართული ანბანის (დამწერლობის) სახელმწიფო მმართველობაში ჩაყენების საქმეში:

და ივერიის აღჩნდა მეფობა,
და განძლიერდა შენისა სიბრძნით,
შორსა განითქვა მისი გმირობა
და მის მეფენი დიდების ბრწყინვით!

(ორბელიანი: 2013: 80)

სამწუხაროდ, გრიგოლ ორბელიანი თავის პოემაში მეფე ფარნავაზის ციკლის მითოსს არ იყენებს. მისთვის, როგორც რომანტიკოსი პოეტისათვის, უფრო მნიშვნელოვანია ფარნავაზის მიერ ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის ჩაყენება სახელმწიფოს სამსახურში და მამასახლისობის ნაცვლად მეფობის ინსტიტუტის შემოღება.

2. მირიან მეფე

ქართულ ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში არჩილ მეფედან მოყოლებული, რომელმაც, როგორც მკვლევარი სოფიკო ლორთქიფანიძე აღნიშნავს, თავის ნაწარმოებებში შექმნა ქრისტიანი მეფის ის იდეალური პარადიგმული სახე, რომელიც ყოველი მონარქისათვის მისაბადი მაგალითი უნდა იყოს (ლორთქიფანიძე, 2016: 19), ყოველ ეპოქაში ჩვენი დიდებული გვირგვინოსნების ღვაწლი ერის მთლიანობის, მონოლითურობის სიმბოლოდ აღიქმება; ამგვარია ქართველ რომანტიკოსთა მიმართებაც „იესიან-დავითიან-სოლომონიანად“ და იესო ქრისტეს

ჩამომავლებად (რაც ქართველ ბაგრატიონთა გერბზეც აისახა დავითის ქნართა და შურდულით) შერაცხილ ქართველ მეფეთა მიმართ.

კიდევ ერთი გვირგვინოსანი, რომელზეც გრიგოლ ორბელიანი უდიდესი სიყვარულითა და მოწიწებით საუბრობს თავის უკვდავ პოემაში, არის მირიან მეფე. როგორც ვიცით, ქართველთა განმანათლებლის – წმიდა ნინოს წინამძღოლობით მეფე მირიანმა და ნანა დედოფალმა საქართველოს ქრისტიანული სახელმწიფო დააარსეს (IV ს.); ისინი საქართველოს პირველი ქრისტიანი გვირგვინოსანი მეფე-დედოფალნი არიან.

მირიან მეფის „მოქცევასთან“ დაკავშირებულ ლეგენდებს მოგვითხრობენ როგორც ხალხური სიტყვიერება, ისე – მემატეანეთა ცნობები. ერთ-ერთი ასეთი მემატეანის – ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოთა საქართველოსა“ მოგვითხრობს: ერთხელ მეფე მირიანი თავისი ამალით თხოთის მთებში სანადიროდ წავიდა; მოულოდნელად შუა სამხრობისას დაბნელდა მზე „და იქმნა ბნელი მძაფრი წყუდიადი“ (ბატონიშვილი, 1973: 86). მეფის ამალა გაიფანტა. მირიანი დაიბნა, შეშინდა, საშველად მოუხმო ყველა ცნობილ კერპს, მაგრამ – ამაოდ. მაშინ მეფეს კაპადოკიელი ტყვე ქალის ღმერთი – ქრისტე – გაახსენდა და მას შესთხოვა შველა, აღუთქვა, ოღონდ კი ახლა გამინათე ბნელი და შენ გაღიარებ, შენ გიწამებ, ჯვარს აღგიმართავ, სალოცავ სახლს აგიშენებ და სულ შენზე ვილოცებო: „ვხადო დედა-კაცისა მის ღმერთისა, და აღგიარო შენ“ (ბატონიშვილი, 1973: 86). ტყვე ქალის ღმერთმა უსმინა და „მყის სიტყვისა თანა განათლდა ყოველი ქუეყანა და თუალნიცა მეფისანი...“ (ბატონიშვილი, 1973: 86). ამავე წყაროს მიხედვით, მნათობის დაბნელებით და შემდგომი ნათებით მირიანმა ირწმუნა ქრისტიანობა, რასაც მოჰყვა ჯერ მისი, ხოლო შემდეგ მთელი ქართლის მოქცევა.

გრიგოლ ორბელიანი პოემაში მოკლედ გადმოგვცემს მირიან მეფის ღვაწლს საქართველოს გაქრისტიანებაში; მირიანს იგი უწოდებს მაცხოვრის ნათლით მოსილს, რომელმაც ჯვრის ძალით შემუსრა წარმართული კერპები:

ქრისტეს ნათელით განათლებული,
მეფე მირიან ჰბრწყინავს გვირგვინით,
ჯვარისა ძალით გარე-მორტყმული,
შეჰმუსრავს კერპთა მათის ბომონით!

(ორბელიანი, 2013: 80)

როგორც ისტორიული და ზეპირსიტყვიერი მასალებიდან არის ცნობილი, წმინდა ნინოს ქადაგებისა და მის მიერ აღსრულებული სასწაულების ძალით, ჯერ ნანა დედოფალი მოექცა ქრისტეს რჯულზე, შემდეგ კი მეფე მირიანიც გაქრისტიანდა. თავის პოემაში გრიგოლ ორბელიანიც საუბრობს იმაზე, თუ როგორ „განჰქრა“ ივერთა „ბნელი რწმუნება“ და ქართველებმა სიხარულითა და შვებით შეხედეს ზეცას – აღიარეს საუკუნო ცხოვრება:

და განჰქრა ახლის აღთქმისა ძალით
ძველის ივერის ბნელი რწმუნება;
ქართველთ მიხედეს ცას სიხარულით
და საუკუნო ჰსცნეს მუნ ცხოვრება!..

(ორბელიანი, 2013: 80)

გრიგოლ ორბელიანი კარგად იცნობს საქართველოს ისტორიას, მეფეთა ცხოვრებას, მაგრამ, ამასთან ერთად, მისთვის არც ხალხური სიტყვიერებაა უცხო, რამდენადაც მასში ხალხის თვალთ დანახული შეულამაზებელი ისტორიაა დაუნჯებული და გადმოცემული. ყოველივე ამან, ბუნებრივია, თავისი როლი შეასრულა რომანტიკოსი პოეტის მიერ „ახლის აღქმის ძალით“ ძველი კონცეფციის უარმყოფელი მეფის ღირსსახსოვარი სახის შექმნაში.

3. ვახტანგ გორგასალი

ვახტანგ გორგასალი ქართველ გვირგვინოსანთაგან ერთ-ერთია, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის გამთლიანება-გაძლიერებაში. ისტორიასთან და ქართულ ლიტერატურასთან ერთად, მისი საგმირო საქმეები შემოგვინახა ხალხურმა სიტყვიერებამაც, რომელშიც კარგად ჩანს ის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ქართველთა საამაყო მეფემ ხალხისგან დაიმსახურა.

„V საუკუნის მეორე ნახევრის ქართლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ფიგურა, დიდი სახელმწიფო მოღვაწე მეფე ვახტანგ I იყო, გორგასლად

წოდებული. ამ ხანის ისტორიის უმთავრესი მოვლენები მის სახელთანაა დაკავშირებული და, ამდენად, ამ ეპოქას ვახტანგ გორგასლის ეპოქა შეიძლება ეწოდოს“ (ლორთქიფანიძე, 2008: 116).

სამშობლოსათვის თავდადებულ მეფეს, ბუნებრივია, მეისტორიესთან ერთად, არც სახალხო მგოსნები დარჩებოდნენ ვალში. ვახტანგ გორგასლის ციკლის ხალხური ლექსების, ლეგენდების, გადმოცემებისა და თქმულებების თემატიკა ძირითადად მეფე ვახტანგის საგმირო ამბებითაა გამსჭვალული. მათი ძირითადი თემაა გორგასლის მიერ საქართველოს მათხარ ჩრდილო-კავკასიელ ოსთა ალაგმვა.

ისტორიკოსის ცნობით, ვახტანგ გორგასალი 10 წლის იყო, როდესაც ოსებმა ააოხრეს საქართველო და ტყვედ წაიყვანეს მრავალი ქართველი, მათ შორის – ვახტანგის და, 3 წლის მირანდუხტი. როდესაც ვახტანგი 15 წლის გახდა, სამშობლოს განთავისუფლების მიზნით, გაილაშქრა ოსებზე. ამ ბრძოლაში ჭაბუკმა მეფემ ისრით განგმირა მტრის სახელოვანი გმირები – თარხანი და უძლეველობით ცნობილი ბაყათარ ოსი. ვახტანგს გაუთავისუფლებია ტყვე ქართველები, მათ შორის – მირანდუხტიც (ლორთქიფანიძე, 2008: 116).

გრიგოლ ორბელიანი პოემაში „სადღეგრძელო“ საუბრობს „მუზარად მგელ-ლომ გამოსახულ“ ვახტანგ მეფეზე, რომელსაც მისგან შეშინებულმა ყიზილბაშებმა „გორგასალი“ უწოდეს:

ესე არს გმირი ის გორგ-ასლანი,
რომლის შეხედვით სპარსელნი ჰთრთოდნენ,
მისწვდნენ სადაც მის ძლიერნი მკლავნი,
მტერთა შელეწდნენ და შემუსვრიდენ!

(ორბელიანი, 2013: 80)

ვახტანგ მეფის გმირობითა და უძლეველობით აღფრთოვანებული რომანტიკოს პოეტს სჯერა, რომ მისი უკვდავი აჩრდილი მუდამ მზად არის, მახვილით ხელში მისებური გრგვინვით ეკვეთოს სამშობლოს მტრებს და თავისი მრისხანე სახე უჩვენოს:

მუზარადს მგელ-ლომ გამოსახული
ხელსა მახვილით, ვინ მოვალს გრგვინვით?
ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი.

მზად არს საომრად სახე-შერისხვით!

(ორბელიანი, 2013: 80)

საომრად აღჭურვილ მეფეს პოეტი ომის ღმერთს ადარებს და ეს შედარება შემთხვევითი როდია. ქართველთა მითოსური მსოფლმხედველობა, ბუნებრივია, იცნობდა ომის (ლაშქრობის) ღმერთსაც, თუმცა, სამწუხაროდ, მის სახეს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამის რეალური მიზეზი კი უმთავრესად ის არის, რომ ჩვენს ეროვნულ წერილობით ძეგლებში დაფიქსირებული ქართული მითოლოგიური სისტემა, სხვა უძველესი ხალხების მსგავსად, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია, რის გამოც წარმართული პანთეონისა და ეროვნული მითოლოგიის სათანადო ისტორიას მოკლებულნი ვართ; თუმცა, რა თქმა უნდა, ფაქტია, რომ ქართული მითოლოგიურ ღვთაებათა პანთეონი არსებობდა ჩვენში, თუმცა, ბევრმა ცალკეულმა დარგობრივმა ღვთაებებათა სახემ ან ვერ მოაღწია, ან ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, ანდა ჩანაცვლების მეთოდით ქრისტიანული სარწმუნოების წმინდანებმა შეითავსეს მათი ფუნქციები. მიჩნეულია, რომ ლაშქრობის არქაული ღვთაების სახე ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი წმინდანის – წმინდა გიორგის კულტმა ჩაანაცვლა, რითაც ერთგვარად უწყვეტი გახდა მარადიული მხედრის შთამბეჭდავი სახე და, ბუნებრივია, წმ. გიორგის განუსაზღვრელმა ავტორიტეტმა მთლიანად გადაფარა ქართული წარმართული ლაშქრობის ღვთაების არქაული სახე; თუმცა, რომანტიკოსმა პოეტმა კვლავ წამოატივტივა მივიწყებული მითოსური ღვთაება დიდებული შედარების სახით.

ამდენად, თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ ძლევამოსილი, ხალხის თვალში დევგმირი ვახტანგ მეფის შედარება მრისხანე ბრძოლის ღმერთთან („...ვით ბრძოლის ღმერთი, თვით მბრძანებელი...“) გამოძახილია არქაული ქართული მითოსური რწმენა-წარმოდგენისა, რომლის თანახმადაც, წარმართულ მსოფლმხედველობრივ სივრცეში, ყველაფერს თავისი ღმერთი ჰყავდა და, ბუნებრივია, საბრძოლო მოქმედებათა ავ-კარგიანობასაც ბრძოლის ღმერთი წარმართავდა.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ვახტანგ გორგასალზე ჟანრობრივად მრავალფეროვანი ნაწარმოებები მოგვეპოვება, რაც მიუთითებს ხალხის უსაზღვრო პატივისცემასა და სიყვარულზე გმირი მეფის მიმართ. მშობელი ხალხის განუზომელი აღტაცება სასიქადულო მეფით, რომელიც, ხალხის რწმენით, უფლისაგან გამორჩეული

ადამიანი იყო, ესმოდა ციდან ზარების რეკვის ხმა, კარგადაა გამოხატული საქვეყნოდ ცნობილ ხალხურ ლექსში, რომლის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ჩამოესმა რეკა;
იალბუზზე ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა;
ოსებში გადაიარა,
ჩერქეზები გადარეკა.

(სიხარულიძე, 1949: 73)

ლექსის სხვა ვარიანტის დასასრულით იგი ავსულთა მტერია:

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,
ციდან ესმის ზარის რეკა;
იალბუზზედ ფეხი შედგა,
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა;
იალბუზის ეშმაკები
ცხრა მთას იქით გადარეკა.

(ქ. ხ. პ., 1984; 210)

უმთავრესი პათოსი კი ვახტანგ გორგასლის ციკლის ამ მშვენიერი ხალხური ლექსის ვარიანტებისა ის არის, რომ, ქართველი ხალხის რწმენით, ვახტანგ მეფე უფლის რჩეულია; მას, როგორც უზენაესისაგან გამორჩეულს, ძველი აღთქმისეული პერსონაჟის – მოსეს მსგავსად, ესმის ზეციური ხმა – ზარების რეკვა.

მაინც რა ეშმაკებზე მიანიშნებს ხალხური ლექსი? რა უნდოდათ იალბუზის მთაზე ეშმაკებს? ჩვენი აზრით, ეს ფრაზა მითოსური წარსულიდან მომდინარე მითოლოგემაა, რომლის განშლის შესაძლებლობა ქართულ ფოლკლორში ბოლო დრომდე შემორჩენილ თამარ მეფის ციკლის ერთ-ერთ მითთან მიგვიყვანს; ეს არის “მარადიული გაზაფხულის”, ანუ “დაკარგული სამოთხის” მითოსი, რომლის თანახმადაც თამარ მეფის მსახურმა (ზოგ ვარიანტში გამზრდელმა) არ შეასრულა მეფის დარიგება, დაარღვია ტაბუ (გაათავისუფლა დრო-ჟამის მდინარების გამგებელი ფრინველი (ზოგი ვარიანტით – შუქურვარსკვლავი), რის შემდეგაც იალბუზზე მდებარე თამარის სამფლობელო, სადაც მარადიული ზაფხული (გაზაფხული) სუფევდა,

თოვლმა დაფარა; თავად ტაბუს დამრღვევი კი ავ, ბოროტ სულად იქცა და, გზააბნეული, დაძრწის დათოვლილ იალბუზზე. ვახტანგ გორგასლის ციკლის ხალხურ ლექსში „იალბუზის ეშმაკების ცხრა მთას იქით გადარეკვის“ ფაქტის გახაზვა უსათუოდ არის გამოხატულება კაცობრიობის ლტოლვისა, დაიბრუნოს დაკარგული სამოთხე. ამდენად, სწორედაც უფლისაგან გამორჩეული, იალბუზზე დამკვიდრებული ბოროტი ძალების წინააღმდეგ მებრძოლი, „ბრძოლის ღმერთად“ ხმობილი ვახტანგ მეფის რაინდული სახისადმი ლტოლვა და სიყვარული, მისადმი აღვლენილი ხოტბა რომანტიკოსი პოეტისა სრულიად ბუნებრივია.

ვახტანგ მეფის გმირული სულისკვეთება, ვაჟკაცობა და შეუპოვრობა გადმოსცა სახალხო მთქმელმა ერთ-ერთ ხევსურულ ლექსში „...პირდაპირ შამავხედევდი...“, რომელშიც ხალხური სიტყვიერებისათვის დამახასიათებელი სისადავით არის დახატული ვახტანგ მეფის რაინდული სახე, მისი უებრო მშვილდოსნობა:

პირდაპირ შამავხედევდი
ციხის გალავნის პირსაო;
ნეფე ყოფილას გორგასლამ,
მშვილდ უჭენებავ გმირსაო.

(სიხარულიძე, 1949: 120)

სამშობლოს ციხე-გალავნის პირას და ამავე ციხესიმაგრის დარად მდგარი უძლეველი მოისარი მეფის სიდიადის გადმომცემ ამ პატარა ლექსის თაობაზე მკვლევარი ქსენია სიხარულიძე აღნიშნავს: „ჩვენის აზრით, ამ ლექსით თავისუფლების მოტრფიალე ხევსურმა წარსულის ქარტეხილს გადარჩენილ ციხის გალავანთან დაკავშირებით სწორედ ვახტანგ გორგასლის მშვილდის ძალა შეაქო“ (სიხარულიძე, 1949: 120).

ქართულმა ხალხურმა პოეზიამ სათაყვანებელი ვახტანგ მეფის შთამბეჭდავი გმირული და რაინდული პორტრეტის სრულყოფისათვის მისი საბრძოლო იარაღი კი აამეტყველა და კანონიერი სიამაყის გრძნობით ათქმევინა, რომ ღირსეული პატრონი ყავს, რომ მის პატრონს არასოდეს დაუხვევია უკან ბრძოლის ველიდან და მისი მადლიანი მარჯვენის წყალობით მრავალი რკინის პერანგი გაუკვეთია. ამ თვალსაზრისით ძალზე შთამბეჭდავია ხალხური ლექსი „ვახტანგის ხმალი“,

რომელიც ქართველებს იდეალად უსახავს ვახტანგისა და მისი ღირსეული მახვილის გარჯილობას:

ხმალმა თქვა ვახტანგისამა:

ბევრი მინახამს ომია,

ათასი შუბი და ხმალი

ბევრჯელ პირისპირ მდგომია,

მაგრამ არც ერთხელ ჩემს პატრონს

უკან არ დაუხევია:

დაუკრამს - რკინის პერანგი

გამიკვეთ-გამიხევია.

(ქ. ხ. პ., 1984: 13)

ვახტანგ გორგასალი ქართველ მოღვაწეთა იმ ღირსეულ პლეადას ეკუთვნის, რომელთაც ჯერ კიდევ თანამედროვეებმა უწოდეს „დიდი“. დიდად, თუნდაც ქართველ მეფეთაგან, საქართველოს ისტორიაში არც ისე ბევრი მოიხსენიება. ვახტანგ გორგასალი ამ მხრივ ერთ-ერთი პირველია. ხალხმა ვახტანგ მეფეს “იალბუჯის გმირი” უწოდა; მის თავგადასავლებთან თუ მოღვაწეობასთან დაკავშირებით მრავალი ლეგენდა, თქმულება და ლექსი შემოგვინახა ქართულმა ხალხურმა სიტყვიერებამ; არც ოფიციალური ისტორია დარჩენილა გულგრილი ამ დიდებული მამულიშვილის მიმართ. როგორც მკვლევარი მარიამ ლორთქიფანიძე აღნიშნავს, „ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი, პირუთვნელი მსაჯული ხალხია. ხალხი დიდების შარავანდედით მოსავს ერისა და ქვეყნის ღირსეულ შვილებს. მეფე ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთი იმათგანია, რომელთაც სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის ხალხმა სიყვარული და პატივისცემა ლექსებში, პოემებში, ლეგენდებში ჩააქსოვა“ (ლორთქიფანიძე, 2008: 132). ამდენად, ბუნებრივია, თავისი ქვეყნის ისტორიული წარსულის მოტრფიალე რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც უსათუოდ შთაგონებული იქნებოდა ხალხური სიბრძნითაც და „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებითაც, უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გვიხატავს სამშობლოს გმირული წარსულის ერთ-ერთ დიდებულ შემოქმედს – მეფე ვახტანგ გორგასალს.

4. დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის თემას არაერთი მწერალი შეხვებია. ამ დიდებული მეფის შესახებ არსებული ზეპირსიტყვიერი მასალის მიხედვით, ის იყო პიროვნება, რომელმაც თავისი ქვეყანა საბოლოოდ გააერთიანა, გაათავისუფლა დამპყრობლები-საგან და მეზობელი ქვეყნები საკუთარ „ჩრდილსა ქუემ“ შეჰყარა; დავით მეფის ღვაწლი სახელმწიფოებრივი მშენებლობისა და კულტურული განვითარების საქმეში ხალხმა მშვენივრად გამოხატა ერთი, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი, სიტყვით – „აღმაშენებელი“.

ქართველი რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც პოემაში „სადღეგრძელო“ აღფრთოვანებითა და სიამაყით საუბრობს საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და გამორჩეულ, საყვარელ და ძლევამოსილ მეფეზე – დავით აღმაშენებელზე. პოეტი ღმერთის წყალობად თვლის ივერთათვის ასეთი მეფის მოვლინებას იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყანა თითქმის იავარქმნილი იყო მაჰმადიანი მეზობლისაგან:

ზეცა წყალობად, ნუგეშად,
ივერსა გაოხრებულსა,
მეფედ მოუვლენს დავითსა,
ზეგარდმო სიყრმით ცხებულსა...

(ორბელიანი, 2013: 81)

პოეტი ახასიათებს დავით მეფეს, როგორც უზადლო მხედართმთავარს, სამართლიან მმართველს, განათლებულ პიროვნებასა და კარგ მოსაუბრეს:

მხედართ-მთავარსა უძლეველს,
გულ-მოწყალესა მსაჯულსა,
ზე-ჩაგონებით განსწავლულს,
ენა მდინარე მეტყველსა!..

(ორბელიანი, 2013: 81)

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს ამ სახელოვანი მეფის ყველა ღირსება სათანადოდ აისახა ხალხურ სიტყვიერებაში; დავით აღმაშენებლის ციკლის ზეპირსიტყვიერებაში უტყუარად არის გამოხატული ქართველი ხალხის სიყვარული და პატივის-

ცემა საყვარელი მეფისადმი; მათში წარმოჩენილია დავით მეოთხის ღვაწლი და ამაგი ერის წინაშე. დავით აღმაშენებლის ძლევამოსილებაა დახასიათებული ერთ-ერთ ეპიტაფიაში, რომელიც დიდხანს ხალხურად იყო მიჩნეული, მაგრამ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ XIV საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლის – "ხელმწიფის კარის გარიგების" – აღმოჩენამ ცხადყო, რომ მისი ავტორი დავით აღმაშენებლის თანამედროვე ცნობილი მწერალი არსენ იყალთოელია:

როს ნაჭარმაგევს მეფენი
შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი სპარსნი და არაზნი
სამზღვართა იქით გამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთაგან
იმერთა შიგან ჩამესხნეს
და აწ ამისსა მოქმედსა
ველნი გულზედა დამესხნეს.

(სიხარულიძე, 1949: 123)

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დიდებული ეპიტაფია პირველწყაროს აღმოჩენამდე სწორედ ხალხურმა სიტყვიერებამ გადაარჩინა, შემოინახა და ბოლო დრომდე ზეპირსიტყვიერად ვრცელდება.

შესანიშნავად არის აღწერილი მეფის მრავალმხრივი ღვაწლი ერის წინაშე ოცდაოთხსტრიქონიან ხალხურ ლექსში, რომელიც მთქმელს თუ ჩამწერს ასე დაუსათაურებია: „ძველი ლექსი დავით აღმაშენებელზე“ (ჩაწერილია ილია ჭავჭავაძის მიერ, დაიბეჭდა 1902 წელს "მოგზაურში" (N 1):

გიამბობ სიფრიადესა
დავითის აღმაშენთასა,
მტკიცესა მკლავსა განმგესა,
წყობასა სპარაზენთასა.
მალლით განცდასა, ქუენასა
ლალვათა აღნაგზენთასა
და ქუელთა საქმეთა ურიცხუთა
გლახაკთად მინაფენთასა...

(სიხარულიძე, 1949: 124)

ლექსში აღწერილია ხალხის საყვარელი მეფის დიდი ამაგი მშობლიური ქვეყნი-
სადმი; მასში დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის თითქმის ყველა მხარეა მოცემული.
ხალხმა მართებულად შენიშნა საქართველოს მეფის მოღვაწეობის ძირითადი მიმარ-
თულებები: აღმშენებლობითი საქმიანობა, ქველმოქმედება, კულტურულ-საგან-
მანათლებლო მოღვაწეობა:

... ვინა მიიღო საზომი
უთულავთა მათ ძლუნთასა,
ხიდთა, გზათა და ზღუდეთა,
ხანაგათ, კვლავ ნაყენთასა,
და იყო დიდი სიმრავლე
განრკუნთა, თქმულთა ბრძენთასა.
მკურნალთ ჯადოდის სულისა
და ხორცთ შექმნელთა სენთასა,
მოწმედ სწყალობდის მოძღუართა
ათონით მონავლენთასა,
ათენსა სწვრთნიდის ჭაბუკთა,
იყალთოს მონასმენთასა,
და სთესდის მადლსა და სიბრძნესა,
სულმნთებდთა აღმაფრენასა.

(სიხარულიძე, 1949: 124)

ქართველმა ხალხმა დავით აღმაშენებლის უშუალო ხელმძღვანელობით
შეძლო მშენებლობის გაჩაღება ქვეყნის აღსადგენად. ეს დიდი ისტორიული
მოვლენები შთამაგონებელი იყო სახალხო მთქმელებისათვის, რომელთაც შექმნეს
პატრიოტული ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები ეროვნულ
გმირზე. მშენებლობის თემატიკას განეკუთვნება დავით აღმაშენებლის ციკლის
ხალხური ლექსი „დავით თქვა“, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში“ (1902, № 117);
ლექსი ჩართულია ე. ვაშაკიძის წერილში „ჩვენებური ამბები (რაჭა)“:

დავით თქვა: გორი მეკეთა,
ქალაქი ასაშენებლად.

დავუბრუნდე და დავშალო?

ბრალია დასაშენებლად!

(ქ. ხ. პ., 1984: 14)

პოემაში „სადღეგრძელო“ გრიგოლ ორბელიანი ხაზგასმით მიანიშნებს დავით აღმაშენებლის მეფობის დროს გაჩაღებულ გრანდიოზულ მშენებლობაზე:

დავით ჰსთქვი: „იყავ ქალაქნი!“ და აღმოცენდნენ ქალაქნი!

განჰვლე უდაბნო ოხერი, - სავსედ დაბებით შეჰქმენი!

დაჰკარ წერაქვი, – და აღჩნდნენ ტამარნი ტურფად ნაშენნი!

მუნ შენტან ღმერთსა ჰმადლობენ გალობით შენნი ივერნი!

(ორბელიანი, 2013: 81)

დავით აღმაშენებლის ციკლის მშენებლობის თემატიკიდან გამოირჩევა ზეპირ-სიტყვიერებაში დღემდე ცოცხალი გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები გელათის მონასტრის, ეკლესიებისა და ციხე-სიმაგრეთა აშენებაზე. გელათის მშენებლობას უკავშირდება ერთ-ერთი ხალხური გადმოცემა: „დავით აღმაშენებელი იყო ძალიან მოწყალე და ღვთის მოყვარე. იმას უყვარდა ეკლესიების შენება და ძალიან ხალისიანადაც ასრულებდა ამ საქმეს. ერთი ომის დამთავრების შემდეგ დავითმა მოისურვა, აეგო დიდებული გელათის მონასტერი. მისი ნება, რასაკვირველია, უნდა ასრულებულიყო. მუშები დაიბარეს და დაიწყეს შენება...“ (ქ. ხ. ს., 1970: 226).

რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანიც, ბუნებრივია, აღტაცებულია დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ეპოქით, როცა საქართველომ შეძლო გაერთიანება, მშვიდობის დამყარება და „ფენიქსებრ“ აღდგომა ფერფლიდან:

ხმა-ჰყავ და აღსდგა ივერი, ფენიქსებრ განახლებული,

დიდების სხივით შემოსილ მშვიდობით აღყვავებული!..

(ორბელიანი, 2013: 81)

მეფე დავით მეოთხისადმი მიმართული ქება მოწმობს გრიგოლ ორბელიანის დიდ სიყვარულსა და ნოსტალგიას ძველი საქართველოს გმირული წარსულისადმი, „ქართლის ცხოვრების“ საუკეთესო ფურცლებისადმი, რაც რომანტიკოსი პოეტისათვის სანუკვარი და საოცნებოა.

ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსში „ჰე, საქართველო“ მისტირის იმ დროს, როდესაც მისი სამშობლო იყო კაშკაშა ვარსკლავი მის შემოგარენ მუსლიმურ ქვეყნებში, როცა

დავით აღმაშენებლის ძალა შიშის ზარს სცემდა ურჯულოთ; რომანტიკოსი პოეტი აიდეალებს დროს, რომელიც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი და საამაყო ისტორიის ფურცლებზე ოქროს ასოებით იწერებოდა:

ჰე, საქართველო, პტოლომეს დროს აყვავებული
მშვენიერ იყო, მარა რა?! ვით ამა სოფლის ყოველი,
კეთილი, მოსაწონელი, შავმა დრომ ფერხით გასთელა,
დააჭვნო ვარდი წალკოტში, მით ჩემი გულიც მისთვლილა,
გაჰქრა დავითის ხმლის ელვა, ჩაჰქრა თამარის ლამპარი,
ოქროს დრო ჟამმა შესცვალა, აგარეანთა სრბოლამა,
შეიქმნა ვაი-ვიშვიში, საქრისტეანოს რბევა და
ქართველთა სისხლის დინება, გული შეზარა სრევამა...

(ჭავჭავაძე, 1992: 64)

„დავით აღმაშენებელი თავისი ეპოქის (XI საუკუნის მიწურული და XII საუკუნის პირველი მეოთხედი) ღვიძლი შვილი იყო, სწორად ესმოდა ამ ეპოქის მოთხოვნილება და ატარებდა ღრმა გარდაქმნებს: უკუაგდებდა დრომოჭმულს და ნერგავდა ახალს“ (ლორთქიფანიძე, 2008: 397).

დავით აღმაშენებლის ციკლის საისტორიო ფოლკლორის თემატიკა იმ სამხედრო ძლიერებითა და გრანდიოზული მშენებლობითაა განსაზღვრული, რომელიც დავითის დროის საქართველოში იყო. ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს უბანი გამოირჩევა ღრმა სოციალური შინაარსით და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. სახალხო მთქმელებს მრავლად შეუქმნიათ პატრიოტული ხასიათის ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები ეროვნულ გმირზე, რომელმაც შეძლო საქართველოს გაერთიანება, გაძლიერება და ფეხზე დაყენება. ბუნებრივია, ეს დიდი ისტორიული მოვლენები შთამაგონებელი იყო ქართველ რომანტიკოსთათვის, რომლებმაც უდიდესი სიყვარულითა და მონატრებით წარმოაჩინეს მეფე დავით მეოთხის დიდებული სახე.

5. თამარ მეფე

თამარი პირველი მეფე ქალია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მეფური აღლოს, გამჭრიახი გონებისა და დიდი ნებისყოფის წყალობით, თამარმა ბრძნულად წარმართა ქვეყნის მმართველობა; „მან საქართველოს მტერთა ყველა შემოსევა მოიგერია და კიდევ უფრო განამტკიცა, გააძლიერა და გაამდიდრა თავისი სამშობლო. ხალხი მშვიდობიანად ცხოვრობდა, ქვეყანაში იდგა დიდი მშენებლობის დრო. ამიტომ თამარის მეფობის ხანა საქართველოს ისტორიაში ცნობილია „ოქროს ხანის“ სახელწოდებით...“ (აბაშიძე, 2017: 156). სწორედ ამიტომ ხსოვნა ქართველთა საამაყო მეფე ქალისა ხალხის მეხსიერებას შეუბღალავად შემოუნახავს, შეუქმნია ჟანრობრივად მდიდარი ზეპირსიტყვიერება, რამაც საუკუნეებს გაუძლო და ქართველთა ეროვნული სიამაყის ერთ-ერთ გამოვლინებად იქცა.

თამარ მეფის ციკლის ლექსებით, გადმოცემებით, თქმულებებითა და ლეგენდებით მდიდარია ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერება, რომელიც „შთაგონებულია საქართველოს ბრწყინვალე ეპოქით, ხალხის თვითშეგნებითა და იმედით, პოლიტიკური ძლიერების, კულტურისა და მშვიდობიანი მშენებლობის იდეით. ამ ციკლის ნაწარმოებთა მრავალფეროვანი თემატიკა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ეპოქითაა განსაზღვრული“ (სიხარულიძე, 1949: 126).

რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანიც, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი თავისი ქვეყნისა და მისი გმირული ისტორიის მოტრფიალე, უდიდესი სიამაყით საუბრობს ივერთა სათაყვანებელ და საამაყო თამარ მეფეზე. „სადღეგრძელო“ ავტორი აღტაცებული საუბრობს საქართველოს წარსულის იმ დიდებულ მონაკვეთზე, როდესაც მოღვაწეობდა თანამედროვეთაგან სამების მეოთხე წევრად აღზევებული და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მითოსურ რწმენა-წარმოდგენებში ღვთისშვილად შერაცხილი ღვთივკურთხეული თამარ მეფე. პოეტი ასე ახასიათებს სათაყვანებელ მეფეს:

ვარსკვლავად გვინათს სახე ნათელი,
თვალნი სიამის გამომაცენნი,
სარო-ტანადი, ნაზად მრხეველი,
თითნი ნარნარად ბროლის ნათალნი!

(ორბელიანი, 1992: 357)

თამარ მეფის პორტრეტს თავის მხრივ დიდებულად წარმოაჩენს ქართული ხალხური პოეზია; მისი სილამაზესა და გონიერებაზე არაერთი ხოტბითი ხასიათის სტრიქონი შეუქმნიათ სახალხო მგოსნებს. ხალხურ სიტყვიერებაში ყველაფერი საუკეთესო, დიდებული, სანუკვარი თამარის სახელს უკავშირდება:

ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო,
თმები გქონდა ხუჭუჭი,
თვალეები გეჯდა გიშრისა,
კბილები გქონდა მარგალიტისა...

(სიხარულიძე, 1949: 72)

ერთ-ერთი ხალხური ლექსი „ასეთი იყო თამარი“ ამგვარად წარმოაჩენს სანუკვარი თამარის ხატებას:

ტყეს რომ შევყურებ აქოჩრილს,
მისი ნაწნავი მგონია,
მთაში წყაროთა ჩუხჩუხი
თვალზე ცრემლმონაჟონია;
მოდზე ყაყაჩოს სიწითლე
მისი ტუჩების ზოლია;
.....
მდინარეები ცელქები
მისი თითების ტოლია;
ქართლისა მთაგრეხილები
მის წარბთა თანასწორია;
სიმადლე იალბუზისა
აღვა ტანისა სწორია;
დილით მზის გამოშუქება
მის კბილთგან მონაკრთობია...

(“ნამცვრევი”, 1989: 115)

სხვა ხალხურ ლექსში „...თამარ ქალო...“ ქართველთა სათაყვანებელი თამარ მეფის სილამაზე გელათის დიდებულ საყდართან და ამომავალ მზესთან ასოცირდება:

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამა ხარო!
ნეტავ რა არის მისთანა,
საყდარი გელათისთანა,
ამომავალი მზისთანა,
მეფე თამარ ქალისთანა!

(ქ. ხ. პ., 1984: 15)

პროფესორ ქსენია სიხარულიძის მართებული შენიშვნით, „თამარ მეფის სათნოება, ხელგამლილობა და კაცთმოყვარება სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში არა მხოლოდ მისი უშუალო მოქმედებითაა მოცემული, არამედ – მთქმელების წინასწარი დახასიათებით“ (სიხარულიძე, 1949: 257).

ინგილოური გადმოცემით, თამარ მეფე – „ეს ანგელოზი არსება ყველა ქართველს დედობას უწევდა, ყველას ერთნაირად უვლიდა და ეპატრონებოდა“ („საქ. კალენდარი“, 1890: 415).

საქარაში ჩაწერილი ლეგენდის თანახმად, თამარი „მეტად გულმოწყალე იყო. ისე დღე არ წაუვიდოდა, რომ რამე მოწყალეობა არ გაეცა. სამოწყალოდ ის უფრო თავის ხელით ნაკეთებს და ამ ნაკეთებში ადებულ ფულს არიგებდა“ („მოგ.“, 1901: N 8, 9).

თამარ მეფის გულუხვობისა და ხელგამლილობის კიდევ ერთი დასტურია იმერეთში, სოფელ დიმში, 1940 წელს ქეთევან ბურჯანაძის მიერ ჩაწერილი თქმულება, რომლის თანახმადაც, თამარი გორში შეხვედრია ერთ თავის სარდალს, რომელსაც არაგვი გაუცურავს და იქიდან ნანადირევი გამოუტანია. სარდლის ვაჟკაცობით აღფრთოვანებულ თამარს იგი უხვად დაუჯილდოვებია და ლექსად უთქვამს:

მიჩუქნია რეთი,
ბრეთი, არადეთი,
გორს - წისქვილი,
ატენს - ზვარი,

ვითამ მწვანე

კიტრი არი.

(ქ. ხ. ს. სიტყ.: 1961: 98)

გრიგოლ ორბელიანსაც, ისევე როგორც მის მშობელ ქართველ ხალხს, თამარ მეფე მშვენიერების, სიკეთისა და ქველმოქმედების სიმბოლოდ ესახება:

ვითარცა ღმერთა მშვენიერების,
ქველ-მოქმედების, სახიერების,
ვით მტრედი მაღლის მშვიდი და წყნარი
ეგრეთ მშვენიებით მოვალს თამარი!
სხივ-ცისკროვანი მისი გვირგვინი,
უპყრავს დიდებას და სათნოებას...

(ორბელიანი, 1992: 357)

თამარ მეფის ბრძნულმა მოღვაწეობამ, ქველმოქმედებამ, სათნოებამ განაპირობა ხალხში მისი განუსაზღვრელი ავტორიტეტი, სიყვარული, რასაც სრულიად ბუნებრივად მოჰყვა სახალხო მთქმელთა შთამბეჭდავი სტრიქონები, რომლებშიც თამარ მეფე უკვდავების შარავანდედით არის შემოსილი და „ღმერთთან წილნაყარად“ არის გამოცხადებული:

პირველად ღმერთი ვახსენით,
ეგ უფრო დიდებულია,
მემრ თამარ ნეფე ვახსენოთ,
ეგ ღმერთთან წილდებულია...

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1961: 202)

თამარ მეფის ციკლის ერთ ფშაურ საფერხულო ლექს-სიმღერაში „...ბრძანებდა დამბადებელი...“ ხაზგასმით არის აღნიშნული თამარის წმინდანობა, მისი ძალმოსილება და ქვეყნისათვის თავდაუზოგავი ზრუნვა; ლექსი მოწმობს, რომ ხალხმა საყვარელი მეფე ღვთისშვილებს გაუტოლა და მითური ელფერი შესძინა მის სხივნათელ სახეს:

...ღვთისშვილთა ჰყავის წმინდაი
თამარი დედოფალიო,
უფლისა იყო ბრძანება -

შაირტყა მამის ხმალიო!..

(ქ. ხ. ს. სიტყ.: 1961: 71-72)

პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძის მართებული დასკვნით, „თამარ მეფემ, როგორც დიდმა სახელწიფო მოღვაწემ, დახვეწილმა დიპლომატმა, კარგად აუღო ალღო შექმნილ ვითარებასა და ეპოქის მოთხოვნათა დონეზე აღმოჩნდა ... ქართველმა ხალხმა გააიდებალა თამარის სახე და ლეგენდარულ პიროვნებად აქცია“ (ლორთქიფანიძე, 2008: 433).

გრიგოლ ორბელიანსაც, რომანტიკული მსოფლმხედველობის შესაბამისად, გაიდებულნი ჰყავს თამარი ისევე, როგორც ეტრფის თამარის „ოქროს ხანას“ ქართველი ხალხი. პოეტი ერთის მხრივ თამარს ახასიათებს როგორც სათნო, წმინდა, ქველმოქმედ პიროვნებას, ხოლო, მეორეს მხრივ საგანგებოდ გახაზავს, რომ ის იყო მებრძოლი, ძლევამოსილი, შეუპოვარი, პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ხალხისა, რისთვისაც

წინაშე მისსა ძლევა და მუზნი

განადიდებენ მისსა მეფობას!

(ორბელიანი, 1992: 357)

სამშობლოს მტრებთან ომებში თამარის ძლევამოსილ გამარჯვებათა ხოტბაა სვანეთში გავრცელებული ხალხური ლექსი „...თამარ მეფევ...“, რომლის თანახმადაც მტრის დამხობის შემდეგ ძლევამოსილი მეფე თამარი დავლით მიემართება სვანეთისაკენ:

თამარ მეფევ, თამარე,

სად ყოფილხარ, თამარე?

ვის ეომე, ვინ დარისხე,

ვინ დაამხე, თამარე?

მტერი დაგიმარცხებია,

დავლით მოხვალ, თამარე!

სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ,

ძლევით მოხვალ, თამარე!

(სვან. ხ. ლ., 1968: 14-15)

პროფესორ თინა შიოშვილის დასკვნით, „...ძლევამოსილი, ამაღლებული თვისებებით შემკული მეფე ქალი არა მარტო თანამედროვეთათვის, არამედ შემდგომშიც

მრავალი თაობისათვის იყო კეთილშობილების, ზნეობრიობის, ამალღებული მოქალაქეობის, ქვეყნისათვის ზრუნვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში მისაბაძი და სამაგალითო“ (შიომვილი, 2014: 95).

ქართველი სახალხო მგოსნები თამარის პორტრეტის დახატვისას, მეფის სილამაზესთან ერთად, მიანიშნებენ მის საბრძოლო სულისკვეთებასა და სათანადო აღჭურვილობაზე:

... შიგნით გეცვა ატლასი,

გარეთ გეცვა აბჯარი ...

(სიხარულიძე, 1949: 72)

გრიგოლ ორბელიანის პოემის თამარ მეფისადმი მიძღვნილ მონაკვეთში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თამარის ეპოქის საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ქართველი ხალხის გმირული სულისკვეთება და ერთიანობა იყო. თამარისადმი მიმართულ სადღეგრძელოში გადმოცემულია სცენა დიდუბეში ლაშქრის თავმოყრისა საქართველოს ყველა კუთხისა და ტომის წარმომადგენელთა დახასიათებით. აქ არიან: კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, აბჯრით დამშვენებული ფშავ-ხევსურნი, მკლავით ძლიერი ქართლელნი, ფეხმარდი ოსები, ბრძოლაში შეუპოვარი მთიულეები, სწავლით ქებული მესხები, ზრდილი იმერლები, მშვილდოსანი აფხაზები, მკვირცხლი გურულები და მეგრელები. თამარი მათ ლოცავს ქრისტეს ჯვრით და ამხნევეს. პოემის თანახმად, თამარის გამაერთიანებელი დროშის ქვეშ იკრიბება მთელი ლაშქარი დიდუბეში, სადაც იდგა მეფის სასახლე:

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,

კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავ-ხევსურს ჰშვენის აბჯარი,

მკლავით ძლიერი ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,

ოსი ფეხ-მარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი!

მესხი სწავლითა ქებული, გმირი იმერი ზრდილობით,

და მშვილდოსნობით აფხაზი, გურული, მეგრი მკვირცხლობით...

(ორბელიანი, 1992: 358)

თამარისადმი და მისი დიდებული ეპოქისადმი მიმართული ქება მოწმობს გრიგოლ ორბელიანის განუზომელ სიყვარულს ძველი საქართველოს გმირული წარსულისადმი, რაც რომანტიკოსი პოეტისათვის ერთგვარი ნავსაყუდარი იყო. არაერთი

ლეგენდა და ისტორიული წყარო მოგვეპოვება, სადაც ქართველი სახალხო მგოსანი თუ მეისტორიე თამარს გვიხატავს, როგორც ერისა და ხალხის წინამძღოლს, მშობელ ქვეყანაზე მზრუნველ მეფეს; ამგვარია გრიგოლ ორბელიანის განწყობაც, რასაც მოსდევს მშვენიერი აფორიზმით („გული მეფისა ზღვა არის“) გამოხატული ლირიკული გადახვევა:

თამარი ლოცავს ჯვართა, ჯარს ამხნევს გულის უხვებით;
გული მეფისა ზღვა არის, უსამზღვროება წყალობით!..

(ორბელიანი, 1992: 358)

ქართველი მხედრობისადმი თამარის ზრუნვას გადმოსცემს ქართული ხალხური ლექსი „თამარ მეფე და ხონთქარი“, რომელიც საომარი მზადების ამსახველი არქაული საფერხულო სიმღერაა:

თამარ მეფე და ხონთქარი
მაღალმა ღმერთმა წაჰკიდა,
ზღვაში ჩაუშვა ხომალდი,
ზედ აღმასები დაჰკიდა,
შიგ ჩასხა ქართველთ ლაშქარი,
მრავალ წყალობას დაჰპირდა.

(ქ. ხ. სიტ., 1970: 229)

პატრიოტიზმით გაჟღენთილი ეს ლექსი თამარს წარმოგვიდგენს როგორც ქართველთა ლაშქარზე მზრუნველს, მტრის წინააღმდეგ საომარ სამზადისში მყოფს, რომელსაც ზღვაში აღმასებიანი ხომალდი ჰყავს და წყალობას არ აკლებს სამშობლოს დამცველებს. ქართველი მესტვირეების რეპერტუარში შესული ეს ლექს-სიმღერა დღემდე ცოცხალ ფოლკლორულ ბრუნვაშია.

ხალხური ხოტბის იშვიათი ნიმუშია სვანური საისტორიო-საფერხულო ლექს-სიმღერა „თამარ დედოფალი“, რომელშიც ძალუმად იგრძნობა მისი შემქმნელი ხალხის ადფრთოვანება ძღვეამოსილი მეფის დიდებულებით:

ო, სიხარულო, თამარ დედოფალო,
ყველაზე უკეთესო თამარ დედოფალო!
თმები გქონდა („გედგა“) ხუჭუჭი,
თვალეები გეჯდა გიშრისა,

კბილები გქონდა მარგალიტისა;
შიგნით გეცვა ატლასი,
გარეთ გეცვა აბჯარი;
ფეხზე გეცვა ჩექმები,
თავზე გედგა ზუჭი;
ცხენი გყავდა ქვიშისფერი,
უნაგირი გედგა ომ, მოჭედელი,
აღვირი გედგა მოვერცხლილი,
მათრახი გქონდა ოქროსი.
თამარ დედოფალო, თამარს,
ყველაზე უკეთეს თამარს!

(ქ. ხ. პ., 1984: 14)

ასეთივე აღფრთოვანებას გამოხატავს გრიგოლ ორბელიანიც თამარ მეფის მიმართ ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“:

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!..

(ორბელიანი, 1992: 346)

რომანტიკოს პოეტს უდიდეს სიხარულს ჰგვრის თამარის ფრესკის ხილვა; იგი თამარის ხატებას უმზერს როგორც სიხარულის, ისე მწუხარების ჟამს და სურვილი აქვს, სიკვდილამდე ასე გასტანოს და არ გამოფხიზლდეს, რათა აღარ იყოს მოწმე თავისი სამშობლოს სულით დაცემისა:

მიხარის - გიმზერ,
ვჰსწუხვარ და - გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე

ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..

(ორბელიანი, 2013: 68)

„შვენებით სავსეს“ უწოდებს გრიგოლ ორბელიანი თამარ მეფეს ამ დიდებულ ლექსში. „ეს ერთგვარი ვედრებაა პოეტისა, რომელიც წარსულში ეძებს მომავლის იმედს; ცრემლმორეულს, თან ახლავს სევდანარევი სიხარულიც, რომელიც გამოწვეულია ძველი დიდებით, და სევდა, რომელიც განაპირობა მისი ქვეყნის აწმყომ. ამგვარად მხოლოდ ხატის წინ ლოცულობენ მორწმუნენი... არ სურს გამოფხიზლება გრიგოლ ორბელიანს, რადგან მისი ერი სულიერადაა დაცემული...“ (ვარდომილი, 2007: N28). პოეტი თამარ მეფეს ბნელ ფერებში უხატავს ქვეყნის მდგომარეობას. მამულის წახდენის უპირველესი მიზეზი კი ისაა, რომ თამარის დიდება მოაკლდა ერს, შავმა დროებამ ფერი წაუხდინა და დააჭკნო წალკოტი. შავი დრო, პოეტისავე შენიშვნით, გულისხმობს შემოსევებს ლანგ-თემურისას და შაჰ-აბასისას, რომელთაც საშინლად ააოხრეს ქვეყანა. პოეტი იხსენებს ჩავლილ დიდებას და თამარს ესაუბრება, უმხელს გულისწუხილს:

ყვავილოვანი

წალკოტი შენი,

შენის დიდების სხივ-მოკლებული,

აღარა ჰშვენის,

აღარ გვიბრწყინვის

შავ დროთა ძალით ფერ წახდენილი!

და, ვით განვლილსა

სიზმარსა ტკბილსა,

მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,

ვიგონებთ შენს დროს,

გული გვიმაგროს,

სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!

(ორბელიანი, 2013: 68)

ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ თამარია საქართველოს დიდების სიმბოლო; პოეტი იგონებს მის სანუკვარ დროს და როგორც საქრისტიანოს მფარველსა და მხსნელს, ვითარცა ღვთისმშობელს, ევედრება:

მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს - მამულს,
და ჯვართ შენით აკურთხო კვალად...

(ორბელიანი, 1992: 347)

ამგვარი თხოვნა-ვედრება რომანტიკოსი პოეტისა სრულიად ბუნებრივი რეაქციაა და ეფუძნება საუკუნეთა განმავლობაში ქართველ ხალხში შექმნილ განწყობილებასა და ნოსტალგიას თამარ მეფის მმართველობის ეპოქისადმი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, „ოქროს ხანა“ ეწოდა; მშობელი ქვეყნისადმი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის უდიდეს გრძნობას, რაც უფლის უზენაესი სურვილიც იყო და რაც თამარის ციკლის ზეპირსიტყვიერებაშია ჩაქსოვილი; ამის დასტურია ხალხური ლექსი „... შვიდი წლის ქალი თამარი...“ (შიომვილი, 2014: 29-30), რომლის თანახმადაც, მცირეწლოვან უფლისწულს უკვე ქვეყნის დაცვა-პატრონობა ავალია და ყველა სტიქიას იმორჩილებს უფლის ძალით; მითოპოეტური ლექსი „... ქალმა თქვა თამარ ნეფემა...“ კი მოგვითხრობს, რომ თამარს დაბადებიდანვე ქვეყნის პატრონობის ფუნქცია მიანიჭა უზენაესმა:

... მაშინვე ჩანდა, თამარო,
როდესაც დაიბადეო;
მესამე თვე რომ გაგიხდა,
აკვანშიითა ასდეო,
ჯერ ხელ-პირ ჩამაიბანე,
მემრ პირჯვარ დაისახეო.
ჩიქილა გადაგეხურა,
ვერ გავიგ, სად რა წახვეო,
მოხვედი მეშვიდე წელსა,
სთქვი: - შუა ზღვაი ვნახეო.

(ქ. ხ. პ., 1984: 213)

თამარის დედისეული თხრობა მომავალი მონარქის ქცევებზე ამ არქაული რწმენა-წარმოდგენებით დახუნძლულ ლექსში მიუთითებს თამარის ინიციაციაზე და მის ღვთაებრივ მისიაზე – წარუძღვეს და ეპატრონოს მის ქვეყანას. ამიტომაც ქართველი ხალხის ცნობიერებაში სათაყვანებელი მეფე თამარი ყოველთვის ცოცხალი იყო;

ძნელბედობის ჟამს თამარს შესთხოვდნენ დახმარებას, ევედრებოდნენ, გადმოეხედა მისი ნაამაგარი ქვეყნისათვის. მესხური ლეგენდის თანახმად, „ბრწყინვალე დედოფალი გარდაიცვალა, მაგრამ არ იციან, სად არის. მისი გვამი ღმერთმა დამალა, რათა შემდეგში აღედგინა; ხალხი კი ძლიერ შეაწუხა მისმა გარდაცვალებამ, მაგრამ, რადგანაც ის მაინც უნდა აღდგეს, ამისათვის იმედს არ ჰკარგავენ და ხშირად იმდერიან ხოლმე:

აღსდგე, თამარ დედოფალო,
შენთვის სტირის საქართველო!“

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1961: 85-87)

რა გასაკვირია, რომ, სახალხო მოქმელის მსგავსად, გრიგოლ ორბელიანიც შესთხოვს თამარ მეფეს, მოხედოს მის ქვეყანას, რათა დაუბრუნოს ძველი დიდება, რომელიც მას ჰქონდა, რათა ქართველები ღირსეულად დადგნენ სხვა ერთა შორის, კვლავ გაერთიანდნენ მტკიცე რწმენით, მდიდარი ენითა და სწავლით შუქით გაბრწყინებულნი და ზნეამაღლებულნი:

შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდართით,
ენით მდიდართით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძალით დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა!

(ორბელიანი, 2013: 69)

„თამარის გასხივოსნებული, ზნეობრივად გასპეტაკებული სახე, სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარულით ანთებული მისი ღრმა ჰუმანური პიროვნება ხომ ყოველთვის, ყველა ეპოქაში იტევდა ადამიანთა ზნეობრივი მოძღვრის საპატიო ფუნქციას; ქართველი ხალხისათვის ყოველი ისტორიული ძნელბედობის ჟამს თამარ მეფე და მისი ძლევამოსილი ეპოქა სამაგალითო და მისაბაძი იყო“ (შიომვილი, 2014: 224). ამის დასტურია დღეს თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი

ჩვენებურების ნოსტალგია დღემდე მათ ისტორიულ მეხსიერებაში იმედად შემორჩენილი თამარ მეფისადმი; ქართველ მუჰაჯირთა ზეპირსიტყვიერებამ ბოლო დრომდე შემოინახა „დიდ დედად“ აღიარებული სახელი თამარ მეფისა; ისინიც მის დიდებულ აჩრდილს შესჩვიან, რომ შორს არიან საქართველოდან („შორ დიგვირჩა მემლექეთი“) და შესთხოვენ, შემწეობა აღმოუჩინოს სამშობლოდან მოშორებულთ:

ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ...
ზითვალ გიგავს პირიო,
მე შენთვინა, და ვტირიო,
რას დაგვაკლებს მტერიო,
მეც იმაზე ვმღერიო.
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ...
ჩუენო დიდო დედაო,
ეს რა დეგვებედაო!
ჩუენო, დიდო ანაო,
აქ რამ და მოგვიყვანაო!
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ!..
შორ დიგვირჩა მემლექეთი,
ღმერთო, მეგვე ბერექეთი!
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ,
ვორირავ და ქამარავ,
რეროვ, რერავ და ქამარავ!

(ფუტკარაძე, 1993: 55)

ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ასახული თამარ მეფის ნათელი პიროვნებისათვის დამახასიათებელი გულუხვობა, შრომისმოყვარეობა და სხვა სათნოებანი,

როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, „გენეტიკურ კავშირშია თამარის თანამედროვე ისტორიკოსის ცნობებთან და ერთგვარად ეხმაურებიან შავთელისა და ჩახრუხადის პოეზიას“ (სიხარულიძე, 1949: 136); თუმცა, ბუნებრივია, მათ ერთი და იმავე წყარო ასულდგმულებთ და ეს ისევ და ისევ ხალხურ სიბრძნეში თავჩენილი თამარის ხოტბაა. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ხომ ყველაზე მეტი ლეგენდა, ლექსი, თუ თქმულება თამარ მეფის სახელთანაა დაკავშირებული. ხალხი უმდერის თამარის სილამაზეს, გულუხვობას, მის სახელმწიფო მმართველობის უბადლო ნიჭს, სიკეთეს, კეთილშობილებას; ზეპირსიტყვიერების თანახმად, თამარი ქვრივ-ობოლთა, გაჭირვებულთა, გლახაკთა ქომაგი და დამხმარეა; იგი გმირია, რომელიც ხმლით ხელში მიუძღვის თავის ხალხს მტრების წინააღმდეგ და სწორედაც ამგვარია გრიგოლ ორბელიანისეული თამარის ხატებაც; სწორედ ამიტომაც რომანტიკოსი პოეტი ბეთანიის ეკლესიის კედელზე გამოსახულ თამარ მეფის ფრესკას შეჰღაღადებს დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და კრძალვით...

რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძეც, აგრეთვე, აიდეალებს დროს, როდესაც თამარ მეფის ფიზიკური და სულიერი სილამაზე ამშვენებდა და მზის სხივივით ეფინებოდა საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს; ისიც მისტირის ეპოქას, რომელსაც ქართველმა ხალხმა „ოქროს ხანა“ უწოდა და უდიდესი სინანულით ამოთქვამს, რომ ჟამთა სვლამ წარიტაცა დავითისა და თამარის დიდებული ხანა:

გაჰქრა დავითის ხრმლის ელვა,

ჩაჰქრა თამარის ლამპარი!..

(ჭავჭავაძე, 1986: 23)

მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური მდგომარეობა ალექსანდრე ჭავჭავაძის სამოღვაწეო დროში და, ბუნებრივია, რომანტიკული მსოფლმხედველობისათვის მიუღებელი აწმყოთი უკმაყოფილოა პოეტი და თამარის შემდგომ ეპოქასაც მძიმედ განიცდის. ეს ისტორიული ძნელბედობის ტკივილებია, რამაც შვა ჭავჭავაძის ეპოქა – ფიზიკური გადარჩენისათვის, რელიგიის გადარჩენისათვის უცხოტომელთან შეგუება; თამარ მეფისეული „ოქროს ხანა“ მუსლიმთა თარეშმა და ქრისტიანების რბევამ შეცვალა; დასუსტდა საქართველო, ძნელბედობის ჟამი დაუდგა:

ოქროს დრო ჟამმა შესცვალა,

აგარეანთა სრბოლამა,
შეიქმნა ვაი-ვიშიში,
საქრისტეანოს რბევა და
ქართველთა სისხლის დინება,
გული შეზარდა სრევამა.

(ჭავჭავაძე, 1986: 23)

მშობელ ხალხს, ისე როგორც ჩვენს რომანტიკოსებს, გულით უყვარდა თამარ მეფე, რომელსაც “დიდ დედად” მოიხსენიებდნენ, გელათის ტაძარს უდარებდნენ, ხოლო ისტორიკოსებმა სამართლიანად უწოდეს „მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“.

6. ერეკლე მეორე

ერეკლე მეორეს, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიიდან ყველაზე ხანგრძლივი დროის მონარქს, მძიმე და რთულ ხანაში მოუხდა მეფობა; ის ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ საქართველო და ქართველი ხალხი არ დაჩაგრულიყო; სწორედ ამიტომ მისი სახელი დიდი პატივით შემოინახა ისტორიამ, ზეპირსიტყვიერებამ, ლიტერატურამ; სწორედ ამიტომაც სახალხო მთქმელთაგან ქვეყნისათვის „რკინის კარად“ შერაცხილი „პატარა კახი“ რომანტიკოსი პოეტების იდეალური გმირია. როგორც პროფესორი თინა შიოშვილი აღნიშნავს, „მდიდარმა ქართულმა ხალხურმა საისტორიო სიტყვიერებამ ჩვენი ქვეყნისათვის თავდადებული გმირებისა თუ ისტორიული მოვლენების შესახებ შექმნილი ნაწარმოებებით მნიშვნელოვნად შეავსო „ქართლის ცხოვრების“ ცარიელი ფურცლები. ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეულია ერეკლე მეორის სახელთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერება, რომლითაც ჩვენმა ხალხმა ზეპირშემოქმედებითი ძეგლი დაუდგა ღირსეული მამულიშვილისა და მისი თანამებრძოლების ნათელ ხსოვნას“ (შიოშვილი, 2005: 164).

არც სიტყვაკაზმულ მწერლობას გამოუჩენია სიმუნწე ამ ღირსეული მეფის წინაშე; მართლაც, როგორც მკვლევარი მანანა კაკაბაძე აღნიშნავს, XIX საუკუნის ლიტერატურაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ერეკლეს თემა, იგი ასეთ ჟღერადობას შემდეგ ვეღარასოდეს მიაღწევს. ერეკლე ქართველ რომანტიკოსთათვის არა მხოლოდ ისტორიული პირია, ან მახლობელი ნათესავი, სათაყვანო წინაპარი, არამედ მათი შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა. იგი მათი შთაგონებაა, პოეტური აღმაფრენაა (კაკაბაძე, 1999: 251).

გრიგოლ ორბელიანის შთაგონების წყარო პოემაში „სადღეგრძელო“, ლექსებში – „იარალის“, „...ჰე, ივერია“ და სხვა ქართველთა გამორჩეული გმირი – ერეკლე მეფეა. პოეტი „მწვავედ განიცდის ძველი, დამოუკიდებელი ივერიის დაცემას. იგი ხედავს, რომ მისი ქვეყანა ქედმოხრილია... ვერ შერიგებია იმ გარემოებას, რომ თავისუფლებისმოყვარე გმირი ხალხი, რომელიც ცნობილი იყო თავისი მეზობელი ბუნებით, ახლა დაბეჩავებული გამოიყურება“ (მახარაძე, 1967: 207). რომანტიკოსი პოეტი საუბრობს იმაზეც, რომ „ახალი დროის ქართველიც აღარა ჰგავს ძველს, რომელიც მამულის თავისუფლებას სისხლით იცავდა“; სწორედ ასეთი აწმყოთი უკმაყოფილო მგოსანი ასე მიმართავს მის თანამედროვე ქართველობას ლექსში „...ჰე, ივერია“:

ჰე, ივერია! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!

(ორბელიანი, 2013: 23)

ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო პოეზია, ისევე როგორც პოეტი გრიგოლ ორბელიანი, მისტირის იმ დროს, როცა მეფობდა ერეკლე მეორე, როცა ქართველობა საამაყო მეფის ზრუნვის ობიექტი იყო. ერთ ხალხურ ლექსში ამგვარად არის დახატული მეფე ერეკლეს ეპოქა:

მეფის ერეკლის დროჩიგა
შორს მოვადოვნნი პროხანი,

დავწევ და ისე მეძინის,
ზედ წავიხურნი ჩოხანი,
ახლა ასეთ დროს ჩავვარდი,
მენატრებიან დოსანი.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 378-379)

ანდა:

მეფის ერეკლის დროშია
შორს გავრეკნოდი ძროხანი,
წავწოდი, წავიძინოდი,
წავიხურნოდი ჩოხანი.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 379)

ლექსში იგრძნობა ის დიდი ნდობა და სიყვარული, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა გმირი, ხალხისათვის მზრუნველი მეფის მიმართ.

როგორც ოფიციალური ისტორიკოსები და სახალხო მთქმელები გადმოგვცემენ, ერეკლესათვის ხალხს სიყვარულით „პატარა კახი“ შეურქმევია. ერეკლე მეორე ჭეშმარიტი სახალხო გმირი იყო, რომელმაც მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა თავისივე სასიქადულო საქმეებით დაიმსახურა და არა მხოლოდ ბაგრატიონთა გვირგვინის ტარებით. სწორედ ამიტომ ხალხმა მოფერებით „პატარა კახი“ შეარქვა და ეს სახელი სიბერემდე შერჩა:

ჩვენი ერეკლე ხელმწიფე
ერთი პატარა კახია,
ჩაიცო ჯაჭვის პერანგი,
გაიკრა ხელი, გახია.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 219-220)

ანდა:

ეს ჩვენი მეფე ერეკლე
ერთი პატარა კახია,
რკინის პერანგი ჩააცვს,
ხელი გაჰკრა და გახია.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 220)

გრიგოლ ორბელიანიც „პატარა კახის“ სახელით მოიხსენიებს ერეკლე მეორეს პოემაში „სადღეგრძელო“ და, ამასთანავე, ხაზს უსვამს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და საყვარელი იყო მეფე ირაკლი ქართველთათვის. იგი სასიქადულო მეფეს ივერთა „ნუგეშ-დიდებას“ უწოდებს და აღფრთოვანებით ამოთქვამს ქებას მამაცთა შორის საკვირველი პატარა კახისას:

აჰა, ივერის ნუგეშ-დიდება,
თვისის დროისა გამშვენებელი,
მამაცთა შორის საკვირველება,
პატარა კახი, მეფე ირაკლი!

(ორბელიანი, 2013: 83)

ქართულ ხალხურ საისტორიო-საგმირო პოეზიაში „პატარა კახის“ თემატიკის არაერთი ლექსი მოგვეპოვება, რომლებიც გაჯერებულია ქართველი ხალხის უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით მეფე ერეკლესადმი, მისი საარაკო გმირობათა გადმოცემითა და სრულიად ბუნებრივი ეროვნული სიამაყით:

ჩვენი ბატონი ერეკლე
ერთი პატარა კახია;
ჭარის ბოლოში ლეკების
ჯარი შუაზე გახია.
ეგ იყო ნეფე ერეკლე,
ბელადო, ვერა ჰნახია?
ჩამოგახივნა ჩოჩანი,
სადილიც მწარე გაჭმია!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 9)

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში გულწრფელობითა და უშუალობით არის გამოხატული ქართველთა მდიდარი ბუნება, მისი სულიერი მხნეობა, დიდი ნებისყოფა და გამარჯვების ურყევი რწმენა, რომლის უშუალო შემოქმედი და განმამტკიცებელიც იყო ერეკლე მეორე – ხალხის უსაყვარლესი პატარა კახი, რომლის შთამაგონებელი ვერბალური პორტრეტის სრულქმნასა და ჩამოყალიბებაში თვით ეს უშრეტი ხალხური წყარო იყო მთავარი დამპყრებელი, ხოლო თავის მხრივ საამაყო მეფე ერეკლე თავისი პიროვნული თვისებებით, ავსებდა და აფართოებდა ამ წყაროს.

ქართველი ხალხის წარმოსახვა საუკუნეების განმავლობაში გმირის იდეალს სრულყოფდა, გარკვეული ნორმების ყალიბში აქცევდა, რაც ერის რჩეულ ვაჟკაცებს უნდა დაეკმაყოფილებინათ; სწორედაც ეს არის საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერების უზენაესი აღმზრდელობითი მისია და ამ თვალსაზრისითაც განუზომელია მეფე ერეკლეს ციკლის საისტორიო ზეპირსიტყვიერების როლი.

ქართველობას თავისი საყვარელი მეფე ერეკლე ესახებოდა როგორც ნამდვილი გმირი, უებრო მეომარი, სწორუპოვარი პატრიოტი, თავგანწირული მებრძოლი, ჭემმარიტი პატრონი ხალხისა და ქვეყნისა; ყველა ზნეობრივი ნორმისა და სავაჟკაცო კოდექსის მატარებელი:

მეფე ერეკლემ დასჭყვილა
იმ თავის გორდა ხმალსაო:
- შენ რაღას იტყვი, ფრანგულო,
რატომ არ იღებ ხმასაო?!
უშიშრად შემომიტიე,
მკლავში მიმატე ძალსაო,
გაკვეთა ჩემზე მოაგდე,
სად გავუგორამ თავსაო!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 285)

ქართველი ხალხის მიერ შექმნილ ამ სავაჟკაცო-სარაინდო ლექსში იგრძნობა გმირი წინაპრის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი მგზნებარე გულის ძგერა; სწორედ ამ კუთხით აფასებს გრიგოლ ორბელიანი თავისი ხალხის საყვარელსა და სანატრელ მეფეს; პოემაში „სადღეგრძელო“ პოეტი ხაზგასმით მიანიშნებს, რომ ომის ბედს სწორედ მეფე ერეკლეს გამოჩენა სწყვეტდა:

წარბშეჭმუხვნილი, ხმალ-ხელ მოწვდენით,
ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!
ერთის შეხედვით, მტერთა შემუსვრით
ბრძოლა წამსავე გარდასწყდებოდა!

(ორბელიანი, 2013: 83)

ეს მშვენიერი სტრიქონები, ალბათ, შთაგონებულია მეფე ერეკლეს დაუღალავი და შეუბღალავი ხმლისეული წარწერთაგ: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.

პოემაში „სადღეგრძელო“ გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ პოეტის თანადროულობაში ირაკლის მღელვარე ხმაღს ვეღარ იხიღავს მამული, რაც მთელი ხაღხის მწუხარე გუღისთქმის გამომხატვეღია; ამიტომაც შემთხვევეითი არ არის, რომ სამშობღოს უკიდურესი გასაჭირით გუღდაკოდიღი რომანტიკოსი პოეტისათვის ერეკღეს ეპოქაა სანატრელი და მისაბადი, იქ ებიღებს ყვეღაფერს მამულიშვიღურს და გუღდაწყვეტიღი დასკვნაც გამოაქვს: მეფე ირაკღის მოუღღღავ ხმაღთან ერთად დაიმარხა მამუღის დიდება:

მამული ვეღარ იხიღავს ირაკღის ხმაღსა მღელვარეს,
დიდება ივერისა მისთან მარხია სამარეს!..

(ორბელიანი, 2013: 83)

ამრიგად მოსთქვამს და ჩივის „ჩასვენებული მზის“ ეპოქის მომსწრე რომანტიკოსი პოეტი, რომელიც უსაზღვროდ მწუხარეა, რადგანაც „ვეღარ ვმზერთ მისს სახეს“, თუმცა უფრო ოპტიმისტია სახაღხო მთქმელი, რომელიც თაობიღდან თაობას გაღღს-ცემს პატარა კახისადმი სიყვარულს:

ჭირიღე მეფე ირაკღის,
ჩვენი პატარა კახისა!
ჭირიღე ენა წყღიანის
და მუღდამ სიტყვა მკვახისა!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 54)

თავად დიდებული მეომრისა და ვაჟკაცის – გრიგოღ ორბელიანისეული მონატრება ერეკღე მეფისა, ვითარცა მტერთა შემმუსრვეღისა, მისეული ხატი დიდებული გვირგვინოსნისა უსათუოდ იკვებება ლადი და გუღმართაღი ხაღხური სტრიქონებითაგ:

ერეკღე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
ჩააცვეს ჯაჭვის პერანგი,
გაჰკრა ხელი და გახია.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 10)

ან კიდევ:

ერეკლე ჩვენი ბატონი
ერთი პატარა კახია,
ფრანგულზე ხელი გაიკრა,
ჯარი შვიდპირად გახია.

(ბერძენიშვილი, 1986: 28)

ხალხურმა პოეზიამ სათანადოდ ასახა ის დიდი გულისტკივილი, რაც ქართველ-
მა ხალხმა ერეკლე მეფის დაკარგვის გამო განიცადა. სწორედ ამიტომ უჭირთ
სახალხო მთქმელებს „ძველი ამბების“ გახსენება:

კარგით, დამეხსეთ, ბალღებო,
ნულარ მაგონებთ ძველ ამბებს,
ვაჰმე, ჩვენ ძველსა დევ-გმირებს
და დიდ ბატონსა ერეკლეს!
რატომ არ მოვკვდი მეც მაშინ,
როცა ერეკლე გაგვშორდა,
მთიულნი, თუშ, ფშავ, ხევსურნი,
როცა მას ცრემლით ამკობდა!

(სიხარულიძე, 1949: 109-110)

მამულის დიდებული გმირების ამბავთა პირუთვნელი მთხრობელი, მემატი-
ანებთან ერთად, ჩვენი გულმართალი სახალხო მთქმელები არიან, რომელთა დამსა-
ხურებაც არის „ქართლის ცხოვრების“ ფურცლების მიღმა დარჩენილი მრავალი
სახალხო გმირის სახელთა უკვდავყოფა. ამიტომაც სრულიად ბუნებრივად
მიგვაჩნია, რომ მშობელი ხალხის ზეპირსიტყვიერებაც უხვად ასაზრდოებდა
გრიგოლ ორბელიანის პოეტურ შთაგონებას, შეექმნა ქართველთა დიდებული მეფის
შთამაგონებელი პორტრეტი.

მკვლევარი ალექსანდრე კალანდაძე მიუთითებს, რომ გრიგოლ ორბელიანი
„თავის თავს ერეკლეს ეპოქის პოლიტიკური და სულიერი მემკვიდრეობის ერთგულ
მსახურად თვლის“ (კალანდაძე, 1986: 218). დღიურში „მგზავრობა ჩემი ტფილისიდან
პეტერბურლამდის“ გრიგოლ ორბელიანი წერს: „დაფიქრებული მოვედ მცხეთას,

დღე იყო მოღრუბლული, ვითარცა გული ჩემი, რომელიც გამოფხიზლდა, ვიხილე რა შორით მცხეთისა მონასტერი“ (ორბელიანი, 2013: 101). მცხეთასთან მიახლოების-თანავე პოეტს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა ეუფლება ჩვენი წარსული დიდების გამო, რომელზეც დიდი მოკრძალებითა და სიყვარულით საუბრობს. „ესე არს დიდებულებითი და უწმინდესი ძეგლი ივერიისა და ჩვენთაგანი ვინ არა თაყვანსა ჰსცემს მას კეთილმოწიწებითა კრძალვითა! ესე არის ნაშთი და მოწამე წარსულისა ივერიისა დიდებისა, შემცველი მეფეთა საფლავთა და მხილველი მრავალთა საუკუნეთა, მრავალთა ივერიასა შინა ცვლილებათა, მის დამხობასა და კვალად აღდგინებისა. – უნებლიეთ გარდმომცვივდნენ თვალთაგან ცრემლნი, ვიხილე რა საფლავი მეფისა ირაკლისა, რომელსა თანა არს დამარხულ დიდება და ყოველი კეთილი ივერიისა... გარდმომცვივდნენ ცრემლნი, რომელნიცა იყვნენ ტკბილ გულისა ჩემისათვის; რამეთუ იყვნენ უკანასკნელ ხარკად საქართველოს განმადიდებლისა მიმართ. – მამაცო! დრო, ყოვლის შემმუსვრელი, ვერა შემუსრავს დიდებათა საქმეთა შენთა...“ (ორბელიანი, 2013: 101).

მწარე რეალობა, რომ მეფე ერეკლეს სიკვდილთან ერთად ივერიის დიდებაც დაიმარხა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გრიგოლ ორბელიანი პოემა „სადღეგრძელოშიც“ ხაზგასმით აღნიშნავს:

დღენი ამისნი ემსგავსნეს ჩასვენებულსა ბრწყინვით მზეს,
მის შუქი თუმცა გვინათებს, მარამ ვეღარ ვმზერთ მისს სახეს!
მამული ვეღარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

(ორბელიანი, 2013: 83)

მეფე ერეკლეს სიკვდილისადმი ამგვარი დამოკიდებულება ჩანს ხალხურ სიტყვიერებაშიც; სახალხო მთქმელებს ერეკლე გაიგივებული ჰყავთ სამშობლოს „რკინის კართან“; ეს კი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად ეიმედებოდა ქართველ ხალხს ერეკლე, თუ რამდენად მძიმე იყო სამშობლო ქვეყნისათვის მისთვის თავდადებულის, მისი პატრონისა და მეოხის – მეფე ერეკლეს დაღუპვის გათავისება:

ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შეგეხსნათ რკინის კარია!

მეფე აღარ გყავთ ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია!..

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 289)

ილია ჭავჭავაძის მიერ 1871 წელს ჩაწერილი ვარიანტი ამგვარია:

ვერ გაიგეთა, ქართველნო,
ჩაგეხსნათ რკინის კარია,
დაჩუმდა ბაირახები,
აღარ ჭექს ზარბაზანია,
აღარ გყავთ მეფე ერეკლე,
არც მაგის საომარია!
ღმერთს შასტირიან თავადნი,
რა შაგვიკეთე ბრალია,
დედუფალ იმას სტიროდა,
იმერეთ მეფის ქალია...

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 288)

როგორც მკვლევარი თემურ ჯაგოდნიშვილი აღნიშნავს, „ამ ამბავზე შექმნილ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში ერეკლეს სიკვდილის ფაქტი „რკინის კარის“ შეხსნასთან არის გატოლებული და ეს გამოთქმა მარტო რეალური ცხოვრებისეული მოვლენის მეტაფორა არ არის, ანუ იმის აღნიშვნაა, რომ ერეკლეს პიროვნება, მისი საერთაშორისო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ავტორიტეტი „რკინის კარობას“ უწევდა ქვეყანას...“ (ჯაგოდნიშვილი, 2005: 76).

ერეკლეს სიკვდილი ბევრ ხალხურ ლექსში ისევა გააზრებული, როგორც ტრადიციულ, გმირის სიკვდილთან დაკავშირებულ, ნიმუშებში, რომელთა თანახმადაც გმირის სიკვდილს ბუნებაც თანაუგრძნობს:

ვერ გაიგეთა, ქართველნო,
შაგეხსნათ რკინის კარიო,
მზე გაგვიბრუნდა უკულმა,
ჩავარდა შუა ზღვაშიო.
მთვარე დაბნელდა გაშავდა,
აღარ გვინათებს ცაშია.

ატირდნენ წვრილნი ვარსკვლავნი,
ცამაც დაშალა ნამია.
აღარ გვყავს ნეფე ერეკლე,
არც იმის საომარია.

(ჯაგოდნიშვილი, 2005: 76)

ცნობილი მითოსური პერსონაჟის – ხოგაის მინდიას სიკვდილზე შექმნილი ხალხური ლექსიც ხომ ამგვარია:

ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა,
ცა ჭექდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა...

(ქ. ხ. პ., 1975: 33)

მეფე ერეკლეს სიკვდილთან დაკავშირებული ხალხური ლექსის ერთ-ერთი ხევსურული ვარიანტით, რომელიც ჩაწერილია თედო რაზიკაშვილის მიერ, ხალხს სჯერა, რომ ერეკლე არ მომკვდარა, ზეცაშია ქრისტე ღმერთთან, როგორც მასთან წილნაყარი:

ნეფის ერეკლეს სიკვდილი
ვინა თქვა? რა სათქმელია?
ზეცას წავიდა ღმერთთანა,
ქრისტესთან წილ-ნაყარია!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 289)

ლექსის სხვა ვარიანტში სახელოვანი გვირგვინოსანი ხალხს ღმერთის ძმად მიაჩნია, მისი მკვდრად მომხსენიებული კი დაწყევლილია:

ერეკლეს სიკვდილ ვინა თქვა?
გაუხმეს ენის ტარია!
არ მოკვდა, ღმერთთან წავიდა,
ძმა არის განაყარია!

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 55)

ერეკლეს სიკვდილის ამგვარ ხალხურ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით თედო რაზიკაშვილს მოაქვს ლეგენდა თამარ მეფესა და ერეკლე მეორეზე:

„ხალხსა სწამს, ნეფე ერეკლე და თამარ-ნეფე ცოცხლები არიან ღმერთთან და, როცა გაუჭირდება საქართველოს, მიეშველებიანო; მირონი ნეფე ერეკლეს ძვლებს ჩამოჰდისო; ერეკლემ ხმალი წინ დაიდვის და ისევ თავის-თავად შემოერთყმისო; ერეკლე როცა ლოცვაზე დადგებოდა, ხმალს მზის შუქზე დაჰკიდებდა ხოლმეო და ლოცვას როცა გაათავებდა, ი სხივიდგან აიღებდა ხმალსაო“ (ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 289).

ლექსში „ღმერთო, რა დიდი ბრალია“ ქართველმა სახალხო მთქმელებმა ერეკლეს სიკვდილი ქვეყნიერების დასასრულს შეადარეს:

ღმერთო, რა დიდი ბრალია,
არევა ქალაქისაო,
ნეფის ერეკლის სიკვდილი,
დაქცევა ხმელეთისაო!

(სიხარულიძე, 1949: 181)

ამ მხრივ საინტერესო და საყურადღებოა თუშური დატირების – „დალაის“ ერთი ვარიანტი, რომელშიც მეფე ერეკლეა ნახსენები. „დალაი“, რომელიც მხოლოდ თუშეთშია გავრცელებული, წარმოადგენს კანონიკურ ტექსტს თავისი მკაცრი, შეუცვლელი სტრუქტურით. ის შეეხება ყველას, ყველა მოყმეს, ვინც კი ოდნავ მაინც უახლოვდება ან თვლიან, რომ უახლოვდება (ან სურთ, რომ უახლოვდებოდეს) „კაი ყმის“ იდეალს. „დალაი“ სრულდება წლისთავზე, როცა მიცვალებულის პატივსაცემად იმართება დოღი, რომელშიც საგანგებოდ შეკაზმულ-მორთული მისი ცხენიც მონაწილეობს. „დალაის“ ტექსტი ტიპურია, მისი ძირითადი ნაწილი უცვლელია, მეტწილად მასში ცვალებადია მხოლოდ მიცვალებულთა სახელები. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს ერეკლეს ხსენება. მკვლევართა მოსაზრებით, რომელიც სავსებით მისაღები და საფუძვლიანია, ლექსი თავდაპირველად სწორედ ერეკლესთვის უნდა შეექმნათ, „ეს ლექსი, ვფიქრობთ, სწორედ ერეკლე მეორის დატირებას უნდა წარმოადგენდეს. აბა სხვა ვის უნდა შეეფერებოდეს ასეთი მიმართვები: „ჭკვიანო, საქცივლიანო, გამჭრელო, მოსამართლეო“, „იმედო თავის ქვეყნისა, გამრიგევ თუშეთისაო“, ანდა: „ჩვენ ნუვის შევატყობინებთ ლომის ერეკლეს სიკვდილსა“ (ქ. ხ. პ., 1976: 70) და ა. შ.:

დალაი თქვით, დალაი, მხედრებო!

დალავი, დალავი!..
ძნელი არს დალაობავი,
დალავი, დალავი!..
ბრალი ხარ, (სახელი),
შენი ულაშქროდ სიკვდილსა, დალავი!..
ჩვენ ნუ ვის შევატყობინებთ
ლომის ერეკლეს სიკვდილსა, დალავი!..
იარ არ წამოხვიდოდე
მაგ შენის წითლის ცხენითა, დალავი!..
ლაშქარს გიკითხვენ სწორები,
წინ აღარ გაუძღვებია, დალავი!..
მტერთან ხმალამოღებულო,
სწორში თავგამოდებულო, დალავი!..
სულ მამა-პაპის დროიდან
მტრისათვის რისხვის მიმცემო, დალავი!..
ჭკვიანო, საქციელიანო,
გამჭრელო, მოსამართლეო, დალავი!..
იმედო თავის ქვეყნისა,
გამრიგევ თუშეთისაო, დალავი!..
კარზე გიდგანან სტუმრები,
შინამ არ შეუძღვებია, დალავი!..
ვაჟი ხარ სახელიანი,
კარგამ არ დაუხვდებია, დალავი!..
სტუმართა დდეო მზიანო,
პურ-წყალო თუშეთისაო, დალავი!..
შენი დედაი ბეჩავი
სანთლებურ ჩამოდნებაო, დალავი!..
ეგ შენი ცოლი ბეჩავი
სუროსებრ ექანებაო, დალავი!..
ეგ შენი გვარის ქალ-რძალნი

შავითაც იმოსებაო, დალაი!..
ეგ შენი ნაცომ-ნამოსნი
დარბაზს არ იცვითებოდეს, დალაი!..
შენი ცხენი და აბჯარი
უდროოდ იხარჯებოდეს, დალაი!..
შენი ნაწოლი ლოგინი
ია-ვარდივით ჭკნებოდეს, დალაი!..
შენი წვერი და ულვაში
მწვანილად ამოდიოდეს, დალაი!..
ნეტავ შენ, საიქიოსა,
შიგ შეხვალ მტრედის ფერადო, დალაი!..
სულეთს გიდგანან კოდები
გამომდინარე პურიტა, დალაი!..
სუფრა გიდგ გარიგებული,
გაკეთებული თეთრითა, დალაი!..
ზედ გიდგან მეღვინეები
ხუცითა, დიაკვნებითა, დალაი!..
ამოიღებენ, დალევენ
ვერცხლის იმ ვეშრაპებითა, დალაი!..
შენდობა, (სახელი),
ღმერთმა გაცხონოს სულითა, დალაი!..
დალაი, დალაი, დალაი!

(ქ. ხ. პ., 1976: 70-71)

ილია ჭავჭავაძე მეფე ერეკლეს სიკვდილის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში „ასის წლის წინათ“ გულისტკივილით აღნიშნავს: „დასუსტებული საქართველო, რომელსაც მეფე ერეკლეს სიკვდილით „რკინის კარი“ შეეხსნა, უფრო კარ-ღია შეექმნა და ადვილი საცილობელი გაუხდა გარს შემორტყმულ მტრებს. ცალკე სპარსეთი, ცალკე ოსმალეთი, ხმალამოდებულნი თავს ადგნენ დამარცხებულს საქართველოს და მუქარას მუქარაზე უთვლიდნენ...“ (ჭავჭავაძე, 2012: 45-46).

წერილში, რომელიც ილიამ ერეკლეს გარდაცვალების ასი წლის თავს მიუძღვნა („ასის წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან“), ნათლად დაგვანახა, თუ რა შეუძლია „მწიგნობრობას“, „მწერლობას“ და ხალხს, ხალხურ სიტყვიერებას... რომ ზეპირსიტყვიერებას მხოლოდ და მხოლოდ იმ საკითხზე შესტკივა გული, რომელიც მართლაც აღელვებს, გულიდან მოდის, სისლხორცეულია მისთვის. სწორედ ამიტომაც აღნიშნავს ილია, რომ „ერმა ამისთანაებში უფრო მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის; იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველობენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი მაშინ, როცა გული სავსეა. „ვერ გაიგეთა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღარ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია“-ო, ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისის სახელოვანის მეფისას. მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი. აი, მისი ისტორიული ხატი ეს არის, და თუ არ დიდ-ბუნებოვანს კაცს, სხვას ვის შეუძლიან რკინის კარობა გაუწიოს ქვეყანას?“ (ჭავჭავაძე, 2012: 342).

„ხალხური სიტყვიერება ყოველთვის გულწრფელ გრძნობებს გადმოგვცემს, გულით გრძნობს ადამიანთა „დიდბუნებოვანობას“. ბევრ სახელოვან ადამიანს იცნობს ისტორია, მაგრამ ყველას როდი ხვდა წილად ხალხისაგან ისეთი სიყვარული და პატივისცემა, როგორც ჩვენს სახელოვან მეფეს“ (აბაშიძე, 2016, 81). ამიტომაც ბრძანებდა თავისი ქვეყნის უბადლო გულშემატკივარი ილია ჭავჭავაძე: „ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდბუნებოვანობისა. ეს რკინის – კარობა პატარა კახისა ოთხ კედელ შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემულ გულიდანვე ამოფეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანაებში მეტის-მეტად სიტყვაძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისათვისაც დაუვალებიათ უსახელოს სახელი რამ მიაკეროს მახლობელთა სანუგეშოდ. „ხმა ერისა და ხმა ღვთისაო“ ისე არ გამართლდება ხოლმე, როგორც ამისთანაებში, იმიტომ, რომ ერის მიერ ქება უდიდ-ღვაწლოთ ძნელი საშოვარი განძია და ბევრი სახელდებული ისტორიაში კაცი ვერ დაიქადებს, რომ იგი სახელი თვით ერისაგან მიჰმადლებოდეს...“ (ჭავჭავაძე, 2012: 342-343).

რომანტიკოსი პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაშიც იგრძნობა გულრწველი პატრიოტული პათოსი, რომელიც მწარე რეალობით არის გულდაწყვეტილი, იმედგაცრუებული. მწერალი იხსენებს მშობლიური ქვეყნის წარსულ დიდებას, ყველასათვის საყვარელი მეფის – ერეკლე მეორის მოღვაწეობის უმძიმეს პერიოდს. როგორც ვიცით, შექმნილი ვითარების გამო, გასაჭირის ჟამს მეფე ერეკლემ მეზობელ ქრისტიანულ სახელმწიფოს – რუსეთს მიმართა დახმარებისათვის. 1783 წელს რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ე. წ. „მეგობრობის ტრაქტატის“ (იგივე „გეორგიევსკის ტრაქტატი“) თანახმად, რუსეთს საქართველოს მფარველობა ევალებოდა და არა – მისი დაპყრობა, დამონება და თავისუფლების წართმევა.

1770 წელს ერეკლე მეორე და გრაფი ტოტლებენი, ერთობრივად დასახული გეგმის თანახმად, აწყურის ციხეს მიადგნენ ასაღებად (ტოტლებენის დაჟინებით, რადგან ტოტლებენს ციხის აღება სურდა). „მალევე გამოირკვა, რომ ეს რუსი გენერლის სტრატეგიული შეცდომა იყო. აწყურზე შეტევა ალყის გარეშე წამოიწყეს. ამან მტერს დამხმარე რაზმების და სურსათის უპრობლემოდ მიღების საშუალება მისცა. ორი დღის ბრძოლამ შედეგი არ გამოიღო... რის შემდეგაც ტოტლებენმა ბრძოლა შეწყვიტა და უკან გაბრუნდა... ქართველები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ... ერეკლემ ასპინძის მიმართულებით დაძრა ლაშქარი... სადაც მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა“ (საქ. ისტ., 2012: 406). ტოტლებენის მუხანათური საქციელის მიუხედავად, ერეკლეს სამხედრო ნიჭისა და ქართველი მეომრების ვაჟკაცობის წყალობით, ასპინძის ველზე ქართველებმა გაიმარჯვეს. რუსეთმა კიდევ ერთხელ მიატოვა საქართველო მრავალრიცხოვანი მტრის წინაშე ბედის ამარა... ამ ფაქტის გამოძახილია ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „ჰე, საქართველო“, რომელშიც ცალსახად არის გამოთქმული, რომ სასოწარკვეთილმა ქართველმა გვირგვინოსანმა საშველად ქრისტიან რუსეთს უხმო, თუმცა საშინელი იმედგაცრუება მიიღო – ძმობა-მეგობრობისა და დახმარების ნაცვლად, მზაკვრულად მოგვექცა, რასაც ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა:

რუსნი მოიხმო საშველად,
მან იმედგაცრუებულმან,
მათ, ნაცვლად ძმობის, ერთობის,

დაგვტოვა დანასხეულად,
მახვილღებულად მოვიდა,
მზაკვრულად მიგვცა გვემასა,
ყელსა შეგვაბა სარაზი
მიმომგონარედ მთვლემარსა...

(ჭავჭავაძე, 1986: 23)

ქართველ მთქმელთა ისტორიულ მეხსიერებაშიც, ისევე, როგორც მეფე ერეკლეს თანადროულობაში, რუსეთი დარჩენილია როგორც მოღალატე, არასანდო ქვეყანა; ამის თაობაზე მოგვითხრობს ხალხური პოეზიაც:

ერეკლე აწყვერს მოსულა,
შვიდი დღე-ღამე მდგარაო;
ტოტლებენმა უღალატა,
ქურდულებ გაეპარაო:
უკანაც ველარ დაბრუნდა,
ჯავახეთ მიეჩქარაო.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 35)

ხალხური ლექსი რომელიც რუსეთის გულგრილობასა და არასანდოობაზე, მის რეალურ სახეზე მიგვითითებს, თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია ხევსურეთში:

ერეკლე გამოქცეულა,
მუჯლებს აღარა აქვ ჯანი.
შემეყრების რუსები,
სამის ბატონისა ჯარი:
- „რამ გამაგაქცივ, ერეკლე,
რადამ დაგატანა ძალი?
- „რასა მკითხავდით, რუსებო?
მტერმა მამტაცისა კარი.
შამავიდა თურექმანი,
ქალაქს გაადინა ალი!

(ქ. ხ. პ., 1984: 56)

აკაკი შანიძის შენიშვნით, ამ ლექსში აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე (1795 წელი) უნდა იყოს საუბარი, სადაც რუსეთმა, გეორგიევსკის ტრაქტატის მიუხედავად, კიდევ ერთხელ გაწირეს ქართველი ხალხი ურიცხვი მტრის წინაშე; მაგრამ, მიუხედავად ამგვარი უმძიმესი მდგომარეობისა, ქართული პროგრესული რომანტიზმის ტიპური წარმომადგენელი ალექსანდრე ჭავჭავაძე მაინც არ კარგავს იმედს და საქართველოს ნათელი მომავლისა სჯერა; სწამს, რომ ქართველობა დასძლევს მტერს და სამშობლოს შვება-ლხენას მოუტანს:

მზაკვარს ხრმლით გავუსწორდებით,
ქართლს მივცემთ შვება-ლხენასა!

(ჭავჭავაძე, 1986: 23)

პატარა კახის გმირულ-პატრიოტულ იდეალებზე აღზრდილმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ იცოდა, რომ დიდებული წარსულის სამართალმემკვიდრე ერი ტყუილუბრალოდ არ გადაეგებოდა; ამ რწმენას, ბუნებრივია, განუმტკიცებდა ერეკლეს ციკლის მრავალრიცხოვანი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებიც, რომელთა ვარიანტებითაც ესოდენ მდიდარი იყო მთელი საქართველო, განსაკუთრებით კი მისი აღმოსავლეთი ნაწილი და მით უფრო – კახეთი. ალბათ, ერთ-ერთი ამგვარი მასტიმულირებელი ეს ხალხური ლექს-სიმღერაც იქნებოდა:

ბატონი მეფე გვიცოცხლოს,
ერეკლე – ჩვენი გმირიო!
მტერს წინ წაუვა გულადად,
რაზმში იქნება პირიო;
უმისოდ ჩვენი ბიჭობა
იქნება გასაჭირიო,
მტერი მოგვივა, დაგვხოცავს,
როგორც ხორველა-ჭირიო!

(ქ. ხ. პ., 1984: 59)

ქართველი რომანტიკოსები აღფრთოვანებულნი არიან მშობელი ქვეყნისათვის თავდადებული გმირი მეფე ერეკლეს პიროვნებით; ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ერეკლეს ეპოქა სისლხორცეული და უდიდესი შემოქმედებითი შთაგონების

წყაროა, რაც ნათლად არის გამოხატული მათ შემოქმედებასა თუ პირად წერილებში;

წარსულისადმი უსაზღვრო ინტერესმა და აწმყოთი უკმაყოფილებამ განაპირობა ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ შექმნა, რომელიც ქართველთათვის ერთობ მტკივნეულ ისტორიულ მოვლენას ასახავს და უდიდესი მამულიშვილური ტკივილით უტრიალებს სამშობლოს ბედის პრობლემას, აცოცხლებს რა საქართველოს გმირული წარსულის დაუვიწყარ მოვლენას – კრწანისის ბრძოლას, რომელიც გაიმართა თბილისის კარიბჭესთან 1795 წელს. „პოემაში “ბედი ქართლისა” შესანიშნავია არა მარტო ისტორიული ამბის თხრობა, არამედ – ქართველი ხალხის აქტიური სულის ჩვენება და ის დიდი ეროვნულ-საზოგადოებრივი პრობლემა, რომელიც თხზულების შინაგან ღერძად გვევლინება“ (აბზიანიძე, 1969: 208).

ოფიციალურ ისტორიასთან ერთად, ფოლკლორულ შემოქმედებასაც კარგად შემოუნახავს ისტორიული ფაქტები, რომლებიც დამატებით ცნობებსა და უფრო ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ ეპოქის მოვლენებთან დაკავშირებით; ქართული ზეპირსიტყვიერება საკმაოდ ვრცლად გადმოგვცემს კრწანისის ომის ამსახველ ეპიზოდებს; როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, „ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში საკმაოდ ნათლადაა გადმოცემული ალა-მაჰმად ხანის მრავალრიცხოვანი ჯარების საქართველოზე წამოსვლა; შუშის ციხესთან ზვიად ხანის მარცხი, თბილისისაკენ დაძვრა და ქართველების თავგანწირული ბრძოლა კრწანისის ველზე“ (სიხარულიძე, 1949: 178).

პოემაში „ბედი ქართლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ერეკლეს პიროვნებას გვიხატავს ისე, როგორც ხალხს აქვს გადმოცემული ზეპირსიტყვიერ მასალებში; ანუ ერეკლეს პიროვნება ბარათაშვილსა და სახალხო მთქმელს არსებითად ერთნაირად აქვთ გააზრებული, დანახული, აღქმული. ამის ერთ-ერთი დასტურია პოემის შესავალში პოეტის გულმხურვალე მიმართვა გმირი მეფის აღმზრდელი კუთხისადმი; ნიკოლოზ ბარათაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხალხს უსაზღვროდ უყვარს მეფე ერეკლეს დროის გახსენება, დროისა, როცა ეს დიდებული მეფე-რაინდი, მტრისადმი ღირსეული დამხვედრი და მათთვის რისხვის დამცემი, ქართველთა იმედი იყო:

მმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად;
თქვენ გიყვართ მისთა დროთა ხსენება მხურვალეს გულით,
როს თქვენებურ მლხენი ევლინებოდა მტერსაც გამგმირად!

(ბარათაშვილი, 2012: 46)

პოემაში პოეტი ერეკლეს სახავს მზრუნველ მამად, თავმდაბალ მეფედ, რომელიც მეომართა შორისაა ბრძოლის ველზე, როგორც რიგითი თანამებრძოლი; მეფედ, რომელიც ყოველთვის – ჭირშიც და ლხინშიც – ხალხის გვერდშია, ამხნევებს და არიგებს მათ, როგორც მზრუნველი მამა, გმირულ სულისკვეთებას უღვივებს სამშობლოს დამცველ რაინდებს, რეალურად წარმოაჩენს რა საშიშროებას:

და ირაკლიცა ჯარსა ქართველსა
განამხნევებდა მამობრივის ხმით:
„- ჰხედავთ, ვითარის კადნიერებით
შეკრებების ჩვენზედ უსჯულოება!
საქართველოს დღეს გარდაუწყდება
თავისი ბედი და უბედობა!
დღეს ეჭირება მამულს მხნეობა!
დღეს მეცა თქვენში ვარ მეომარი,
ვითა თქვენგანი ერთი მხედარის:
დღეს გამოჩნდება, ვინ არს ერთგული,
ვის უფრო გვიყვარს, მმანო მამული!“

(ბარათაშვილი, 2012: 47)

არც ქართველი მხედრობა რჩება ვალში ღირსეულ მეფეს, რომელიც მათი იმედი, მათი ვაჟკაცობის სულისჩამდგმელი მხედართმთავარია და ასეთივე ღირსეულ პასუხს აძლევს:

„...მტერი რა მტერი, ოდეს ქართველი
ბატონს ირაკლის ნუგეშად ჰხედავს,
მისთვის სიცოცხლეს ვინდა დაზოგავს!“

(ბარათაშვილი, 2012: 48)

თითქოს იმ ამაღლვებელი წუთების მომსწრე იყო, რომანტიკოსი პოეტი ისე განიცდის ამ ბრძოლისწინა აღტკინებას, სამშობლოს საუკეთესო შვილთა შემართებას, რასაც მოსდევს უიშვიათესი ლირიკული გადახვევა, გამომხატველი ხალხისა და ერეკლე მეფის ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთნდობისა:

ნეტარ მეფისა გულს მამობრიულს,
ოდეს მოყმენი, ვით მამას შვილნი,
განუცხადებენ თავისს სიყვარულს!

(ბარათაშვილი, 2012: 48)

უაღრესად ღირსსახსოვარია ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ გამოქანდაკებული სულიერი და ფიზიკური პორტრეტი კრწანისის ომის პირველი დღის ბრძოლაში გამარჯვებული მეფე ირაკლისა, რომელსაც მტერმა ძვირად დაუსვა გამარჯვება – დაუხოცა ქართლის ნუგეშად მოვლენილი მრავალი ახალგაზრდა; მეფისეული განცდა სრულიად ბუნებრივი გამოვლენაა ღირსეული მხედართმთავრისა, რომელიც თანამებრძოლებისადმი მამობრივად მზრუნველი და მოამაგაა:

მაგრამ რა მეფე ჯარსა უყურებს,
მას გამარჯვება არღა ახარებს:
მრავალთ ყმაწვილ-კაცთ, ნუგეშთა ქართლის,
დასდევს აქ თავი მამულისათვის!..

(ბარათაშვილი, 2012: 49)

„ერეკლეს პიროვნების ასე ძლიერად გამოქანდაკებით პოეტი წინასწარ ქმნის განწყობას, რომ ამ მტკიცე, ურყევი და, თანაც, მამობრივად მზრუნველი მეფის ყოველი მოქმედება სამართლიანობის გამომხატველია, მისი ყოველი ნაბიჯი... სანდოა და საიმედო“... (მახარაძე, 1967: 359). სწორედ ასეთი მამაშვილური, გულწრფელი და მღელვარე ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდათ ხალხსა და მეფე ერეკლეს; სწორედ ამ ყველაფრის გამო, როგორც ისტორიკოსები და სახალხო მთქმელები ერთხმად გადმოგვცემენ, ერეკლესათვის ხალხს სიყვარულით „პატარა კახი“ შეურქმევია. ამ ზედწოდებით მოიხსენიებს ნიკოლოზ ბარათაშვილიც თავის პოემაში ერეკლე მეორეს:

ძმანო კახელნო, ნამდვილ ქართველნო, მოლხინე სულით,
თქვენში აღზრდილა პატარა კახი მეფედ და გმირად...

(ბარათაშვილი, 2012: 46)

ან:

პატარა კახი ალა მაჰმად-ხანს
უპირებს შებმას ძლიერს, რისხვიანს.

(ბარათაშვილი, 2012: 47)

ერეკლე მეორე უსათუოდ გრძნობდა იმ განუზომელ სიყვარულს, რომელიც ქართველმა ხალხმა „პატარა კახის“ სახელში ჩააქსოვა; ამ სახელით მოახსენიებინებს საკუთარ თავს სოლომონ მსაჯულთან მოპაექრე მოხუცებულ მეფეს ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემაში „ბედი ქართლისა“:

შენი ირაკლიც ის აღარა ვარ,
პატარა კახად რომ გინახივარ...

(ბარათაშვილი, 2012: 53)

პროფესორი მიხეილ სამსონაძე აღნიშნავს, რომ „ერეკლე მეორე ყველაზე სახალ-ხო მეფე იყო საქართველოში, ჭეშმარიტი სახალხო გმირი, რომელმაც მშობლიური ხალხის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა ჯერ კიდევ სიყმაწვილეში თავდადებ-ბით და მამაცობით დაიმსახურა. ამიტომ ხალხმა მოფერებით „პატარა კახი“ შეარქვა და ეს სახელი სიბერემდე შერჩა. იშვიათია პიროვნება, რომლისთვისაც ხალხს ამდენი ლექსი, მოგონება, ლეგენდა, თუ თქმულება მიეძღვნას“ (საქ. ისტ., 2012: 481).

მეფე ერეკლე მტრის გადმოსახედიდანაც კი ნამდვილი რაინდია. ერთ-ერთი ხალხური ლექსის მიხედვით, ასე უხასიათებენ აზატ-ხანს დიდბუნებოვან გმირ მეფეს:

ერეკლე რა კაციაო?
- რა მოგახსენო, ბატონო,
ყმაწვილია პაწიაო,
გული უდია აღმასის,
გარედან სალი კლდეაო,
ასე დაანგრევს ციხესა,
როგორც ფუტურო ხესაო.

(ქ. ბ. პ., 1984: 47)

ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემა „ბედი ქართლისას“ პირველსავე კარს მეფის ლოცვით იწყებს; თხუთმეტი წლიდან ქვეყნის სამსახურში ჩამდგარი მეფე-მხედარი მაცხოვარს ავედრებს თავის მამულს, ხალხს და სთხოვს, უთანასწორო ბრძოლაში ხელი მოუმართოს:

მწყემსო კეთილო, შენს წმიდას სამწყსოს
შემოვავედრებ ჩემსა სამეფოს!
გულთა-მხილავო, შენ უწყი, რაც დღეს
საქართველოსა ჭირნი მოადგეს!
მრავალ არიან, უფალო, მტერნი
და წარიტაცონ შენნი ცხოვარნი!
გვესწრაფე, ჩვენო ხელთ-აღმპრობელო,
და აღადგინე დღეს საქართველო!..

(ბარათაშვილი, 2012: 47)

ეს არის მხცოვანი მეფის მხურვალე ლოცვა უთანასწორო ბრძოლის წინ. მკვლევარ ალექსანდრე კალანდაძის მართებული შენიშვნით, „მეფის მხურვალე პატრიოტიზმზე მიუთითებს მისი უსასო ღალადისი ღვთისადმი პირველ კარში“ (კალანდაძე, 1986: 277).

ერთ-ერთ დახვეწილ, ლაპიდალურ ხალხურ ლექსში ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი ერეკლეს პიროვნების დასახასიათებლად ხაზს უსვამს მის ღვთისმოსაობას, უფლისადმი რწმენასა და მშრომელი ხალხისადმი ზრუნვას:

ერეკლესთანა ბატონსა
ვეღარ გაზრდის დედა შვილსა;
ჯერ ხომ ღვთისა მლოცველია,
მერე დამხსნელია ტყვისა.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 52)

ქართველ ხალხს ერეკლე ღვთისგან დალოცვილად („დავლათიანად“), ანუ ბედ-იღბლიანად ესახება:

ერეკლე ბატონიშვილი
ას ღვთისგან დავლათიანი...

(ქ. ხ. პ., 1984: 44)

ქართული ხალხური სიტყვიერება უდიდესი სიამაყით გადმოგვცემს ერეკლეს გულწრფელ პატრიოტულ პათოსს სამშობლოს, ხალხისა და სარწმუნოების მიმართ:

საქრისტიანოს გულისთვის
წელს შემოირტყა ხმალია...

(ქ. ხ. პ., 1984: 47)

ან კიდევ:

საქრისტიანოს გულისთვის
ერეკლემ ხმალი აიღო;
ერეკლემ რო ცხენი გასძრა,
სისხლმა თქაფანი გაიღო...

(ქ. ხ. პ., 1984: 48)

ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემა „ბედი ქართლისას“ დასაწყისშივე აღწერს ომი-სათვის სამზადისს როგორც სულიერი (მეფის ლოცვა), ასევე ფიზიკური თვალსაზრისით:

ბატონს თვის ჯარი კრწანისის მინდვრად
დაებანაკა სპარსთთან საომრად!
.....
ამ დროს გამოჩნდა სამხრეთით მტერი...

(ბარათაშვილი, 2012: 47)

ერთ-ერთი ქართული ხალხური თქმულების თანახმად, 1795 წელს „ერეკლე მეფეს ამბავი მოსდიოდა, რომ აღა-მაჰამედ-შაჰი აპირებდა თბილისის წასახდენად მოსვლას. ერეკლე მეფეს თავდაპირველად არ სჯეროდა, მაგრამ შემდგომში, როცა გახშირდა ეს ამბავი, მოინდომა, მოაგროვებინა და მოამზადებინა ჯარი, რომ მტრისათვის პასუხი გაეცა...“ (ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 66).

ერთ-ერთი ხალხური ლექსი გადმოგვცემს მტრის შემოტევის ამბავს:

დიდება და მაღლი ღმერთსა,
რომ ბრძანება იქნა მღვთისა,
მოეკიდა ხმალი ხმალსა,
ომი იქნა პირველ ჟმისა.
ყენი რომ წინ წამოდგა,

ნეტა რისგან ჰქონდა ძალი,
ხანები რომ დაიბარა,
იმას დაჰყვა დიდი ჯარი...

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 38)

ნიკოლოზ ბარათაშვილს „ბედი ქართლისაში“ ომის დაწყება და მისი მსვლელობა ასე აქვს გადმოცემული:

დაჰკრეს ნადარა, გულნი შეზარა
და მტერთ საომრად ჯარნი შეჰყარა.

.....

შეექმნათ მწარე, ძლიერი ომი;
ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარსა შერთეს სისხლისა ღვარნი!

(ბარათაშვილი, 2012: 48)

აღა-მაჰმად ხანის მრავალრიცხოვან მომხვედურთან ქართველთა თავგანწირული ბრძოლის შესახებ საუბარია ოფიციალური ისტორიის, ხალხური სიტყვიერების თუ ბარათაშვილის პოემის ფურცლებზე.

ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ასახულია ერეკლე მეფისა და მისი მეომრების საბრძოლო – პატრიოტული განწყობა; ლექსის სტრიქონებიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი გმირული სულისკვეთებითა და შეუპოვრობით მიემართებიან ბრძოლის ველისაკენ მეფე ერეკლე და მისი მხედრობა:

გამობრძანდა კახი მეფე,
თან გამოჰყვა დიდი ჯარი,
სულ ოსი და სულ ჩარგასი,
დარაზმული რაზმის ჯარი,
ჯერ კი იხმარეს თოფები,
მემრე ამოიღეს ხმალი.

(ქ. ხ. პ., 1984: 59)

ქართველმა მხედრობამ, ვაჟკაცური ბრძოლის მიუხედავად, მარცხი განიცადა მოღალატის გამო – ნახევრად უკან გაბრუნებული ალა-მახმად ხანი შემოტრიალდა და თბილისი მოაოხრა. ამ ვითარებას ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე აგვიწერს:

... დაღონდა სპარსთა მეფე ბორგვნილი,
და, თურმე, ყოვლით იმედმიხდილი,
ქართლითგან წასვლას დააპირებდა;
მაგრამ იუდა ჟამს ეძიებდა!
აჰა, მან იგი აწ მოიხელთა
და მუხთალისა ანგართა ხელთა
აჰყარეს მამულს სიმტკიცის ბჭენი!
მან მტერთ უმსხვერპლა თვისნი მოძმენი!

(ბარათაშვილი, 2012: 50)

ქართველ მხედართა თავგანწირულ ბრძოლასთან ერთად, ქართულმა ზეპირსიტყვიერებამ ღალატთან დაკავშირებული ცნობებიც შემოგვინახა: „...ალა-მაჰმად ხანთან მივლენ და მოახსენებენ სუყველაფერს, ქალაქისა და მეფე ირაკლის მდგომარეობას და სამზადისსა...“ (ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 66).

მეფე ერეკლეს ციკლის ხალხურ ლექს-სიმღერებს ძალზე დიდი პოპულარობა ჰქონდა მესტვირეთა რეპერტუარში. განსაკუთრებით საინტერესოა „მესტვირული ლექსი თბილისის აღებაზე“, რომლის ადრინდელი ჩანაწერი პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ინახება, ხოლო მისი ფოტოპირი პროფესორმა მიხეილ ჩიქოვანმა ჩამოიტანა და დაცულია საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (ცანავა, 1953: 93). ეს საინტერესო ლექსი, რომელიც ჩაწერილია კახეთში 1871 წელს ლ. ჩერქეზიშვილის მიერ, პირველად დავით ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა. პროფესორ აპოლონ ცანავას ვარაუდით, მისი მთქმელი უნდა იყოს ქართლში განთქმული მესტვირნე გიორგი ქებაძე, რამდენადაც ტექსტის ბოლოს ნათქვამია:

...ქებაძე ამის მთქმელია,
ახაროს ქვეყანაზედა
ამ წიგნის წამკითქველია.

(ცანავა, 1953: 93)

„მესტვირული ლექსი თბილისის ადებაზე“ 1795 წლის ტრაგიკულ ამბავს ეხება და, ამავე დროს, წინა პლანზე წამოსწევს საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხს, რაც, როგორც სხვა მესტვირულ ნიმუშებში, დადებითად არის შეფასებული. მთქმელი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ აღა-მახმად ხანთან ბრძოლაში, მხარდაჭერის ნაცვლად, ქართველმა თავადებმა ერეკლეს ჯარი არ მიაშველეს, უღალატეს მოხუცებულ მეფეს:

დეერივნენ თავადები,
ერთად გააბეს მხარია,
ხუთ-ხუთ მანეთს ქრთამს იღებენ...
აღარ გამოდის ჯარია.

(ცანავა, 1953: 94)

ხალხური ლექსის თანახმად, უთანასწორო ბრძოლაში ღალატის გამო დამარცხებულ მხცოვან მეფეს შვილიშვილი იოანე ასე მიმართავს:

შენ, პაპაჩემო ერეკლე,
ვერ მოვიფიქრეთ მალვა,
არა გვყავს თუში, ხევსური,
არცა კახელი ჯარია...
ჩვენი ქალაქის წახდენა
უსამართლობის ბრალია.

(ცანავა, 1953: 94)

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხალხურ ლეგენდას შემოუნახავს ცნობა, რომ თითქოს მეფე ერეკლე და ყეენი ერთმანეთს ჭიდაობაში შეჯიბრებიან. ერეკლეს გაუმარჯვნია და მესტვირეებსაც შეუქმნიათ მეფე ერეკლეს სახოტბო ლექსი, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ავრცელებდნენ:

ერეკლემ დასცა ყეენი,
მეფეა ქართველისაო,
პატარა კახი მუდამუამ
გამძლები არის მტრისაო,
საითაც მიდის და მოდის,
ლურჯაზე კოხტად ზისაო.

.....
უძლიერესი მეფეთა,
შემკული ყოვლისფრითაო,
სადაც რომ მტერი აღუჩნდა,
დაიმორჩილა თვითაო.

(ცანავა, 1953: 95)

ერეკლეს რომ უამრავი ორპირი და მოღალატე ადამიანი ეხვია გარს, ამას ჩვენი ოფიციალური ისტორიკოსებიც ადასტურებენ: „მძიმე ვითარება რომ დაიგულეს, ქართლ-კახეთის მეფის უკმაყოფილო, განაწყენებულმა და საერთოდ მტრულმა ელემენტებმაც წამოყვეს თავი და ერეკლე მეორესთან ანგარიშწორების სურვილით სამშობლოს დაღუპვასაც კი არად მიიჩნევდნენ. საქართველოს მთავარ ქალაქში რომ ათასი ურჯულო, მსტოვარი, მოღალატე, მტერი თუ გარეწარი დაძრწოდა და მის განადგურებას ესწრაფვოდა, გასაგებია; უბედურება ის არის, რომ მოღალატე ელემენტი ხელისუფლებასთან დაახლოებულ წრეებშიც არაერთი იყო“ (საქ. ისტ., 2012: 466).

ქართულ ხალხურ ლექსში „მეფე ერეკლეს მოღალატენი“ მოთხრობილია, თუ როგორ უღალატეს მეფეს, სამშობლოს და თანამემამულეებს მტერთან; სახალხო მელექსე მიმართავს მეფე ერეკლეს:

მეფე ერეკლე, ქვეყნის ბატონო,
კელეპტარი ხარ, ქვეყნისა მნათი,
რუსეთ ხელმწიფე შენგნით გაჰკვირდა,
შენგნით შეშინდა ყანდარ-ერანი,
ღმერთის მგმობელმა, რჯულის დამგდებმა
ვინ მოიგონა მეფის ღალატი!
ერთს ფეიქარსა წიგნი ხელთ მისცეს,
ეს ჩაგვიტანე ქარუმ ხანამდინ:
„ქარუმ ხან, შენ წინ წამოდეგ,
სულ ამოწყვიტოთ შვილით თავამდინ“...

(ქ. ხ. პ. 1984: 49)

საქართველოს საამაყო ვაჟკაცებიც ჰყავდა, ისეთები, რომელთა სახელიც ოფიციალურმა ისტორიამ თუ ხალხურმა სიტყვიერებამ ვერ შემოგვინახა; სწორედ ამიტომაც ნიკოლოზ ბარათაშვილი პოემაში გამოთქვამს ღრმა მწუხარებას, რომ მამულისათვის თავდადებულ გმირთა საფლავებიც არ გვაქვს, რომ „ჰაერში განქრა მათი სახელი“ და იმ სასტიკი დროის მოწამე ძეგლიც კი არ გაგვაჩნია და არც მათ საქმეთა მქადაგებლები გვყავს, თუმც პოეტი მაინც იმედიანად აცხადებს:

მაგრამ, ჰოი, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით:
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილიშვილოდ გარდაეცემის;
ქართლი თქვენს ღვაწლსაც ვერ დაიდუმებს,
აღა-მაჰმად ხანს ვიდრე ახსენებს!

(ბარათაშვილი, 2012: 47)

ამ დიდებული სტრიქონების შექმნისას, ბუნებრივია, ნიკოლოზ ბარათაშვილი საზრდოობდა ქართული ხალხური სიტყვიერებით, რომელიც არასოდეს ივიწყებს სამშობლოსათვის თავშეწირულთა სახელებს და თაობიდან თაობას გადასცემს, რათა მომავლის გმირებიც ამავე სულისკვეთებით აღიზარდნენ. ეს ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერების სპეციფიკაა; ქართველი ხალხი ხომ საუკუნეების მანძილზე ქმნიდა ვაჟკაცის იდეალს, სახეს, შთამომავლობას ასწავლიდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო იგი, როგორი ზნეობრივი იდეალებით უნდა ეხელმძღვანელა. ჩვენს წინაპრებს ვაჟკაცი ესახებათ როგორც სამშობლოს პატრიოტი, თავგანწირული, გულადი ადამიანი და ეს მსოფლმხედველობა უხვად არის ჩამძიმებული ეროვნული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრში; ამასთან, განზოგადოებულადაც არის წარმოჩენილი მტკიცედ ჩამოყალიბებული ფრაზეოლოგიზმების სახით როგორც ანდაზებში, ისე – აფორიზმებში. „უადრესად ლაპიდარული ქართული ხალხური საგმირო აფორიზმები გამოხატავენ საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ განზოგადებულ იდეალს ვაჟკაცისა. სამშობლოსათვის თავგანწირვა, მხნეობა, მეგობრისათვის თავდადება, დაჩაგრულთა და სუსტთა მოსარჩლეობა და ყოველგვარი სილამაზე გმირობის სავალდებულო ნორმად არის აღიარებული ქართულ ხალხურ პოეზიაში...“ (ქ. ხ. პ., 1974: 15).

გმირის იდეალს შესანიშნავად ეხმიანება ხალხური საგმირო ლექსი „ვაჟკაცი“, რომელიც გიორგი ნათაძის მიერ არის ჩაწერილი:

მტერსა რომ მტრობას უწევდეს,
ვაჟკაცის შესაფერია.
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
ქვეყნად ის არაფერია.
არც მაუხდება აბჯარი,
არც ომში წასასვლელია,
არც ვაჟკაცებში ხსენების,
არარად ჩასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამჯავრებელი,
აუგის მოქმელი არ იყოს,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლის გამმწარებელი.

(ქ. ხ. პ., 1975: 226)

სწორედ ასეთი გმირების „სახსოვრად“ შეუქმნიათ ქართველ სახალხო მოქმელებს საგმირო ლექს-სიმღერები, რომლებშიც ვაჟკაცის ოპტიმიზმი, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუდრეკელობაა გადმოცემული. „გმირის ნათელსა და ჯანსაღ ოპტიმიზმს, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუდრეკელობასა და სამხედრო ოსტატობას ხალხი გმირის პირითვე ახასიათებს აფორიზმში“ (ქ. ხ. პ., 1974: 15):

ჯავრო, არ მოგცემ ნებასა,
გულო, არ დაგაშავებო,
მტერო, არ შეგეპუები,
ხმალო, შენ გაგაფხავებო!

(ქ. ხ. პ., 1974: 88)

ნიკოლოზ ბარათაშვილი კრწანისის ბრძოლის აღწერისას სწორედ ქართველ მეომართა ამგვარ გმირობასა და შეუპოვრობას წარმოაჩენს, გვისურათებს რა წინაპრების მამულიშვილურ ღვაწლს:

... ვითა ნადირსა მშიერი ლომი,
ეკვეთნენ სპარსთა ივერთ მხედარნი
და მტკვარსა შეჰრთეს სისხლისა ღვარნი!
ორნივ იბრძვიან გამწარებულნი,
ორნივ ომებში გაქეზებულნი.
თამაზ, ენისელთ მოურავის ძე,
და იოანე, კახთ აბაშიძე,
სომხითის გამირნი ყაფლანისშვილნი
და მათ მომარცხნედ ბარათაშვილნი
განუმტკიცებენ მკლავთა ქართველთა.

(ბარათაშვილი, 2012: 48-49)

ერეკლე მეფე გმირი იყო ქართველი ხალხისათვის, თავგანწირული გმირი, რომელიც მზად იყო ყველაფრისათვის, ოღონდაც სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობისათვის მიეღწია. ერთ-ერთი ხევსურული ხალხური ლექსი, რომელიც ივანე ბუქურაულს ჩაუწერია, ერეკლეს ვაჟკაცი სახის კიდევ უფრო სრულყოფილად წარმოსაჩენად მას „წინა ჟამის“ გმირს უწოდებს და, ხალხურ პოეზიაში დახატული გმირის იდეალის მსგავსად, რკინის გულის მქონედ წარმოგვიდგენს:

ერეკლე ბატონიშვილი
გმირია წინა ჟმისაო,
შიგადი გული რკინისა,
გარედი სალი კლდისაო,
და ცხენსა გარდაჯდებოდა,
რა ტურფა ჩილი ხესაო!
რახანსა ომში შევიდეს,
მეტისმეტ მამაცისაო.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 51)

საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებული გმრობის ხალხური კოდექსით ნასაზრდოები ამ დიდებული ლექსიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი იყო ივერთა ნდობა ერეკლეს მიმართ; ხალხი გრძნობდა მეფის მზრუნველობას, მის სულიერ და

ფიზიკურ სიძლიერეს, იმ საარაკო სიმამაცეს, რომელსაც მეფე ომში იჩენდა და ლაშქარსაც შთააგონებდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში არის კიდევ ერთი შესანიშნავი ლექსი – „საფლავი მეფის ირაკლისა“, რომელიც მთლიანად ეძღვნება – ერეკლე მეფეს. მას ერეკლე მოხსენიებული ჰყავს „გმირ მეფედ“, სწორედ ისეთად, როგორადაც ქართველ ხალხს ესახებოდა... პოეტი მიმართავს დიდებული მეფის აჩრდილს:

მოვიდრეკ მუხლთა შენს საფლავს წინ, გმირო მხცოვანო,
და ცრემლს დავანთხევ შენს სახეზე, მეფევ მხცოვანო!
ახ, რად არ ძალუმს განცოცხლება წმიდას აჩრდილსა,
რომ გარდმოჰხედო ახალს ქართლსა, შენს პირმშოს შვილსა!

(ბარათაშვილი, 2012: 35)

პოეტი ამ ლექსშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართველი ხალხის საყვარელი „პატარა კახი“ იყო ივერთა იმედი, რომელიც დღენიადაგ ზრუნავდა ერის კეთილდღეობაზე; ირაკლის სიკვდილთან ერთად ქართველმა ხალხმა დაკარგა სულისკვეთება, რომელიც, ასე ძალიან სჭირდებოდა შემაწუხებელ რეალობასთან ბრძოლისთვის. მართალია, რომანტიკოსი პოეტი აღიარებს, რომ

აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა
აწ მოგვიგვრიან მრავალის მხრით ჩვენთა მოძმეთა!

(ბარათაშვილი, 2012: 36)

რისთვისაც გულწრფელ მადლიერებას გამოხატავს დიდებული მეფე-სტრატეგისას, მაგრამ მაინც ვერ მალავს იმ დიდ გულისტკივილს, რომ აწმყოთი უკმაყოფილოა, რომ მეფე ერეკლე იყო ივერიის უკანასკნელი სიმტკიცე და შეუვალობა:

მშვიდობა შენსა წმიდას აჩრდილს, გმირო განთქმულო,
უკანასკნელო ივერიის სიმტკიცის სულო!

(ბარათაშვილი, 2012: 36)

ერთის მხრივ მშობელი ქვეყნის ფიზიკური გადარჩენის კმაყოფილებასა და მეორეს მხრივ თანადროულობისადმი გარკვეულ ხარკს გმირი წინაპრის საფლავისადმი მიმართულ ცრემლებში განიხსებს რომანტიკოსი პოეტი; ქართველი

ხალხის ცრემლებში, რომელთა აღნაგიც „არის ღირსსახსუარი მეფის წმინდა საფლავი“: (ბარათაშვილი, 2012: 36)

ლექსში გადმოცემულია პოეტისა და მთელი ქართველი ერის წუხილი, რომელიც გამოწვეულია ივერთა „განთქმული გმირის“, მათი უკანასკნელი მოამაგისა და მზრუნველი მეფის სიკვდილით. ქართველი ხალხისთვის ამ დანაკლისით გამოწვეული მწუხარება არის უსაზღვრო, რადგანაც „პატარა კახი“ ივერთათვის იყო თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლო, რადგანაც, გრიგოლ ორბელიანის თანახმად,

მამული ვედარ იხილავს ირაკლის ხმალსა მღელვარეს,

დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!

(ორბელიანი, 2013: 83)

ქართული ხალხური პოეზიაც მისტირის იმ დროს, როცა მათი საყვარელი მეფე ცოცხალი იყო და ყველა ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ ქვეყანაში სიმშვიდე ყოფილიყო; ამის დასტურია ლექსები: „მეფე ერეკლეს დროშია...“ (ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 212), „ერეკლე ნეფის დროშია...“ (ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 379-380).

ლექსში „მეფე ერეკლეს დროშია“ გამოხატულია ის დიდი ნდობა და სიყვარული, რომელსაც ქართველი ხალხი განიცდიდა მზრუნველი მეფის მიმართ.

ერეკლე ბატონიშვილი

განა უბრალო კაცია,

სათათრე გამაამტვერა,

ნაპირი დაღისტნისაო.

ეგ მანდითა რა დაბრუნდა.

საით რა იქმსა პირსაო.

ციხეს ქანქანა შეუდო,

ხელ-ფეხ ჩამოდის მკვდრისაო.

ჰკვირობენ თათრის შვილები,

ერეკლე რას შვრებისაო.

რათ გიკვირთ, თათრის შვილებო,

შვილია ბატონისაო,

ნაწურთნი თამაზ ხანისა,

გაზრდილი თამარისაო.

(ქ. ხ. პ., 1984: 54)

ერეკლე მეფის სიკვდილზე, ხალხისათვის ამ თავზარდამცემი მოვლენით გამოწვეულ მწუხარებაზე, არაერთი ხალხური ლექსი შეუქმნიათ სახალხო მგოსნებს; როგორც ილია ჭავჭავაძემ აღნიშნა, „ერმა ამისთანაებში მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტნობისაგან გულისა, ე. ი. მაშინ, როცა გული სავსეა“ (ჭავჭავაძე, 2012: 137). ერთ-ერთი ხალხური ლექსით ასე მოსთქვამს ხალხი:

ღმერთმა იცოდას, მეწყინა
არევა ქალაქისაო,
ნეფე ერეკლის სიკვდილი -
ხევსურთა ხელმწიფისაო.

(ქ. ხ. ს. სიტყ., 1964: 206)

ერეკლე მეფის სიკვდილით გამოწვეულ ტკივილსა და მწუხარებას არც ისტორიის ფურცლებზე ჩაუვლია უკვალოდ: „ქართველი ხალხის უსაყვარლესი წინამძღოლი, რკინისებური ჯანმრთელობით და უშრეტი ენერგიით გამორჩეული, 54 წლის განმავლობაში შეუსვენებლივ, არწივივით რომ დასტრიალებდა თავის სამშობლოს, დღეობით უნაგირიდან არ ჩამოდიოდა, კვირაობით სასთუმალზე არ იძინებდა... 1798 წლის 11 იანვარს... ქართველთა საფიცარმა, „პატარა კახმა“ უკანასკნელად მოავლო თვალი თელავის მშობლიური სასახლის პატარა ოთახს... თანამედროვენი, ქართველებიც, უცხოელებიც, ერთხმად აღნიშნავდნენ, ხოლო სასახელო საქმეები ამტკიცებდნენ, რომ ის იყო ბრწყინვალე პოლიტიკოსი, არაჩვეულებრივი ნათელი გონების პიროვნება... უნიჭიერესი სარდალი და უებრო მებრძოლი“ (საქ. ისტ., 2012: 480-481), – ასე აფასებენ ისტორიკოსები ერეკლე მეორის პიროვნებასა და მის უსაზღვრო ღვაწლს ერის წინაშე.

მკვლევარი გერონტი ქიქოძე შენიშნავს: „ირაკლი მეფის საფლავისადმი მიძღვნილ ლექსსა და „ბედი ქართლისაში“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა პატარა კახის ღრმად ტრაგიკული და ადამიანურად მიმზიდველი ფიგურის ასახვა მოგვცა... ძნელია იმის გამორკვევა, რას უფრო სცემს პატივს პოეტი: მის სამხედრო ნიჭს და გმირულ სულს თუ მის პოლიტიკურ გამჭრიახობას“ (ქიქოძე, 1985: 320).

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის უცხო არ იყო ეროვნული ფოლკლორის სამყარო. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხალხური მეტყველების მდიდარი სალაროდან შეთვისებული სახეები, გამოთქმები, სიტყვები, ამდიდრებენ მის პოეტურ შთაგონებას. მის შემოქმედებაში კარგად ჩანს, თუ რაოდენ ღრმად იცნობს პოეტი მეფე ერეკლეს ციკლის ქართულ ხალხურ სიტყვიერებას, რომელშიც საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ერეკლე მეორის ღვაწლი ერისა და ხალხის წინაშე, ასევე ხალხის ნდობა და სიყვარული საამაყო მეფის მიმართ. პოეტი გრძნობს იმ ეპოქის მაჯისცემას, რომელშიც მოღვაწეობდა რაინდული ბუნების მქონე მეფე. ახალგაზრდა მგოსანი განიცდის საქართველოს ბედს, მისთვის სისლხორცეულია ის ტკივილი და მწუხარება, რომლის გადატანაც მოუხდა ქართველ ხალხს, გარდასულ ეპოქათა გმირებს.

ქართველი რომანტიკოსები, როგორ უკვე აღვნიშნეთ, მეტად დიდ ინტერესს იჩენენ ხალხური სიტყვიერებისადმი, რომელშიც კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის წარსული. რომანტიკოსი პოეტები – ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, და ნიკოლოზ ბარათაშვილი – აღფრთოვანებულნი არიან მეფე ერეკლეს პიროვნებით, რაც ნათლად არის გამოხატული მათ შემოქმედებაში; ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ მათთვის ერეკლეს ეპოქა სისლხორცეულია და უდიდესი შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ იქცა.

ქართული რომანტიზმი, გარდა იმ საერთო, ზოგადი მახასიათებლებისა, გამოირჩეოდა ღრმა ეროვნული სპეციფიკურობით; ამდენად, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია ისტორიზმს; რომანტიკოსთათვის დიდ მნიშვნელობას იძენს მშობელი ქვეყნის ისტორია, წარსული, ის გზა, რომელიც გამოიარა ქვეყანამ; სწორედ ამიტომ, გარდა ისტორიული წყაროებისა, რომანტიკოსებისთვის ასევე მახლობელი და საინტერესო გახდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, რომლებშიც ქართველი ხალხის წარსული და ის სატკივარია გადმოცემული, რაც საუკუნეების განმავლობაში განიცადა ქვეყანამ. ამიტომაც, ისტორიულმა თემამ რომანტიკოსთა შემოქმედების მრავალ ჟანრში პოვა გამოხატულება.

ეროვნულ სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად, მრავალსაუკუნოვანმა და ყველა ეპოქაში აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ქართულმა ზეპირსიტ-

ყვიერებამ მშვენივრად გამოხატა ჩვენი ხალხის მდიდარი და, ამავე დროს, ტვირთმძიმე ისტორია, სოციალური წინააღმდეგობანი, საზოგადოების პატრიოტული განწყობილება, ჰუმანისტური იდეები, ხოლო ქართულმა რომანტიკულმა პოეზიამ, ერთის მხრივ, ახალ ეტაპზე აიყვანა ძველი ქართული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ეროვნული იდეალებით გაჯერებული მუხტი და ეპოქის მოწინავე იდეებს დაუკავშირა; მეორეს მხრივ კი, იმ სულიერი საზრდოს ძიება, რაც მიუღებელ, შეურიგებელ აწმყოში შეუძლებელი იყო, ეროვნული ზეპირსიტყვიერების უშრეტსა და ყოველთვის გულმართალ წიაღში დაიწყეს.

რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ ისტორიულ და ხალხურ-პოეტურ თემებს, ვითარცა იდეალურ წარსულთან წვდომის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს. ქართული რომანტიზმი იმთავითვე ეროვნულ ფესვებზე დგას და ხალხური პოეტური სიტყვა ამ ფესვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მაცოცხლებელი ძარღვია. როგორც მკვლევარი თეიმურაზ ჯაგოდნიშვილი მიუთითებს, „რომანტიკოსთა მსოფლგანცდის საფუძველი ეროვნული ყოფის ძირებისაკენ, სათავეებისაკენ ლტოლვაა“ (ჯაგოდნიშვილი, 2004: 314).

ნიკოლოზ ბარათაშვილს, გრიგოლ ორბელიანს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს გაიდელელებული აქვთ საქართველოს წარსული, ის დიდებული დრო, როცა ქვეყანა იყო თავისუფალი, მებრძოლი და ჰყავდა ისეთი გმირი მეფეები, როგორებიც იყვნენ: ერეკლე მეორე, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ვახტანგ გორგასალი, ფარნავაზ მეფე და სხვა მრავალი გამორჩეული, ქვეყნისათვის თავდადებული გმირები.

თავი მესამე

სატრფიალო ლირიკა

1. სატრფიალო ლირიკის რაობისთვის

ხალხური ლირიკა – ადამიანის აზროვნების უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, ფოლკლორის ერთ-ერთი უმშვენიერესი და უმდიდრესი ნაწილია. ხალხურ ლექსში პოეტურ ფორმაში გაცხადდა ჩვენი წინაპრების სულიერი ცხოვრება, მათი განწყობილებები. ლირიკულ ლექსებში, როგორი შინაარსის და დანიშნულებისაც არ უნდა იყოს ისინი, ყველაზე ბუნებრივი უშუალოდ არის წარმოჩენილი ადამიანის შინაგანი სამყარო, მისწრაფებები თუ ოცნებები. ჩვეულებრივ, ხალხური მელექსე ჯერ პოეტურ ფორმაში ამწყვდევს თავის სათქმელს, მერე სხვებს ანდობს გულისნადებს და, თუ გონივრულად და, თანაც, პოეტურად გამოუვიდა ნათქვამი, მისი ფიქრი ათასობით ადამიანის გულისთქმის გამომხატველიც აღმოჩნდება ხოლმე. ასეთი ნაწარმოები თაობიდან თაობას გადაეცემა და ეროვნული კულტურის მონაპოვრად იქცევა.

მხატვრული თვალსაზრისით ქართული ხალხური ლირიკა ფორმის მეტ მრავალფეროვნებას და მხატვრულ ხერხთა უაღრეს დახვეწილობას ამჟღავნებს; ყოველი ერი მხატვრული პოეზიის განვითარებაში, ეროვნული ლექსთწყობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხური ლირიკა, რომლის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშები გასაოცარი დახვეწილობით გამოირჩევა. პროფესორი ელენე ვირსალაძე მიიჩნევს, რომ „ისინი შექმნილია ისეთ ეპოქაში, როდესაც ადამიანი არამცთუ კარგად ერკვეოდა თავის განცდებში, არამედ ცხოვრების ერთგვარ ფილოსოფიას ქმნიდა, გამოხატავდა გარკვეულ თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენებზე, ადამიანის შინაგან ცხოვრებაზე, გრძნობებზე, ამ გრძნობათა სუბიექტსა თუ ობიექტზე, ცხოვრების იდეალებზე, სიცოცხლის საზრისზე“ (ვირსალაძე, 1978: 7-8).

ქართულ ხალხურ ლირიკულ ლექსებს თემატური მრავალფეროვნება ახასიათებს, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სატრფიალო თემატიკა. ქართულ ხალხურ სატრფიალო ლექს-სიმღერებში მკაფიოდ არის გამოხატული ადამიანის

გრძნობა; როგორც ვიცით, სატრფიალო ლექსები უძველეს დროში გუნდურად სრულდებოდა კოლექტიური შრომის ან კიდევ სხვადასხვა რიტუალის დროს. რა თქმა უნდა, ლექსს საფუძვლად ერთი ადამიანის პირადი განცდა ედო, მაგრამ დროთა განმავლობაში კოლექტიური ფიქრისა და გრძნობის გამომხატველ ნაწარმოებად იქცა, გახალხურდა.

სატრფიალო პოეზიაზე მსჯელობისას აუცილებელია, აღინიშნოს ქართველი ხალხის შეხედულება სიყვარულზე, მის ადგილზე ადამიანის ცხოვრებაში, მის არსზე. სატრფიალო ლირიკაზე თვალის გადავლებითაც კი შევამჩნევთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს გრძნობა ქართველთათვის. ერთ-ერთ ხალხურ ლექსში „...ოღონდაც, ჩემო ლამაზო...“, რომელიც თუმური ზეპირსიტყვიერების ცნობილ შემკრებს – გ. ცისკარიშვილს 1943 წელს თუშეთში ჩაუწერია, სახალხო მთქმელი გადმოგვცემს სიყვარულის ძალაზე:

...ჩვენს სიყვარულზე, ლამაზო,
ზედ ვარდიც ამოდიოდეს,
ჩვენი ტრფობისა მორევში,
მტერნიც ვერ გამოდიოდეს,
გაკვირვებული მაღლიდან
ღმერთიც ძირს ჩამოდიოდეს.

(ქ. ხ. პ., 1978: 73)

ამ დიდებული გრძნობის შესაძლებლობებზე კიდევ ბევრი უთქვამთ ჩვენს წინაპრებს; ერთ ხალხურ ლექსში სახალხო მთქმელი სიყვარულს მტრობაზე ძლიერ გრძნობად წარმოაჩენს:

წუთისოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია,
რაც მტრობას დაუნგრევია,-
სიყვარულს უშენებია.

(ქ. ხ. პ., 1979: 31)

სიყვარული რომ ამაღლებული გრძნობაა და რომ ამ გრძნობის გარეშე ადამიანს არსებობა გაუჭირდებოდა, ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს როგორც ქართული ხალხური სიტყვიერება, ისე ქართველ პოეტთა შემოქმედება, რომელთაგან რომანტი-

კოსი პოეტების – ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის – პოეზია გამორჩეულია. რომანტიკოსთა სატრფიალო ლირიკა გამსჭვალულია ღრმა და ფაქიზი გრძნობებით; მათთვის სიყვარული ერთ-ერთი უმაღლესი ადამიანური გრძნობაა.

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკა, რა თქმა უნდა არ შემოიფარგლება ქალის მხოლოდ გარეგნული სილამაზის ქებით; სახალხო მთქმელი, ქალის გარეგნულ მიმზიდველობასთან ერთად, ასევე ქებას ასხამს მის გონიერებასაც. ამის მაგალითია ლექსი „...ვის ხელშიგან გაიზარდე...“, რომელიც მესხეთში ჩაიწერა ვახტანგ კოტეტიშვილმა:

ვის ხელშიგან გაიზარდე,
ბრძენო, უცხო, ჭკვიანო;
საითაც მიბრძანდები,
ფიანდაზს გიშლიანო,
ემხით კაცს გააგიჟებ,
ბროლის ღაბაზიანო,
ტკბილის ენით მუსიკობ,
სიტყვა-პასუხიანო.

(ქ. ხ. პ., 1978: 53)

გრიგოლ ორბელიანისთვისაც სიყვარული განსაკუთრებული, ამაღლებული გრძნობაა. პოემა „სადღეგრძელოში“ იგი ერთ-ერთ სადღეგრძელოს სწორედ ამ დიდებულ გრძნობას უძღვნის და საუბრობს სიყვარულის მნიშვნელობაზე ადამიანისთვის:

...მოვიგონოთ სიყვარული, რომლით სიცოცხლე გვიტკბება,
რომლის შუქი აღგვამაღლებს, რომლით სული გვინათდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება!..

(ორბელიანი, 2013: 91)

პოეტისთვის სიყვარული სულის „მაშვენია“, ხოლო უსიყვარულოდ სასუფეველიც კი საპყრობილედ ესახება:

...და სიყვარული, სულის მაშველი, სიცოცხლეს-თანა არა დაჰშრტების,
თვარა სიყვარულს თუ დაჰკარგვიდე, უკვდავებამან მის წილ რა მომცეს?
უსიყვარულოდ სასუფეველი, ვით საპყრობილე, ჩემთვის შეიქმნეს!...

(ორბელიანი, 2013: 93)

ერთი ხალხური ლექსის, „...ქალო, ნეტავი შენი ხმა...“, მიხედვით კი სატრფოს ხმის გაგონება ავადმყოფ მიჯნურს წამლად ერგება:

ქალო, ნეტავი შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო,
აქიმად შენვე გაქცია,
შენს ახლოს დამაღონაო!

(ქ. ხ. პ., 1978: 66)

რომანტიკოსი პოეტისთვისაც სატრფოს ხილვა და მისი ხმით ტკბობა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას:

ნეტარ, კვლავცა შენი ხილვა მეღირსოს,
საამურის ხმის დავეტკბო სმენას,
მას წამს სანატრელს ვით შემედაროს
ან მეფე ტახტზე, ან ღმერთნი ზეცას!

(ორბელიანი, 2013: 27)

ხალხურ ლექსში – „...ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ...“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია ქართლში, „წმინდა სულის“ მქონე სატრფო მიჯნურისათვის „მაცოცხლებელი“ ძალაა:

ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ,
მაცოცხლებელო გულისა!
შენი თვალ-წარბის ჭირიმე,
მაგ შენი წმინდა სულისა...

(ქ. ხ. პ., 1978: 60)

ნიშანდობლივია ისიც, რომ შეყვარებული ადამიანისთვის სატრფო ყველასგან გამორჩეულია და მისი დარი არსად მოიძებნება. ამგვარი შეხედულება ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიისთვის, ისევე, როგორც გრიგოლ ორბელიანის შემოქმედების ლირიკული გმირისათვის, უცხო არ არის:

ვინცა გაგიცნობს,
ემხით ტანჯვას ჰსცნობს...
და ვინც ვერ გიცნობს,

მაშ რას კეთილს ჰსცნობს!

(ორბელიანი, 2013: 21)

სახალხო მთქმელისთვისაც მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება მისი სატრფოს მსგავსი და მითუმეტეს – მასზე უკეთესი:

ქართლის ქალო, შენი ქება,
რომ არა ვთქვა, არ იქნება:
შენისთანა ლამაზიცა
ქვეყანაზედ ვინ იქნება!

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

ამგვარი სულისკვეთებისაა ლექსი, რომლის მთქმელიც ქართლში ჩაუწერია ვახტანგ კოტეტიშვილს 1933 წელს:

იმერეთი დამივლია,
ქართლი შემიჯერებია,
არ მინახავს შენისთანა,
ყელი მოგიღერებია...

(ქ. ხ. პ., 1978: 47)

ჩვენს ყურადღებას იპყრობს გრიგოლ ორბელიანის კიდევ ერთი ლექსი „დავით ყორღანაშვილს“, რომლის ანალოგიები მრავლად მოიპოვება ხალხურ პოეზიაში. იგი მოლოდინშია სატრფოს ამბებისა; პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან ჩანს, „...რომ მეგობარი (ამ შემთხვევაში დავით ყორღანაშვილი) დაინტერესებულია მანანათი გრიგოლის გამო, ამიტომაც ატყობინებს მის შესახებ ყოველივეს...“ (შარაბიძე, 2008: 116) სწორედ ამიტომ, პოეტი მოუთმენლად ელოდება მეგობრის წერილს, რაზეც მისდამი მიძღვნილი პატარა ლექსიც მოწმობს:

შენი წიგნი ისე მატკობს, მახარებს,
ვით ყიზილბაშს – ყალიონი და ჰალვა.
ვამბობ – ნეტა ბედი როდის მაღირსებს,
რომ შენს გრიგოლს, ჩემო დავით, ეხილვა.

(ორბელიანი, 1992: 302)

ხალხური პოეზიის ლირიკული გმირიც ჩვეული პირდაპირობითა და მოწიწებით სწერს სატრფოს წერილს:

წიგნს დავწერ, გამოგიგზავნი,
შავის მელნითა ნაწერსა,
შენ შავ თვალებს წააკითხე,
შავი წამწამი აძევსა,
მინამდინ შენა გნახავდე,
მანამ ვილა გააწევსა!

(ქ. ხ. პ., 1978: 96)

ან კიდევ ლექსი, რომელიც გრ. აფშინაშვილს ფშავში ჩაუწერია:

წიგნს დავსწერ, გამოგიგზავნი
ჩემგულად სამოთხისაო!..

(ქ. ხ. პ., 1978: 96)

ხალხურ ლექსში „...ნეტამც იყოს მომკლას ვინმემ...“, რომელიც გურიაში, სოფელ მაკვანეთში, ჩაუწერია ნ. ჯანაშიას, მიჯნური სატრფოს გულისთვის ყველა განსაცდელს გაუძლებს:

ნეტამც იყოს, მომკლას ვინმემ,
ასო-ასო დამჭრას ვინმემ,
ეკლის კონად გამაკეთოს,
მაღალ ღობედ დამდგას ვინმემ,
ფეხზე ცეცხლი მომიკიდოს,
თავამდის რომ დამწვას ვინმემ;
მე იმას ყველას მოვითმენ,
საყვარელთან დამსვას ვინმემ!

(ქ. ხ. პ., 1978: 65)

ამგვარი თავდადება მიჯნურისათვის მტკიცედ გასდევს ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკას; ამგვარი სიყვარული იცის ხალხური პოეზიის უღალატო ლირიკულმა გმირმა, რომლის გულწრფელი აღსარება მიჯნურის მიმართ ამგვარია: „სიკვდილსა შენსა სანაცვლოდ თავსა მე მივცემ, შენ არა!“ (ქ. ხ. პ., 1978: 70). ამგვარი თავდადებული მიჯნურია გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირიც. სატრფოსთან განშორება, მისგან შორს ყოფნა რომ ძალზედ ძნელი ასატანია, ამაზე არაერთ პოეტს თუ სახალხო მთქმელს უთქვამს, მათ შორის – გრიგოლ

ორბელიანსაც; მიჯნურის სევდიან გუნება-განწყობილებას გამოხატავს ლექსი „ნ...“, რომელის მიხედვითაც მგოსანი მიიჩნევს, რომ „ტანჯვა არს მზრდელი სიყვარულისა“, რომელიც, ამავდროულად, ვალიც და მსხვერპლიც არის „უზომო სიყვარულისა“:

...თვით სიშორეცა შემექმნა ეშყით ცეცხლზედ ცეცხლ-დამმართი,
მიკვირს, ესდენ სიყვარულსა ვითარ იპყრობს გული ერთი?

.....
ტანჯვა არს მზრდელი ტრფობისა, დამბერველ ეშყი ცეცხლისა,
ტანჯვა არს ვალი და მსხვერპლი უზომო სიყვარულისა.

(ორბელიანი, 2013: 39)

რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ლექსში „გამოსალმება“ სატრფოსთან განშორებით გამოწვეულ უსაზღვრო სევდას გადმოგვცემს, როდესაც მას ამგვარი სიტყვებით მიმართავს:

...სატრფოვ! გშორდები და სიტყვა ვერ მიპოვია სათქმელად,
ანუ შენთ ცრემლთა საშრობად, ანუ ჩემ სანუგეშებლად!
ვერცა ცრემლთ ვაფრქვევ, ვერც ვუბნობ თვისსა სიყვარულს,
თვის ტანჯვათ,
და მით ვარ უფრო უბედურ, რომ ვერ აღმოვსთქვამ
მსგავსად სხვად...

(ორბელიანი, 2013: 17)

ხალხურ პოეზიაშიც სატრფოსთან განშორება ღრმა მწუხარებას იწვევს, ხოლო მასთან შეხვედრა კი ბედნიერებას ჰგვრის მიჯნურს; ამგვარი განწყობის მაგალითად შეიძლება მოვიხმოთ ხალხური ლექსი „...როდის იყო სათამაშოდ...“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ქართლში ჩაუწერია:

...სამძიმარი თვალსა ცრემლი
მოგვდიოდეს გაყრისათვის,
სიხარული, პირს სიცილი
მოგვდიოდეს ნახვისათვის.

(ქ. ბ. პ., 1978: 72)

ამრიგად, სახალხო მთქმელთა შეხედულება და განწყობა სიყვარულის, შეყვარებული ადამიანის მდგომარეობის შესახებ ფაქტობრივად იდენტურია რომანტიკოსი პოეტის – გრიგოლ ორბელიანისეული შეხედულებებისა, რის ნათელ დასტურსაც მისივე შემოქმედება წარმოადგენს.

რომანტიკოს პოეტს რომ ჭეშმარიტი ბედნიერება სიყვარულის გარეშე ვერ წარმოუდგენია, ნათლად ჩანს ლექსიდან „...გწამდეთ, ვის გული...“, რომელითაც გრიგოლ ორბელიანი გვიმტკიცებს, რომ „ამა სოფლით“ ვერ დატკბება ადამიანი, თუ მას ეს გამორჩეული გრძნობა არ გააჩნია:

გწამდეთ, ვის გული არ უძგერს ტრფობით,
ვითა სიზმარი მის დღენი განჰქრეს,
ვერცა სიამით, ბედნიერებით
ამა სოფლისა ვერა რით დატკბეს.

(ორბელიანი, 2013: 26)

სახალხო მთქმელისთვისაც, ლექსში „...შენი ჭირიმე...“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, სატრფოს გარეშე ყოფნა ან მისი ავადმყოფობა ყოვლად მიუღებელია და აცხადებს, რომ მიჯნურის გარეშე სიცოცხლეს აზრი არ აქვს; მის გარეშე დარჩენილი სიკვდილისათვისაც კი არის მზად:

შენი ჭირიმე, ლამაზო,
ნუ გამიხდები ავადა!
თუ შენ გამიხდი ავადა.
თავს მე მოვიკლავ თავადა!..

(ქ. ხ. პ., 1979: 46)

ნიკოლოზ ბარათაშვილს სატრფოს სიყვარულზე ძვირფასი „საუნჯე“ მთელს ქვეყანაზე არ ეგულება:

ღარიბი ვინმე მოვსულვარ,
სოფლისა მუშა საწყალი,
ამხანაგად მყავს ნაბადი,
ძმობილად — ბასრი ხანჯალი,
მე სხვა სიმდიდრე რად მინდა?
მე შენი გულიც მეყოფის,

მის ფასი კიდე საუნჯე
ცას ქვეშეთ განა იმყოფის?

(ბარათაშვილი, 2012: 42)

სახალხო მთქმელსაც, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, ყველაფრის გაღება შეუძლია სიყვარულისთვის:

მე შემოვევლე სიყვარულს,
.....
გავყიდი ყველაფერსა და
(თავს) შემოვაველებ სიყვარულს,
თუ ჩემ ქონება არ ეყო,
მოვიშველიებ სხვასაცა...

(ქ. ხ. პ., 1978: 91)

ლექსში „...მიყვარს თვალები მიბნედილები...“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ასე მიმართავს სატრფოს მშვენიერ თვალებს:

თვალნო ლამაზნო, ვინ უძლოს
თქვენსა ძლიერს ბასრობას,
თუ არა სჭვრეტდეს თქვენგან
სიკვდილში თვით უკვდავებას?

(ბარათაშვილი, 2012: 28)

ამგვარ „სიკვდილში“ პოეტი უკვდავებას ხედავს ისევე, როგორც სახალხო მთქმელი – ლექსში „...ინდი მინდი...“, რომელიც ი. გიგინეიშვილს გურიაში ჩაუწერია; ამ მშვენიერ სატრფიალო ლექს-სიმღერაში შეყვარებული ვაჟი სატრფოსთვის სიკვდილსაც კი არ იშურებს, რადგან მას „უკვდავების წყაროდ“ მიიჩნევს:

...გამინათლე თვალთა ბინდი,
შენთვის სიკვდილს არ შევშინდი,
უკვდავების წყაროდ მინდი.

(ქ. ხ. პ., 1978: 131-132)

ამ უაღრესად გულწრფელ ლექსში ნათლად იკითხება ლირიკული გმირის წრფელი, ღრმა და მგზნებარე გრძნობები. არც ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიისათვისაა უცხო ამგვარი მწველი სიყვარული; ერთ-ერთ ხალხურ ლექსში

„...სასიამოვნოდ შევშალე“, რომელიც მთიულეთში, სოფელ სოდევში, ელენე ვირსალაძეს ნიკოლოზ ჯალმაიძისგან ჩაუწერია 1946 წელს, სახალხო მთქმელი სატრფოსადმი მიძღვნილი გულწრფელი სიყვარულის გამომხატველი თქმით ცდილობს „გულ მოდებული ალის“ ჩაქრობას:

... რა ვქნა, რომ ლექსი არა ვთქვა,
გულ მომედება ალია.
ცხვარი გრილოში მდგარიყო
კვლიავით გამაძღარია.
დავჯექ, დავაწყე ლექსები,
როგორც ოსტატმა ქვანია.

(ქ. ხ. პ., 1978: 107)

რომანტიკოს პოეტს, უდიდეს სიამოვნებას გვრის სატრფოს ხმით ტკბობა; ლექსში „თავადის ჭ...ძის ასულს, ეკ...ნას“ ნიკოლოზ ბარათაშვილი ერთდროულად აღფრთოვანებულია ეკატერინეს „ხმით მშვენიერით“, სულიერი და გარეგნული სილამაზით:

ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები!
თვალთ არონინებ,
გულს დააწყლულებ
და ღიმილითა ესალბუნები!..

(ბარათაშვილი, 2012: 17)

ხალხურ პოეზიაში სახალხო მთქმელნი სატრფოს ხმას ადარებენ ბულბულის ენას. ერთ ჯავახურ სატრფიალო ლექსში „საყვარელო გულისა...“ მიჯნურის ხმა ბულბულის გალობას ედარება:

საყვარელო გულისა,
ენა გაქვს ბულბულისა...

(ქ. ხ. პ., 1978: 96)

ნიკოლოზ ბარათაშვილის სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირი სატრფოს გულისთვის ყველაფრისთვის მზად არის; მას შეუძლია, უარი თქვას ყოველგვარ

„სოფლისა სიამოვნებაზე“, ამქვეყნიურ დიდებაზე, ოღონდაც ღირსი გახდეს მიჯნურის ხილვისა:

...ოდეს ვიხილო მცირე ბინდი შენს შუქს გარემო,
მეის დამილამდეს ამ სოფლისა სიამოვნება
და შენთვის დავთმო ტრფობის წინდად ყოვლი დიდება!

(ბარათაშვილი, 2012: 23)

ერთ-ერთ ხალხურ სატრფიალო გაბაასებაში „...ამოიქროლე, ნიავო...“, რომელიც 1936 წელს ქართლში, ბორჯომის რაიონის სოფელ პატარა მიტარბში, ჩაუწერია ვახტანგ კოტეტიშვილს, ვაჟი ასე მიმართავს ქალს:

...ჩემო ამ სოფლის სიცოცხლევ,
მაცოცხლებელი გულისა,
შენი თვალ-წარბის ჭირიმე,
მაგ შენ ლამაზი სულისა!..

(ქ. ხ. პ., 1978: 84)

ნიკოლოზ ბარათაშვილის მსგავსად, ხალხური სატრფიალო პოეზიის ლირიკული გმირისთვისაც სატრფო მაცოცხლებელი ძალაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ, როგორც ხალხური ლექსის, ისე რომანტიკოსი პოეტის ლირიკული გმირი ყურადღებას ამახვილებს მიჯნურის როგორც გარეგნულ, ასევე – შინაგან სილამაზეზე.

საყვარელი ადამიანისგან იმედგაცრუების ხმა მოისმის ბარათაშვილის ლექსში „ვპოვე ტაძარი“; უიმედო სიყვარულისაგან გულმოკლული რომანტიკოსი პოეტი მარტოსულად, მიუსაფრად და ობლად გრძნობს თავს:

...ვერღა აღმიგოს სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

(ბარათაშვილი, 2012: 26)

ეს გრძნობა არც სახალხო მთქმელისთვის ყოფილა უცხო; ლექსში „...წადი, წიგნო, პირ-მზესთანა...“ ვაჟი ასე მიმართავს სატრფოს:

...ვარ ობოლი, გამიკითხოს,

ამ ქვეყანას, შენგნით მკვდარსა,
მე გულხელი დამიკრიფოს.

(ქ. ხ. პ., 1978: 95)

2. მნათობთა სიმბოლიკა

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ქალის სილამაზის, მისი გარეგნობის შედარება მნათობებთან: ვარსკვლავებთან, მთვარესთან და განსაკუთრებით – მზესთან, როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიანიშნებს, „ეს სახე ძველისძველია, მომდინარეობს იმ უხსოვარი დროიდან, როცა პირველყოფილი ადამიანის განუვითარებელი წარმოდგენით არაორგანული სამყარო ცოცხალ არსებად იყო მიჩნეული“ (სიხარულიძე, 1958: 287). მნათობთა პერსონიფიცირების არქაული რწმენა-წარმოდგენები უდევს საფუძვლად ხალხურ სატრფიალო ლირიკაში ოდითგანვე აპრობირებულ-მხატვრულ პოეტურ ხერხს სატრფოს მშვენიერების წარმოსაჩენად.

ქალო ეგ შენი ელფერი!

ამომავალ მზეს შეჰფერი.

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

ანდა:

ქალო, ეშხითა მორთულო,

დღისით მზევ, ღამით მთვარეო.

(კოტეტიშვილი, 1961: 93)

იმავე სიმბოლიკით გამოირჩევა ლექსი „ია და ვარდო, ლამაზო...“ რომლის მთქმელიც გახლავთ ქართლელი სანდრო ჯეჯელაშვილი, ხოლო ჩამწერი ვ. ლავრელაშვილი (1961 წ.):

ია და ვარდო ლამაზო,

შენა ხარ მზე და მთვარეა,

შენა ხარ შუქურ-მასკვლავი,

ცას შენ გაუღე კარია.

სულ დავიარე სოფლები

ქართლი, კახეთის მხარია,
ვერვინა ვნახე ლამაზი,
შენი ბადალი ქალია...

(ქ. ხ. პ., 1978: 52-53)

მნათობთა სიმბოლიკას ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკაში ფართო დიაპაზონი აქვს, როგორც ქალის, ისე ვაჟის მიმართ უხვად გამოიყენება მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც (სიხარულიძე, 1958: 290).

გრიგოლ ორბელიანისთვის სატრფოს სიყვარულს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი ღიმლის დანახვაც კი საკმარისია, რომ ყოველგვარი „სიმწარე“ დაავიწყდეს და „სულის ღელვა“ სიმშვიდემ შეცვალოს; მიჯნური რომანტიკოსი პოეტისათვის ციური მნათობია, რომელიც ყოველგვარ სიმწარეს ავიწყებს:

როს გხედავ, მნათო! ღიმლით ჩემ კერძოდ წარმოვლენილსა,
ვივიწყებ ყოველთ სიმწარეთ, ბედისგან მოვლინებულსა,
სულისა ღელვა მშვიდდების, გული კვალად ჰგრძნობს სურვილსა
და ვნანობ, მიწყევს თუ სიცოცხლე დამწარებულსა.

(ორბელიანი, 2013: 4)

ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკაში გამოხატული მნათობთა კულტის თაობაზე პროფესორი ელენე ვირსალაძე წერდა: „სატრფოს სილამაზის შედარება ციურ მნათობებთან – მზესთან და მთვარესთან – რაც, ქართული ხალხური სატრფიალოს პოეზიის ერთ-ერთი თვალსაჩინო თვისებაა; ეს ტრადიციული სახე ზოგჯერ მხატვრული შედარებით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ კი ხალხური აზროვნების არქაულ სახეებს უკავშირდება“ (ვირსალაძე, 1968: 273–276).

ხალხურ სატრფიალო ლირიკაში საყვარელი ქალის მზესთან შედარების მაგალითები მრავლად შეიძლება მოვიხმოთ. ერთ-ერთია ლექსი „ტანად საროტანი ხარ...“, რომელიც ჯუანშერ სონღულაშვილს ჩაუწერია ქართლში, სოფელ დილომში 1953 წელს 66 წლის მიხეილ სონღულაშვილისგან:

ტანად საროტანი ხარ,
პირად სახე მზოვანი...

(ქ. ხ. პ., 1978: 57)

ლექსში „...პირ-მზეო, პირი მას გიგავს...“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილს ჩაუწერია ქართლში, კერძოდ პატარა მიტარბში, 16 წლის ვახტანგ ლომიძისგან, საყვარელი ქალი ერთდროულად შედარებულია მზესთანაც და მთვარესთანაც:

პირ-მზეო, პირი მას გიგავს,
დილით ვარდს ნამი ეყაროს,
მთვარეს გავსილსა პირიდან
ღრუბლები გადაგეყაროს...

(ქ. ხ. პ., 1978: 66-67)

რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანიც სატრფოს მნათობების – მზის, მთვარის და ვარსკვლავის სიმბოლიკების მოხმობით აღწერს:

ვიდრემდის შენ ზე
დაგნათის, ვით მზე,
სიჭაბუკითა ნათელ ვარსკვლავი!

(ორბელიანი, 2013: 5)

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვისაც არ ყოფილა უცხო სიყვარულის თემა, მასაც ჰყვარებია ისე, რომ შემდგომში მისი რიგი ლექსების შთაგონების წყარო გამხდარა ეს უდიდესი ადამიანური გრძნობა. ნ. ბარათაშვილის სატრფიალო ლირიკა უხვად საზრდოობს ხალხური წყაროებით. მკვლევარი ალექსანდრე კალანდაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სულიერი სიწმინდე და ჯანსაღი ვნება გამოსჭვივის ერთდროულად ნიკოლოზ ბარათაშვილის იმ სატრფიალო ლექსებში, რომლებიც ხალხურ ყაიდაზეა დაწერილი და აღსავსეა სიცოცხლის დამამკვიდრებელი პათოსით“ (კალანდაძე, 1987: 269).

რომანტიკოსი მგოსანი ლექსში „...მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“, სახალხო მთქმელის მსგავსად, სატრფოს არამიწიერ სილამაზეს მზეს და მთვარეს ადარებს:

მადლი შენს გამჩენს, ლამაზო,
ქალო შავთვალეზიანო,
დღისით მზევ, ღამე მთვარევ,
წყნარო და ამოდ ხმიანო!
შენის ლოდინით ვსულდგმულვარ,
თაყვანს ვსცემ შენსა სახელსა;

დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ,

ნუ დამანანებ სოფელსა!

(ბარათაშვილი, 2012: 42)

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „...მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“ განხილვისას ანტონ ფურცელაძე (ფსევდონიმით „ქერელი ბექა“) 1863 წელს „ცისკარში“, მსჯელობდა რა ჟ. „მოამბეში“ გამოქვეყნებულ პოეზიაზე, მართალია, სამწუხაროდ, სათანადო შეფასება ვერ მისცა მშობელი ხალხის სატრფიალო ლირიკით შტაგონებულ ამ შესანიშნავ ნიმუშს, მაგრამ მაინც მიუთითა, რომ ეს ლექსი „ამითი მაინც არის კარგი, რომ სიმღერათ გამოდგება და როგორღაც ქართული (ალბათ, უნდა აღენიშნა ასე: „ქართული ხალხური“ – ფ. ა.) პოეზიის სული უდის. აბა, ეს სიტყვები სწორეთ სულითა და გულით ქართულათ არა სუნთქავს?: დედის ერთა ვარ, ნუ მამკლავ, ნუ დამანანებ სოფელსა...“ (ფურცელაძე, 1863: 435-436).

ლექსის ბოლო სტრიქონები უთუოდ გამოძახილია ხალხური ფილოსოფიური ლექსისა „... ბერი კაცი ვარ...“:

... ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ,

ყველა დაგიწყებს გმობასა...“

(ქ. ხ. პ., 1979: 48)

მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ ნ. ბარათაშვილის წერილში თავად პოეტი მიუთითებს ლექსის „...მადლი შენს გამჩენს, ლამაზო...“ ხალხურ წყაროზე – „აი, ამ ქართულ ლექსს გიგზავნი მდაბიურად დაწერილს, როგორღაც ფიქრში მომივიდა „მე ვარ და ჩემი ნაბადი“, იმის ხმაზედ“ (ბარათაშვილი, 1968: 194).

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისთვისაც სატრფოს სახის მნათობებთან, განსაკუთრებით კი, მზესთან, შედარება ფართოდ გავრცელებული სიმბოლიკაა. თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილ ერთ ხალხურ სატრფიალო ლექსშიც ქალის სილამაზე მნათობებთან არის შედარებული:

მე შენ მინდი, შენმა მზემა,

მე შენ მემშვენეიერები!

დღისით მეფერები მზესა,

ღამე მემთვარიანები!

(ქ. ხ. პ. 1978: 45)

ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „...შენნი დალალნი ყრილობენ...“ ზეპირსიტყვიერებისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით გადმოგვცემს თავის გრძნობებს; პოეტს თვალი რჩება სატრფოს გარეგნულ სილამაზეზე, განსაკუთრებით კი – ნიავზე „მიშლილ-მოშლილ“ ლამაზ დალალეებზე, რომელსაც იგი აღფრთოვანებაში მოჰყავს:

შენნი დალალნი ყრილობენ გველად
სპეტაკს მკერდზედა, ტრფობისა ველად,
და თვალთა ჩემთა ადავრიშებენ
ხან ნუგეშისთვის, ხან დასაწველად!
ოდეს ნიავი ლამაზს დალალეებს
მიგიშლ-მოგიშლის და სიამოვნებს,
მაშინ ჩემს თვალეებს ალაგზნებს შური
და გლახ ჩემს გულსა ის ავალალეებს!

(ბარათაშვილი, 2012: 31)

ან კიდევ:

...ლაწვნი ნაცრემლნი,
ტრფიალთ დამწველნი,
უფროს შვენოდენ;
თმანი ნაშალნი,
მკერდზედ დაყრილნი,
ემუქმკებოდენ...

(ბარათაშვილი, 2012: 27)

სახალხო მთქმელი კი გაშლილთმებთან სატრფოს „გაბადრულ მთვარეს“ ამსგავსებს:

გაბადრულ მთვარეს გამსგავსე,
გაგშლოდა ოქროს თმანია,
შენგანა ცეცხლი მედება
აგერ, ამდენი ხანია!

(ქ. ხ. პ., 1978: 58)

ნიკოლოზ ბარათაშვილი, სხვა რომანტიკოსი პოეტებისა და სახალხო მთქმელთა მსგავსად, სატრფოს ციური მნათობის სახელით მოიხსენიებს ლექსში „...აღმოხდა მნათი...“; მგოსანი სატრფოს სთხოვს, დადამებული დღე გაუნათოს მისი გამოჩენით:

აღმოხდა მნათი აღმოსავალს, მზეებრ ცხოველი,
მცირითა შუქით გარდუყარა ცასა ღრუბელი,
დიდ სამქუხარო, საავდარო და მეც გლახ გული
მსწრაფლ განმითენა, შავ-ბედისგან დადამებული!

(ბარათაშვილი, 2012: 23)

სახალხო მთქმელიც ევედრება სატრფოს მასთან ყოფნას, რადგან მის გარეშე ყოველი დღე შავად უღამდება:

ქალო, რაზე მკლავ, რაზედა,
არ გესმის ჩემი კვნესაო,
უშენოდ ყოველ გაზაფხულს
შავად ვაღამებ დღესაო...

(ქ. ხ. პ., 1978: 82)

ლექსში „...აღმოხდა მნათი...“, პოეტის თქმით, სატრფოს გამოჩენით მისი ცა კვლავ განათდება:

მაშ გამობრწყინდი, მფინე შუქი ეგ საოცარი
და განანათლე კვლავ ცა ჩემი, ესრეთ საზარი!..

(ბარათაშვილი, 2012: 23)

სახალხო მთქმელისთვისაც სატრფოს მოსვლას მზის ამოსვლა მოჰყვება, ხოლო მის წასვლას - სიბნელე; მიჯნურის გარეშე ყოფნას ხალხური პოეზიის კოლექტიური ავტორი უღელში გამოუბმელ ცალ ხარს ადარებს, რომელიც მარტო დაიარება:

შენსა მოსვლასა მზე მოჰყვა,
შენს წასვლას - შავი ღრუბელი;
დავდივარ ცალი ხარივით
უღელში გამოუბმელი.

(ქ. ხ. პ., 1978: 140)

იგივე აზრია გადმოცემული ხალხურ ლექსში „...შენ მოხვალ...“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ჩაუწერია:

შენ მოხვალ - მზეიც ამოვა,
მეც აქ მოვშავდი, ქოლვილი;
შენ წახვალ - მზეცა წავალის,
ვარდიც დაჭკნება - ყოილიც.

(ქ. ხ. პ., 1978: 130)

ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის თანახმად, შეყვარებული ადამიანი სატრფოსთვის შეუძლებელს შეძლებს; ამ წუთისოფელში მიჯნურს მხოლოდ იმიტომ უნდა სიცოცხლე, რომ უყუროს გულისსწორს, რომელსაც მზეს ადარებს; მის გარეშე დარჩენილს კი არაფერი ახარებს:

ეს სოფელი მისთვის მინდა,
შენ გიყურო, ჩემო მზეო!..

(ქ. ხ. პ., 1978: 130)

3. მცენარეთა სიმბოლიკა

ხე-მცენარეთა სიმბოლიკას, როგორც პროფესორი ქსენია სიხარულიძე მიუთითებს, გრძელი გზა აქვს გავლილი „პირველყოფილი განსახიერებიდან მოყოლებული განვითარების მაღალ დონეზე ასულ მეტაფორულ აზროვნებამდე“ (სიხარულიძე, 1976: 4). ამგვარ გააზრებას წინ უსწრებდა არქაული რწმენა-წარმოდგენები მცენარეულობის ღვთაებათა შესახებ, რასაც იცნობს მსოფლიოს თითქმის ყველა უძველესი ხალხი და რისი შედეგიც არის „ხეთა მსახურების ჩვეულება, რწმენა საღმრთო ხეთა, ტყისა, მინდვრისა და ყვავილთა მფარველისა“ (სიხარულიძე, 1976: 5). ეს არქაული სიმბოლიკები ზეპირსიტყვიერების ყველა დარგს შემორჩა, განსაკუთრებით კი – სატრფიალო ლირიკას, რომელმაც მიჯნურთა მშვენიერების გამოსახატავად უხვად გამოიყენა საუკუნეთა ტევრში გამოტარებული ეს სახე-სიმბოლოები. ბუნებრივია, ხალხის წიაღში შემუშავებული „სამკაულები“ სიტყვაკაზმული მწერლობისთვისაც უმნიშვნელოვანესი გახდა; ქართველ

რომანტიკოსთა სატრფიალო ლირიკაშიც უხვად გვხვდება მცენარეთა სიმბოლიკა, რამაც იმთავითვე შეიძინა მიჯნურთა შემამკობელი ფუნქცია.

გრიგოლ ორბელიანს ლექსში „ეკატერინა ჭავჭავაძისა“, ალექსანდრე ჭავჭავაძის უმშვენიერესი ასული ეკატერინე წარმოდგენილი ჰყავს ქალის სილამაზის ეტალონად და მას აქებს როგორც გარეგნული მიმზიდველობის, ასევე – შინაგანი ბუნების მიხედვით; მტრედით უმანკო ეკატერინას სიტურფის გადმოსაცემად პოეტი მიმართავს ვარდსა და, აგრეთვე, ზოგადად ყვავილთა ხალხური სიმბოლიკების გამოყენებას:

წინანდლის ვარდო,
სულითა ტრედო,
გულითა წმიდავ, ვით მთისა წყარო!
ვითა ცისკარი,
ხარ მოცინარი,
რომე მხილველის გული ახარო.
იმხიარულე,
ვიდრე სიცოცხლე
შენი მშვენივრებს, ვით ყვავილთ ჯაჭვი...

(ორბელიანი, 2013: 5)

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისათვისაც ნიშანდობლივია სატრფოს, უმთავრესად, ქალის, სილამაზის შექება ტრადიციული სიმბოლიკის – ვარდის გამოყენებით, რაც სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოდ აღიქმება. ლექსში „...მინდორთა მაშვენებელო..“, სახალხო მთქმელი მიჯნურობის ობიექტ ქალს, სილამაზის ხაზგასმის მიზნით, ვარდს უწოდებს:

მინდორთა მაშვენებელო,
ვარდო, გაშლილო ველადა,
სად მოიცალა იმ ღმერთმა,
შენი თვალ-წარბის წერადა?
ვინ მისცა საწერ-კალამი,
დაგხატა ათას ფერადა?

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

როგორც ცნობილია, გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკის საუკეთესო ნიმუშები უმთავრესად ეძღვნება ნინო ჭავჭავაძეს, სოფიო ორბელიანს და ნაწილობრივ – ეკატერინე ჭავჭავაძეს. პოეტის ბიოგრაფიიდან ვიცით, რომ იგი უიმედოდ ყოფილა შეყვარებული ნინოზე; წრფელი და ფაქიზი გრძნობებითაა აღჭურვილი ნინო ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელთა უმეტესობის თანახმად, ნინოსა და ვარდის სილამაზე ერთმანეთის ტოლფასად აღიქმება:

საამოა სახილველად ოდეს ვარდნი ნინას ეპყრას,

მარა ვინ ჰსცნას, ვინა სუნავს: ნინა ვარდს, თუ ვარდი ნინას?

(ორბელიანი, 2013: 25)

20–30-იანი წლების თბილისის უმშვენიერეს ქალს, დაქვრივებულსა და მტირალ ნინო ჭავჭავაძე გრიგოლ ორბელიანი მიმართავს, რომ მზად არის, თავად იკვნესოს და იტიროს მის ნაცვლად; უიმედოდ შეყვარებული პოეტი მნათობს ადარებს, მისი ღაწვების შესამკობად კი – ვარდსა და მარგალიტს უხმობს:

თუ ტურფანი თვალნი შენნი ცრემლთ აფრქვევენ მწუხარებით,

სულისა შენის ტანჯვანი არ არს უკეთუ ოცნებით,

მაშ, მოვედ, მნათო! ჩემს გულზედ შეწუხებულის შვენებით,

ნაცვლად შენსა მე ვიკვნესო, შენის ჭმუნვისა მიღებით.

თუ ოცნებით ცრემლსა აფრქვევ, ეგე ცრემლი, ოჰ, ვით გშვენის!

ვითა ნამი ზეციური თვალთა შინა გამობრწყინვის,

ვარდებრივთა ღაწვთა ზედა მარგალიტნი გარდმოგცვივის.

თუ შეჰსწყვიტო, შევიანებ, გიმზერ ჩუმად და მიხარის.

(ორბელიანი, 2013: 6)

გრიგოლ ორბელიანი ლექსში „მტირალ ნ... ს...“ ნათლად გამოხატავს სატრფო-სადმი უსაზღვრო გრძნობებს. პოეტი აღფრთოვანებულია ქალის სილამაზით, ფიქრობს, რომ მტირალი და დამწუხრებულიც კი უსაზღვროდ ლამაზია, მაგრამ მგოსანს ურჩევნია, თვითონ დაიტანჯოს, ოღონდაც სატრფოს შეუმსუბუქოს დარდი და ნაღველი. ამგვარი განცდები უცხო როდია ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისათვის. სახალხო მთქმელსაც არაერთ ლექსში უთქვამს, რომ მიჯნური სიკვდილისთვისაც კი მზად არის სატრფოს გულისთვის; ვარდის სიმბოლო ფოლკლორულ აზროვნებაში მზეთუნახავის სასიამოვნო განწყობას იწვევს

(სიხარულიძე, 1976: 12). ხალხური სატრფიალო ლირიკის თანახმადაც, გამიჯნურებული ვაჟი ნატრობს, სატრფოს წინ გადაშლილ ვარდად იქცეს:

ნეტავი ვიყო მე ვარდი,
შენს წინა გავიშლებოდე!
პატარა ჩიტად მაქცია,
უბეში ჩაგიჯდებოდე!
შაქარ-ყინულად მაქცია,
ენაზედ დაგადნებოდე!..
მას უკან მოვკვდე, რა მგამა,
შენს კეთილს მოვესწრებოდე!

(ქ. ხ. პ., 1978: 64-65)

ხალხური ლექსის „...მიყვარხარ, ჩემო ლამაზო...“ მიხედვით, მიჯნური „შეკრული ვარდის კონაა“, რომლისგან მოშორებით ყოფნა გაუსაძლისი და მტანჯველია,

მიყვარხარ, ჩემო ლამაზო,
შეკრულო ვარდის კონაო,
რომ გავიფიქროთ, ჩვენს შუა
რამდენი მთა და გორაო!
გულით ვინატრი შენს ნახვას,
ტყეში ფოთლებზე ვგორაო,
ნეტავი, ნამტირალევსა
შენი ხმა გამაგონაო!..

(ქ. ხ. პ., 1978: 68)

სახალხო მთქმელის მსგავსად, რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანისთვისაც გაუსაძლისია სატრფოსგან მოშორებით ყოფნა; მისი პოეზიის ლირიკული გმირი სულმოუთქმელად ელოდება სატრფოს ხილვის დრო-ჟამს:

...ვიდრემდის ტანჯვით ვითმენდე შენგან სიშორის სიმწარეს?
და ვიდრე ცრემლით შორიდგან ვუმზერდე სასურველ მხარეს?
სანატრელ ჟამი შეყრისა როს მოვალს სიტკბოებითა;
ცამ, შეჭმუხვნილმან, ჩემდამო როს მოიდაროს შვებითა?

(ორბელიანი, 2013: 39)

პოეტი, აღწერს რა გაზაფხულს, ამბობს, რომ ეს ის დროა, როცა შეყვარებულ ადამიანს „ტრფობის ალი გულსა შინა ადევნების“; წელიწადის ეს დრო მგოსანს მიაჩნია სატრფოსთან შეხვედრის ჟამად, ისევე, როგორც ვარდისა და ბულბულის შეყრის დროა:

...დრო საამო! როს ბულბული ვარდსა შესტრფის ეშყით ბმული:
როს სიტურფე, სიხარული ყოველთათვის აღმოჩნდების;
როს უმეტეს ტრფობის ალი გულსა შინა ადევნების!..

(ორბელიანი, 2013: 15)

კოლექტიური მთქმელისთვისაც ლექსში „...შენ შრომანო, შენ ბულბულო...“, რომელიც ჯავახეთში, სოფელ ხიზაბავრაში ჩაუწერია იაკ. ლაზარაშვილს, სატრფოსადმი სიყვარული გაზაფხულთან და სხვადასხვა ყვავილის სილამაზესთან ასოცირდება:

შენ შრომანო, შენ ბულბულო,
ვარდის კონავ, თაიგულო!
ყველანი შენ დაგხარიან,
მაისო და გაზაფხულო!..

(ქ. ხ. პ., 1978: 61)

გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკისთვის წელიწადის ასეთ გასაოცარ დროსაც კი, როგორც გაზაფხულია, შეიძლება მოწყენილი იყოს ადამიანი, აღარ ესმას „ხმა ბულბულის“, არც ვარდის სილამაზე და სურნელება ატკბობდეს და არც განთიადით „ნეტარებდეს“, თუკი სატრფოსგან შორს არის:

გაზაფხულის ჟამს სასურველს
ყოვლი იშვებს, ყოვლი ჰხარობს!
მხოლოდ ჩემს გულს, დამწარებულს,
ხმა ბულბულის აღარ ატკბობს.
ჩემთვის აღარ ტურფად ვარდი
ჰმლილობს, ჰფმინავს სუნნელებით!
ჩემთვის აღარ განთიადი
აღმობრწყინდეს ნეტარებით!..

(ორბელიანი, 2013: 15)

სატრფოსგან შორს ყოფნა შეყვარებული ჭაბუკისთვის რომ მძიმე ასატანია, კარგად ჩანს თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ხალხური ლესიდანაც „...ქალო, თუთის სადალახას...“:

...ბულბულის ბინა მინდოდა, –
სიზმარში წამლად მასწავლეს,
ვარდის ნაბადი მინდოდა,
შენმა ძებნამ გამათავა,
სისხლი ოფლად დამადინა...

(ქ. ხ. პ., 1978: 72)

ლექსში „...მიყვარს თვალები მიზნედილები...“ ნიკოლოზ ბარათაშვილი გვამცნობს, რომ სატრფოს ეშხიანი ანთებული თვალებით არის დაკოდილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვერსად გაქცევია ამ თვალთა ეშხს, რომლის შესამკობადაც პოეტი იხმობს ვარდსა თუ ზამბახის სიმბოლიკებს:

მიყვარს თვალები მიზნედილები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები;
მაგრამ როს ვუჭვრეტ, ზამბახ-ვარდთ ველად
განეწონვიან მათი ისრები.
მივხვდი, თვალებო, ჩემო მკვლელებო,
მაგ თქვენსა ქცევას, მაგრამ ვით ელით
თქვენგან კოდილის თქვენგან გაქცევას?

(ბარათაშვილი, 2012: 28)

რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, სახალხო მთქმელიც მოუხიბლავს სატრფოს თავისი „მწველი“ თვალებით; ამის ნათელი მაგალითია მიმართვის ფორმაც, რომელსაც ხშირად იყენებს ხალხური პოეზია:

თვალჟუჟუნავ, წარბით ხშირო...

(ქ. ხ. პ., 1978: 49)

ან კიდევ:

...მიჯნურს რო გვერდზე შეხედავ,
ჟუჟუნა თვალის ჭირიმე!

(ქ. ხ. პ., 1978: 49)

ლექსში „...ნა ფორტეპიანოზედ მომღერალი...“ ბარათაშვილი სწორედ ისე მოიხსენიებს სატრფოს თვალებს, როგორც - სახალხო მთქმელი; ხოლო მიჯნურის „ვარდებ ნაფურცლნი“ ტუჩები ლხენის მომგვრელია:

... ჟუჟუნა თვალნი,
გულთა მომკვლელნი,
მოცინარობენ;
პაწაწა ტუჩნი,
ვარდებრ ნაფურცლნი,
ლხენას მოჰბერვენ.

(ბარათაშვილი, 2012: 27)

ხალხურ სატრფიალო ლექსში „...შენს ლოყას ვარდი ჰყვავოდა...“, რომელიც ია კარგარეთელს ქართლში, სოფელ ერთაწმინდაში, ჩაუწერია, სატრფოს თვალები წყვილადში მოვლინებული ნუგეშია:

...წარბი-წამწამი ყორნისა,
ჰბურავდა გიშრის თვალებსა.
თვალსა, რა თვალსა, ცის მნათსა,
წყვილადში მოელვარესა,
მოვლინებულსა ამ ქვეყნად,
ნუგეშად დამაშვრალეზსა...

(ქ. ხ. პ., 1978: 50)

ნიკოლოზ ბარათაშვილს სატრფოს სილამაზისთვის არაერთი ლექსი მიუძღვნია; მათ რიგს მიეკუთვნება ქართული პოეზიის ერთ-ერთი გამორჩეული მარგალიტი „საყურე“. 1839 წელს ელისაბედ ორბელიანის სახლში წვეულებაზე, სადაც ეკატერინე ჭავჭავაძეც იმყოფებოდა, პოეტს ვედარ გაუძლია საყვარელი ქალის სიახლოვისგან მოზღვავებული გრძნობისთვის და სწორედ იმ საღამოს შეიქმნა სატრფიალო ლირიკის ეს შესანიშნავი ნიმუში, რომლის თანახმადაც, პეპელასავით მოფარფატე საყურე სატრფოს ლამაზად ახრილ სპეტაკ შრომანს ედარება:

ვითა პეპელა
არხევს ნელ-ნელა

სპეტაკ შროშანს, ლამაზად ახრილს,
ასე საყურე,
უცხო საყურე,
ეთამაშება თავისსა აჩრდილს.
ნეტავი იმას,
ვინც თავისს სუნთქვას
შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს!
შენის შერხევით,
სიოს მობერვით
გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

(ბარათაშვილი, 2012: 19)

ქართული ხალხური სატრფიალო ლექს-სიმღერების უმთავრესი ადრესატი ქალია. სატრფოს დანახვა შეყვარებული ვაჟისათვის სამოთხის ყვავილის ხილვის ტოლფასია:

...სამოთხის ველის ყვავილო,
კვალისგან გარდამეტი ხარ!..

(ქ. ხ. პ., 1978: 52)

რომანტიკოსთა სატრფიალო ლირიკა ამ თვალსაზრისითაც ერთიანი ქართული ფოლკლორული სივრცის საუკუნოებრივი გამოცდილებით სარგებლობს. ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის სატრფოს გარემოცვაში ყოფნა სამოთხესთან ასოცირდება; მიჯნურის ხილვით, მასთან სიახლოვით ხარობს პოეტი და სწორედ ის არის მგონის მაცოცხლებელი ძალაც; ლექსში „...შევიშრობ ცრემლსა...“ ნ. ბარათაშვილი აღსარებასავით ამოთქვამს:

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცოცხლებელი,
განმაბრძნობელი, გამხელელებელი!..

(ბარათაშვილი, 2012: 37)

4. ყარაჩოღურ-აშულური მოტივები

ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის შემოქმედება ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ერთი ლიტერატურული მიმდინარეობიდან მეორეში; ამიტომ, რა თქმა უნდა, გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ მათი პოეზიის მთლიანი თუ არა, გარკვეული ნაწილი განიცდის წინამორბედთა გავლენას, რამდენადაც ახალბედა რომანტიკოსი პოეტების პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები დაემთხვა იმ ეპოქას, როცა ქართულ პოეზიაში ჯერ კიდევ გაისმოდა ბესიკის ხმა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედება ცხადყოფს, რომ იგი რომანტიზმის ძირითად ასპექტებს იზიარებს. მეორე მხრივ, შეუძლებელია, შეუმჩნეველი დაგვრჩეს ხალხური საწყისები, ეს იქნება ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ცალკეული ნიმუშები, ქალაქური სიმღერები თუ ყარაჩოღურ-აშულური პოეზია.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის განხილვისას მკაფიოდ მოჩანს ყარაჩოღურ-აშულური, ბესიკის თუ საიათნოვას შემოქმედებითი სტილისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ ლექსი „...როს არშიყი...“, რომელშიც პოეტი სრულიად ბუნებრივად იყენებს აშულური პოეზიის სტილურ ნიშნებს:

როს არშიყი საყვარლისა ხილვას ეშურებოდეს,
რაკი ნახოს, მეყვსეულად გრძნობით ეუბნებოდეს:
მიყვარხარ!
არა ვგონებ, ორთაშუა მოხდეს იქაც ღალატი,
ოდეს სული გულსა ტრფობით ეუბნებოდეს:
მიყვარხარ!
რაციფნი განფიცულან, ვცან მათნი განზრახვანი.
გვედრებ, არ დაიჯერო მათნი ცუდნი თქმანი:
მიყვარხარ!
ვიცი, ჩემო სიცოცხლე, მრავალნი შემოგტრფიან,
მაგრამ ჩემებრ ეშხითა ვერ გეტყვიან:
მიყვარხარ!
როცა მოვკვდე შენთვისა, მომიგონე სულითა

ჩემსა შემდეგ გვედრებ, არვის უთხრა გულითა:
მიყვარხარ!
თუ დრო შეგხვდეს ფიქრისა და მკვდარი მომიგონო,
მოდო, ნახე საფლავი, რომ იქაც გაიგონო:
მიყვარხარ!

(ჭავჭავაძე, 1949: 108-109)

როგორც ვხედავთ, პოეტი, ძველი ფორმის „სააშიყო“ წერის მანერასთან ერთად, ახალ, მისთვის დამახასიათებელ, ნიშნებსაც იყენებს. ალექსანდრე ჭავჭავაძე ამ ლექსში ძირითადად ხორციელ, ეშხიან, მწველ სიყვარულს უმღერის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი მაინც ერთგული რჩება რომანტიზმისათვის დამახასიათებელი სიყვარულის ამაღლებული, სპეტაკი გრძნობისა.

ლექსი „...როს არშიყი...“ იმთავითვე აიტაცა საზოგადოებამ, აამღერა და ამგვარმა მასიურობამ გამოიწვია მისი დიდი ნაწილის გახალხურება და სხვადასხვა ქალაქურ სატრფიალო სიმღერებში ჩართვა. ამის ნათელი დასტურია ბოლო დრომდე ქართულ ესტრადას შემორჩენილი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის გახალხურებული სტრიქონები:

...ვიცი, მრავალს უყვარხარ,
მრავალნი შეგნატრიან,
მაგრამ ჩემებრ ეშხითა, გენაცვალე,
ვერვინ გეტყვის მიყვარხარ!

შდრ.: ალ. ჭავჭავაძე:

ვიცი, ჩემო სიცოცხლე,
მრავალნი შემოგტრფიან,
მაგრამ ჩემებრ ეშხითა
ვერ გეტყვიან: მიყვარხარ!

(ჭავჭავაძე, 1949: 108)

„ალექსანდრე ჭავჭავაძე რომ აღმოსავლური აშუღური პოეზიის გავლენას განიცდის, ამის ნათელი მაგალითია პოეტის შემოქმედებითი მემკვიდრეობის საკმაოდ დიდი ნაწილი...“ (აბაშიძე, 2019: 221).

სიტყვა „აშული“ ამიერკავკასიაში XVI-XVII საუკუნეებიდან გვხვდება; იგი არაბული წარმომავლობისაა, რაც „მიჯნურს“, „მეტრფეს“ ნიშნავს. აშული ფართო გაგებით, სახალხო მგოსანია, რომელიც თხზავს სასიმღერო ტექსტს, უწყობს ჰანგებს და თავადვე მღერის რომელიმე სიმებიანი საკრავის თანხლებით. აშულური პოეზია დიდ ადგილს უთმობდა რომანტიკულ და საგმირო ჟანრის ხალხურ ნაწარმოებებს. აშულებისათვის დამახასიათებელია პოეტური პაექრობა, რომელიც ერთგვარად ჰგავს ქართულ შაირობა-კაფიობასა და შემღერებას.

აშულური სიმღერები აღმოსავლეთის მუსიკალური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკადია, რომელიც ემყარება ხალხურ ჰანგებსა და პოეზიას. მისთვის დამახასიათებელია განვითარებული ვოკალურ-ინსტრუმენტული ჟანრები – დასთან, ბაიათი, მუხამბაზი და სხვა. საქართველოში, კერძოდ თბილისში, აშულობა განსაკუთრებით განვითარდა XVIII საუკუნის II ნახევრიდან. ცნობილია, რომ თბილისელი აშულები სიმღერითა და ზეპირსიტყვაობით ავრცელებდნენ თავიანთ პოეზიას; სიმღერა უძლიერესი საშუალებაა ზეპირსიტყვიერების გავრცელებისა, ხალხის გულის დაპყრობისა. ამის თაობაზე შესანიშნავად ამბობს პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი: „სიმღერა მოქმედებს არა მარტო ადამიანზე, არამედ – შხამიან გველებზედაც... აკი შოთაც ამბობს, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“. ეს „ტკბილად მოუბარნი“ იყვნენ ჩვენებური აშულები, რომლებიც დადიოდნენ სოფლად თუ დაბა-ქალაქად დღეობებში, ყავახანებში და სიმღერის საშუალებით ხალხური პოეზიის ნიმუშებს ავრცელებდნენ...“ (გრიშაშვილი, 2012: 85).

თბილისელ აშულთაგან ამიერკავკასიაში ყველაზე ცნობილი იყო საიათნოვა; აშულური პოეზიის ნაკადი კი მხატვრულ ლიტერატურაში საგრძნობია ბესიკის პოეზიაში.

„ბოლო დროს, – წერს აშულების ცხოვრებისა და შემოქმედების უბადლო მკვლევარი ი. გრიშაშვილი, – ხალხის ერთი ნაწილის მოთხოვნილებაც გაიზარდა. მგოსნისაგან მოითხოვდნენ, ლექსთა ტრადიციულ ელემენტს გარდა, ცოტა მეტსაც: ორიგინალურობას, ფორმის სიფაქიზეს და შინაარსის სიღრმეს. აი, ამ დროს გაჩნდნენ სასახლის აშულები... რომელნიც ქართველ მეფეთა სასახლეში ჰმღეროდნენ. თვით მომღერალთა და ხალხის კულტურულად ზრდის გამოისობით შეიქმნა ტიპი აშულ-

პოეტისა, რომლებმაც განვითარების ახალ გზაზე დააყენეს შუა საუკუნეების ლირიკა... მაგრამ მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა აშულთა პოეზია საიათნოვამ თავისი პოეტური შემოქმედების წყალობით; მან სახალხო მომღერლის ხელობა გადააქცია პოეტის უმაღლეს მოწოდებად...“ (ზანდუკელი, 1972: 178). ამრიგად, აშულთა რეპერტუარმა მოახერხა, გავლენა მოეხდინა ოფიციალური ლიტერატურის ისეთ წარმომადგენელზე, როგორც იყო ბესიკი, რომლის პოეზიაშიც მუხამბაზურ – აშულურმა მოტივებმა თავიანთი წარუშლელი კვალი დატოვეს.

ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაზე, განსაკუთრებით კი ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზებზე“, ბესიკისა და აშულური პოეზიის გავლენაზე არაერთი მკვლევარი მიუთითებს. ასე მაგალითად, მკვლევარი ალექსანდრე კალანდაძე ფიქრობს, რომ „ალექსანდრე ჭავჭავაძის არქაულსა და შესამჩნევად ხელოვნურ ენას ანტონ პირველისა და ბესიკის „მაღალი შტილის“ ბეჭედი აზის“ (კალანდაძე, 1987:189); ხოლო პოეტი აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი „მუხამბაზზე“ საუბრისას აღნიშნავს, რომ „მუხამბაზი“ პირველად საიათნოვამ შემოიტანა საქართველოში... აშულური სიმღერის დამახასიათებელი ფორმაა ეგრეთწოდებული მუხამბაზი. საკუთრივ მუხამბაზი ნიშნავს ხუთეულს, ე. ი. ხუთ სტრიქონს, მაგრამ შემდეგში თვით საიათნოვამ და მისმა „მიმბაძველებმაც“ განავითარეს, შეჭმნეს ამნაირი ლექსების მრავალი ვარიაცია... მე-19 საუკუნის პოეტებს შორის საიათნოვას ლექსის ფორმა უმაღლესობამდე განავითარა ალექსანდრე ჭავჭავაძემ...“ (გრიშაშვილი, 2012: 175-176).

მკვლევარი თინათინ თვალთაშვილი აღნიშნავს, რომ „ისტორიული წყაროები ადასტურებენ 16-17 საუკუნეებში აშულური სიმღერების შემოჭრის ფაქტს. როგორც ცნობილია, პირველმა ქართლის მეფე როსტომმა (1632-1658) დაამკვიდრა საქართველოში სპარსული ზნე-ჩვეულებანი და მათ შორის - სპარსული მუსიკაც...“ – მკვლევარი აქვე ხაზგასმით გადმოგვცემს: – „არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა, რომ აშულური მუსიკა გენეტიკურად ხალხურ საწყისებზე აღმოცენდა და ის პროფესიულ ხასიათს ატარებდა...“ (თვალთაშვილი, 2014: 83).

ალექსანდრე ჭავჭავაძის ასზე მეტი ლექსიდან ორმოცამდე სიყვარულის თემას ეძღვნება. აქედან ოცზე მეტ სატრფიალო ლექსში ყველაზე უფრო იგრძნობა ბესიკის გავლენა; სიყვარულის გრძნობის გადმოსაცემად და სატრფოს პორტრეტის შესაქმნე-

ლად პოეტი უმთავრესად ბესიკისათვის დამახასიათებელი პოეტიკით ხელმძღვანელობს; მზეს – სატრფოს აღმნიშვნელად; ბალახშის კარს, მოწს, ლალს, იაგუნდს – ტუჩების აღსანიშნავად; დალალს, ზილფს – ნაწნავების აღსანიშნავად; ბროლ-ფიქალს, ბროლის ფიცარს, ბროლის ველს – გულმკერდს აღსანიშნავად; ვარდს, ბალახს – ღაწვს; მელნის ტბა – თვალების; ჰინდელნს, ჰინდთა ჯარნს – წამწამების; მშვილდს – წარბების; მარგალიტს, სპეკალნს – კბილების და სხვა.

აღვისა ტანი, მალოვანი ვერ ვიცანი!

ლერწმად ახატოს, ვინც დახატოს მისი ტანია,

ლაშ-ლოყა ლბილნი, მკლავნი წვრილნი, შავნი თმანია,

სადაფ მჩაგვრელად ფერი ვლიან ბროლ-ფიქალნია.

ან კიდევ:

ტანად სარო ხარ, ვარდებრ ღაწვნი შენნი ლბილობენ,

ლალად თმაშია გიშრის ბეწვნი ხშირად ყრილობენ,

ვაი, ძუძუ-მკედრი, კოკობ-ვარდი ნაზად შლილობენ...

(ჭავჭავაძე, 1949: 12)

მოცემულ ლექსში („...შენს ღირსებას ნატრულობენ...“) ალექსანდრე ჭავჭავაძე სიყვარულს აღიქვამს ისე, როგორც ძველ ქართულ მწერლობას ახასიათებს – გარეგნულ, ხორციელ სილამაზეში პოულობს სატრფოს განსახიერებას, ვნება და ეშხი იპყრობს მთელს მის არსებას; მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ რომ ეს ყველაფერი მას ქართულ ხალხურ სატრფიალო ლირიკასთანაც აახლოებს, რადგან პოეტისთვის დამახასიათებელი სიყვარულის ამგვარი აღქმა სახალხო მთქმელისთვისაც არ არის უცხო. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ ხალხური ლექსი „...წარბები გადაგხატვია...“:

წარბები გადაგხატვია,

გიმშვენებს ორსავ თვალებსა,

ტანი აღვის ხეს მიგიგავს,

პირი - გაბადრულ მთვარესა!

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

ქართულ ხალხური სატრფიალო ლექსი „...დილის ვარდო, ტან სურათო...“, რომელიც თედო რაზიკაშვილს ქართლში ჩაუწერია, სახალხო მთქმელს,

რომანტიკოსი პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძის მსგავსად, ქალის გარეგნულ სილამაზეზე დარჩენია თვალი:

დილის ვარდო, ტან სურათო,
თავ-ბოლომდე მურასაო,
ყელი გათლილ ბროლ მიგიგავ,
ტანი - ოქროს სურასაო!

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

აქვე არ შეიძლება არ განვიხილოთ ხალხური ლექსი „...ხომალდში ჩავჯექ...“ (ლექსის 20 ვარიანტია აღრიცხული, ხოლო პირველი დათარიღებული ჩანაწერი 1869 განეკუთნება), რომელიც აკაკი წერეთელს ს. აბაშელის სალამოზე წაუკითხავს 1913 წლის 30 მარტს; შეკრებულ საზოგადოებას მან ასე მიმართა:

- „ზეპირ-სიტყვაობა არის სარკე ჩვენის წარსულის, როგორც ხორციელის, ისე სულიერის ცხოვრების! ის არის მალამო, სულის ჩამდგმელი დღეს მომაკვდავის!.. მისი დაკარგვა, დავიწყება, ჩვენი სიკვდილია და თუ სიკვდილი არ გვინდა, უნდა მალე მივეშველოთ და მოვაგროვოთ. თუ გავცხრილავთ ბევრს მარგალიტს შევიძენთ, საშვილიშვილოთ ხელი-ხელს საგოგმანებელს...“ (წერეთელი, 1990: 473-474). ერთ-ერთი „მარგალიტის“ ნიმუშად პოეტმა მოიხმო ლექსი „ხომალდში ჩავჯექ“:

ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველ,
ფრანგის ქვეყნები ვნახეო;
სულ დავიარე ხმელეთი,
ვერ ვნახე შენი სახეო.
ანთებულ სანთელს გამსგავსე,
დილით ცისკარზე გნახეო,
ხელში გეჭირა ყმაწვილი
კარგათ ვერ დაგინახეო.
შენს ლოყას ვარდი ჰყვავოდა,
გშვენოდა ღია ფერია,
დაწვს მოციმციმე ხალივით
ნამი ცით მონაზერია.

(ქ. ხ. პ., 1978: 176)

ხალხურის გარდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის მხატვრულ სახეთა საბადო ბესიკური პოეზიაც არის. ბესიკ გაბაშვილის ლექსში „...მე შენმა ფიქრმა მიმარინდა...“ მიჯნური უშუალოდ მიმართავს სატრფოს, რომელიც იშვიათი სილამაზის მატარებელია, მაგრამ, ამავე დროს, „უწყალოა“ და შეუბრალებელი:

მე შენმა ფიქრმა მიმარინდა, ჩაველ ჭირებსა:
ანდამატისებრ მიმიზიდავ, ვკვავ ნამჭირვებსა.
ვარდის ბაგენი შვენიერად სხვას მაპირებსა,
ჩემებრ უწყალოდ მიიყვანებ გასაკვირვებსა.
როდის იქნება, შემომხედო გულსა მწირებსა?..

(გაბაშვილი, 1990: 289)

სატრფიალო ლექსებში „...სახე შენი მე მახევა...“, „...მაისის ვარდმან...“, „...ვარდო კოკობო...“ და სხვა, ბესიკის მსგავსად, ალექსანდრე ჭავჭავაძესაც ქალის ხორციელ მშვენებაზე რჩება თვალი. იგი იყენებს ბესიკისა და აღორძინების ხანის სატრფიალო პოეზიის ტრადიციულ გარეგნულ ნიშნებს: სიმბოლიკას, ლექსიკას, ინტონაციას:

ვარდო კოკობო, ყოვლთა მჯობო, მომხედე კრულსა,
მე შენსა მჭვრეტსა, განარეტსა თვალ-დაურულსა!
მოვედ, მეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა;
აღთქმა გრძნობითი, წამ-ყოფითი სრულ უქმენ გულსა,
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ, ვაჰ, შენგან კლულსა!

(ჭავჭავაძე, 1949: 31)

ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკიდან ნათლად ჩანს, რომ ისინიც, მსგავსად სახალხო მთქმელისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალის გარეგნულ სილამაზეს. თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილ ხალხურ ლექსში „...თხუთმეტი დღის მთვარეს გევხარ...“ სახალხო მთქმელი სასურველი ქალის სილამაზეს სავსე მთვარეს და მელნის ტბას ადარებს:

თხუთმეტი დღის მთვარეს გევხარ,
ქალო, აგრე რამ გაგავსო?
თვალი გიგავს მელნის ტბასა
და წამწამი ხშირი გაქვსო!

(ქ. ხ. პ., 1978: 46)

ალექსანდრე ჭავჭავაძის ზოგიერთი სატრფიალო ლექსის განხილვისას ბესიკის თავისებურ პოეტურ პერიფრაზზეც კი შეიძლება საუბარი. გარეგანი სილამაზე, რაზედაც რომანტიკოსი პოეტი ლექსში „...ვარდო კოკობო...“ საუბრობს, წარმავალია, ამიტომ ავტორი ურჩევს შეყვარებულ ადამიანს, სანამ დრო აქვს, „ისიამოს“, რადგან შემდეგ გვიანი იქნება:

დრო წაჰმართობს, გამკობს სრულად;

შეიცვალოს, გეპყრას სრულად.

მაშინ რა ვჰყო, გნახო ზრულად...

ხომ გსმენიან სხვათ მკულება,

მათ სახეთა ბებკულება,

გფუცავ, შენც ის გეგულვება,

ვიცი, შემდგომ მოიგონებ

მაგ შვენებას, რომელს ვმონებ:

მო, ჰყავ ნება, ნუ იყოვნებ!

(ჭავჭავაძე, 1949: 82)

სწორედ ამგვარი ლექსებზე საუბრობს მკვლევარი დავით გამეზარდაშვილი, როდესაც აღნიშნავს, რომ „ალექსანდრე ჭავჭავაძის ამ რიგის ლექსებს უდავო ნათესაობა და მსგავსება აქვთ ბესიკურ ლექსებთან, თვით ყარაჩოხელთა პოეზიასთანაც კი, მეტადრე თქმის მანერით, სიტყვათა მარაგითა და პოეტური საღებავებით...“ (გამეზარდაშვილი, 1975: 187).

თავისთავად ყარაჩოხელთა პოეზიასთან კავშირი, ბუნებრივია, ხალხურ ძირებთან კავშირს გულისხმობს, რაც სისხლხორცეულია ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებისათვის. სახალხო მთქმელსაც ბევრჯერ დაუჩრვლია წუთისოფლის წარმავლობაზე; ამ პრობლემას ეძღვნება ხალხური ლექსი „...წუთია წუთის ქვეყანა...“, რომელიც დაგვაფიქრებს ამა სოფლის წარმომავლობაზე:

წუთია წუთის ქვეყანა,

წუთის წეობით იწვება,

ზოგი ლხინსაა, თამაშას,

ზოგი უცეცხლოთ იწვება.

(ქ. ხ. პ., 1979: 35)

თავისი სატრფიალო ლირიკით ალ. ჭავჭავაძე ერთგვარად ამთავრებს ბესიკურ ტრადიციას და დასაბამს აძლევს ახალ, რომანტიკულ ლირიკას, რაც უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რომანტიკოსთა ახალმა თაობამ... რომანტიკოსი პოეტის სატრფიალო ლირიკა (ისევე როგორც მგოსნის მთლიანი შემოქმედებითი მემკვიდრეობა) გაჯერებული და ნასაზრდოებია უშრეტი ქართული ხალხური საუნჯით.

გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკასაც ისეთივე ნიადაგი და სათავე აქვს, როგორც – ალექსანდრე ჭავჭავაძისას; იგი გვევლინება, ქართული რომანტიკული საწყისების ერთგვარ გამგრძელებლად და განმავითარებლად. სატრფოს „ემხით“ თრობა აქვს გადმოცემული პოეტს ლექსში „მუხამბაზი“:

ზოგჯერ მღიმარე გიმზერ, ოდეს ემხით აღვსილი,
მრწამს, რომ ღაწვთ ზედა გარდაგვკრია ნუშის ყვავილი!
მაშინ, მას ზედა დაკონების მკლავს მე სურვილი.
მაშინ გინდ მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ემხით...

(ორბელიანი, 2013: 7)

ამ ლექსში გრიგოლ ორბელიანიც აგრძელებს ბესიკის, საიათნოვასა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის ხაზს. შემოქმედების პირველი პერიოდის „მუხამბაზებში“ ასახული ლხინის მოტივით მგოსანი ეხმიანება მათ ტრადიციას, ხოლო მეორე პერიოდიდან – „მუხამბაზი“ („არავისთვის მე დღეს არა მცალიან...“), „სავათნავას მიბაძვა“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“, „მუხამბაზი“ („სულით ერთნო...“), 1860–1861 წწ. დაწერილი „დიმიტრი ონიკაშვილის დარღები“ და „მუხამბაზი“ („გინდ მეძინოს“) – აღრმავებენ აღნიშნულ თემას. მოცემულ ლექსებში გრ. ორბელიანი ხოტბით ამკობს ყარაჩოღურ ნადიმსა და ფიზიკურ ტრფობას. სევდისა და მარტოობის ჟამს იგი აცოცხლებს ნაცნობი თბილისელი მოქალაქეების კოლორიტულ სახეებს, მათი ფსიქოლოგიისა და ყოფის სურათებს. ილია ჭავჭავაძე წერილში, „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კაზლოვის მიერ „შემლილი“-ს თარგმანზედა“, საუბრობს რა სიტყვაკაზმულ მწერლობაში ეროვნული ყოფისა და ზნე-ჩვეულებების გამოხატვის აუცილებლობაზე, ეხება გრ. ორბელიანის პოეზიასაც: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნებოდა? აბა, აიღეთ ურითმო

ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო... დარდები“; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჭარნი, ნაბად-წამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზედ, როგორ გულმოდგინედ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშხედ ელაპარაკე!“ რამდენი ნამდვილობაა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარაბებში, კვნესაში და ნატვრაში!..“ (ჭავჭავაძე, 2012: 19-20).

გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზებიც უხვად საზრდოობს ქართული ხალხური პოეზიის უშრეტი წყაროთი; სახალხო მთქმელიც, მსგავსად რომანტიკოსი პოეტისა, სიყვარულის ეშხით არის „დამწვარი“ ლექსში „...ქალო, შენმა სიყვარულმა...“, რომელიც მიხეილ ჩიქოვანს ჩაუწერია დუშეთის რაიონის სოფ. ბაზალეთში:

ქალო, შენმა სიყვარულმა
მე დამწვა და დამანელა,
შამიშალა ჭკუა-ცნება,
სწრაფად დამიდუმა ენა.
რაც გაგიცანი, მის შემდეგ
აღარ მქონდა მოსვენება,
ქალო, ქალო, შემიყვარე
და მაღირსე აღმაფრენა!
თუმცა სიცოცხლეს მიბოძებ
ნაცვლად გიძღვნი ჩემსა გულსა,
სიყვარულის აღმოდებულს,
შენგნით დამწვარ დადაგულსა.

(ქ. ხ. პ., 1978: 116)

გრიგოლ ორბელიანი რომ ხარკს უხდის ბესიკის, ალექსანდრე ჭავჭავაძისა და ძველი ქართული პოეზიის სხვა ლირიკოსთა შემოქმედებას, ხაზგასმით აღნიშნავს მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი; მისი აზრით, „გრიგოლ ორბელიანი... ხარკს აძლევს, აგრეთვე, და განსაკუთრებითაც ეგრეთწოდებულ ყარაჩოღღურ-აშულურ პოეზიას...“

ეს ყარაჩოღელი, მიუხედავად ჟამთა და პირობათა ცვლილებისა, თითქმის დღემდე ტიპიურ მატარებლად დარჩა ძველი თბილისის თავისებური ცხოვრებისა, მისი სპეციფიკური განცდებითა და კოლორიტით... ამ ყარაჩოღელის გული გრიგოლ ორბელიანმა დიდი ოსტატობით, გაგებითა და შეთვისებით, ამასთან ერთად – არა-ჩვეულებრივი სიმპათიითა და თანაგრძნობით გადახსნა მკითხველის წინ მშვენიერ ლექსთა მთელ რიგში...“ (ზანდუკელი, 1972: 245).

გრიგოლ ორბელიანი მისთვის დამახასიათებელი ყარაჩოღური სტილით მიმართავს სატრფოს:

ნუ მასმევ ღვინოს, — უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით, —
თვარა მიმუხთლებს და წარმოჰსთქვამს ენა ყოველსა,
ესდენ ხან კრძალვით დაფარულსა ღრმად ჩემსა გულსა...

(ორბელიანი, 2013: 7)

როგორც ვიცით, ყარაჩოღლებისთვის დამახასიათებელია გრძნობების უშუალო, პირდაპირი გამოხატვა ისევე, როგორც – სახალხო მთქმელისათვის; პირუთვნელობითა და მიუკერძოებლობით ისინი ერთმანეთს არ ჩამოუვარდებიან. გრიგოლ ორბელიანიც სწორედ ამგვარი უშუალოებით უმხელს სატრფოს თავის გრძნობებს ლექსში „მუხამბაზი“:

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი — შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე, რომ იქა ვარ,
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ!
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: ”რა ლამაზი ხარ!”
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!..

(ორბელიანი, 2013: 57)

სახალხო მთქმელიც, რომანტიკოსი პოეტის მსგავსად, ერთგულია და, ამავე დროს, სასოწარკვეთილია სატრფოს სიყვარულისგან; ეს გრძნობა კარგად ჩანს ხალხურ სატრფიალო ლექსში „...შენს კარსა ვზივარ...“:

შენს კარსა ვზივარ, ვსტირი ერთთავად,

ცრემლი ჩამომდის ზღვის შესართავად.
რა გსურს მოგართვა? ღმერთი იწამე,
გამოდი გარეთ, დანდობილი ვარ,
გთხოვ, ამიყვანო, როცა წახვიდე,
თან წამიყვანო! უღმერთოდ ნუ მკლავ,
შენ გენაცვალე, ღმერთი იწამე, გამოდი გარეთ!

(ქ. ხ. პ., 1978: 116)

გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკისთვის ყარაჩოღურ სტილთან სიახლოვის დასტურია ისიც, რომ პოეტის ლექსები (განსაკუთრებით მუხამბაზები) დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც ყარაჩოღელთა შორის, ისე – მთელ ხალხში, რითაც იგი უფრო უახლოვდებოდა ხალხურ საწყისებს; ზოგი მათგანი კი ხალხშიც გადავიდა ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების სახით.

ლექსში „მუხამბაზი“ („ნუ მასმევ ღვინოს...“) პოეტი ასე მიმართავს გულცივ სატრფოს:

გულის ურჩისა დასამშვიდად მცირედ გონება
შემრჩომია-ლა და მისიცა გსურს დაბნელება!
მის დასამონად იცი, კმარა შენი შვენება,
ერთი მოხედვა ტრფიალებით, მცირ ყურადღება!
.....
მაშ გინდა მომკლა, გეტყვი, თმენის არღა მაქვს ძალი,
ისმინე, ვდნები, ცნობა არ მაქვს, ვგიჟდები ეშხით.
ნუ მასმევ ღვინოს, უღვინოდ ვარ მთვრალ შენის ეშხით!

(ორბელიანი, 2013: 7)

„ყარაჩოღელი უშუალო ბუნების პატრონია, – აღნიშნავს მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი, – ის ვერც სიყვარულს და ვერც სიძულვილს ვერ მალავს. მას სიხარულისა და მწუხარების შეკავება, გულში ჩამარხვა, გამოუთქმელობა არ ეხერხება. თუ ის ბედნიერებას განიცდის, მას უნდა, ის ყველამ იცოდეს, ყველამ გაიზიაროს...“ (ზანდუკელი, 1972: 247). ლექსში „მუხამბაზი“ („...არავისთვის მე დღეს არა მცალიან...“) გრიგოლ ორბელიანიც ყარაჩოღური გულახდილობით გადმოგვცემს თავისი სიხარულის მიზეზს:

არავისთვის მე დღეს არა მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!
ამას ვამბობ მე, ბეჟანა მკერვალი –
ქალებისა ლხინი და თაიგული.
შვენებითა საცა ვინ არს ქებული,
მისი კარი ჩემთვის არს გაღებული;
საცა მივალ, თან მიმაქვს სიხარული,
მარამა დღეს არავისთვის მცალიან,
სალომესთან სადილად მეძახიან!..

(ორბელიანი, 2013: 33)

სიყვარული მამოძრავებელი ძალაა ყარაჩოღელთათვის და ამ გრძნობის გარეშე არსებობა წარმოუდგენელია. გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაშიც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეს გრძნობა. პოეტი ძირითადად გარეგნულ, ხორციელ სილამაზეს უმღერის და ამის არაერთი მაგალითი მოგვეპოვება მის პოეზიაში:

რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები — ცაში ელვა მგონია.
ვარდის სუნთქვა — შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვჰსთქვა: ”გეთაყვა, ჩემი ხარ!”
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!
ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვჰსთქვა — შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: “აგრე რათა ხარ?”
გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზედ მიზიხარ!

(ორბელიანი, 2013: 57)

ლექსის პათოსი, აღმოსავლურ-მუხამბაზურთან ერთად, ნასაზრდოებია ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკის სიმბოლიკებით:

ქალო, გეგხარ ალვის ხესა,
ბაღჩაშია დანერგილსა,
ტანი მიგიგავს ლერწამსა
ზღვის პირასა ამოსულსა...

(ქ. ხ. პ., 1978: 47)

ამგვარია, აგრეთვე, ხალხური ლექსი „...ქალო, შენ გაქებს ყოველგან...“, რომელიც გიორგი ლომთათიძეს გურიაში ჩაუწერია ახმეტ მენაღარიშვილისგან:

ქალო, შენ გაქებს ყოველგან
ადამიანთა ენები,
ზიხარ გაზრდილი გონივრათ,
ადვილად არ იხსენები.
თვალ-წარბზე ია ჩამოგდევს,
ლოყაზე - ვარდის ფერები.
ღვთის მადლმა, გულით მიყვარხარ,
პირში არ მოგეფერები!

(ქ. ხ. პ., 1978: 47)

ყარაჩოღელთათვის დამახასიათებელი ეშხით, გულწრფელობითა და გრძნობით არის დაწერილი გრიგოლ ორბელიანის „მუხამბაზი“ („...ორთაჭალის ბაღში მნახე...“), რომლითაც, სახალხო მგოსნის დარად, პოეტი თავს იწონებს სატრფოს წინაშე და სურს, დაანახოს მისი ღირსებები:

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ!
აბა, მუშტის კრივში მნახე, ვინა ვარ! —
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: “ძვირფასი ხარ!”

(ორბელიანი, 2013: 58)

გრიგოლ ორბელიანისთვის ყარაჩოღური ბუნება რომ საინტერესო, მიმზიდველი და მახლობელია, განხილული ლექსების გარდა, მიუთითებს 1875 წლის 13 იანვარს

ტასო აგლობჯიოსთან მიწერილი წერილი, რომელშიც დიდი სიამოვნებით გადმოსცემს ძველი თბილისის განუყოფელი ნაწილის – ყარაჩოღელთა ამბავს: „ამას წინათ... შევიყარენით სულ ყმაწვილი კაცები... ამ ყმაწვილ კაცებში ყველაზე უფრო ყმაწვილი 60 წლისა მაინც იყო. წავედით საღამოზე ორთაჭალას... ამ დროს, სად იყო, სად არ იყო, წამოვიდა ერთი ნავი დასტითა და სწორედ ჩვენს პირდაპირ, შუა მტკვარზე, დადგა; მოთავემ დაიძახა: „ – წმინდა სანთლები აანთეთ!“ და აენტო ნავის გარშემო სანთლები ჩირადდნებად. დაიძახა: „ – გაშალეთ სუფრა!“... გაიშალა სუფრა... ჩვენი საზანდრის სიმღერაზე ისინი ძალიან იხრაკებოდნენ და ხშირად იძახოდნენ: „ – ერთი კიდევ, გეთაყვა, ჯანუმ!..“ (ზანდუკელი, 1972: 252-253).

ქართველ რომანტიკოს პოეტთა შემოქმედების ყველა ეტაპზე, დიდია ყარაჩოღელთა რეპერტუარის (რომელიც ხალხურის ერთ-ერთ განშტოებად მოიაზრება) გავლენა, თუმცა ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიჭაბუკის“ ლექსებში უფრო ძალუმად იგრძნობა და ჩანს ბესიკის, აშულთა თუ ყარაჩოღელთა გავლენა; გრიგოლ ორბელიანს კი ეს გავლენა ბოლომდე გაჰყვა, რაზეც მის ლექსებთან ერთად კერძო მიმოწერაც მიუთითებს.

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისა და რომანტიკოსთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები სიყვარულის შთამბეჭდავი ჰიმნებია, რომლებითაც გადმოცემულია ქართველ ქალთა სიწმინდე, კდემამოსილება და ვაჟკაცთა მხრიდან სატრფოსადმი თავის დადებისა და თავგანწირვის მზაობა. ამ სპეტაკი, მარადიული გრძნობის უმწიკვლოდ ტარება ხალხური პოეზიისათვის, მისი მატარებლებისათვის, ისევე, როგორც სამშობლო ქვეყნის დროებითი მჭმუნვარების გამო დაღონებულ-შეჭირვებული რომანტიკოსებისთვისაც, ეროვნული ღირსების, მშობელი ხალხის საუკეთესო ზნეობრივი ტრადიციების დაცვა და შთამომავლობისათვის გადაცემაა. ამიტომაც ქართველ რომანტიკოსთა ერთ-ერთი უმთავრესი მასაზრდოებელია მშობელი ხალხის წიაღში შექმნილი და თაობიდან თაობაზე გადმოცემული სატრფიალო პოეზია თავისი, ტრადიციული გამომსახველობითი საშუალებებით. სწორედ ამიტომ, ყარაჩოღელთადმი სიმპათიებისა და მათი გავლენების გვერდით, ჩვენი რომანტიკოსები ძალუმად იწოვდნენ ქართული ხალხური პოეზიის ღალიან-ბარაქიან ნაჟურს, რასაც თავდაპირველად აღმოსავლეთიდან მძლავრ ნაკადად შემოჭრილმა

აშულურმა პოეზიამ ფართოდ გაულო კარი და ბევრად განაპირობა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების ზიარება მშობლიურ ზეპირსიტყვიერებასთან.

თავი მეოთხე

ყოფნა-არყოფნისა და სიცოცხლის საზრისის პრობლემა

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ძველთაგან მწვავედ დგას სიცოცხლის საზრისის, ყოფნა-არყოფნის პრობლემა, რომელიც მარადიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება და დასაბამიდან აღელვებს კაცობრიობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია ფილოსოფიური ლირიკა. „ფილოსოფიური ლექსები ხასიათდება მხატვრული სიძლიერით, განსაკუთრებით უხვადაა პოეტური შედარება, რაც ზუსტად გამოხატავს მთქმელის ჩანაფიქრს და, რაც მთავარია, ამა თუ იმ პოეტური სახის გამოყენებისას ცხადად იგრძნობა ეროვნული, სოციალური თუ რეგიონალური მომენტები...“ (ჩხეიძე, 2014: 135).

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილსა და ჩვენამდე შემონახულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში მთელი სისრულით არის გადმოცემული ჩვენი წინაპრების დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის დანიშნულების, ანუ სიცოცხლის საზრისის, თემისადმი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეთა ტევრში გამოატარეს და ზოგადკაცობრიული სიმაღლით დატვირთეს; მკვლევარი მანანა კაკაბაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „წუთისოფლისა და ამაოების თემატიკა ზოგადსაკაცობრიოა, მაგრამ ქართულ ხალხურ პოეზიაში ამ თემის პოეტური ხორცშესხმა და განწყობილებათა გამოხატვის ფორმა ეროვნულია, ქართული, და იგი ძალიან მახლობელია ქართველი რომანტიკოსებისათვის...“ (კაკაბაძე, 1983: 66).

ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობრივ ფენომენშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სიცოცხლის დასაზღვრულობის, მისი წარმავლობის პრობლემა; აწმყო ნაღველით გულდასევდიანებულ ჩვენს დიდებულ რომანტიკოსებსაც აწუხებთ

ეს „წყველა-კრულვიანი“ რეალობა და ცდილობენ, რამენაირად ჩასწვდნენ მის არსს, რაც თავისი შინაარსით ძალიან ახლოს დგას ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებათა უდიდეს ნაწილთან.

ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორისა და რომანტიკოსთა მსოფლმხედველობა ერთნაირად გრძნობენ იმ სინამდვილეს, რომელშიც მათ უწევთ ყოფნა; ისინი თვალს უსწორებენ წუთისოფლის დაუნდობელ რეალობას, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, სჯერათ უკეთესი მომავლისა.

ქართული ზეპირსიტყვიერება ერის ისტორიის, ყოფისა და სულიერების განუყოფელი ნაწილი, მისი თვითმყოფადობის განმსაზღვრელი და მასაზრდოებელია; მის საუკეთესო ქმნილებებში იმთავითვე მწვავედ დგას სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომელიც ოდინდელი პრობლემაა და მარადიულად აფიქრებს კაცობრიობას. „უხსოვარი დროიდან აწუხებს ადამიანის გონებას ეს ამოუხსნელი სატკივარი... უძველესი მითების სამყაროდან მოყოლებული მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების კორიფეებითა და რიგითი მოკვდავებით დამთავრებული, ყველას აღელვებს კითხვები: „წუთისოფელი რა არი?“ „რა არის ჩვენი სიცოცხლე?“ „ნეტავ, რა ზნე სჭირს სიკვდილსა?“ და სხვა“ (შიოშვილი, 2002: 123).

ჩვენამდე მოღწეული ზეპირსიტყვიერების არაერთ ნიმუშში ჩვენი წინაპრები გადმოგვცემენ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, შეხედულებებს თუ განცდებს... გადმოგვცემენ იმ ტკივილსა და გულისწუხილს, რაც დაუგროვდათ საუკუნეთა განმავლობაში; ხალხური პოეზიის ლირიკული გმირი წუხს, რომ სიცოცხლე ამაოებაა და რომ შეუძლებელია ამქვეყნიური კანონებისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი შეცვლა. „ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკაში გამოთქმულია წუხილი წუთისოფლის გაუტანლობასა და წარმავლობაზე, მის მუხანათობაზე. ამგვარი შინაარსის ლექსები უაღრესად პესიმისტურ ხასიათს ატარებს“ (შიოშვილი, 2002: 176) და საბოლოო დასკვნა ამგვარია:

ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რა არის ჩვენი სიცოცხლე?

ჩიტვიტ გაგვიფრინდება.
ისიც მოკვდება, ამქვეყნად
გვეგონა, ვინც გრძლად იარა,
შუქს ბნელი შეჭამს, ვარდს - ჭია,
კაცის გულს - ჯავრის იარა,
უჩუმრად მოვა სიკვდილი,
იმ წამში აგვეყრის იარაღს;
ჩვენ რას წავიღებთ ამ ქვეყნით,
სხვას არა წაუღია-რა.

(ქ. ხ. პ., 1979: 41-42)

მკვლევარი გია მურღულია აღნიშნავს: „ამაოების შეგრძნება ადამიანს, ალბათ, მაშინ გაუჩნდა, როცა მას საბოლოოდ დაეუფლა ერთი საბედისწერო აზრი – ყოველი მოკვდავი შემოსაზღვრულია დროითა და სივრცით. ამ შემოსაზღვრულობის გადალახვა ემპირიულ სიბრტყეზე შეუძლებელია და მარადიულ ყოფიერებასთან ზიარება – მიუღწეველი, აუხდენელი ოცნება“ (მურღულია, 1987: 178).

ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობრივ ფენომენშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სიცოცხლის დასაზღვრულობის, მისი წარმავლობის პრობლემა; აწმყო ნაღველით გულდასევდიანებულ ჩვენს დიდებულ რომანტიკოსებსაც აწუხებთ ეს ტკივილიანი რეალობა და ცდილობენ, რამენაირად ჩასწვდნენ მის არსს.

1. წუთისოფლის სამდურავი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკასა და ხალხურ პოეზიაში

ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში საკმაოდ ვრცლად არის საუბარი წუთისოფლის რაობაზე; პოეტი ცდილობს, ამოხსნას ყოფნა-არყოფნის იგავი. „მუხთალი აწმყო და სოფელი თავისი დაუდგრომლობით პოეტის შეგნებაში ცხოვრების აზრისა

და დანიშნულების, მისი დასაბამისა და დასასრულის საკითხს აღძრავს და, როგორც რომანტიკოსს სჩვეოდა, ალ. ჭავჭავაძეც ამ საკითხის ახსნა-გარკვევაში საშინელ პესი-მიზმამდე მიდის“, – აღნიშნავს მკვლევარი მიხეილ ზანდუკელი (ზანდუკელი, 1972: 192).

რომანტიკოსი პოეტი, სახალხო მთქმელის მსგავსად, უკმაყოფილოა წუთისოფლის წარმავლობით, რაც სათანადოდ აისახა ტრადიციული „სოფლის სამდურავის“ ციკლის ლირიკის პოეზიაში. ლექსში „ვაჰ, სოფელსა ამას...“ ალექსანდრე ჭავჭავაძე ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგია; იგი გმობს ისეთ ცხოვრებას, სადაც ბოროტება, შური და მზაკვრობა მძვინვარებს, სადაც პირადი სარგებლისთვის ადამიანის გაწირვაც კი არ აბრკოლებთ და გაჭირვებულთა ჩაგვრის ფასად „შეჰკრებენ საუნჯეს“, ხოლო სიკეთე, „კეთილმოყვარეობა“ ითრგუნება:

ვაჰ, სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!
აჟ აქებენ ძვირსა მზაკვარნი სულნი,
სძრახავენ კეთილ-მოქმედთ შურით შემკულნი;
ზოგადნი არიან გამდიდრებულნი, - განა რითა, ძმანო?
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით...

(ჭავჭავაძე, 1992: 42)

სახალხო მთქმელისთვისაც მიუღებელია ცრუ და მუხთალი წუთისოფელი, სადაც გაბატონებულია მოძმეთ ღალატი და პირფერობა; სწორედ ამიტომ ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი ლექსში „...სოფლის რა მხარეცა ვნახე...“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილს ქართლში ჩაუწერია, გმობს ცოდვიან წუთისოფელს და მოგვიწოდებს, არ ვენდოთ მას, რადგან ის „ჭრელი გველია“:

სოფლის რა მხარეცა ვნახე,
სუყველა მხარე ჭრელია;
ძმაცა ვცან და ძმობილიცა,
ფეხქვეშ მიწისა მთხრელია.
სადაც მოკეთე მეგონა,

სუყველა ჩემი მტერია;
ეს ამისთანა სიცოცხლე,
აბა, რა სანატრელია!
ნუ დაენდობი სოფელსა,
სოფელი ჭრელი გველია!

(ქ. ხ. პ., 1979: 39)

რომანტიკოსი ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსის – „ვაჰ, სოფელსა ამას“ – ბოლოს აფრთხილებს მათ, ვინც უსამართლობითა და „მდაბალთ ჩაგვრით“ გამოირჩევა, რომ ამქვეყნად მარადიული არაფერია და ყველაფერს თავისი აღსასრული აქვს, რომ უფლის წინაშე ისინიც მათ მიერ დაჩაგრულთა თანასწორად წარსდგებიან და აუცილებლად დაისჯებიან:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდდეთ მათთან თანასწორებას!
არ მარადის იშვათ
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით!

(ჭავჭავაძე, 1992: 43)

„ალექსანდრე ჭავჭავაძემ ლექსით „ვაჰ, სოფელსა ამას“ ნათლად გამოხატა ის გულისტკივილი, რომელიც მის ფიქრებსა და გონებას ღრმად დაუფლებოდა და არ სცილდებოდა. ეს ლექსი მაჩვენებელია იმისა, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეტური ხედვის ჰორიზონტი გაფართოვდა და თანდათან ამალდა საერთო, ზოგად კითხვებამდე; რომ პოეტის მსოფლმხედველობა მომწიფდა და ჩაულრმავდა ადამიანთა ცხოვრების ფილოსოფიურ პრობლემებს“ (გამეზარდაშვილი, 1975, 165). ადამიანთა ცხოვრების ფილოსოფიური პრობლემების ამგვარი ჩაღრმავება კი, ბუნებრივია, თავის მხრივ, ხალხურ წყაროებთან, ქართულ ხალხურ-ფილოსოფიურ ლირიკასთან დაახლოების გარეშე რთული იქნებოდა.

ლექსში „ისმინეთ, მსმენნო“ პოეტი წარმოთქვამს სოფლის სამდურავს, რომელმაც უსამართლობის და ჩაგვრის ხარჯზე სამშობლო დააკარგვინა:

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი,
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი აღმურნი,

ვნახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!..

წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი!

გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი...

.....

გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,

დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად;

ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;

მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა ჰსწყვლენ მტრულად...

(ჭავჭავაძე, 1992: 32)

სოფლის უსამართლობაზე არაერთგზის დაუჩივლია სახალხო მთქმელსაც:

ჭკვიან კაცს უთქვამს: სოფელი

გაუტანელი არიო,

მუდამ უკულმა იღება

მისი სამართლის კარიო.

(ქ. ხ. პ., 1979: 36)

ხალხურ სიტყვიერებაში არაერთი ლექსი თქმულა წუთისოფლის წარმავლობაზე, რაზეც თვითონ სიტყვის შინაარსიც მიგვანიშნებს; ცხოვრება იმდენად ხანმოკლეა, რომ წუთთანაა შედარებული; “სოფელი სამ სახედ ითქმის: საუკუნო იგი, სოფელი და წუთისოფელი (კაცრიელი). სოფელი ეწოდების სრულიად საწუთროსა“ (ორბელიანი 1993: 107). ქართულ ხალხურ ლექსში „...სანამ ვიყავ ახალგაზრდა...“ მოხუცი მწუხარებით შემოგვჩივის, რომ თუ ახალგაზრდობაში „ლომი მეგონა ჩემი თავი“, ახლა „შევიქმენ პანტის ჩირადა“-ო; ხალხური ფილოსოფიური ლირიკა მისტირის დროს, რომელიც დაუნდობელი, წარმავალია და საბოლოო დასკვნა ასეთი გამოაქვს:

ტიალი წუთისოფელი

ბოლოს დამიჯდა ძვირადა,

შავმიწა მეპატიყება

ამბობს, მიგიღებ შვილადა,

.....

ცასა და მიწას შუაზე,
რაც კი რამ გაჩენილია...
სუყველა ჩემი შვილია.

(ქ. ხ. პ., 1979: 49)

წუთისოფლის წარმავლობაზე მოთქვამს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსის – „გუთნის დედა“ – ლირიკული გმირი; იგი მისტირის წარსულ დროს, ჟამთა მდინარებას, რომლის წინაშეც ყველა უძლურია, რადგან მარადიული არაფერია, მათ შორის – ახალგაზრდული ძალა, მხნეობა, შემართება:

...ცხენი დამზანტებია დრო მრავალ-გამოვლილი,
გდია თავ ჩამოგდებით, ჩუთის წევით მოღლილი.
კვლავ მასც ჰქონდა ერთი დრო, რომ რამდენსმე დღიურსა
ერთის შებმით მოჰხნევდა, არ გაიბერტყდა ყურსა.
ახლა გინდ ათი სახრეც კაცმა ზედ დაამტვრიოს,
მგონია, ერთი კვალიც რიგზე ვერ გააკვლიოს.
ნეტავი მას დროს, ცხენო, რომ ყელმოღერებული,
კუნტრუშით აბრუნებდი ბელტებს განხურვებული,
ახლა ასე მგონია, რაგინდ თავი აწყვიტო,
ბაწრითაც რომ დაგაბა, ისიც ველარ ასწყვიტო...

(ჭავჭავაძე, 1992: 66-67)

სახალხო მთქმელიც მწარედ მისტირის წარსულ სანატრელ დროს, როდესაც იგი ახალგაზრდა იყო; ლექსში „...სანამ ვიყავ ახალგაზრდა...“ გადმოცემულია წუთისოფლის წარმავლობასა და დროის „სიზრმებრივ“ სწრაფად გაქრობაზე:

სანამ ვიყავ ახალგაზრდა,
თავი მომქონდა გირადა,
დავარდნას არა ვფიქრობდი,
ჩემ გულ ცაშია ფრინავდა.
ლომი მეგონა ჩემ თავი,
არ ვინახამდი ფრთხილადა,
არაფერ მაკლდა სახლშია,
პურ-ღვინო თავის წილადა.

გამეცა წუთისოფელი,
ვერ ვსვი, ვერ ვჭამე ტკბილადა,
თავი მეგონა გულადი,
შევიქმენ პანტის ჩირადა.
დავბრმი, დავვარდი, დავბერდი,
ოჯახს გავუხდი ჭირადა,
სანამდე ვიყავ ჯიელი,
დროს ვატარებდი ლხინადა.

(ქ. ხ. პ., 1979: 49)

რომანტიკოსი პოეტიც, სახალხო მთქმელის მსგავსად, მისტიკის განვლილ დროსა და ახალგაზრდულ ენერგიას:

...უწინ მწე არ ვიტყოდი, ეს მიწა მაგარია,
ჩემთვის მაშინ სწორ იყო ველი, მთა და ბარია,..
.....
ყველგან ვხნევდი და ვმკიდი ნაყოფს ბარაქიანსა,
მაგრამ ახლა სიბერემ მეც გამაწყო არჩევას,
ატყებულთა ნახნავთა ველარ უბედ გარღვევას.
თუ ადგილი არ მომწონს ვჯავრობ, ვშფოთავ, ვლონდები,
მაგრამ ლბილთ ხოდაბუნთა კვალად ისევ ვეწყობი.
და იმათაც ასეთთა, რომ აბრემუმებრს ბალახს
კრძალვით ძლივ გაებედნოსთ თავის ჩენა იმ ალაგს.
ეჰ, ნეტა რაღად მინდა რჩევა ალაგებისა,
რადგანც ღონე არა მაქვს არც ხვნის, არცა თესვისა,..

(ჭავჭავაძე, 1992: 67)

მიუხედავად წუთისოფლის წარმავლობაზე ჩივილისა, ლექსის ლირიკული გმირი ჭაბუკი მეგუთნეების მიმართვისას ოპტიმისტურად არის განწყობილი, რადგან თვალს და გულს მომავალი თაობის ცქერით იხარებს:

ჭაბუკო მეგუთნენო! თქვენც ხართ, ვიყავ მე ვითა.
ამისთვის შემბრალებთ ცრემლისა დათხევითა;
და თქვენ, ხოდაბუნებო, ჩემს მოხუცებულს ცხენსა,

ბალახის მოძოვებით მაინც სცემდეთ ნუგეშსა.
თქვენს ხვნაზე ხელის ამღე მხოლოდ ჭვრეტით ვიხარებ
და თქვენს მწვანეზე სრბოლით გულის წყლულს დავიამებ!

(ჭავჭავაძე, 1992: 67)

არც სახალხო მთქმელს გადაუწურავს იმედი, რადგან მისი აზრით, ადამიანი ღმერთისგან დალოცვილია; თუ ახალგაზრდობაში შემართებით, ძლიერი მკლავით გამოირჩევა, სამაგიეროდ სიბერის ჟამს კაცს ცხოვრებაში დაგროვილი გამოცდილება და სიბრძნე აქვს:

...ღმერთმა აცოცხლოს ის კაცი,
ხომ მაინც დალოცვილია,
ვინამც ჭირშია, ლხინშია,
ყველაში გამოცდილია.

(ქ. ხ. პ. 1979: 49)

წუთისოფლის ცვალებადობა-წარმავლობასა და სიცოცხლის ხანმოკლეობას ეძღვნება ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „დუგა“, რომელშიც პოეტი გვმოდვრავს, რომ წუთისოფელზე მინდობა არ შეიძლება, რადგან, ვინც კი მიენდო, ყველას „შხამად“ გადაექცა:

სოფლის მიმნდობთა ბოლო აქვთ შხამად,
ლხინი, შექცევა თვალისა წამად.
არაერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა.
არაერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავ ღამესა...

(ჭავჭავაძე, 1949: 121)

წუთისოფლის წარმავლობას ეძღვნება ხალხური ლექსი „ეგ სოფელი სთველია“, რომელიც სიმღერად არის გავრცელებული:

ეგ სოფელი სთველია,
აქ არავინ დარჩება,
ყველა წასასვლელია.

(ქ. ხ. პ., 1979: 36)

ქართული ხალხური ლირიკის კოლექტიური ავტორი წუთისოფლის სამდურავ ლექსებს ხშირად ასე იწყებს: „ტიალი წუთისოფელი“, „წუთისოფელმა გამწირა“,

„ობერო წუთისოფელო“. სახალხო მთქმელის მსგავსად, ალექსანდრე ჭავჭავაძეც წუთისოფლის სამდურავით იწყებს ლექსს „...ოჰ, ვით გვემტყუნვა...“:

ოჰ, ვით გვემტყუნვა
სოფლისა ბრუნვა!..
წაგვიხდა ზრუნვა...

(ჭავჭავაძე, 1992: 45)

სახალხო მთქმელი თავის უიღბლობაში ბედისწერას ადანაშაულებს და ასე მიმართავს „შავ ბედს“:

რა დრომდე გასურს, შავო ბედო,
რომ ასე თრევით მატარო,
ხელში რომ შემოგადნები,
მერე გინდა გამახარო?
რის გულისათვის მემდური,
თუ რამ შეგცოდე, მითხარი...

(ქ. ხ. პ., 1979: 50)

რომანტიკოსი პოეტიც, ხალხური პოეზიის კოლექტიური ავტორის მსგავსად, ხშირად გასაჭირს წუთისოფელთან ერთად „შავ ბედს“ შესჩივის:

ვაჰ, ბედო შავო, შენგან გმობილსა,
რომ განმაშორე შვებასა ტკბილსა...

(ჭავჭავაძე, 1992: 41)

...ვზი და ვსტირ ჩემს ბედსა ცრემლით თვალვსილი...

(ჭავჭავაძე, 1992: 46)

ბედმან რისხვის შურდულითა განმსტყორცნა...

(ჭავჭავაძე, 1992: 47)

ხოლო ლექსში „ეჰა, ჩემო ოცნებავ“ აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი უწყალო ბედს შესჩივის წარსული „ტკბილი“ დღეების „დათრგუნვას“ და სთხოვს, რომ „სიზმარში“ ზმანებად მაინც დაუბრუნოს განვლილი ბედნიერება:

რად მიჩვენებ სახესა წარსულთა მათ ნუგეშთა, -
ერთხელ ჩემის სიცოცხლის ნაზად დამატკბობელთა,
რომელნიცა მე ბედმან უწყალოდ დამითრგუნა

და გლახ მე მარად მტირალს მცირედიც არ მიბრუნა.

ნუ მიტევენ, ოცნებავ, მომეც ძველნი ხილვანი,

მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოხრვანი...

(ჭავჭავაძე, 1940: 72)

ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსში „სხვადასხვა დროისათვის კაცისა“ ცხოვრებას ძნელად სამყოფელს უწოდებს, რადგან ადამიანს სიყრმიდან მოყოლებული „ჭმუნვის ალი“ თან დასდევს და, რაც უფრო დრო გადის, წუთისოფელი ახალ-ახალ საფიქრალს აჩენს. „სწორედ მაშინ, როცა იმედი ებადებოდა, ახლა მოვისვენე, ნეტარი თუ არა, სანუგეშო წამები დამიდგებო, რაღაცაგვარად შეტრიალდებოდა ბედისა ჩარხი და წლობით და თვეობით წვალებაში შეძენილი მხოლოდ იმედი უკეთესის მომავლისა წლობით და თვეობით წარსულის ტკბილად მოგონებით თავდებოდა. ბედისწერით გაპირობებული გზა მიემართება ცენტრისკენ, რომელიც ათვლის წერტილიცაა და ბოლო პუნქტიც, ესაა სიკვდილი“ (მილორავა, 2008: 135).

ეს სოფელი, სამყო ძნელი, მჩვენებელი ჭმუნვის ალთა!

რა ვიშვებით, მყისვე ვსტირით, ვით წინად მგრძნი მომავალთა,

მოვიზრდებით წიგნის კითხვით, არ გაგვიშრობს მწვრთნელი

თვალთა,

ჟამი გვიროკს, იგი გვიძახს: შეუდექით სიბრძნის კვალთა.

რა ჰასაკსა შევალთ, ახლად ჭირი უფროს გვემრავლებს!

თვალი გულს ჰსცვლის, გული გრძნობას, გრძნობა ტრფობას

ემსჭვალეების...

(ჭავჭავაძე, 1949: 32)

პოეტის შეხედულებით, ადამიანს დაბადებიდან სიკვდილამდე მოუწევს სხვადასხვა პერიოდის გავლა, მაგრამ ბედნიერი ვერასოდეს იქნება, რადგან მისი ამქვეყნიური ხვედრი ტანჯვა-წვალებაა:

სახე რამე საყვარელი დაგვატყვევებს თვისებრ ნების,

და გლახ შეგვიქმს პატიმარად, მკვნესარად და მოქმელად ვების.

ოდეს შევალთ ხანსა სრულსა, მაშინ კვლავცა სხვა გვაქვს წუხვა:

არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა,

გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა;

რა ვერ ვპოვებთ საწადელსა, შეგვექმნების შურით ჭმუხვა.
ოდეს წელთა ტვირთვის ზიდვით ქედსა მშვილდებრ მოვიხრებით,
ყოველთავე მოვმაგდებით, ზნე გვეცვლების გრძნობის კლებით;
სიკვდილისა წინამძღვარად მოვლენ სენნი მახვილ ღებით,
მათგან ერთი გვცემს და გვეტყვის: “ახით ნაშენო, მოკვდით ვებით!

(ჭავჭავაძე, 1949: 32)

სახალხო მთქმელიც ამას გვეუბნება, რომ არ არის ამ ქვეყანაზე ადამიანი,
რომელსაც მისი წილი სევდა არ ჰქონდეს:

ამ ტიალ წუთისოფელში
ბევრი ამბები ყოფილა...
ყველას ჰკლავს თითო რამ სევდა,
ვინც კი ამ ქვეყნად შობილა.

(ქ. ხ. პ., 1979: 31)

ქართულ ხალხურ პოეზიაში სიკვდილის საკითხი ვრცლად არის განხილული,
რაც ბუნებრივია, რადგან ეს არის პრობლემა, რომელიც ყოველ ეპოქაში იყო აქტუ-
ალური. ხალხურ ლირიკაში კარგად არის გააზრებული, რომ „წუთისოფლის
სტუმრები ვართ“ და რომ სიკვდილი გარდაუვალია, ვინაიდან ბუნებაში ყველაფერი
დაბალანსებულია: სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს, დღეს – ღამე და ა. შ.

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება.
რასაც ერთურთ გავახარებთ,
ამის მეტი რა შაგვრჩება,
სამი ადლი ტილოს მეტი,
სამარეში რა ჩაგვყვება?

(ქ. ხ. პ., 1979: 33)

თამარ მეფის ციკლის საისტორიო პოეზიის თანახმადაც, თვით ისეთმა ამაგდარ-
მა, სამშობლოსათვის თავდადებულმა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მი-
თოსში ღვთისშვილად აღიარებულმა და სამების მეოთხე წევრად შერაცხილმა თამარ
მეფემაც ამ ქვეყნიდან ვერაფერი წაიღო „ცხრა (ორი) ადლი ტილოს მეტი“.
ეპიტაფიური ლექსის „...თამარ დედოფალი ვიყავ...“ ერთ-ერთ არქაულ ვარიანტში,

რომელიც ზეპირსიტყვიერების მოამაგემ – პეტრე უმიკაშვილმა ჩაიწერა ქართლში, სოფელ თონეთში, „სამშობლოსადმი თამარის ღირსეული მსახურების წარმოჩენასთან ერთად, გადმოცემულია ხალხური ეპიტაფიებისათვის დამახასიათებელი მოტივი – წუთისოფლის სამდურავი და შეგონება – სენტენცია, რომ ყველა მიწიერი სიკეთე, რაც ადამიანს (მით უფრო მეფეს) გააჩნია, სააქაოს რჩება და იმიერ სოფელში მხოლოდ ორი ადლი ტილო მიჰყვება“ (შიოშვილი, 2014: 45):

თამარ დედოფალი ვიყავ,
დიდი სახელი გავიგდე,
შემოვუარე ხმელეთსა,
წილი არავის დავუდე,
ჩავჰყარე ზღვაში სამნები,
ხმელეთი ჩემკენ დავიგდე.
ვაი შენ, წუთისოფელო,
რა ტყუილათ გიამაგე,
სიბერე და სიყმაწვილე
ორივ შენზე გადავაგე.
სიკვდილის ჟამი მოსულა,
სამოთხევ, კარი გამიღე!
ორი ადლი ტილო გამყვა,
სხვა რაც მქონდა, აქ დავაგდე.

(უმიკაშვილი, 1964: 94)

ერთ-ერთი კახეთში ჩაწერილი ფილოსოფიური ლექსის თანახმად, ხალხური ლირიკის კოლექტიური ავტორი, ფაქტობრივად, ეკლესიასტესეულ დასკვნას გვთავაზობს:

ვაი, ვინ წავა იმ სოფელს
ამ სოფლის მადრიელია,
პატარა ტილო გვეყოფა,
ცოტათი განიერია;
იმასაც მიწა შეგვიჭამს,
დავრჩებით ცარიელია.

(ქ. ხ. პ., 1979: 54)

სიკვდილ-სიცოცხლის მტკივნეულ საკითხს ალექსანდრე ჭავჭავაძე განიხილავს ლექსში „რაა სიკვდილი“. სახალხო მთქმელის მსგავსად, მასაც კარგად აქვს გააზრებული ეს მარადიული პრობლემა; პოეტისთვის სულიერი მარტოობა, ნათესავთ და მეგობართ გარეშე დარჩენა გაცილებით მტკივნეული და აუტანელია, ვიდრე – სიკვდილი, რადგან, მისი აზრით, სიკვდილთან ერთად ქრება ყოველივე ტანჯვა, ხოლო საყვარელი ადამიანების გარეშე დარჩენილს ტანჯვა მარადიულად რჩება:

რაა სიკვდილი, რაა მისი საშინელება?

მკვდარი თუ შვებას მოაკლდება ჭირსაც მორჩება;

მაგრამ მოყვასის მომშორვესა, სურვილით ტანჯულს,

სიამე ოდენ მიელება, თმენა კი რჩება.

(ჭავჭავაძე, 1940: 123)

ამგვარი დასკვნით ალექსანდრე ჭავჭავაძე ერთგვარად ეხმიანება ეკლესიასტეს ცნობილ თეზას „ამაოება ამაოებათა... ყოველივე ამაოა“ (ეკლ. 1,1) და, ამავე დროს, გვევლინება ნიკოლოზ ბარათაშვილისეული სულით ობლობის ფენომენის გააზრების წინაპირობად. ამ პრობლემასთან დაკავშირებით არსებითად იდენტურია მრავალ ეპოქათა ტევრში გამოვლილი ხალხური პოეზიის აზრიც.

მკვლევარი დავით გამეზარდაშვილი აღნიშნავს, რომ „ადამიანი და ყოველივე ადამიანის ხელით შექმნილი, ალ. ჭავჭავაძის შეხედულებით, წარმავალია. წარსულის ყოველი ნაშთი პოეტის გრძნობასა და გონებას იმას ეუბნება, რომ სხვაგვარი მომავალი არც მას და არც შემდგომთ არ შეიძლება ხვდეთ, ყველაფერი არარაობად იქცევა, მხოლოდ ბუნებაა მარადი და დიადი“ (გამეზარდაშვილი, 1975: 174).

ალექსანდრე ჭავჭავაძე უკმაყოფილოა ამქვეყნიური ამაო ცხოვრებით, რაც კარგად ჩანს ლექსში „გოგჩა“; მასში პოეტს მიწიერი ცხოვრების ამაზრზენ ბოლოდ ესახება ქალაქის ნანგრევები, რომელნიც საუკუნეების წინ მედიდურად მდგარა, სადაც თვით „მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლთა“; ეს მწარე რეალობა რომანტიკოსი პოეტისათვის სამომავლო იმედებს ვეღარ გვიტოვებს:

...საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,

სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი

და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა. -

ქმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა.
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:
აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი.
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი...

(ჭავჭავაძე, 1992: 68)

პოეტის აზრით, დროის მსვლელობას ვერაფერი გადაურჩება; ეს ყველაფერი ამოება და ექვემდებარება ერთგვარ კანონზომიერებას, რომელსაც წინ ვერაფერი აღუდგება. „გოგჩაში“ გადმოცემულია მწარე კვნესა და გოდება წუთისოფლის წარმავლობის გამო.

ხალხური პოეზიაშიც ამქვეყნიური ცხოვრება წარმავალია ყველას სიკვდილი მოელის:

ღმერთმა დაბადა ქვეყანა,
ქვეყანა ბედისწერიტა;
ზოგია შეუსმენელი,
არვის არ გვარგებს ჯერათა,
მოკვდება, დაიკარგება,
იქცევა მიწა-მტვერათა.

(ქ. ხ. პ., 1979: 41)

რომანტიკოსი პოეტის ლექსის – „მიველ წალკოტს სანუგეშოთ“ – ლირიკული გამირისთვისაც სოფელი დაუნდობელი და მოულოდნელობებით აღსავსეა; ამიტომაც ტანჯულ ცხოვრებას სიკვდილი ურჩევნია:

... განმცვიფრდა შმაგი გონება, ვსთქვი რა შეგცოდე, ასე რა?
სევდის ისარი, მაწვია, მან გული ჩემი ასერა;
არ განმიკითხა მცირედი, სიკვდილს მოველი ასერა,
ამა ვაეებით სიცოცხლეს სიკვდილი უმჯობესია!

(ჭავჭავაძე, 1949: 107)

ხალხურ ლექსში „ნეტავი შემატყობინა“, კოლექტიური ავტორი გულისტკივილით სვამს კითხვებს, რომლებზედაც დასაბუთებული პასუხი ჯერ არავის გაუცია:

ნეტავი შემატყობინა,
მამა-პაპანი რა ქნილან,
ან მოყვარული ცოლ-ქმარნი
უდროოთ რისთვის გაყრილან;
დაცლილან ნასახლარები,
ზოგან სულ წმინდათ აყრილან,
ამ სოფელს აღარ დამდგარან,
იმ სოფლის მწკრივნი შაქმნილან.

(ქ. ხ. პ., 1979: 35)

ამრიგად, ალექსანდრე ჭავჭავაძის შეხედულებანი წუთისოფლის რაობასა და ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების საზრისზე მჭიდრო კავშირშია საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ხალხურ სიბრძნესთან, ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად ხალხის მიერ ჩამოყალიბებულ აზრთან, რომ ამა სოფლის ცხოვრება ამოებაა და ჩვენ მხოლოდ „სტუმრები ვართ“, თუმცა პოეტი, სახალხო მთქმელის მსგავსად, მაინც ოპტიმისტია; მისი დასკვნით ლექსში „ვისაც გსურთ“ წუთისოფელი ცვალებადია და კაცის უბედობა სატირალია, მაგრამ – არა გასაკვირი, რადგან, ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია და დიდი თუ პატარა, ყველა ამ ცვლილების მომსწრეა:

...კაცთ უბედობა, თუმცა სატირე, -
გარნა რად განსაკვირე, -
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მზირე...

(ჭავჭავაძე, 1992: 32)

2. „უწყალო სოფელი“ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ხალხურ პოეზიაში

გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში აშკარად ჩანს წუხილი წუთისოფლის გაუტანლობაზე, რაც ადამიანს დასაბამიდან ალეღვებს და აინტერესებს. სამშობლოს ბედითა და ადამიანური უღონობით დამწუხრებული რომანტიკოსი პოეტი ლექსში „გაზაფხული“ ასე გამოთქვამს წუთისოფლისადმი უნდობლობას:

...ამა ურწმუნო სოფლისა ადრე ვისწავე მუხთლობა:

მისსა ყოველსა კეთილსა აქვს მხოლოდ წამი მყოფობა,

მის ჟამით არღა მახარებს არც გაზაფხული მოსვლითა.

(ორბელიანი, 2013: 16)

სახალხო მთქმელიც წუთისოფლის მიმართ ასეთივე უნდობლობით გამოირჩევა:

ქვეყანაზე ბედნიერათ

ჯერ არავის უცხოვრია,

სუყველასთვის ეს სოფელი

ცრუ და ყალბი სოფელია.

(ქ. ხ. პ., 1979: 38)

გრიგოლ ორბელიანი ლექსში „ანტონს“, ისევე როგორც ალექსანდრე ჭავჭავაძე ლექსში „სახე შენი მე მახევა“, ურჩევს ახალგაზრდებს, რომ სიჭაბუკის დღენი სიხარულით, ტკბობით და ლხინით გავლონ, რადგანაც, ჟამთა სვლა უღმობელია, ჩქარა გადის სიჭაბუკის დრო და თან მიაქვს სიყვარული და ბედნიერება:

...უღმობელ დროს მიაქვს იგი,

მასთან ყოვლი სიხარული,

სიტკბოება სიცოცხლისა,

არცღა გვრჩების სიყვარული,

ფრიად მსწრაფლად გვესტუმრების,

ახ, სიბერე შეჭუმხვნილი...

(ორბელიანი, 2013: 3)

წუთისოფლის დაუნდობლობა, რაც ხალხმა მისსავე სახელდებაში ჩააქსოვა, მრავალი ხალხური ლექსის ლაიტმოტივია; სახალხო მთქმელი უკმაყოფილოა წუთისოფლის წარმავლობით და დაუფარავად საყვედურობს მაცდურ საწუთროს:

ტიალი წუთისოფელი
ხილვას არ გვაცლის მზისასა!
უდროვოდ გადაგაქცევს-კე
მგზავრსა შავეთის გზისასა.
ბევრს ჩააჭკნობს-კე კაი ყმას,
ბევრს ქალს - ვარსკვლავსა ცისასა,
როგორც მზე მოჭრილს უდროოდ
ნორჩსა აყრილსა ხისასა.

(ქ. ხ. პ., 1979: 37)

პოეტი შეეგუა იმ ფაქტს, რომ „სოფელი მუხთალია“, ის არავის დააცლის დიდხანს ბედნიერებას, რადგან ყველაფერი წარმავალია და ხანმოკლე. ლექსში „ჩემს დას ეგემიას“ გრიგოლ ორბელიანი დაუფარავად აცხადებს:

ვინც სოფელს მუხთალს, საამურის ოცნებით აღვსილს,
უმზერს ვით აწ მე, მიუნდობელ, გამოცდილ თვალით.
ხვალე არღა მრწამს, ვით ღამეში მაცდური სხივი.
ვინ სთქვას: ხვალეცა ვიქნები მე ვით დღეს ბედნიერ?
ვისწავლე ესე, როს განმეპრო ბედის ვარსკვლავი,
და აწ თუ განვლის დღე მშვიდობით, მწუხრს პირჯვარს ვიწერ!

(ორბელიანი, 2013: 43)

სახალხო მთქმელიც იმთავითვე გვაფრთხილებს, რომ სოფელი წარმავალია და დიდხანს არავის შეარჩენს ბედნიერებას:

კაცსა ვინ მისცა ამქვეყნად
სრული ბედნიერობა:
მიდის და მოდის ტანჯვაში
მთელი ქვეყნიერობა.

(ქ. ხ. პ., 1979: 34)

ტუსადი პოეტი დისადმი მიწერილ ბარათში, რომელიც ლექსის სახით დაუწერია, გადმოგვცემს იმ შინაგან ტკივილს, რასაც განიცდის და მთელი გულით უზიარებს საყვარელ დას – ეფემიას;

ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ დამჭკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ,
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ მხვედრისა!..

(ორბელიანი, 2013: 40)

ხალხური ლექსის – „...ციხიდან გავსცქერ მთვარესა...“ – ლირიკული გმირი პატიმრობის ჟამს თავის დარდს მთვარეს უზიარებს და სთხოვს დისტვის წერილის გადაცემას:

ციხიდან გავსცქერ მთვარესა,
შამომხდარს გორის ფხაზედა,
გულდინჯად მოსიარულეს,
მშვენიერ ქვეყანაზედა.
ნუ გამიწყრები, მნათობო,
შენთან სიტყვების თქმაზედა:
წერილს გაგატან ხორხშია
ჩემს დაზე თამარაზედა...

(ქ. ხ. პ., 1979: 125)

უნუგეშოდ დარჩენილ პატიმარ პოეტს სიკვდილი ურჩევნია გაუსაძლის ყოფაში სიცოცხლეს:

...სად ვერა ჰსცნობდი ცისკრის ბრწყინვას, ვერც მწუხრის ჟამსა,
სად დღე უნათლო იყო ღამედ, ღამე — უვარსკვლავ,
და სად სიკვდილსა ვინატრიდი ვით ცის ნუგეშსა,
თუმცა სამარეს შეედრების სადაცა ვიყავ...

(ორბელიანი, 2013: 41)

სახალხო მთქმელიც, რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, მოსთქვამს პატიმრის მძიმე ყოფაზე („...ნატრული ვარ მზესაო...“, „...ტუსადის სიცოცხლე მოკლული დამარხულია...“) - (ქ. ხ. პ., 1979:124).

სინანულით აღსავსე პოეტი ლექსში „ჩემს დას ეფემიას“, სახალხო მოქმელის მსგავსად, გულდაწყვეტით ამბობს, რომ სოფელი თვალის დახამხამებაში ქრება:

...უჩინოდ ჩემთვის მდინარებდნენ თვისითა წესით
დღენი და თვენი, და ვერც ვჰსთვლიდი მე მათსა დენას...

(ორბელიანი, 2013: 41)

გრიგოლ ორბელიანის ლექსი „ჩემი ეპიტაფია“ კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუშია პოეტის შემოქმედებიდან, რომელშიც იგი წუთისოფლის წარმავლობასა და სიკვდილის გარდაუვალობაზე საუბრობს; იგი იხსენებს დროს, როცა სხვის ეპიტაფიებს კითხულობდა, ხოლო ახლა, მისი თქმით, მოვიდა დრო, როცა სხვამ უნდა წაიკითხოს მისი საფლავის ქვის წარწერა; მგოსანი ასე მიმართავს მკითხველს:

მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს დაჰმზერ შენ!
ამ ზენა-ჰსჯულსა ვერა არსი ვერ ასცდეს:
ვერცა ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით,
ვერცა გლახაკი შემოსილი ძონძითა,
ვერც სიჭაბუკე შვენებითა შემკული
და ვერც მოხუცი დაღალული სიცოცხლით!

(ორბელიანი, 2013: 47)

ლექსში პოეტი ნათლად გამოხატავს აზრს, რომ „ვერც ხელმწიფე დიდებისა გვირგვინით“, „ვერცა გლახაკი“, „ვერც სიჭაბუკე“ და „ვერც მოხუცი“ ვერ გაეცევა აღსასრულის ჟამს, რადგან იგი გარდაუვალია. ამგვარი მოსაზრებით მგოსანი უახლოვდება ხალხურ ეპიტაფიებში გამოთქმულ აზრს, რომ სიკვდილს ადამიანი ვერც დამალვით და ვერც ვერანაირი „ქრთამით“ ვერ გადაურჩება.

სიკვდილო, ვერ დაგემალე,
კლდე გამოვკაფე სალია,
გაგექე, ვერსად წაგიველ,
ცხენი არა მყავს მალია!..
ქრთამი გაძლიე, არ გინდა,
თვალ-მარგალიტი, ლალია!..

(ქ. ხ. პ., 1979: 55)

ქართული ხალხური ფილოსოფიური ლექსი „წუთისოფელი რა არი?“, ამგვარ პასუხს იძლევა სიკვდილ-სიცოცხლის „წყველაკრულვიან“ პრობლემაზე:

წუთისოფელი რა არი?
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი...

(ქ. ხ. პ., 1979, 32)

გრიგოლ ორბელიანი ლექსში „მიბაძვა პუშკინისა“, რომელიც 1847 წელს შეუქმნია პუშკინის ლექსის „Дар напрасный“, -ის მიხედვით, ვფიქრობთ, სრულად გამოხატავდა მის სულიერ განწყობილებას და მიმართებას სიკვდილის გარდაუვალობასთან:

სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალოვ ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა!
და თუ მიწოდა
არსით სოფლადა,
რისათვის მიმცა მსხვერპლად ტანჯვასა?..
.....
ანუ საგანი
რა არს, ვერ ვჰსცანი,
ამა სოფლადა ჩემისა მოსვლის?..

(ორბელიანი, 1959: 120)

სახალხო მელექსეც ამასვე უჩივის ადამიანის დამღონებელ საწუთროს და სვამს კითხვას: თუკი მაინც უნდა მოკვდეს, რატომ დაიბადა:

ვაი შენ, წუთისოფელო,
ქვეყნისა დამღონებელო!
თუ რომა სიკვდილი იყო,
რადათა მშობე, მშობელო?

(კოტეტიშვილი, 1961: 145)

ამავე აზრისაა ქართული ხალხური ფილოსოფიური ლექსის – „ტიალო წუთისოფელო“ – კოლექტიური ავტორიც, რომელიც უდიდესი სინანულით ამბობს:

ტიალო წუთისოფელო,
ნახვას არ გვაცლი მზისასა!
ჩვენც ისე დავიხოცებით,
როგორცა ვხედავთ სხვისასა,
რა ბევრი ჩამოუშლია
ამ სატიალე მიწასა!

(ქ. ხ. პ., 1979: 38)

წუთისოფლის დაუნდობლობასა და უსამართლობას ეძღვნება გრიგოლ ორბელიანის ლექსი „მუშა ბოქულაძე“, რომლის ლირიკული გმირი ფიქრობს, რომ მხოლოდ ტანჯვისთვის არის მოვლენილი და ასე შესჩივის „უწყალო სოფელს“:

სოფლის გარე უწყალოდ განდევნილსა
დამავიწყდა რაცა ვიყავ ოდესმე!..
და აწ მხოლოდ დამშთა ესე ჩემს ბედად:
ტანჯვით შრომა, ოფლით ძებნა ლუკმისა...
და მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!..

(ორბელიანი, 2013: 71)

სახალხო მთქმელებსაც არაერთგზის გამოუთქვამთ მსგავსი სამდურავი უსამართლო სოფელზე; ლექსში „როსტომ თქვა...“, რომელიც პეტრე უმიკაშვილს ჩაუწერია, ხალხური ეპოსის გმირის – როსტომის პირით არის გაცხადებული ამქვეყნიური უსამართლობა:

როსტომ თქვა: დღეიმც კრულია
იმ ჩემი დაბადებისა!
ერთხელ, მე რომ დავიბადე,
დღეიმც ვერ ვნახე ლხინისა,
ვერ გავიმართე კისერი,
უღელი მედო რკინისა!

(ქ. ხ. პ., 1979: 41)

მაშინ, როცა ადამიანთა ნაწილი განსაცდელშია, გრ. ორბელიანის ლექსის პერსონაჟი – მუშა ბოქულაძე გულდაწყვეტით ამბობს, რომ მეორენი ლხინობენ:

მე ვმუშაობ... სხვანი კი იმღერიან!..
ბედნიერნი, გულითა უზრუნველნი!..
ბაღით მესმის ჭიანურის, ლხინის ხმა,
სავათნავას გულ-დამწველი სიტყვები...

(ორბელიანი, 2013: 72)

ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკის კოლექტიურ ავტორს კი იმთავითვე არაერთგზის მიუნიშნებია წუთისოფლის უსამართლობაზე, იმ, მართლაც, „წყევლა-კრულვიან“ პრობლემაზე, რომ ამ „მიეთ-მოეთ“ წუთისოფელში ზოგს მეტად უმართლებს, ზოგს კი – ნაკლებად:

სოფელო, მიეთ-მოეთო,
საბრუნავისა მახეო,
ზოგსა ცათამდის აიყვან,
ზოგსა უკულმა დაჰხევო!

(ქ. ხ. პ., 1979: 33)

და მაშინ რომანტიკოსი პოეტი დაჩაგრული ადამიანის ხმით სვამს მარადიულ კითხვას:

მაშ ვინა ვარ, რა მჰქვიან ამ სოფელში,
თუ სიამის ერთი დღეც არ მახსოვდეს?
სიჭაბუკე ტანჯვით შრომამ წაიღო
და ვერ ვჰხედავ მომავალშიც ნუგეშსა...

(ორბელიანი, 2013: 72)

მსგავსი სამდურავი სახალხო მთქმელთა მუდმივი სათქმელიც არის. ლექსში „...წუთისოფელმა ჩემი დღე...“, რომელიც სახალხო ლექსის ცნობილ შემკრებს – ზაქარია ბილანიშვილს კახეთში ჩაუწერია, კოლექტიურ ავტორს უკვირს: ნუთუ, მხოლოდ იმისთვის გაჩნდა, რომ წუთისოფელს მისთვის სიმწარე ერგუნებინა:

წუთისოფელმა ჩემი დღე
ძიმწარა დამალევინა,
მატირა ცხარის ცრემლითა,

ზღვისთვინაც შემარევინა,
არც მომკლა, არც დამარჩინა,
არც სული დამალევინა.

(ქ. ხ. პ., 1979: 34)

ცხოვრებისგან დაჩაგრულ ადამიანს სიკვდილი სულაც არ აშინებს, რადგან ისეთი არაფერი გააჩნია, რის გამოც მისი გაგრძელების სურვილი გაუჩნდეს; სახალხო მთქმელის მსგავსად, რომანტიკოსი პოეტიც სვამს კითხვას: რისთვის მოვევლინე ქვეყანას, თუ მხოლოდ ტანჯვაში უნდა გავატარო ცხოვრებაო:

რა მიამა? რომ მოვკვდე რა ვინანო?..
როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!..
რად ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამჰყვა?
ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო? — არ ვიცი!
მაგრამ ჩემთვის დღე სიმწარით ღამდება...

(ორბელიანი, 2013: 72)

სახალხო მთქმელიც ლექსში „...შენ, ჩემო დაბადებავ...“, რომელიც ფოლკლორისტ ნიკო გოგოჭურს კახეთში ჩაუწერია, წყევლის ისეთი ადამიანის დაბადებას, რომელსაც დღენიადაგ მწუხარებაში ყოფნა უწევს:

შენ, ჩემო დაბადებავ,
მასკლავო გასაქრობელო,
სრუ მუდამ დაღონებისთვის
რატომა მშობე, მშობელო!..

(ქ. ხ. პ., 1979: 36)

ამქვეყნიურ ცხოვრებაში დატანჯული და გამწარებული მუშა, გაჭირვებული ადამიანი, ვერ ნახულობს სამართალს, რადგან წუთისოფელს ახასიათებს ადამიანთათვის განსხვავებული ხვედრის და შესაძლებლობების მინიჭება; მაგრამ, მიუხედავად იმ მძიმე ყოფისა, რომელშიც მუშას უწევს ყოფნა, მიუხედავად იმ უიმედობისა, რომელიც მას აქვს სულში გამჯდარი, ღმერთის რწმენა არის ის, რაც მას აძლევს იმედს, ტკბილ მოგონებებს და, მისი მძიმე ყოფის მიუხედავად, ამ რწმენით შეუძლია ბედნიერიც კი გახდეს; გრიგოლ ორბელიანის მუშას ეგულება ადგილი, სადაც ყველა

ადამიანი თანასწორია „საუკუნოს განსასვენსა ალაგსა“ და იმედოვნებს, რომ სწორედ იქ მიეზღვება ყველას თანასწორად, დამსახურებისამებრ:

ექ, ძმავ, წადი შენ შენს გზაზე სიმღერით...
მე ჩემს ბარგსა როგორმე იქ მოვიხსნი,
სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
საუკუნოს განსასვენსა ალაგსა!..

(ორბელიანი, 2013: 74)

ამგვარი დასასრული გრიგოლ ორბელიანის ლექსისა „მუშა ბოქულაძე“ ერთგვარი ლიტერატურული გადაძახილია იმავე მსოფლმხედველობის პოეტის – ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსთან „...ვაჰ, სოფელსა ამას...“ ორივე შემთხვევაში ჩვენი რომანტიკოსები სულის მოსათქმელ ადგილს ეძებენ და ეს ადგილი უფლის სიახლოვეს ეგულებათ. ამგვარია ხალხური ფილოსოფიაც; ლექსში „ერთხელ მომელის სიკვდილი“, რომელიც ფოლკლორისტ გიორგი შეთეკაურს კახეთში ჩაუწერია, სახალხო მთქმელი ამგვარ ფილოსოფიურ დასკვნას აკეთებს:

ერთხელ მომელის სიკვდილი,
სიცოცხლე მე მაქვს დღიური,
ერთ წუთში დაგისრულდება
ყოველწარსული ხნიური;
ეს მიმდინარე გზა არი,
ყველასთვის ყოველდღიური,
მას შეამოკლებს ვერავინ,
ვერც წუთი, ვერცა წლიური,
თუ გინდა იყოს კახელი,
თუ გინდა იყოს მთიული.

(ქ. ხ. პ., 1979: 67)

მიუხედავად წუთისოფლის გაუტანლობისა და სიმწარის შეცნობისა, რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანის საბოლოო „განაჩენი“ წუთისოფლის წარმავლობასა და ადამიანის არსებობის დანიშნულებაზე ასეთია:

რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი?
თუ არ აღვადგენთ დაცემულს, არ ვექმნეთ ნუგემ-მცემელი?

თუ არა ვჰსდევნით ბოროტსა, მართლის არა ვართ მფარველი?
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?

(ორბელიანი, 2013: 89)

ხალხური სიბრძნეც გვასწავლის, რომ სანამ ცოცხლები ვართ, კარგი უნდა ვაკეთოთ, რადგან ჯერ არ დაბადებულა ადამიანი, რომელსაც რამე წაუღია იმ ქვეყნად, – ამგვარია სახალხო „განაჩენიც“. ხალხური ლექსი „...კაცი სანამ ცოცხალია...“, რომელიც ვ. კოტეტიშვილს ქართლში ჩაუწერია, დიდაქტიკოსის ტონით გვირჩევს, წუთისოფლის ეკლიანი გზა ნამუსიანად გავიაროთ:

კაცი სანამ ცოცხალია,
ნამუსს მისდიოს მუდამა,
მოკვდების, თანა ჩაყვების
ხუთიოდ ადლი სუდარა.

(ქ. ხ. პ., 1979: 54)

ეკლესიასტეც, რომელიც წუთისოფლის ამაოებაზე მოსთქვამს, გვასწავლის: „ვუწყი, რადგან არაფერია კაცისთვის იმაზე კარგი, რომ გაიხაროს და ქმნას სიკეთე, ვიდრეღა ცოცხლობს“ (3:12) ამ პრობლემასთან დაკავშირებით გრიგოლ ორბელიანის პოემაში „სადღეგრძელო“ წარმოთქმული პოეტის სიტყვები იმდენად ახლოს არის ხალხის გულისთქმასთან, რომ მათ აიტაცეს და ანდაზად აქციეს პოემის ბევრი ადგილი:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანის-ცემა ღირსებას:
ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარის-შვილობას!
კაცი ის არის, ვინ არის ზეგარდმო მაღლით ცხებული;
მის მხოლოდ ღვაწლი არს კეთილ, მით მხარე დამშვენებული!

(ორბელიანი, 2013: 89)

ეს უდიდესი საკაცობრიო ჰუმანიზმით აღსავსე სტრიქონებია სამშობლოს უიღბლობითა და სოციალური პრობლემებით გულდასევდიანებული რომანტიკოსი პოეტისა, რომლის კაცთმოყვარეობა, სიცოცხლისადმი ტრფიალი ზენიტს აღწევს პოემა „სადღეგრძელოში“, როცა განთიადის სურათის ტკბობის ფონზე პოეტს გულიდან აღმოხდება: „ამ მშვენიერსა დილასა კაცს რად სურს სისხლი კაცისა?“ (ორბელიანი, 2013: 94).

ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლექსში “...ყველა ადამის შვილი ვართ...”
გადმოცემულია ჩვენი ხალხის უდიდესი ჰუმანიზმის გრძნობით გამსჭვალული
სტრიქონები, რომლითაც ქადაგებს ადამიანთა შორის სიყვარულსა და კეთილგან-
წყობას:

ყველა ადამის შვილი ვართ,
თათარიც ჩვენი ძმა არი.
ჩვენსა და სომეხებ შუა
განყოფილობა რა არი?
თუ ქალი გეტყვის დობასა,
ის უკეთესი და არი.
აგრეთი გქონდეს გუნება,
ვით მოწმენდილი ცა არი.
თუ არ იწამებ ამასა,
მუცლით ნაშობი რა არი?

(კოტეტიშვილი, 1961: 25)

ასევე, უაღრესად დიდი ჰუმანიზმით გამოირჩევა ფშავური ხალხური ლექსი
„...გული რად უნდა სტკიოდეს...“:

ნეტავი გაზაფხული ქნა,
ფოთოლთ არ ჩამოდიოდეს,
ბარში გალობდეს ბულბული,
მთაში არწივი წიოდეს,
ცოცხალ კაცს ცოცხალისაგან
გული რად უნდა სტკიოდეს!

(ქ. ხ. პ., 1979: 40)

ზეპირსიტყვიერების ცნობილი მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი ამ ლექსის
შესახებ წერდა: „ეს მშვენიერი ლექსი მიმზიდველია უმთავრესად იმ მიაშიტი
კოსმოპოლიტიზმით, რომელიც ისე მარტივად და ღრმად გვიჩვენებს ჩვენი ხალხის
განწყობილებას სხვა მოდგმათა მიმართ... ეს ადამიანობა უფრო მაღლა დგას, ხალხის
აზრით, ვიდრე ერთი დედ-მამის შვილობა და მიუხედავად სხვადასხვა რელიგიური
თუ სახელწიფოებრივი თავკერძობისა, რომლის გამოც ერთ მოდგმას მეორეს

უსევდნენ, ხალხმა მაინც არ დაკარგა თავისი რწმენა, და თვისთვის, ჩუმად, ამ იდეას უფრთხილდებოდა. ხსენებული ლექსი ფორმის მხრივაც მარტივია და დიადი; აქ არ არის რაიმე სამკაული, რომ აზრი იტვირთებოდეს. პირიქით, ისე არის ნათქვამი ყოველი ფრაზა, როგორც ხალხი ლაპარაკობს...” (კოტეტიშვილი, 1961: 321-322).

ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორსა და რომანტიკოს გრიგოლ ორბელიანს ერთნაირად ესმით წუთისოფლის და ადამიანის დანიშნულების საკითხი, რაც გვამღევეს საშუალებას, ვიმსჯელოთ მათ ურთიერთკავშირზე, პოეტის შემოქმედების ფოლკლორულ ძირებზე.

3. „სულით ობლობა“ და სიცოცხლის საზრისი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკასა და ხალხურ პოეზიაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაშიც ძალუმად იგრძნობა წუხილი და ტკივილი წუთისოფლის გაუტანლობაზე, რაც ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში აწუხებდა, აღელვებდა და მოსვენებას არ აძლევდა. ცხოვრებისგან არაერთგზის გულდაკოდილი ტატო ბარათაშვილი ასე წერს მაიკო ორბელიანს: „რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რო არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა...” (ბარათაშვილი, 2012: 77).

რომანტიკოსი პოეტი დანადვლიანებულია, მას სიყრმიდანვე თან სდევს „ხმა იდუმალი“, რომელიც ასე გამალებით ეძებს თავის ხვედრს ამქვეყნიურ ცხოვრებაში, რომელიც არ ასვენებს და გამუდმებით ახსენებს თავს:

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?
რა ვსცან პირველად წუთისოფელი,

დავშთე ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, —
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!..
მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაემანს ვერღა ვიშორებ!..

(ბარათაშვილი, 2012: 9)

პოეტი მოთმინებით ელოდება იმ დროს, როდესაც მას წილად ხვდება წუთი-სოფლის საიდუმლოს ამოცნობა:

...ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

(ბარათაშვილი, 2012: 9)

ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ ისევე, როგორც სახალხო მთქმელისთვის, წუთისოფელი წარმავალია და მარადიული მხოლოდ წრფელი გრძნობები შეიძლება იყოს:

...სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების
და, ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჰკნების,
აგრეთვე გულიც, მხოლოდ მისდა შენამსჰვალეები,
ცვალებადია, წარმავალი და უმტკიცეები!..

(ბარათაშვილი, 2012: 34)

ხალხურ ლექსში „...რას დასდევ...“, სახალხო მთქმელი თვლის, რომ წუთისოფელი წარმავალია, ამიტომ არ უნდა ვსდიოთ მატერიალურს ან ხორციელს, რადგან ეს ყველაფერი პეპელასავით გაგვიფრინდება:

ნათქვამი არის ძველთაგან,
ფიცხლავ ენაზე მამივა;
ჰრელსა პეპელას ნუ დასდევ,
გაგიფრინდება, წაგივა,

არც ხორცი გამოგადგება,
არც ტყავი ფასად გაგივა,
გაგიხუნდება ბიჭობა,
წუთი-სოფელი წაგივა!

(ქ. ხ. პ., 1979: 32)

წუთისოფლის სამდურავია გადმოცემული ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „...
დამქროლა ქარმან...“, რადგან „უჟამურმა“ დრომ არ დააცალა ბედნიერება და ის
მწუხარებით ჩაუნაცვლა, რის გამოც ლექსის ლირიკული გმირი უნდობლადაა
განწყობილი წუთისოფლისადმი:

დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი,
მაცხოვლებელი სიცოცხლის, სუნნელებითა აღვსილი.
იგი ნიადაგ ციურთა ცვართაგან იყო ნამილი;
დრომ უჟამურმან აწ ცრემლით შესვარა მისი ადგილი.
აწცა თუ სადმე ვიხილავ მისს ფურცელს, მისსა დანაჰკნობს,
მოძულეებული სიცოცხლე მყისვე კვალადცა დამატკობს.
მაგრამ მსწრაფლადვე გახშირდნენ მწარენი ჭირნი გულისა,
რა ფიქრთა წარმოუდგებათ დაკარგვა სიხარულისა.

(ბარათაშვილი, 2012: 42)

ხალხურ ლექსში „...ვიარე, ვეხეტიალე...“, რომელიც იოსებ ლონგიშვილს
კახეთში ჩაუწერია, ლირიკული გმირის მოსაზრებით, ღმერთს ადამიანისთვის
სიხარული და მწუხარება ერთად „შეუწყვილებია“:

ვიარე, ვეხეტიალე,
დავშვერ, დავნებდი კერასა,
ბევრს ბედკრულ გლოვასა ვუსმინე,
ბევრგან ბედნიერს მღერასა,
გული არსადა დგებოდა,
წაველ მოვშორდი ყველასა,
ორივე შეუწყვილია
გამჩენს თუ ბედისწერასა.

(ქ. ხ. პ., 1979: 46)

რომანტიკოსი პოეტი ლექსში „ვპოვე ტადარი“, სიყვარულის თემასთან ერთად, განიხილავს საზოგადოებრივ, ზოგადსაკაცობრიო საკითხებს; მგოსანი მოხარულია, რომ „ტადარი“ იპოვა, რაც სულიერ სიმშვიდეს მოჰგვრის, მაგრამ, ხალხური პოეზიის მიხედვით, სიხარული და მწუხარება ღმერთს ხომ „ორივე შეუწყვილია“; სახალხო მთქმელის მსგავსად, ნიკოლოზ ბარათაშვილიც წუხს, რომ სოფელმა, „ბედის სიავემ“ ბედნიერება დიდხანს არ დააცალა:

...მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განქრა ტადარი — და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
მის ნაცვლად სევდა და წყვიდადი დაისადგურებს!..

(ბარათაშვილი, 2012: 26)

პოეტის მაძიებელი ბუნება კარგად ჩანს ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“. ეს არის რომანტიკოსის ჩაფიქრება ყოფნა-არყოფნის, ადამიანის არსებობისა და მისი მიზანდასახულობის პრობლემაზე, ცხოვრების საზრისის ძიებაზე; კითხვები, რომელსაც მტკვრის პირას განმარტოებული რომანტიკოსი პოეტი სვამს, ზოგადკაცობრიული ტკივილებითაა დახუნძლული და, ამავე დროს, ყველა ეპოქისათვის მახლობელი და სისხლხორცეულია:

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..
მაინც რა არის ჩვენი ყოფა — წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?..

(ბარათაშვილი, 2012: 13)

პოეტი გვიხატავს რეალობას გაქცეული ადამიანის სულიერ ტრაგედიას; მისი აზრით, ადამიანის მისწრაფება აუვსებელი საწყაულია, არასოდეს არის კმაყოფილი იმით, რაც გააჩნია და ყოველთვის მეტი უნდა ცხოვრებისაგან; იმავე აზრისაა სახალხო მგოსანიც, რომელიც ამგვარად ალაპარაკებს ეპიკურ გმირს:

როსტომ თქვა: ესე სოფელი
კაცს ხელში გაუქანდება,

ვინცა სთქვა, ახლა მე დამრჩა,
არც იმას აუთავდება.

(ქ. ხ. პ., 1979: 41)

ხალხური გმირის – როასტომის სიბრძნის გამომდახილია ნიკოლოზ ბარათაშვილისეული სტრიქონები:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს
არც ვინდა არის, და წინაშე არც ვინ აღუდგეს,
რომელთ ხელთ ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ და იტყვიან: «როდის იქნება,
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?» და აღიმპრიან
იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან!..

(ბარათაშვილი, 2012: 14)

მაგრამ, მიუხედავად ამ პესიმისტური განწყობილებისა, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრება ერთობ ძნელია და სავსეა დაბრკოლებებით, რომანტიკოსი პოეტის აზრითაც კი ადამიანებს უფლება არ გვაქვს, ცოცხლები მკვდრებს დავემსგავსოთ; ამგვარია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის დასკვნითი ნაწილი, რომელიც უთუოდ ნასაზრდოებია მშობელი ხალხის ჯანსაღი ოპტიმიზმით:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვექვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდევ მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

(ბარათაშვილი, 2012: 14)

ეს ის ზოგადკაცობრიული იმედიანი განწყობაა, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ასე უხვად რომ გამოსჭვივის და უშურველად აპურებს ჩვენი ეროვნული მწერლობის ყველა ნაკადს. მიუხედავად ათასნაირი გაჭირვებისა, ქართველი ხალხი ხომ ცხოვრებას რეალისტურად და ოპტიმისტურად უყურებდა... ხევსურულ ხალხურ ლექსში „...სიკვდილო, გასაოხებო...“ გადმოცემულია უდიდესი ადამიანური ოპტიმიზმი და ქედუხრელობა სიკვდილის მიმართ; ლექსის ლირიკული გმირი – მომაკვდავი მჭედელი ამაყად უცხადებს სიკვდილს, რომ მისი არ ეშინია და იქეთ ემუქრება:

წამოალ, არას ვინაღვლი,
არც მაგით ვიყავ ყამსაო,
სრუ თავს გაგიჭრი, სიკვდილო,
შიგ არჩეულთა ყმათაო!

(შიოშვილი, 2002: 171)

სახალხო მთქმელი გვმოდვრავს, რომ, ვიდრე „სოფელში“ ვართ, მის დინებას უნდა მივყვეთ:

მიჰყევ და მოჰყევ სოფელსა,
იმით რა დაგიშავდება! _
თორმეტი ადლი ქახალდი
კალმის წვეროთი შავდება.

(ქ. ხ. პ., 1979: 38)

რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „ჩემთ მეგობართ“, სახალხო მთქმელის მსგავსად, მოუწოდებს „მეგობართ“, რომ მიჰყვნენ ამ სოფლის წესსა და დინებას:

...აჰყევით სოფელს, შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა!
სასაცილოა, ბერი კაცი რომ ყმაწვილობდეს,
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!
მას ვაქებ, ვინცა თვის სიცოცხლე ასე ატარა,
რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!
მაშინცა კმარა დადუმება გულის ვნებათა,
კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა...

(ბარათაშვილი, 2012: 24)

ხალხური ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთი ნიმუშის – „წუთისოფელი“ – თანახმად, ადამიანი სოფლის დინებას უნდა მიჰყვეს და იყოს ბედნიერი:

... მიყვარდა წუთისოფელი,
კაცმა ატაროს ლხენითა,
სიცოცხლე ყველას გვიხარის,
სიკვდილ გვაშინებს ფერთა,

კაც ერთხელ მაინც მოკვდების
წერა მწერელის წერითა.
სიკვდილი ცოცხალ ხალხისთვის
მოდის ყველსათვის ჯერითა,
ზოგიერთ ცოცხალ სიცოცხლეს
ზოგი მკვდარი სჯობს ბევრითა!..

(ქ. ხ. პ., 1979: 34)

ქართული ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის მრავალი ნაწარმოები ეძღვნება სიკვდილ-სიცოცხლის არსის შეცნობას. მათში გადმოცემულია ხალხის შეხედულებანი სიკვდილზე, სულზე, სიცოცხლის აზრსა და მიზანზე, ყოფნა-არყოფნის საკითხისადმი ადამიანის დამოკიდებულებაზე და სხვა. სწორედ ამ პრობლემებს ეხმიანება ქართული ხალხური ეპოსი „ამირანიანიც“, რომელშიც ყოფნა-არყოფნის პრობლემის გადაწყვეტა „მიწიერ და ზეციურ ძალთა ურთიერთშეპირისპირებულობით გამოიხატება... ეს ოდინდელი სწრაფვა, „ზეცათა მიმართ მზერა“, სიცოცხლის აზრისა და ადამიანის დანიშნულების განსაზღვრა და ამ მარადიული ძიების გზაზე კაცობრიული უღონობა შესანიშნავად გამოხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ელეგიაში „შემოღამება მთაწმინდაზედ“:

ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!
მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!

(ბარათაშვილი, 2012: 7)

„ჩვენი არსებობის მიზნის მიუღწევლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული. მე რომ პატარა დამოუკიდებელი მდგომარეობა მქონდეს, ახლავე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღრობით, და დამშვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების

წიაღში, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს სამშობლოში...“ – წერს ნიკოლოზ ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში (ბარათაშვილი, 2012: 83). ამგვარი სიცარიელის გამოძახილია ლექსი „სული ობოლი“, რომლის შესახებაც იგი მაიკო ორბელიანს წერდა: „ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ სამაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულეობია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მქონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი?“ (ბარათაშვილი, 2012: 76).

პროფესორ ელენე ვირსალაძეს მთიულეთში ჩაუწერია, ლექსი „ძველი მთიულის მოთქმა“, რომელშიც ასეთივე გულისტკივილით მოთქვამს მთიული მოლექსე, რომ წუთისოფელი „ჭრელია“ და ირგვლივ არ დარჩა ადამიანი მართალი და წრფელი, რის გამოც უზენაეს მნათობთა ცქერაც კი უსანდომოა:

ეს ჩვენი წუთისოფელი
ათასნაირად ჭრელია,
მზისა და მთვარის ყურება
აღარა სანატრელია;
აღარც მზესა აქვს სიცოცხლე,
მთვარის ნათელიც ბნელია,
აღარ სჩანს, კაცი ვინ არის
მართალისა სიტყვის მთქმელია...

(ქ. ბ. პ., 1979: 32)

ან კიდევ:

ვაი, საწყლის წერასაო
თავი უგავს ძერასაო!
დიდი გულის მეგობარი
ორგული ჰყავს ყველასაო!

(ქ. ხ. პ., 1979: 45)

ნიკოლოზ ბარათაშვილი სულიერ მარტოობას გამოხატავს ლექსში „სული ობოლი“; მას სურს, დაგვანახოს, თუ რაოდენ მძიმეა სულით ობოლი ადამიანის მდგომარეობა, რომელსაც დაკარგული აქვს „ამ სოფლის“ ნდობა:

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

(ბარათაშვილი, 2012: 20)

ქართულ ხალხურ ლექსში „...კაცი რო მარტოა იყოს...“, რომელიც მკვლევარ გიორგი თურმანაულს ფშავში ჩაუწერია, სევდასა და დარდს მიცემული სახალხო მთქმელი შვებას ფანდურის დაკვრასა და ლექსის თქმაში ნახულობს:

კაცი რო მარტოა იყოს,
მას უნდა ჰქონდეს ფანდური,
უნდა აილოს, დაუკრას,
ზედ ლექსი უთხრას შამკული,
გულს დარდი შემოწოლილი,
იქნება გადაკარგული,
კაცმა თუ გული დარდს მისცა,
მუდამ იქნება ჩაგრული.

(ქ. ხ. პ., 1979: 36)

ჯანსაღი ოპტიმიზმი გმირი როსტომის პირითაც განაცხადა ჩვენდა ხალხმა:

... არ იხსნის შიში სიკვდილსა,
არც დიდის კაცის შვილობა,
არც ჯავრი იხსნის სიკვდილსა,
ცუდია გატეხილობა!

(ქ. ხ. პ., 1979: 70)

სასაფლაოზე შემთხვევით მოხვედრილი რომანტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი უზიარებს თავის შთაბეჭდილებას მეგობარს მიხეილ თუმანიშვილს წერილში, რომლის საბოლოო დასკვნითაც ამქვეყნიური წარმავლობის მაუწყებელი სასაფლაო ზოგისთვის შვების მომცემია, ზოგისთვის კი – მწუხარებისა: „არც ერთი სული, ირგვლივ მარადიული სიცარიელეა. მთვარე საფლავეებს მკრთალად ანათებს, როგორც მბჟუტავი ლამპარი მიცვალებულისა. წყნარად და ნელად მოღვლავს მტკვარი, თითქოს ეშინია დაარღვიოს მყუდროება ამ მჭმუნვარე ქვეყნისა... მშვენიერი გამოგონებაა სასაფლაო. იგი აუცილებელიცაა, რათა მოკვდავმა მასში ხანდახან თავისი ცხოვრება ამოიკითხოს: ნუგეშისცემა უბედურისა, ბედნიერების დასასრული!..“ (ბარათაშვილი, 2012: 67).

ხევსურული ფილოსოფიური ლირიკა კი გვასწავლის, რომ ადამიანი ჭირს უნდა გაუმაგრდეს და მტერი არ გაახაროს:

გამაგრდი, თათარათ ქალო,
ნუ ჩამაიტან ჯავრსაო!
დუშმნიანი ხარ, ძილაო,
კვნეტა ბევრს უნდა ჯავრსაო!..

(შიოშვილი, 2002: 167)

ხალხური სიტყვიერებისა და რწმენა-წარმოდგენის მიხედვით, ხალხს სჯერა, რომ ადამიანის ცხოვრება დაბადებისთანავე დასაზღვრულია ბედის მიერ; ამიტომაც ხშირად ზეპირსიტყვიერების კოლექტიური ავტორი ადამიანთა უიღბლობაში ბედის-წერას ადანაშაულებს:

ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა;
კაცი ვერსაით წაუვა,
თავის ბედსა და წერასა.

(ქ. ხ. პ., 1979: 34)

სახალხო მთქმელის მსგავსად, რომანტიკოს პოეტისთვისაც ლექსში „ნაპოლეონ“ ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი ბედისწერაა. ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონს ამგვარად ალაპარაკებას:

...მაგრამ მე გვამში სული ვერღა მომთავსებია!
მიტხზავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი,
ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი;
ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!
მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწყინდე,
და სხვა მან ჩემის სახელითა დაავვირგვინოს!..

(ბარათაშვილი, 2012: 16)

ხალხურ ლექსში „...ზღვა-ზღვა მივცურავთ...“, რომელიც ვახტანგ კოტეტიშვილს კახეთში ჩაუწერია, სახალხო მთქმელი ბოლომდე ბედს არის მინდობილი:

ზღვა-ზღვა მივცურავთ უაფროთ,
ნიჩბების მოუსმელადა,
არცა რას ვდარდობთ, არც ვჩივით,
ბედი გვაქვს წინამძღოლადა.
გავალთ თუ დავიღუპებით,
არავინ იცის სწორადა!

(ქ. ხ. პ., 1979: 36)

მიუხედავად ბედისწერის არაერთი დაცინვისა, ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც ოპტიმისტი, უკეთესი მომავლისადმი მომლოდინე შემოქმედად რჩება. ლექსში „ჩემთ მეგობართ“ იგი მეგობრებს მოუწოდებს, არ დანებდნენ „შავის ბედის“ განსაცდელს:

... არ დაიხნიოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლნიცა მწარნი...

(ბარათაშვილი, 2012: 24)

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაც გადაჯაჭვულია ბედის, ბედისწერის რწმენასთან; „მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხის რწმენა-წარმოდგენებში ბედი (იღბალი, სვე, წერა) წარმოიდგინება ზებუნებრივ, ადამიანური გონებისათვის მიუღწეველ ძალად, რომელიც წინასწარ, დაბადებამდე, განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრებას, გარდაუვალია და თავს ვერავის აარიდებს“ (შოშვილი, 2002: 135), – ამგვარია დასკვნა მრავალრიცხოვანი ქართული ხალხური ფილოსოფიური ლირიკისა, მათ შორის – შემდეგი სტრიქონებისა:

კაცი რომ დაიბადება

თავის და წლისა სავალსა,
ღმერთი მაშინვე დაუწერს
თავის თავგადასავალსა.

(ხ. სიტყ., 1953: 117)

მსოფლიოს მრავალი ხალხის რწმენით, ადამიანის დაბადებისას ცაზე ახალი ვარსკვლავი ჩნდება, ხოლო სიკვდილისას ქრება. როგორც პროფესორი თინა შიოშვილი აღნიშნავს, „აქედან წარმოიშვა ქართულ მეტყველებაში ესოდენი ფატალიზმით სავსე ცნება „ბედის ვარსკვლავი“ (შიოშვილი, 2002: 135). ნიკოლოზ ბარათაშვილი ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ მიმართავს ბედის ვარსკვლავს და აცხადებს, რომ, მიუხედავად მისგან მოვლენილი განსაცდელებისა, იგი მაინც ნახულობს იმედის ნაპერწკალს და ოპტიმისტურად არის განწყობილი:

რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო?

მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა მკლავო:

შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას,

შეეჩვია გული სევდითა კრთოლვას!..

.....

კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე,

ნაბერწკალნი ეშხისა მომაყარე.

(ბარათაშვილი, 2012: 14)

რომანტიკოს ნიკოლოზ ბარათაშვილსაც, სახალხო მთქმელის მსგავსად, უკიდურესი შეჭირვების ჟამს ლექსის წერა ჰგვრის სიმშვიდეს: უსაყვარლესი ბიძისა და მეგობრის – ილია ორბელიანის შეპყრობის ამბით შემფოთებული პოეტი ბიძას – გრიგოლ ორბელიანს წერს „...ილიას დაჭერა რომ შევიტყვე... ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და, რომ, ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა, ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო...“ (ბარათაშვილი, 2012: 74)

ერთ-ერთ ამ ლექსთაგანია „მერანი“, რომელშიც დასმული სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემის გადაჭრა ღრმად რეალისტურია. პოეტი გამუდმებით

ებრძვის „ბედს“, ამ ორთაბრძოლაში ყოველგვარი მსხვერპლშეწირვისთვის მზადაა, თუნდაც, ყველასგან მიტოვებულს, უცხო ადგილას სიკვდილი ერგოს:

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნულა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა;
საც დამილამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

.....

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის;

(ბარათაშვილი, 2012: 32)

ხალხურ ლექსში „...წუთისოფელმა გამწირა...“, რომელიც ალექსანდრე ყაზბეგს ჩაუწერია ხევში, სახალხო მთქმელიც წუთისოფლისგან გაწირულად გრძნობს თავს და თავშესაფარს უფალთან ეძებს:

წუთისოფელმა გამწირა
და მომაშორა ყელასა,
გული სდულს, ხმაო, ამოდი,
შენგანლა ელის შველსა.

(ქ. ხ. პ., 1979: 37)

ხალხურ ლექსი „...სადაური სად მოკვდება...“, იმავე პრობლემას ეძღვნება:

სადაური სად მოკვდება,
სად უთხრიან სამარესა,
ვინ ჰყავს ყურის მგდებელი,
ვინ დააფრქვევს ცხარე ცრემლსა.
დედა, და, ცოლი და შვილი
სით მოხვდება იმ მხარესა,
მაგრამ ღმერთი მოწყალეა,
თვის შექმნილ კაცს ისა მზერსა.

(ქ. ხ. პ., 1979: 33)

ლექსში „მერანი“ ნიკოლოზ ბარათაშვილი საბოლოოდ ამსხვრევს მისტიკურ-ირაციონალურ მსოფლშემეცნებას; ამ უდიდესი ჰუმანიზმის წყარო კი ქართველი

ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, მის კულტურასა და ნებისყოფაში უნდა ვეძიოთ; ქართველ მეისტორიეთა დიდებულ სტრიქონებში, უმდიდრეს ხალხურ შემოქმედებასა თუ ჩვენი ხალხის მხატვრული აზროვნების ხელთუქმნელ ძეგლებში ასახული ქართველი ხალხის უდიდესი ნებისყოფა და „ჭირსა შიგან გამაგრება“, თავისუფლებისათვის ბრძოლის ხანიერ გზაზე გამომუშავებულ-გამოწრობილი შეუპოვრობა და დაუმორჩილებლობა, რომელიც ქართულ ხალხურ საგმირო-საისტორიო ზეპირსიტყვიერების ჯანსაღ ნაკადს ქმნის, უსათუოდ უხვად აპურებს და ასულდგმულებს ბედთან შეუპოვარი პოეტის შემოქმედების ლირიკულ გმირს. ამიტომაც არის უმთავრესი სწრაფვა ბედის საზღვრის გადალახვისადმი და წუთისოფლის საიდუმლოს შეცნობისადმი. დაძლევა მანამდე დაუძლეველისა ოდინდელი ადამიანური მსოფლშეგრძნებაა და, ამავე დროს, ცხოვრების საზრისის რთულსა და მრავალწახნაგა სამყაროში გარკვევის უცილობელი საწინდარია, პიროვნების თვით-დამკვიდრების აუცილებელი პირობაა, რითაც ნ. ბარათაშვილის შემოქმედება აგრე-რიგად ემიჯნება ეგრეთწოდებულ პესიმისტურ რომანტიკულ განწყობილებას და არად აგდებს ადამიანისადმი უფლისაგან ნაბოძები უზენაესი განძის – სიცოცხლის დათმობასაც კი; ის, როგორც მეზრძოლი პოეტი, მოძმეთათვის გზის გამკვალავი რჩეული მხედარი, ეგუება ცხოვრებისეულ სტიქიონთან დროებით დამარცხებასა და სიკვდილსაც კი, თუკი ამ დამარცხებით დაანგრევს სტერეოტიპულ მსოფლგაგებას ბედსმინდობილი თანამომძეებისას; პოეტის ლალი, დაუთრგუნავი ლირიკული გმირი მზად არის, მესაფლავედ შავი ყორანი ყავდეს და ულმობელმა ქარიშხალმა მიაყაროს მიწა, ოღონდაც საწადელს მიაღწიოს, ოღონდაც გადალახოს მანამდე გადაულახავად მიჩნეული ბედის საზღვარი:

შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელითა შორის

ტიალის მინდვრის

და ქარისშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით,

მიწას მამაყრის!

(ბარათაშვილი, 2012: 33)

ყორანი – უაღრესად დრამატული სიმბოლო ჩვენი ეროვნული მწერლობის მუდმივი თანამგზავრია და ხშირად ურთიერთგამომრიცხავი სიმბოლური დატვირ-თვა გააჩნია. ძველი ინდოეთიდან და ტიბეტიდან მოყოლებული, მისი „ფრენის

ტრაექტორიას კოსმოლოგიური და მეტაფიზიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ყორანი ითვლებოდა გონიერ არსებად, რომელსაც ადამიანთან კონტაქტის დამყარება შეუძლია. ამიტომაც ამ ფრინველს ეთაყვანებოდნენ და საკულტო არსებად სახავდნენ“ (სიმბ. ილ. ენც., 2007: 111). ანტიკურ მითოლოგიაში ყორანი აპოლონისა და ათენას „შიკრიკია“, ელინისტურ კულტურაში კი – მითრას მზიურ კულტთან არის დაკავშირებული. მართალია, ყორანმა ვერ შეასრულა ნოეს დავალება და ცუდი მაცნე აღმოჩნდა, მაგრამ, მისი, როგორც გონიერი ფრინველის, გარკვეული „რეაბილიტაცია“ ისევ ძველ აღთქმაშია: ყორანმა გამოკვება ელია წინასწარმეტყველი; თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ყორნის სიმბოლიკა გაორებულია: ერთის მხრივ სიკვდილისა და საბედისწერო განსაცდელის მაცნეა, მეორეს მხრივ ბედნიერების ნიშანია (სიმბ. ელ. ენც., 2007: 112). რომანტიკოს ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის შავი ყორანი სიკვდილის, ბედისწერის არქეტიპია და სრულიად მოტივირებულად გამოთქვამს მზადყოფნას, ის გახდეს მისი მესაფლავე, ოღონდაც შეძლოს მოძმისათვის სავალი გზის გაადვილება.

მშობლიური ზეპირსიტყვიერების ბარაქიანი ძუძუთი ნაკვები პოეტის ლირიკული გმირი თავისი შინაგანი სამყაროთი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების იდეებით სულდგმულობს; პოეტს კარგად ესმის ის მარადიული წუხილი, რომელიც ადამიანთა თაობებს მოსვენებას არ აძლევდა საუკუნეთა განმავლობაში... მისთვის ისევე აქტუალურია სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, როგორც – მისი წინაპრებისა და თანამედროვეთათვის და ისიც უსათუოდ კარგად იცის, როგორი აზრი გამოთქვა ამ პრობლემის მიმართ ქართული ხალხური პოეზიის კოლექტიურმა ავტორმა:

სიკვდილო, სიცოცხლისადა
თავსა არ მოგცემ მუდარად,
წავალ, მინდორში მოვკვდები,
შამბნ მეყოფიან სუდარად,
დამიტირებენ კაჭკაჭნი,
ყორნები მოვლენ მუდამა.

(ქ. ხ. პ., 1979: 264)

ანდა:

სიკვდილო, სიცოცხლისათვის

თავსა არ მოგცემ მუდამა.
მაინც არ შეგეპოვები,
თავით რომ მედოს სუდარა!

(ხ. სიტყ. მ., 1955: 158)

ქართული ზეპირსიტყვიერება სიკვდილისადმი თავის ქედუხრელობას ასე გამოხატავს და თაობიდან თაობას გადასცემს საკუთარი ღირსების შეგრძნების აუცილებლობასა და უდიდეს კაცობრიულ ოპტიმიზმს...

„სხეულთან გაყრის მწარე წუთებშიც ადამიანმა უნდა შეირჩინოს გმირული სულისკვეთება. სიკვდილის ძლევა, ერთის მხრივ, ადამიანის სულის სიმტკიცეშია, მეორე მხრივ, ბუნებასთან შერწყმაში... გმირი სულიერად არ ემორჩილება სიკვდილს... რარიგ ქართულია ეს განცდა, რარიგ ეხმაურება ეს სტრიქონები რუსთაველსაც და ბარათაშვილსაც...“ – აღნიშნავს მკვლევარი ელენე ვირსალაძე (ვირსალაძე, 1979: 7).

ნიკოლოზ ბარათაშვილს გული შესტკივა ტანჯული ცხოვრების გამო, მაგრამ იმედოვნებს, რომ მის მიერ გაკვალული გზა მომავალ თაობას გამოადგება და შეუპოვრად აღუდგება „შავ ბედს“:

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

(ბარათაშვილი, 2012: 33)

„ნიკოლოზ ბარათაშვილს ძირეულ ასპექტში აქვს გააზრებული ადამიანის და სამყაროს მიმართულების, ყოფნა-არყოფნის, ადამიანის დანიშნულების, მისი არსებობისა და მოღვაწეობის საკითხები; ის გაბედულად უსწორებს თვალს მტანჯველ ჭეშმარიტებებს, რომ ადამიანი დაუსრულებელი სამყაროს პატარა ნაწილაკია; რომ მისი სურვილები „აღუვსებელი საწყაულია“... რომ ჩვენი ცხოვრება წუთი სოფელია...“ (კალანდაძე, 1986: 271).

რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი მაინც ოპტიმისტია; ლექსში „ჩემი ლოცვა“, რომელიც ერთი შეხედვით სასულიერო ხასიათის ნიმუში გვეგონება, თუ დავუკვირდებით მასში ამოვიკითხავთ ამქვეყნიური სილამაზის თაყვანისცემასა და

სიყვარულს; „პოეტის სული ეძებს განსვენებას, მაგრამ „ლოცვაში“ ისმის არა ღვთის-
მორწმუნის ღაღადისი, არამედ – განწირული ხმა ცხოვრებაზე შეყვარებული ადა-
მიანისა, რომელსაც განუვლია ქარიშხლიანი გზა და ეძიებს ნავთსაყუდელს, არა
სინამდვილის მიღმა, არამედ ცხოვრებაში. ამიტომაც, რომ პოეტი მოულოდნელად
სცილდება აბსტრაქტულ ცნებას და მიმართავს თვით ცხოვრების ცხოველ ძალას
სულიერი ტკივილების დასაამბლად“, წერს მკვლევარი გიორგი აბზიანიძე
(აბზიანიძე, 1969: 173):

...ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში საღმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!..

(ბარათაშვილი, 2012: 21)

ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილსა და ჩვენამდე
შემონახულ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში მთელი სისრულით არის გადმოცემული
ჩვენი წინაპრების დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის დანიშ-
ნულების, ანუ სიცოცხლის საზრისის, თემაზე; ეს მარადიული იდეალები ჩვენმა
წინაპრებმა საუკუნეთა ტევრში გამოატარეს და ზოგადკაცობრიული პრობლემით
დატვირთეს; რომლებიც თავისი შინაარსით ძალიან ახლოს დგას ნიკოლოზ
ბარათაშვილის შემოქმედების უდიდეს ნაწილთან. ქართული ფოლკლორის
კოლექტიური ავტორი და რომანტიკოსთა მსოფლმხედველობა ერთნაირად გრძნობენ
იმ სინამდვილეს, რომელშიც მათ უწევთ ყოფნა; თვალს უსწორებენ წუთისოფლის
დაუნდობელ რეალობას; სამყაროს შეცნობისა და მისი თავისებურებების წვდომის
ერთნაირი წადილი ასულდგმულებთ და, მიუხედავად წუთისოფლის შუქ-ჩრდი-
ლებისა, ოპტიმისტურად არიან განწყობილნი; სჯერათ უკეთესი მომავლისა, „რომ
გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“.

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემაზე, ცხოვრების არსზე, როგორც ადამიანისათ-
ვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფიქრალ-სადარდელზე, ქართულ ხალხურ ფილო-
სოფიურ ლირიკაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ჩვენი ბრძენი წინაპარი,
როგორც სამართლიანად მიუთითებს მკვლევარი ფიქრია ზანდუკელი, „...მხოლოდ
ყოფითი დეტალებით არ ინტერესდება, იგი კოსმოსის, მიღმურის სპეციფიკაში

გარკვევასაც ესწრაფვის“ (ზანდუკელი, 2002: 12). სწორედ ამგვარად ესახება ეს მარადიული კაცობიული საფიქრალ-სატკივარი ნიკოლოზ ბარათაშვილსაც.

ზოგადი დასკვნები

ქართულმა რომანტიკულმა მსოფლგანცდამ გამოხატულების ფორმად უმთავრესად პოეზია აირჩია და ფართოდ გადაგვიშალა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი სწრაფვა თავისუფლებისადმი; აშკარად დაგვანახა მრავალფეროვანი გამა ადამიანის განცდებისა, მისი მეზრდოლი პათოსი და ძლიერი გაქანება; ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო ჩვენი რომანტიკოსების ძლიერი ლტოლვა ეროვნული ფოლკლორული შემოქმედებისადმი, სადაც შეიძლებოდა, პირუთვნელი პასუხი ეპოვათ მათთვის საჭირბოროტო ყველა პრობლემაზე; სადაც შეიძლებოდა, მთელი სისავსით შეეგრძნოთ ეროვნული ღირსება და სიამაყე, ეპოვათ სულიერი საზრდოცა და ნავსაყუდელიც; ჯანსაღად განეჭვრიტათ წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც; დაპურებულიყვნენ ეროვნული ზეპირსიტყვიერების უმრეტ წიაღში ოდითგანვე მყარად დაბუდებული ოპტიმიზმითა და ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით.

რომანტიკოსები თავიანთ შემოქმედებაში მიმართავდნენ ისტორიულ და ხალხურ-პოეტურ თემებს, ვითარცა იდეალურ წარსულთან წვდომის ყველაზე ეფექტურ საშუალებებს; ამდენად, ქართული რომანტიზმი იმთავითვე ეროვნულ ფესვებზე დგას და ხალხური პოეტური სიტყვა ამ ფესვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მაცოცხლებელი ძარღვია. ქართველი რომანტიკოსებისათვის მრავალ ეპოქათა ტევრში გამოტარებული მშობლიური ხალხური სიტყვიერება ის მყუდრო სავანეა, სადაც სული უნდა მოითქვას „აწმყო ნაღველით“ სულშემდრულმა შემოქმედმა.

ქართულ ხალხურ საისტორიო ნაწარმოებებს შემოუნახავს სახელები სახალხო გმირებისა, რომელთა შესახებ ისტორიაში არაფერია ნათქვამი; ამავე დროს, ბუნებრივია, შეუქმნიათ ლექს-სიმღერები, გადმოცემები, თქმულებები და

ლეგენდები ისეთ სახელოვან მეფეებზე, როგორებიც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, ერეკლე მეორე და სხვა. ზეპირსიტყვიერებაში გადმოცემულია ხალხის თვალთ დანახული ისტორია, რომელიც გამოირჩევა გულწრფელობით და ობიექტურობით; ამიტომაც უდიდესი ფუნქცია და დატვირთულობა ენიჭება საისტორიო ზეპირსიტყვიერების ყოველ ნიმუშს, რომლებშიც, ჩვენს სახელოვან გვირგვინოსნებთან ერთად, წარმოჩენილნი არიან ჭეშმარიტი სახალხო გმირები – თავისი ქვეყნის უზადლო პატრიოტები. სამშობლოს ისტორია ამომავალი წერტილი, ღრმა ინტერესის საგანი იყო ქართველ რომანტიკოსთათვის. სწორედ ამიტომაც მათი შემოქმედებისთვის ეროვნული ზეპირსიტყვიერება უმრეტი შთაგონების წყარო, საინტერესო და მახლობელია.

რომანტიკოსები ხშირად მიმართავენ ბუნებას, რომლის წიაღშიც მოიპოვებენ ნავსაყუდელს მათი მწუხარე და უიმედო სულისათვის; ბუნებაში ეძებენ ისინი მყუდრო სავანეს, რადგანაც იგი სამშობლოს ნაწილია, რადგანაც ქართველი ადამიანი ოდითგან განუყოფელია თავისი სამშობლოსგან, მისი მშვენიერი ბუნებისგან, რომელიც მის ხასიათს აყალიბებს, მისი იდენტობის ერთ-ერთი განმსაზღვრელია.

გარდასულ ეპოქათა „მამულის განმადიდებელ“ გმირებს შორის ქართველი რომანტიკოსები უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით, ეროვნულ-მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობითა და სახელმწიფოებრივი აზროვნების სრული წარმოჩენით აცოცხლებენ ქვეყნისთვის თავდადებულ ქართველ გვირგვინოსანთა უკვდავ სახეებს.

გრიგოლ ორბელიანს, ვითარცა სამშობლოს წარსული დიდების ტრფიალს, სჯერა, რომ ქართველ მეფეთა და გმირთა „აჩრდილები“ დღესაც „დაჰმზერს ივერსა ჩაფიქრებითა“... პოეტიუდიდესი თაყვანისცემით იხსენებს იმ მეფეებს, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით საქართველოსა და მშობელი ხალხის წინაშე. მათ შორის პოეტი უპირველესად ასახელებს ფარნავაზ მეფეს, რომელმაც დააწესა მეფობის ინსტიტუტი და მისცა „ქართველს წიგნი პირველი“. პოეტი საზრდოობს ისტორიულ-ზეპირსიტყვიერი მასალებით, რომელსაც ქართული ხალხური შემოქმედებისა და უძველეს მითოლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა აშკარა კვალი აჩნევია.

გრიგოლ ორბელიანი კარგად იცნობს მეფეთა ცხოვრებას, მაგრამ, ამასთან ერთად, მისთვის არც ხალხური სიტყვიერებაა უცხო, რამდენადაც მასში ხალხის თვალთ დასახული შეუღამაზებელი ისტორიაა ასახული და გადმოცემული. ყოველივე ამან, ბუნებრივია, თავისი როლი შეასრულა რომანტიკოსი პოეტის მიერ „ახლის აღქმის ძალით“ ძველი კონცეფციის უარყოფელი მირიან მეფის ღირსსახსოვარი სახის შექმნაში.

ვახტანგ გორგასალი ერთ-ერთია იმ გვირგვინოსანთაგან, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით ქვეყნის გამთლიანება-გაძლიერებაში. „ქართლის ცხოვრებასთან“ და სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ერთად, მისი საგმირო საქმეები შემოგვინახა ხალხურმა სიტყვიერებამაც, რომელშიც კარგად ჩანს ის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა, რომელიც ქართველთა საამაყო მეფემ მშობელი ხალხისგან დაიმსახურა. თავისი ქვეყნის ისტორიული წარსულის მოტრფიალე რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელიც უსათუოდ შთაგონებულია ხალხური სიბრძნითაც და „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებითაც, უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით გვიხატავს სამშობლოს გმირული წარსულის ერთ-ერთ დიდებულ შემოქმედს – მეფე ვახტანგ გორგასალს.

დავით აღმაშენებლის ციკლის საისტორიო ფოლკლორის თემატიკა იმ სამხედრო ძლიერებითა და დიდი აღმშენებლობითაა განსაზღვრული, რომელიც დავითის დროის საქართველოში სუფევდა. ეროვნული ზეპირსიტყვიერების ეს უბანი გამოირჩევა ღრმა სოციალური შინაარსით და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. სახალხო მთქმელებს მრავლად შეუქმნიათ პატრიოტული ხასიათის ლექსები, გადმოცემები, თქმულებები და ლეგენდები ეროვნულ გმირზე, რომელმაც შეძლო საქართველოს გაერთიანება-გაძლიერება და ფეხზე დაყენება. ბუნებრივია, ეს დიდი ისტორიული მოვლენები შთამაგონებელი იყო ქართველ რომანტიკოსთათვის, რომელთაც თავიანთ შემოქმედებაში უდიდესი სიყვარულითა და მონატრებით წარმოაჩინეს მეფე დავით მეოთხის დიდებული სახე.

მშობელ ხალხს, ისე როგორც ჩვენს რომანტიკოსებს, გულით უყვარდათ და უყვართ თამარ მეფე, რომელსაც ხალხურ პოეზიაში “დიდ დედად” მოიხსენიებენ, გელათის ტაძარს შეუდარეს, ხოლო ისტორიკოსებმა სამართლიანად უწოდეს „მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა“. თამარ მეფის ბრძნულმა მოღვაწეობამ, ქველმო-

ქმედებამ, სათნოებამ განაპირობა ხალხში მისი განუსაზღვრელი ავტორიტეტი, პატივისცემა, რასაც სრულიად ბუნებრივად მოჰყვა სახალხო მთქმელთა შთამბეჭდავი სტრიქონები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს რომანტიკოსთა შემოქმედებაში.

ქართველი რომანტიკოსები დიდ ინტერესს გამოხატავენ ხალხური სიტყვიერებისადმი, რომელშიც კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის გმირული წარსული და ამ გმრობის ერთ-ერთი შემოქმედი – მშობელი ქვეყნისათვის თავდადებული გმირი მეფე ერეკლე; ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ერეკლეს ეპოქა სისლხორცეული და უდიდესი შემოქმედებითი შთაგონების წყაროა რომანტიკოსებისათვის, რაც ნათლად არის გამოხატული მათ შემოქმედებასა თუ პირად წერილებში.

ქართულ ხალხურ ლირიკულ ლექსებს თემატურად მრავალფეროვნება ახასიათებს; მათში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სატრფიალო თემატიკას ეკუთვნის. ქართულ ხალხურ სატრფიალო ლექს-სიმღერებში მკაფიოდ არის გამოხატული ადამიანთა გრძნობები; სახალხო მთქმელთა შეხედულება და განწყობა სიყვარულის, შეყვარებული ადამიანის მდგომარეობის შესახებ ფაქტობრივად იდენტურია რომანტიკოსი პოეტების იდეალებისა, რის ნათელ დასტურსაც მათივე შემოქმედება წარმოადგენს.

ქართული ხალხური სატრფიალო ლირიკისა და რომანტიკოსთა შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები სიყვარულის შთამბეჭდავი ჰიმნებია; მათი ცხოველმყოფელობა კი იმითაც არის ნიშანდობლივი, რომ რომანტიკოს პოეტთა სატრფიალო ლირიკა უხვად საზრდოობს ხალხური სატრფიალო ლირიკის თავანკარა სტრიქონებით, ხალხური სიმბოლიკით ამიტომ, ბუნებრივია, რომანტიკოსები ხშირად ხალხური ზეპირსიტყვიერებისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით გადმოგვცემენ თავიანთ გრძნობებს და არცთუ იშვიათად იყენებენ ხალხური სატრფიალო ლირიკისათვის დამახასიათებელ სახე-სიმბოლოებსა თუ ცალკეულ ფრაზებს.

ხალხური საწყისები, იქნება ეს ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქალაქური სიმღერები თუ აღმოსავლური სურნელებით გაჟღენთილი ყარაჩოღურ-აშულური პოეზია, ის უშრეტი დალიან-ბარაქიანი ბედელია, საიდანაც უხვად იკვებება აწმყო ნაღველით სევდაშემოწოლილი რომანტიკული პოეზია; ქართველ რომანტიკოსთა სატრფიალო ლირიკაში ძალუმად იგრძნობა ხალხური

სატრფიალო პოეზიის სუნთქვა, მისი ხიბლიანი ტრფიალება და სწრაფვა ესთეტიკურისადმი; ამავე დროს, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანის სატრფიალო ლირიკა იმდროინდელი ქალაქური სიმღერებითა თუ ყარაჩოღურ-აშულური პოეზიით არის ნასაზრდოები, რაც თავისთავად ხალხურის ერთ-ერთ განშტოებად მოიაზრება; ხოლო რომანტიკოს პოეტთა სატრფიალო ლირიკისათვის ნიშანდობლივი ცალკეული სიმბოლიკები თუ სხვა მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებანი უხვად საზრდოობს მშობელი ხალხის წიაღში შექმნილი საუკუნეებით გამოცდილ-გამობრძმედილი მხატვრული სახეებით.

ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ძველთაგან მწვავედ დგას სიცოცხლის საზრისის, ყოფნა-არყოფნის პრობლემა, რომელიც მარადიულ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება და დასაბამიდან აღელვებს კაცობრიობას. ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობრივ ფენომენშიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სიცოცხლის დასაზღვრულობის, მისი წარმავლობის პრობლემა; თანადროულობით გულდასევდიანებულ ქართველ რომანტიკოსებსაც აწუხებთ ეს „წყევლა-კრულვიანი“ რეალობა და ცდილობენ, რამენაირად ჩასწვდნენ მის არსს, რაც შესანიშნავად გაცხადდა ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებათა უდიდეს ნაწილში. ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორისა და რომანტიკოსთა მსოფლმხედველობა ერთნაირად გრძნობს იმ სინამდვილეს, რომელშიც მათ უწევთ ყოფნა, თვალს უსწორებენ წუთისოფლის დაუნდობელ რეალობას, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და სჯერათ უკეთესი მომავლისა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის შეხედულებანი წუთისოფლის რაობასა და ადამიანის დანიშნულებაზე, ცხოვრების საზრისზე მჭიდრო კავშირშია საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულ ხალხურ სიბრძნესთან, ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად ხალხის მიერ ჩამოყალიბებულ აზრთან.

ქართული ფოლკლორის კოლექტიური ავტორსა და რომანტიკოს გრიგოლ ორბელიანს ერთნაირად ესმით წუთისოფლის რაობასა და ადამიანის დანიშნულების საკითხი, რაც გვამღევეს საშუალებას, ვიმსჯელოთ მათ ურთიერთკავშირზე, პოეტის შემოქმედების ფოლკლორულ ძირებზე, სისხლხორცეულ კავშირზე ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა განმავლობაში შექმნილსა და ჩვენამდე შემონახულ

ზეპირსიტყვიერების ნიმუშებთან, რომლებშიც მთელი სისრულით არის გადმოცემული ჩვენი წინაპრების დამოკიდებულება სიკვდილ-სიცოცხლისა და ადამიანის დანიშნულების, ანუ სიცოცხლის საზრისის, თემასთან; ეს მარადიული იდეალები ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეთა ტევრში გამოატარეს და ზოგადკაცობრიული პრობლემით დატვირთეს, რითაც თავიანთი შინაარსითა და იდეალებით ძალიან ახლოს დგანან ქართველი რომანტიკოსების, განსაკუთრებით კი ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების უდიდეს ნაწილის მსოფლგაგებასთან.

ქართული ხალხური ფოლკლორული ლირიკის კოლექტიური ავტორი და რომანტიკოსები ერთნაირად გრძნობენ იმ სინამდვილეს, რომელშიც მათ უწევთ ყოფნა; თვალს უსწორებენ წუთისოფლის დაუნდობელ რეალობას; სამყაროს შეცნობისა და მისი თავისებურებების წვდომის ერთნაირი წადილი ასულდგმულებთ და, მიუხედავად წუთისოფლის შუქ-ჩრდილებისა, ოპტიმისტურად არიან განწყობილნი, სჯერათ, „რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდას ის განანათლებს“.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

1. **ბიბლია, 1989** – საქართველოს საპატრიარქო, თბილისი;
2. **აბაშიძე, 2012** – კიტა აბაშიძე, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, სერია „ჩემი ხუთეული“, ტომი 48, თბილისი;
3. **აბაშიძე, 2015** – ფატი აბაშიძე, „რომანტიკოსთა მყუდრო სავანე“ – იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის, მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, გორი;
4. **აბაშიძე, 2016** – ფატი აბაშიძე, „ერეკლე მეფის სახე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ზეპირსიტყვიერებაში“, – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, „ფილოლოგიური მაცნე“, ტომი III, თბილისი;
5. **აბაშიძე, 2017** – ფატი აბაშიძე, „თამარ მეფის სახე გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებასა და ზეპირსიტყვიერებაში“, – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, „ფილოლოგიური მაცნე“, ტომი IV, თბილისი;
6. **აბაშიძე, 2019** – ფატი აბაშიძე, „გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო პოეზიის ხალხური საწყისები“ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის, „ფილოლოგიური მაცნე“, ტომი V, თბილისი;
7. **აბაშიძე, 2019** – ფატი აბაშიძე, „ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკის ხალხური წყარო“, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის, „შრომები“, ტომი IV, ბათუმი;
8. **აბზიანიძე, 1969** – გიორგი აბზიანიძე, „ქართული ლიტერატურის ისტორია“, XIX საუკუნის პირველი ნახევარი, ტომი III, თბილისი;
9. **ასათიანი, 1988** – გურამ ასათიანი, „საუკუნის პოეტები“, თბილისი;

10. ახვლედიანი, 2000 – გივი ახვლედიანი, „კორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური და ლიტერატურული პოეზიის ურთიერთობის საკითხები“, - ჟ. „ლიტერატურული მიეზანი“, თბილისი;
11. ახვლედიანი, 2002 – გივი ახვლედიანი, „ქართული ლიტერატურა და ფოლკლორი“, თბილისი;
12. ბარათაშვილი, 1968 – ნიკოლოზ ბარათაშვილი, „თხზულებანი“, თბილისი;
13. ბარათაშვილი, 2012 – ნიკოლოზ ბარათაშვილი, სერია „ჩემი ხუთეული“, ტომი 48, თბილისი;
14. ბერძენიშვილი, 1986 – ლ. ბერძენიშვილი, „ხალხური სიტყვიერება აკაკის კრებულში“, თბილისი;
15. ბატონიშვილი, 1973 – ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება“, IV ტომი ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი;
16. გაბაშვილი, 1990 – ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი) - „ქართული მწერლობა“, ტომი VIII, თბილისი;
17. გამეზარდაშვილი, 1975 – დავით გამეზარდაშვილი, „ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“, ტომი III, თბილისი;
18. გრიშაშვილი, 1957 – იოსებ გრიშაშვილი, „ლიტერატურული ნარკვევები“, თბილისი;
19. გრიშაშვილი, 2012 – იოსებ გრიშაშვილი. – „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“, ოთხტომეული, ტომი III, თბილისი;
20. გრიშაშვილი, 2012 – იოსებ გრიშაშვილი, „წერილები“, იოსებ გრიშაშვილი, ოთხტომეული, ტომი IV, თბილისი;
21. ვარდოშვილი, 2007 №28 – ეკა ვარდოშვილი, „თამარ მეფის ხატება XIX საუკუნის ქართულ პოეზიაში“. – კრებულში: „ლიტერატურული მიეზანი“, 2007, №28, თბილისი;
22. ვირსალაძე, 1968 – ელენე ვირსალაძე, „ლირიკა“ - კრებულში „ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება“, ტომი III, თბილისი;
23. ვირსალაძე, 1978 – ელენე ვირსალაძე, „ქართული ხალხური პოეზია“, სატრფიალო ლექსები, ტომის რედაქტორი პროფ. ელენე ვირსალაძე, ტომი VI, თბილისი;

24. ვირსალაძე, 1979 - ელენე ვირსალაძე, „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი VII, (საყოფაცხოვრებო ლექსები), თბილისი;
25. ვირსალაძე, 1976 - ელენე ვირსალაძე, „ქართული ხალხური პოეზიის პრობლემები XIX საუკუნის I ნახევარში“. - კრებულში: „ქართული ფოლკლორი“ (მასალები და გამოკვლევები), ტომი VI, თბილისი;
26. ზანდუკელი, 1972 - მიხეილ ზანდუკელი, „თხზულებანი“ (ახალი ქართული ლიტერატურა), ტომი I, თბილისი;
27. ზანდუკელი, 2002 - ფიქრია ზანდუკელი, „ყოფნა-არყოფნის მსახველი ლექსები ქართულ ხალხურ ლირიკაში“. - საქ. მეც. აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომები- „ქართული ფოლკლორი“, ტომი 1 (XVII), თბილისი;
28. თვალთაძე, 2014 - თინათინ თვალთაძე, „ქართული ქალაქური რომანის გენეტიკა“. - „ქართველური მემკვიდრეობა“ XVIII, თბილისი;
29. იაკობსონი, ბოგატრიოვი, 1971 - რ. იაკობსონი, პ. ბოგატრიოვი, „Вопросы теории народного искусства“, („ფოლკლორი როგორც შემოქმედების განსაკუთრებული ფორმა“);
30. კაკაბაძე, 1999 - მანანა კაკაბაძე, „წარსულის სევდა ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში“, - კრებულში: „ლიტერატურული ძიებანი“, ტომი XX, თბილისი;
31. კაკაბაძე, 2008 - მანანა კაკაბაძე, „ქართული ფოლკლორისა და ევროპული რომანტიზმის ტიპოლოგიური ასპექტები“, „ქართული ფოლკლორი“, 4(XX);
32. კალანდაძე, 1986 - ალექსანდრე კალანდაძე, „გვაქვს საგანძური“, (XIX საუკუნის ქართული ლიტერატურა), თბილისი;
33. კენჭოშვილი, 1969 - ა. კენჭოშვილი, „ქართული ლიტერატურის სტორია“, (XIX საუკუნის პირველი ნახევარი), ტომი III, თბილისი;
34. კეკელიძე, 1981 - კორნელი კეკელიძე, „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტომი II, თბილისი;
35. კიკნაძე, 1956 - გრიგოლ კიკნაძე, „ვახტანგ ორბელიანი“. - წიგნში: „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, გამომ-ბა თსუ, თბილისი;
36. კიკნაძე, 2001 - ზურაბ კიკნაძე, „ქართული ხალხური ეპოსი“, თბილისი;
37. კიკნაძე, 2008 - ზურაბ კიკნაძე, „ქართული ფოლკლორი“, თბილისი;

38. კოტეტიშვილი, 1961 – ვახტანგ კოტეტიშვილი, „ხალხური პოეზია“, თბილისი;
39. ლორთქიფანიძე, 2008 – მარიამ ლორთქიფანიძე, „საქართველოს ისტორია“, ტომი I, თბილისი;
40. ლორთქიფანიძე, 2016 – სოფიკო ლორთქიფანიძე, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის „მმართველის ქრისტიანული იდეალი და მეფეთა სახეების არჩილის შემოქმედებაში“ – ანოტაცია, ბათუმი;
41. მაკარაძე, 1999 – ელგუჯა მაკარაძე, „ქართული ხალხური საგმირო ლექსის ხატოვანი მეტყველება“, თბილისი;
42. მათეს სახარება, 2009 - მათეს სახარება, ახალი აღთქმა და ფსალმუნები, მინსკი;
43. მახარაძე, 1967 – აპოლონ მახარაძე, „ქართული რომანტიზმი“, თბილისი;
44. მილორავა, 2008 – ინგა მილორავა, „სიკვდილი - ესთეტიკური ფენომენი“, „ლიტერატურული ძიებანი“, XXIX, თბილისი;
45. მურღულია, 1987 - გია მურღულია, „ქართული მწერლობის ერთი გამჭოლი იდეისთვის“, - ჟ. კრიტიკა, საქართველოს მწერალთა ორგანო N 6 (67) თბილისი;
46. მსოფ. ხალხთა სიბ., 2016 – „მსოფლიო ხალხთა სიბრძნე“, (სამაგიდო წიგნების უნივერსალური 2 ათეული) ტომი 14, თბილისი;
47. მეუნარგია, 1941 – იონა მეუნარგია, „ქართველი მწერლები“, I, თბილისი;
48. „მოგზ.“, 1901 – ჟურნალი „მოგზაური“, № 8, 9, თბილისი;
49. ნამცვრევი, 1989 – ნამცვრევი (ხალხური პოეზია, ჩაწერილი ქართლში. შემკრებ-შემდგენელი გიორგი ხორგუაშვილი,) თბილისი;
50. ორბელიანი, 2013 – გრიგოლ ორბელიანი, სერია „ჩემი ხუთეული“, ტომი 96, თბილისი;
51. ორბელიანი, 1992 – გრიგოლ ორბელიანი, „ქართული მწერლობა“, ტომი IX, თბილისი;
52. ორბელიანი, 1993 - სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტომი II, თბილისი;
53. ორბელიანი, 1959 – გრიგოლ ორბელიანი, „თხზულებათა სრული კრებული“, აკაკი გაწერელიასა და ჯუმბერ ჭუმბურიძის რედაქტორობით, თბილისი;

54. **ორბელიანი, 1936** - გრიგოლ ორბელიანი, „წერილები“, ტომი I, ა. გაწერელის რედ., თბილისი;
55. **რადიანი, 1952** – შალვა რადიანი, „ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია“, თბილისი;
56. **სიხარულიძე, 1949** – ქსენია სიხარულიძე, „ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, თბილისი;
57. **სიხარულიძე, 1958** – ქსენია სიხარულიძე, „ნარკვევები“, თბილისი;
58. **სიხარულიძე, 1976** – ქსენია სიხარულიძე, „ქართული ფოლკლორის ისტორია და თეორიის საკითხები“, თბილისი;
59. **სიმბ. ილ. ენც., 2007** - სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, თბილისი;
60. **საქ. ისტ., 2012** – ნოდარ ასათიანი, გიორგი ოთხმეზური, მიხეილ სამსონაძე, გივი ჯამბურია, „საქართველოს ისტორია“ (XIII საუკუნიდან XIX საუკუნემდე), ტომი III, თბილისი;
61. **„საქ. კალ.“, 1890** – „საქართველოს კალენდარი“, თბილისი;
62. **სვან. ხ. ლ., 1968** – ირინოლა, „სვანური ხალხური ლექსები“ – სვანურიდან გადმოიღო დავით წერედიანმა, თბილისი;
63. **უმიკაშვილი, 1964** - პეტრე უმიკაშვილი, „ხალხური სიტყვიერება“, ტომი I, თბილისი;
64. **ფურცელაძე, 1963** – ანტონ ფურცელაძე, „ქართული ლიტერატურა“. ჟ. „ცისკარი“, NN 3, 7;
65. **ფუტკარაძე, 1993** – შუმანა ფუტკარაძე, „ჩვენებურების ქართული“, ბათუმი;
66. **ქიქოძე, 1985** – გერონტი ქიქოძე, „წერილები, ესეები, ნარკვევები“, თბილისი;
67. **ქ. ხ. საუნ., 1991** – „ქართული ხალხური საუნჯე“, პოეზია, ტომი I, თბილისი;
68. **ქ. ხ. ს. სიტყ., 1961** – „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტომი I, ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა, თბილისი;
69. **ქ. ხ. ს. სიტყ., 1964** – „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, ტომი II, ტექსტის მომზადება, რედაქცია, შესავალი და შენიშვნები ქსენია სიხარულიძისა, თბილისი;

70. ქ. ხ. სიტყ., 1970 – „ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია“, შენიშვნა, შესავალი წერილი, განმარტებითი ბარათები და შენიშვნები დაურთო ქსენია სიხარულიძემ, თბილისი;
71. ქ. ხ. პ., 1974 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი III, (საგმირო ლექსები, ნაკვეთი პირველი), თბილისი;
72. ქ. ხ. პ., 1975 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი IV, (საგმირო ლექსები, ნაკვეთი მეორე), თბილისი;
73. ქ. ხ. პ., 1976 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი V, (საწესჩვეულებო ლექსები), თბილისი;
74. ქ. ხ. პ., 1978 – „ქართული ხალხური პოეზია“, სატრფიალო ლექსები, ტომის რედაქტორი პროფ. ელენე ვირსალაძე, ტომი VI, თბილისი;
75. ქ. ხ. პ., 1979 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი VII, (საყოფაცხოვრებო ლექსები), თბილისი;
76. ქ. ხ. პ., 1979 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი VIII, (საყოფაცხოვრებო ლექსები), თბილისი;
77. ქ. ხ. პ., 1984 – „ქართული ხალხური პოეზია“, ტომი XI, (ისტორიული ლექსები), თბილისი;
78. წერეთელი, 1990 - აკაკი წერეთელი, „მოხსენება, წაკითხული 30 მარტს ს. აბაშელის საღამოზე“. – რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი V (პუბლიცისტური და კრიტიკული წერილები), თბილისი;
79. შარაბიძე, 2008 – თამარ შარაბიძე, „ინიციალებს მიღმა (გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო ლირიკა)“, „ლიტერატურული მიეზანი“, XXIX, თბილისი;
80. შიოშვილი, 2000 – თინა შიოშვილი, „საისტორიო ფოლკლორის ზნეობრივი მრწამსი“. - კრებულში: „ქართველური მემკვიდრეობა“, ტომი IV, ქუთაისი;
81. შიოშვილი, 2002 – თინა შიოშვილი, „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, წიგნი I, ბათუმი;
82. შიოშვილი, 2005 – თინა შიოშვილი, „მეფე ერეკლეს ციკლის საისტორიო ლექსის - „...ვერ გაიგეთა, ქართველნო“ - კომპოზიციის საკითხისათვის“. - ბსუ შრომები, VII, ბათუმი;

83. შიოშვილი, 2014 – თინა შიოშვილი, „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში“, თბილისი;
84. ჩიქოვანი, 1947 – მიხეილ ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“, თბილისი;
85. ჩხეიძე, 2014 - ეკა ჩხეიძე, „ლექსები წუთისოფელზე“- კრებულში: „ქართული ფოლკლორი“, თბილისი;
86. ცანავა, 1953 – აპოლონ ცანავა, „ქართული მესტვირული პოეზია“, თბილისი;
87. ცანავა, 1986 – აპოლონ ცანავა, „ფოლკლორი და თანამედროვე ქართული მწერლობა“ თბილისი;
88. ჯაგოდნიშვილი, 2004 – თემურ ჯაგოდნიშვილი, „ქართული ფოლკლორისტიკის ისტორია“, თბილისი;
89. ჯაგოდნიშვილი, 2005 – თემურ ჯაგოდნიშვილი, „ერეკლეს ეპოსი“, თბილისი;
90. ჯიბლაძე, 1968 - გ. ჯიბლაძე, „ბარათაშვილის პოეტური გენია“, თბილისი;
91. ჯორბენაძე, 1986 - პავლე ჯორბენაძე, „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება“, VIII, თბილისი;
92. ჯორბენაძე, 1984 - პავლე ჯორბენაძე, „რომანტიზმის სათავეებთან“, ბათუმი;
93. ჭავჭავაძე, 1940 - ალექსანდრე ჭავჭავაძე, „თხზულებანი“, ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბილისი;
94. ჭავჭავაძე, 1949 - ალექსანდრე ჭავჭავაძე, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“, (პოეტის ბიბლიოთეკა), რედ.: ი. გრიშაშვილი, თბილისი;
95. ჭავჭავაძე, 1992 – ალექსანდრე ჭავჭავაძე, - „ქართული მწერლობა“, IX ტომი, თბილისი;
96. ჭავჭავაძე, 1986 – ალექსანდრე ჭავჭავაძე, „თხზულებები“. შეადგინა, რედაქცია გაუკეთა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ირაკლი კენჭოშვილმა, თბილისი;
97. ჭავჭავაძე, 1986 – ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, I ტომი, თბილისი;
98. ჭავჭავაძე, 2012 – ილია ჭავჭავაძე, „ასი წლის წინათ“. – სერია „ჩემი ხუთეული“, ტომი 45, თბილისი;
99. ჭავჭავაძე, 2012 – ილია ჭავჭავაძე, „პუბლიცისტური წერილები“, – სერია „ჩემი ხუთეული“, ტომი 44, თბილისი;

99. ჭუმბურიძე, 1974 – ჯუმბერ ჭუმბურიძე, „ქართული კრიტიკის ისტორია“, თბილისი;
100. ხალ. სიბრძნე, 1965 – „ხალხური სიბრძნე“, ანდაზები მახვილსიტყვაობა, გამოცანები, ტომი V, (ტომი შეადგინეს: ანდაზები – ლ. ლეჟავა, მახვილსიტყვაობა – ა. ცანავა, გამოცანები – მიხ. ჩიქოვანმა და ჯ. ბარდაველიძემ), თბილისი;
101. ხ. სიტყ. მ., 1955 – „ხალხური სიტყვიერების მასალები“, ტომი I, შეკრებილი ჯუანშერ სონღულაშვილის მიერ, ელ. ვირსალაძის რედაქციით, თბილისი;
102. ხ. სიტყვ., 1953 – „ხალხური სიტყვიერება“ III, პირველი სერია, II, ხალხური ლექსები, თედო რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი, თბილისი.